ლუარა სორდია

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ბიბლიის ერთი კონცეფცია...

აპოკალიფსური სახეები...

გრაალის იდეალი...

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 0 9

წიგნში შესწავლილია ერთი ბიბლიური კონცეფცია, რაც ერებისა და ეროვნულობის წისქვილზე ასხამს წყალს და ჩვენს აპოკალიფსურ საუკუნეში მასონურ-კოსმოპოლიტურ მოძღვრებებს ეწინააღმდეგება.

მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტერენტი გრანელის, გოდერძი ჩოხელის, ვაჟა ეგრისელის შემოქმედება საყურადღებოა აპოკალიფსური სახეებით, ბიბლიური პარადიგმებით და ეხმაურება ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს, რის გამოც სათანადო ადგილი ეთმობა მათი შემოქმედების ამ ასპექტებს.

ნაშრომი წარმოადგენს ცდას, წარმოჩენილ იქნან გრაალის ორდენის რაინდები ჩვენს პოეზიაში. ამ მიზნით გაანალიზებულია გრაალის თემის მხატვრულად ხორცშესხმის მაგალითები გალაკტიონ ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ვაჟა ეგრისელის პოეზიაში.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ასევე ზემოხსენებული საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

რედაქტორი: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ტ. მოსია**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ო. მიქიაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დიანა ალანია**

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავი I

ბიბლია ერისა და ეროვნულობის შესახებ;

თავი II

აპოკალიფსი და მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა

“ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირთა” ნაირსახეობანი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში;

აპოკალიფსური სახეები მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში;

ტერენტი გრანელი – სატანისტური ხელისუფლების ოპოზიცია;

აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლი კონსტანტინე გამსახურდია;

აპოკალიფსური მხეცების თარეში გოდერძი ჩოხელის პოეზიაში;

ბიბლიური პარადიგმებით გამხელილი სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებები ვაჟა ეგრისელის ლირიკაში;

თავი III

გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი

გრაალის ორდენის რაინდები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში - 90

(გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვაჟა ეგრისელი)

თავი I

ბიბლია ერისა და ეროვნულობის შესახებ

ბიბლია საყოველთაოდ არის აღიარებული სიბრძნის, ზნეობრივი პრინციპების სწორუპოვარ საგანძურად. იგი იქმნებოდა 1500 წლის მანძილზე. ბიბლიას წმინდა წერილს უწოდებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ღვთის, სულიწმინდის შთაგონებით და კარნახით არის შექმნილი.

ეს წიგნთა წიგნი უაღრესად საინტერესოა ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, ზნეობრივი, ესთეტიკური თვალსაზრისით. მასში შემავალი თქმულებები, ლეგენდები, სასწაულები, ისტორიული ქრონიკები, ნოველები, ლირიკული ნაკადები ჭეშმარიტი პოეტური აზროვნების ნიმუშებია.

სიბრძნის ეს სალარო ყოველი ქვეყნის, ყოველი მეტნაკლებად განვითარებული ერის მწერლობის შთამაგონებელი და სტიმულის მიმცემია.

ბიბლიაში აისახა ხალხთა, ქვეყანათა ურთიერთობები, დაპყრობითი ომები, ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას, რწმენასა და ურწმუნოებას შორის, დაპყრობილი ქვეყნების ტრაგედია, ადამიანის გაუცხოება მშობლიური ადგილებისა და ენისადმი, გაუნელებელი ნოსტალგია, უცხოთა ბატონობაში გალეული ცხოვრების სიმწარე, მონობის საშინელება.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი სიბრძნე, მიწიერი და ზეციური, ღვთის სიბრძნე. მიწიერი სიბრძნე მაცდური, ეშმაკეული, ადამიანის სულის დაღუპვის მომტანი სიბრძნეა (ბარუქი III, 23).

ზეციური სიბრძნე სამართლიანია, მარადიული, უთვალთმაქცო, წმინდა, უკვდავებასთან წილნაყარი (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 2,26).

ასევე, ბიბლიაში ფიგურირებს ორგვარი ბაღი და ვენახი – ზეციური და მიწიური.

ზეციური ვენახი ქრისტეს სიმბოლოა : “მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა” (იოანე, 15,1) (1, 213).

მიწიური ვენახი ისრაელის ხალხის პარადიგმაა : “მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე”? (იერემია წინასწარმეტყველი, 2, 21) (2, 126).

ესაია წინასწარმეტყველი აკონკრეტებს : “ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი” (ესაია, 5, 7) (2,76).

ბიბლიაში უდიდესი ადგილი ეთმობა ეროვნული შეუვალობის, თვითმყოფობის იდეას, რაც ღვთისგან მოდის და მეტაფორულად, ჭიშკრების გამაგრებით არის გამოხატული : “უფალმა გაამაგრა ურდულები შენი ჭიშკრების, აკურთხა ძენი შენნი შენთან.

დაამკვიდრებს შენს საზღვრებზე მშვიდობას, ხორბლის ყუათით დაგამაძღრისებს” (ფს. 147, 2, 3) (1, 681).

ეროვნული სულიერ-მატერიალური ფასეულობების დაცვა-პატივისცემის იდეა ასეა გამოხატული : “სვი წყალი შენი აუზიდან და ანკარა შენი ჭიდან.

“გარეთ იღვრებოდეს შენი წყაროები, მოედნებზე – წყლის ნაკადულები.”

“მხოლოდ შენი იყოს და უცხოები არ დაგეზიარონ” (იგავნი სოლომონისა თ. 5, 15, 16, 17) (3, 620).

უფლის წმინდა გზაზე მოარულ ხალხს ბედნიერებას ჰპირდება უფალი: “იქნება იაკობის ნატამალი უამრავ ხალხთა შორის, როგორც უფლის ცვარი, როგორც შხაპუნა წვიმა ბალახზე” (მიქა, 5, 6) (2, 287).

მაგრამ, ამავე დროს, უფალი აფრთხილებს თავის საყვარელ ერს, რომ დასჯის რწმენის, ეროვნული გზის მოღალატეთ: “დადგება საუფლო მსხვერპლის დღე და მსჯავრს დავდებ მთავრებს და უფლისწულებს და ყველას, უცხო სამოსელით შემოსილს” (სოფონია წინასწარმეტყველი, 1, 8) (2, 293).

დავით წინასწარმეტყველი კიცხავს უცხო კერპების მოთაყვანეთ: “დარდი გაუმრავლდეთ, ვინც უცხო კერპებისკენ ისწრაფვის” (ფს. 16, 4) (1, 534).

ბიბლიაში უცხო ღმერთების სამსახური ბოროტებად მიიჩნევა: “დავდიოდით თითოეული საკუთარი უკეთური გულის კარნახით უცხო ღმერთების სამსახურში და ბოროტებას ჩავდიოდით უფლის, ჩვენი ღვთის თვალში” (ბარუქ წინასწარმეტყველი, 1, 22) (2, 188).

გვხვდება ასეთი მოწოდება: “ნუ მისცემ სხვას დიდებას შენსას და ნურც შენს სარგებელს – უცხო ხალხს” (ბარუქი, 4, 3).

ბიბლიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ისრაელისთვის უბედურების მომტანია “ხალხი ურიცხვი და უცხოენოვანი, რომელსაც არც მოხუცებულის რიდი აქვს და არც ყრმის სიბრალული” (ბარუქი, 4, 15) (2, 191).

ღმერთი ასე ემუქრება რწმენისგან გაუცხოებულს: “...თუ კაცი ვინმე ისრაელის სახლიდან და მდგმურთაგან... გამიუცხოვდება, აღმართავს კერპებს თავის გულში და უკეთურობას დაბრკოლებად დაიდებს წინ, პირს მივაქცევ ამ კაცის წინააღმდეგ, ნიშად და იგავად გავხდი მას და მოვკვეთავ ჩემი ერიდან” (ეზეკიელი, 14, 78) (2, 204).

სიმდიდრით გაამპარტავნებულს სასტიკი უცხოელის მახვილით სჯის უფალი: “აჰა, მოგისევ უცხოელებს, უსასტიკესთ ხალხთა შორის და იშიშვლებენ მახვილს შენი სიბრძნის მშვენების წინააღმდეგ და შელახავენ შენს ბრწყინვალებას” (ეზეკიელი, 28, 7) (2, 220).

გადიდგულებულ ეგვიპტის ფარაონს “მოკვეთავენ... უცხონი, უსასტიკესნი ხალხთა შორის”. (ეზეკიელი, 31, 12) (2, 223).

უცხო თესლის მიმღებს, მძარცველს, ლტოლვილების გამწყვეტს გადაშენებით ემუქრება ღმერთი (აბდია წინასწარმეტყველი, 1, 11, 15) (2, 282).

ცოდვილები უცხო თესლის მსხვერპლნი გახდებიან: “მათ ნაყოფს უცხო ტომი მოიმკის და დაიტაცებენ მის დოვლათს” (III ეზრა, თ. 16, 47) (2, 240).

“უფლის დიდი დღისთვის” კი “გახდება იერუსალიმი საწმინდარი და ვერასოდე შევა იქ უცხოთესლი” (იოველ წინასწარმეტყველი, 4, 14) (2, 275).

დავით წინასწარმეტყველი, რომელსაც ნაწვნევი აქვს უცხო ტომთაგან მოწეული განსაცდელი, ასე ევედრება ღმერთს: “უფალო, მიხსენი და გადამარჩინე მრავალ წყალთაგან, უცხო ტომთა ხელიდან – რომელთა ბაგენი ტყუილს ლაპარაკობენ და რომელთა მარჯვენა სიცრუის მარჯვენაა” (ფს. 145, 7, 8).

მონობის, ხიზნობის საშინელება ცოდვების საზღაურია და ასე მოთქვამს დავით წინასწარმეტყველი: “ვაიმე, ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარვებთან” (ფს. 119-120,5).

“როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე ?” (ფს. 137,4).

ესაია წინასწარმეტყველს მხოლოდ ღმერთი ეიმედება: უფალო... “შენა ხარ... ჩრდილი პაპანებაში.

“უცხოთა ხმაურს შენ აცხრობ, როგორც ხვატი ღრუბლის ჩრდილში, ისე ითრგუნება მტარვალთა სიმღერა” (ესაია, 25, 5).

ესაია წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: “მოოხრებულია თქვენი ქვეყანა, გადამწვარია თქვენი ქალაქები, თქვენს მინდვრებს გადამთიელნი ჭამენ თქვენს თვალწინ და მოოხრებულია, თითქოს ურდოებს დაერბიოთ” (ესაია, 1, 7) (2, 73).

“შენ მოიკვეთე შენი ერი, რადგან აღმოსავლეთით ავსებულან ისინი და ჯადოქრობით ფილისტიმელთა მსგავსად; უცხო თესლთა შვილებთან გადასკვნილან” (ესაია, 2, 7) (2, 74).

“უცხო ღმერთების თაყვანის გამო ისჯებიან ისრაელის მკვიდრნი” (იერემია, 7, 6) (2, 131).

“როცა იკითხავენ, რის სანაცვლოდ დაგვმართა ეს ყველაფერი უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, მიუგე: როგორც მე მიმატოვეთ და ემორჩილებოდით უცხო ღმერთებს, თქვენს საკუთარ ქვეყანაში, ასევე დაემორჩილებით უცხო ღმერთებს იმ ქვეყანაში, რომელიც თქვენი არ იქნება” (იერემია, 5, 19) (2, 130-131).

“ასე თქვა უფალმა: “ნუ გადაიღებთ სხვა ხალხთა ზნეს, ნუ შეგეშინდებათ ციური ნიშნებისა, როგორც სხვა ხალხებს ეშინიათ” (იერემია, 10, 2) (2, 134).

“რად ხართ მდგმურივით ამ ქვეყანაში, მგზავრივით, ღამის გასათევად რომ გაჩერებულა?” (იერემია, 14, 8) (2, 138).

“აჰა, მომაქვს ამ ადგილისთვის უბედურება...

“ეს იმის გულისთვის, რომ დამივიწყეს და გააუცხოვეს ეს ადგილი; უკმევენ აქ უცხო ღმერთებს” (იერემია, უფალი, 19, 3, 4) (2, 143).

იერემია ჰგოდებდა: “ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები – გადამთიელმა.

...ჩვენსავე წყალს ვერცხლის ფარად ვსვამთ, შეშას ვყიდულობთ;

...მონები ხელმწიფობენ ჩვენზე, არა ჩანს მხსნელი მათი ხელიდან;

სიცოცხლის ფასად ვშოულობთ პურს, უდაბნოში მახვილის შიშით;

...ხელებით ჰკიდებენ მთავრებს, შეურაცხყოფენ მოხუცებულთ.

მოყმენი დოლაბებს ეზიდებიან, ბიჭები ფორხილებენ შეშის ტვირთის ქვეშ.

...გაუკაცრიელდა სიონის მთა და ტურები დარბიან იქ” (გოდება იერემიასი, თ. 5, 1 -21) (2, 184).

იერემია ეპისტოლეში ასე მოძღვრავს თვისტომთ: “ფრთხილად იყავით, თქვენც არ დაემსგავსოთ უცხოელებს და მათმა შიშმა არ შეგიპყროთ”.

არამედ თქვით გულში : შენი თაყვანისცემა გვმართებს, უფალო” (ეპისტოლე იერემიასი, 1, 4, 5) (2, 185).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიბლია გვირჩევს “უცხო ქალისგან”, “უცხო თესლისგან” განრიდებას: “გონიერება დაგიფარავს და შეგნება დაგიცავს...

...რომ გიხსნას უცხო ქალისგან, უცხო თესლისაგან, მისი ლაქარდიანი ენისაგან” (იგავნი სოლომონისა, თ. 2, 16) (2, 618).

“თაფლი სდის უცხო ქალის ბაგეებს და ზეთივით გასლექილია მისი სასა”.

“ბოლოს კი აბზინდასავით გამწარდება, ორლესული მახვილივით გაფხავდება” (იგავნი სოლომონისა, თ. 5, 3, 4).

“შორს იყოს მისგან შენი გზა და არ გაეკარო მისი სახლის კარს, რომ არ გაძღნენ უცხონი შენი დოვლათით და შენი ჭირნახული მტრის სახლში” (იგავნი სოლომონისა, თ. 5, 8, 10) (2, 620).

სოლომონი გვმოძღვრავს: “ვინც უცხოს თავდებად უდგება, ბოროტებას გადაეყრება, ხოლო ვისაც თავდებობა სძულს, უსაფრთხოდ არის (იგავნი სოლომონისა, 11, 15) (2, 624).

“აიღე მისი სამოსელი, რადგან უცხოს დაუდგა თავდებად. უცხო ქალის სანაცვლოდ გამოართვი ნახუთევი” (იგავნი სოლომონისა, 20, 16) (2, 630).

იერემია წინასწარმეტყველი აფრთხილებდა ისრაელის ხალხს: “ნუ მისდევთ უცხო ღმერთებს სამსახურებლად და თაყვანისცემად” (იერემია, 25,6) (2, 148).

ისო ზირაქის რჩევა ასეთი იყო: “ფიცრულში ერჩიოს ღატაკს ცხოვრება უცხოთა შორის ბრწყინვალე ნადიმებს” (სიბრძნე ზირაქისა, 29, 22) (2, 55).

“აღმართე შენი ხელი უცხო ხალხებზე, რათა იხილონ შენი ძალა”, ევედრებოდა უზენაესს ისო ზირაქი (36, 2) (2, 59).

ბიბლიური სიბრძნე გვამცნობს:

“...გადაშენდნენ იუდას მეფეები.

რადგან სხვებს მისცეს თავიანთი რქა და უცხო ტომებს თავიანთი დიდება” (სიბრძნე ზირაქისა, 49, 45) (2, 70).

პავლე მოციქული მიმართავდა როგორც ქვეყნისგან, ისე ღვთისგან გაუცხოებულებს: “ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად, რადგან რა საერთო აქვს სამართალს ურჯულოებასთან? ან რა აქვს საერთო ნათელს ბნელთან? ან რა წილი აქვს მორწმუნეს ურწმუნოებასთან”.

“რა შეთანხმება აქვს ქრისტეს ბელიართან? ან რა წილი აქვს მორწმუნეს ურწმუნოებასთან.

“რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღვთის ტაძარი” (პავლე მოციქული, II კორინთელთა, თ. 6, 14, 15, 16) (1, 390-391).

წმინდა მოციქული მიმართავდა თანამემამულეებს: “იმ დროს თქვენ იყავით ქრისტეს გარეშე, ისრაელის კრებულისგან გაუცხოებულნი, აღთქმის მცნებითა უცხოები, არ გაგაჩნდათ იმედი და უღმერთონი იყავით წუთისოფელში” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2, 12) (1, 415).

“აღარ მოიქცეთ ისე, როგორც სხვა ხალხები იქცევიან თავიანთი გონების ამაოებით”.

“გონებადაბნელებულნი და ღვთის ცხოვრებისგან გაუცხოებულნი თავიანთი უმეცრებისა, გულქვაობის გამო (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4, 17, 18) (1, 418).

“არ გაგიტაცოთ სხვადასხვა და უცხო მოძღვრებებმა, ვინაიდან კარგია გულის გამაგრება მადლით და არა საჭმელებით, საიდანაც სარგებელი ვერ ნახეს მისმა მიმდევრებმა” (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12, 9) (1, 487-488).

კერპების მოთაყვანეთ, ცოცხალი ღმერთის უარმყოფელთ ასე ემუქრება ღმერთი: “რთველის წინ, როცა გადასული იქნება ყვავილობა და ნაყოფი დამწიფებული, დანით აკაფავს ლერწებს და ყლორტებს მოაშორებს ვაზს.

ყველაფერი მიწის ონავარ ფრინველებს და მიწის მხეცებს დარჩებათ, დაიზაფხულებენ იქ ონავარი ფრინველები და მიწის მხეცი იქ დაიზამთრებს” (ესაია, 18, 5, 6).

“იმ დღეს გალეწავს უფალი თავთავებს ევფრატიდან ეგვიპტის ხევამდე და თქვენ, ისრაელიანებო, სათითაოდ აიკრიფებით” (ესაია, 17, 12).

უფლის გზის ღალატი სასჯელით სრულდება: “გაამზადეთ ნამგალი, რადგან მოწეულია სამკალი”.

“გახდება იერუსალიმი საწმინდარი და ვეღარასოდეს შევა იქ უცხოთესლი” (იოველი, 4, 13, 17).

მკა და გალეწვა წუთისოფლის აღსასრულს მოასწავებს.

მაგრამ ბიბლია იმასაც გვასწავლის, რომ “ღმერთთან არ არსებობს მიკერძოება” (პავლე მოციქული, რომაელთა, 2, 11) (1, 330).

ისრაელიანთაგან არის “ხორციელად ქრისტე”, რომელიც არის ღმერთი ყოველთა ზედა, უკუნისამდე კურთხეული, ამინ” (პავლე მოციქული, რომაელთა, 9, 5) (1, 342).

მაგრამ ღმერთი რწმენით აერთიანებს სხვადასხვა ერებს, ამიტომ “ყოველი მისი მორწმუნე არ შერცხვება.

ამაში არ არის განსხვავება იუდეველსა და წარმართს შორის, ვინაიდან ერთი უფალი არის ყველაზე. ის უხვია ყველასათვის, ვინც მას მოუხმობს.

“რადგან ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება” (პავლე მოციქული, რომაელთა, 10, 11, 12, 13) (1, 344).

გედეონი, ბარაკი, სამსონი, იეფთა, დავითი, სამუელი, წინასწარმეტყველნი... ”რწმენით ამარცხებდნენ,... იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს, პირს უკრავდნენ ლომებს.

“შრეტდნენ ცეცხლის ძალას, ირიდებდნენ მახვილის პირს,... დევნიდნენ უცხოთა ჯარებს” (პავლე მოციქული, ებრაელთა, 11, 32, 33, 34) (1, 482).

ქრისტე თავის ირგვლივ იკრებს უცხოთა შვილებსაც, რომლებიც მის აღთქმებს იცავენ, მისი სახლი ყველა ხალხის სამლოცველოდ იქცევა: “უცხოთა შვილებს, რომლებიც მიეკრნენ უფალს, რომ ემსახურონ უფალს და ჩემი აღთქმის მტკიცედ დამჭერს მივიყვან ჩემს წმინდა გზაზე და ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ და ჩემს სახლს ყველა ხალხის სამლოცველო სახლად ვაქცევ” (ესაია, 56, 57). (3, 189).

იესოს უყვარს თავისი წარმომშობი ებრაელი ერი. იერუსალიმში დიდებით შესვლის დროს ის ტირის თავისი ერის გამო, რომლებიც ღმერთის უარყოფით ტანჯვას დაიმსახურებენ, ტირის იერუსალიმის გაპარტახების გამო (ლუკა, 119, 41-44, 21,6).

როცა იესო თავის მოციქულებს საქადაგებლად გზავნის, მოძღვრავს: “მიაკითხეთ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს” (მათე, 10, 6).

“ქრისტიანობა არათუ გამორიცხავს ეროვნულობას, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს, არამედ აუცილებლობით გულისხმობს კიდეც მას. ასეთნაირად გაგებული ნაციონალიზმი კი... აუცილებლად შეიცავს სხვა დანარჩენი ერების სიყვარულსა და პატივისცემას.

“მაშასადამე, ნაციონალიზმი, ღვთაებრივ-ქრისტიანული სულით განსულიერებული, რელიგიურად გამართლებულია. ...წმინდანები უფრო

ნაციონალურნი და ინდივიდუალურნი არიან, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები” (4, 8).

თუ ძველ აღთქმაში რჩეული ერი ფიგურირებს, ახალ აღთქმაში რჩეულ ერად წოდებულია ჭეშმარიტი ქრისტიანები მსოფლიოს ყველა ხალხიდან: “ღმერთი მიკერძოებული არ არის, არამედ ყველა ერშია მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი მოსაწონია მისთვის” (მოციქულთა საქმეები, 10, 34, 35).

მაცხოვარმა თავისი სისხლით გამოისყიდა როგორც ებრაელები, ისე ყველა ერის წარმომადგენელი (იოანეს გამოცხადება, 5, 9).

ქრისტემ მოციქულებს მოუწოდა ექადაგათ ყველა ეროვნების ხალხში: “წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი” (მათე, 28, 19).

იესო ქრისტე ნებისმიერი ხალხის ეროვნულობას აღიარებს, მის ცათა სასუფეველში მსოფლიოს ყველა ეროვნების ადამიანები ჰპოვებენ ადგილს: “მოვლენ დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან და ინახად დასხდებიან ღვთის სასუფეველში” (ლუკა, 13, 29) (1, 147).

ღმერთისთვის ურწმუნოებით გაერთიანებული კაცობრიობის ერთიანობა მოსაწონი არ იყო და ამიტომაც აურია ენა ბაბილონის გოდლის მშენებლებს (დაბ. 4, 4) (3, 15).

სულიწმინდის გარდამოსვლისას მოციქულები სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ, როცა შორეულ ქვეყნებში გაემგზავრნენ ქრისტიანობის საქადაგებლად.

ბიბლიაში ღმერთის მიერ დაშვებულია ერების ცალ-ცალკე არსებობა თავიანთ საზღვრებში. მათი მოსპობის თუ საზღვრების წაშლის ცდა და ახალი ბაბილონის შენება ეწინააღმდეგება ღმერთის ნებას.

ღმერთი ყოველთვის ეხმარებოდა საკუთარი ხალხის ერთგულსა და დამცველს, მოწყალეა დაჩაგრულისადმი და შეუბრალებელი მჩაგვრელისადმი.

ამის მაგალითები ბიბლიაში მრავლად არის.

ებრაელი მოსე ეგვიპტის ფარაონის ნაშვილები იყო, იგი მეფის სასახლეში იზრდებოდა, როგორც ნამდვილი დიდებული. მაგრამ ის იტანჯებოდა, როცა ებრაელების ჩაგვრას ხედავდა, იგი თავისი ხალხის ქოხებში დადიოდა, ეხმარებოდა მათ ფულით, ამხნევებდა, ერთობის, ღმერთის სიყვარულს უნერგავდა. მოსემ უყოყმანო არჩევანი გააკეთა ეგვიპტელებთან მდიდრულ ყოფასა და თავისიანების

ტანჯვის თანაზიარობით მძიმე ცხოვრებას შორის. იგი გაიქცა ეგვიპტიდან უცხო ქვეყანაში, აბრაამის შთამომავლებთან, უბრალო მწყემსი გახდა და მიზნად დაისახა თავისი ხალხის გამოხსნა.

უფლის გამოცხადებამ, მისმა მოწოდებამ, რომ ისრაელიანები აღთქმულ ქვეყანაში გაეყვანა, მოსეს ძალა მისცა, რომ თავის ხალხთან ერთად მრავალი დაბრკოლება გადაეტანა. იგი წაუძღვა ეგვიპტისგან გამოქცეულ ებრაელებს. უდაბნოში მიმავალ მოსეს მის ხალხთან ერთად დღისით ღრუბლის სვეტი იფარავდა სიცხისგან, ღამე ცეცხლის სვეტი უნათებდა გზას (გამ. 3, 1-15, 4, 1 -31).

მოსეს ღმერთმა სასწაულმოქმედი კვერთხი მისცა, რითაც გააპო ზღვა და სამშვიდობოს გაიყვანა ისრაელიანები (გამ. 14, 6 – 32; გამ. 15-22).

დამშეული ხალხი ღმერთმა ზეციური პურით (რაც ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევა) დააპურა, მწყურვალნი კი კლდიდან კვერთხის გამონადენი წყლით დაარწყულა (გამ. 15, 22-25; 16, 1-31, 19, 1-13).

ღმერთმა მოსეს სინას მთაზე მოუწოდა და ათი მცნება მისცა (გამ. 19, 1-20; 20,2; 22, 23).

უფლის ბრძანებით მოაწყო მოსემ საზოგადო საყდარი სალოცავად ”კარავი კრებულისა” (გამ. 40, 1-36; დევ. 8, 1-13).

ორმოცი წლის უდაბნოში ხეტიალის შემდეგ ღმერთმა ებრაელები ქანაანში, აღთქმულ მიწაზე დააბრუნა ისო ნავეს მეთაურობით, რადგან მოსე 120 წლის ასაკში გარდაიცვალა და იგი ანგელოზებმა დამარხეს (ისო ნავე, 1, 1-17; 4, 18-23, 5, 12).

ასევე სწყალობდა ღმერთი გედეონ მსაჯულს, რომელსაც მტერთან ბრძოლის წინ რწმენა მისცა სასწაულმოქმედი ანგელოზის გამოცხადებით, გედეონის თხოვნითვე ორჯერ მისცა გამარჯვების ნიშანი (ჯერ კალოზე გაშლილი მატყლი დანამა, დედამიწაზე სხვა ყველაფერი მშრალი იყო, მერე მთელი დედამიწა დანამა, მატყლი კი მშრალი დატოვა). უფლის რჩევით, გედეონი სამასი კაცით წავიდა ომში და გაიმარჯვა (მსაჯ. 6, 11-40.) (7, 1-24).

ღმერთის შეწევნით სასწაულებს ახდენდა სამსონი. მან დაამარცხა ფილისტიმელთა ჯარი და ათასი კაცი მოკლა გამხმარი ვირის ყბით.

ფილისტიმელთა მიერ დატყვევებულმა ქალაქის ალაყაფის კარები აგლიჯა, მხრებზე აიკიდა და მთაზე აიტანა.

მისკენ გამოქანებულ ლომს ყბებში ჩაავლო ხელები, ყბები გაუხლიჩა და მოკლა. მაგრამ სამსონის საბედისწერო შეცდომა იყო მოღალატე ფილისტიმელ ქალზე დაქორწინება. ქალმა გაიგო სამსონის ძლიერების საიდუმლო მის თმებში რომ იყო, მძინარე ქმარს ფილისტიმელები დაასხა თავს, რომლებმაც სამსონი შებოჭეს, თმები შეაჭრეს და თვალები დასთხარეს (მსაჯულნი, 16,4-20) (3-254-255).

სამსონმა მაინც გადაუხადა თავისი მამულის მტრებს სამაგიერო. ფილისტიმელების დარბაზში მოზეიმეებმა მასხრად აიგდეს უსინათლო სამსონი. მან იპოვა დარბაზის დედაბოძი, გამოაცალა იგი სახლს, დასცა ძირს და მრავალ ფილისტიმელთან ერთად თვითონაც იქ დაიმარხა (მსაჯულნი, 16, 23-30) (3, 255).

ღმერთმა ამპარტავანი საული დასაჯა დავითის დევნის გამო, გაამარჯვებინა დავითს გოლიათზე (პირველი მეფეთა, 17, 40-51) 49, 9-10 (3, 284).

მაგრამ როცა დავითმა მოაკვლევინა ურია ქეტელი და შეირთო მისი ქვრივი ბერსაბე, ღმერთმა იმით დასაჯა დავითი, რომ მოუკლა ბერსაბესაგან შობილი შვილი (მეორე მეფეთა, 11, 15-17, 27) (3, 306) (მეორე მეფეთა, 12, 15-18) (3, 307).

ღმერთი დიდად სწყალობდა სოლომონს, უბოძა მას სიბრძნე, გონიერება, სიმდიდრე, დაავალა ტაძრის აშენება იერუსალიმში, მაგრამ სოლომონმა გადაუხვია ღვთის გზას, შეირთო წარმართი ქალები, მათი შეგონებით იერუსალიმის ახლოს ააშენა საკერპო სახლები, ნება დართო წარმართებს, რომ იქ ევლოთ და ელოცათ. მერე თვითონაც იქ დაიწყო ლოცვა. სოლომონის შეცოდების გამო მისი სამეფო ორად გაიყო.

“მეფე სოლომონს უყვარდა ბევრი უცხოელი ქალი: ფარაონის ასული, მოაბელები, ყამონელები, ედომელები, ციდონელები და ხეთელები”.

“სიბერის ხანს მოდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისკენ – ისე წრფელი არ იყო მისი გული უფლისადმი, როგორც დავითის, მამამისის გული”.

“უკეთურებას სჩადიოდა სოლომონი უფლის თვალში და ისე არ ერთგულებდა უფალს, როგორც მამამისი დავითი.

“ასე მოიქცა თავისი ყველა უცხოელი ცოლის გულისათვის, რომელნიც უკმევდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ თავ-თავის ღმერთებს. განურისხდა უფალი სოლომონს, რადგან გული აიცრუა მან უფალზე, ისრაელის ღმერთზე, რომელიც

ორჯერ გამოეცხადა მას და უბრძანა, არ დასდგომოდა უცხო ღმერთების კვალს, მაგრამ არ შეასრულა მან უფლის ბრძანება.

“უთხრა უფალმა სოლომონს: იმის გამო, რომ ასე იქცევი, არ ასრულებ ჩემს აღთქმასა და წესებს, რომლებიც დამიწესებია შენთვის, გამოგგლეჯ სამეფოს და მივცემ შენს მორჩილს” (მესამე მეფეთა, 11, 1, 4, 6, 8, 9, 10, 11) (3, 338).

მეფე ბალთაზარი მამამისის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის ტაძრიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლის ჭურჭლიდან სვამდა და ღრეობდა, თან ქვის ღმერთებს ადიდებდა.

ამ დროს კედელზე გამოჩნდა ხელის მტევანი, რომელმაც უცხო სამი სიტყვა დაწერა. ვერავინ შეძლო ამ წარწერის ამოხსნა, გარდა დანიელისა. ნაწინასწარმეტყველები იყო ბაბილონის მეფის დამარცხება მიდიელებისა და სპარსელების მიერ, ბალთაზარის მოკვლა, რაც აღსრულდა კიდეც (დანიელი, 5, 5-30) (3, 252-253).

თავისი ხალხის და რწმენის ერთგული, ნაბუქოდონოსორის ტყვე დანიელი და მისი მეგობრები მეფემ ლომების ხაროში ჩააგდო, მაგრამ ისინი უვნებლად გადაარჩინა ღმერთის მიგზავნილმა ანგელოზმა, ხოლო ამპარტავანი ნაბუქოდონოსორი მხეცებთან მიავლინა.

ღმერთი სწყალობდა ელია წინასწარმეტყველს სიკეთისა და ჭეშმარიტი მორწმუნეობის გამო, იგი ცოცხლად იქნა ცაში ატაცებული.

სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა წინასწარმეტყველ ელისეს სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც. მისი საფლავის შეხებამ მიცვალებული გააცოცხლა.

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა (დავითი, სოლომონი, ესაია, იერემია, ეზეკიელი, ეზრა, მალაქია, იოველი, ნაუმ, ზაქარია) ნააზრევში ვხვდებით ებრაული მესიანიზმის იდეას, რომ ამ ხალხის წიაღში დაიბადებოდა ხალხთა მხსნელი, მესია.

ეს იდეა ერის რჩეულობისა მრავალ სხვა ქვეყნებშიც იჩენს თავს (ბიზანტია, რუსეთი, პოლონეთი, სომხეთი, საქართველო). მაგრამ მესიანიზმი დიდი ქვეყნებისათვის მსოფლიო ბატონობის, იმპერიული ზრახვების იმპულსი ხდება, პატარა ერებისთვის – თვითდამკვიდრების, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება – განმტკიცების სტიმული.

ქართველი ხალხი, თავისი მრავალრიცხოვნობის გამო, მუდმივ ძნელბედობაში ცხოვრობდა.

მას განსაკუთრებით სჭირდებოდა მესიანისტიური იდეა, რადგან “ეს იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას”. (აკაკი ბაქრაძე, “დავიწყებული იდეა”)” [5,49].

ეს იდეა ეხმარებოდა ქართულ ერს, ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიისგან თავდასაცავად და, მეორე მხრივ, სომხური ეკლესიის იდეოლოგიური პრეცენზიის შესაკავებლად, სჭირდებოდა აგრეთვე კავკასიაში საქართველოს ჰეგემონიის განსამტკიცებლად.

Qქართული მესიანიზმის იდეა გატარებულია იოანე ზოსიმეს ცნობილ ძეგლში “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”, რომელშიც ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად, მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით დაელაპარაკებაო კაცობრიობას [6, 47-48].

ეროვნულ სასულიერო პროზაში ქრისტიანობის მსახურებს ღმერთი სასწაულს უვლენს. “შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში” იოანე მოწაფეებითურთ ცამეტ ასურელ მამასთან მოდის და ამის შესახებ უფლის ანგელოზის მიერ გაფრთხილებული კათალიკოსი ევლავიოსი ხვდება სტუმრებს. იოანე და ევლავიოსი საუბრობენ ქართულად, თუმცა იოანეს ქართული არც ესმოდა და არც ესწავლა. ამით გაკვირვებული თხზულების ავტორი აცხადებს: “ეჰა, საკვირველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა” [7.93].

გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში “ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი” ღმერთის სასწაულით ქართულად ალაპარაკდება სნეული ექვთიმეც. მძიმე დეპრესიაში მყოფს, ღვთისმშობელი ეჩვენება და ჰკითხავს ავადმყოფობის მიზეზს. უფლის დედა ანუგეშებს: “არარაი არს, ვნებაი შენ თანა, აღდექ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი”. ამის შემდეგ ექვთიმემ ქართულად დაიწყო ლაპარაკი, დავიწყებული ენა გაიხსენა და დიდებული ქართულით ამეტყველდა: “მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროი, აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა”. [7,16].

აქ ორი სასწაულია უფლის ნებით: ქართულად ალაპარაკება ექვთიმესი და მასთან ქართულად შესიტყვება მარიამ ღვთისმშობლისა.

მესიანიზმის განმტკიცებას ემსახურება “ქართლის ცხოვრებაში” გამოხატული აზრი, რომ ქრისტეს კვართი საქართველოში, კერძოდ, მცხეთაშია დაფლული. მისი

დაკრძალვის ადგილას აგებულია სვეტიცხოვლის ტაძარი. მატიანე გვამცნობს, რომ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრნენ. ისინი დაესწრნენ ქრისტეს ჯვარცმას და წილად ხვდათ უფლის კვართი: "ხოლო კვართი იგი უფლისა წილად ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას". [8, 98-99].

მესიანისტურ იდეას ემსახურება საქართველოს გამოცხადება მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად.

ბაგრატიონთა სამეფო დინასტია მოიხსენებოდა, როგორც იესიან-დავითიან-სოლომონიანი. ქართველ მეფეთა ბრძანება-განკარგულებანი იწყებოდა ასე: "ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ მეფემან"...

ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლებად თვლიდნენ თავს იმიტომ, რომ იესეც, მისი ძე დავითიც და სოლომონიც ძე დავითისი, სახარებაში მოხსენებული არიან ქრისტეს წინაპრებად.

ე. ი. ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავებად გამოდიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას უსვამდა ხაზს.

ქართველი მეფეების წოდება "მესიის მახვილი" გულისხმობს ქრისტიანობის დამცველ-გამავრცელებლებს.

ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებდა ქართული საეკლესიო მწერლობა, რათა ქართველი ხალხის საგანგებო, განსაკუთრებული მისიისთვის გაესვათ ხაზი.

გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ქართველი ერის დიდი მისიის გამოხატულებაა ის, რომ წირვა-ლოცვა ქართულად იქაც სრულდება, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ: "ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კუირიელეისონი ბრძულად ითქმის, რომელ არს ქართულად "უფალო წყალობა ყავ". [7, 539].

ტერმინი "საქართველო" რელიგიურ, ქრისტიანულ მნიშვნელობასაც ითავსებდა. "ქართველი" ნიშნავდა არა მხოლოდ ეროვნებით ქართველს, არამედ ქართული ქრისტიანობის მიმდევარს.

ტერმინი "საქართველო" ჩნდება მაშინ, როცა ქართველები ეროვნული ტერიტორიების გარდა, სხვა მიწა-წყლის ათვისებასაც იწყებენ.

ამის შემდეგ ქართველთა მეფის ტიტული ასეთია: “მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა”. ეს ტიტული აერთიანებდა მთელ ამიერკავკასიას.

1918-1921წ. საქართველოს ეროვნულ გერბზე წმინდა გიორგისთან ერთად გამოსახული იყო მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი... მერე ამ ტიტულს დაემატება ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი. ამგვარად მიდის ქართული სახელმწიფო აზროვნება ორთავიანი არწივის იდეამდე.

ორთავიანი არწივი იყო ბიზანტიის იმპერიის გერბი, რადგან ეს ქვეყანა პრეტენზიას აცხადებდა როგორც აღმოსავლეთზე, ისე დასავლეთზე.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ორთავიანი არწივის გერბს ანალოგიური პრეცენზიით მიმართავენ რუსებიც.

ქართველთა იდეალი იყო ერთიანი კავკასია საქართველოს მეთაურობით. ამ იდეის პრაქტიკულ ხორცშემსხმელებად ქართველი მემატიანეები მიიჩნევდნენ ვახტანგ გორგასალს და დავით აღმაშენებელს.

ბიზანტიის იდეოლოგიური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა დიდმა მთაწმინდელებმა დაიწყეს და თამარ მეფის დროს დასრულდა.

ეს გამოვლინდა ქართულ-ბერძნული სამოხელეო ტერმინების გვერდით თამარის მიერ ახალი მაღალი თანამდებობის აღმნიშვნელი თურქული სახელის-ათაბაგის შემოღებაში. ეს უკვე ნიშნავდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის თვითმპყრობელის პრეტენზიის გამოვლენას, რაც გამოიხატებოდა აგრეთვე თარგმანებში, ითარგმნებოდა როგორც ბერძნულიდან, ისე სპარსულიდან (“ვისრამიანი”).

ჩრდილოეთიდან პირველი უპერსპექტივო კავშირის მაუწყებელი იყო თამარის ქმრად იური ბოგოლიუბსკის შერჩევა, შემდეგ კი თამარის მეორე მეუღლედ მოგვევლინა ქართველთა ნათესავი, ოსი უფლისწული დავით სოსლანი. ეს ნიშნავდა ქართული ეკლესიის ჩრდილოეთში განმტკიცებას, ამიერ და იმიერ კავკასიის პოლიტიკური ინტერესების შეერთებას.

ამასთან, ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში და შემდგომაც ფიგურირებს აზრი ქართველებისა და ბიბლიური ქალდეველების ნათესაობის შესახებ (ლიტერატურაში – გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ანა კალანდაძე, ვაჟა ეგრისელი), ისტორიულ მეცნიერებაში

ვახტანგ გოლიაძე (“რა გვაახლოებს შუმერებთან”), ჯემალ შარაშენიძე (“შუმერები და მათი კულტურა” თბ. 1983), მ. წერეთელი (“შუმერული და ქართული”), შუმერულ-ქართველურ ენათა ლექსიკურ ერთეულებს იკვლევს ისტორიკოსი კ. თოფურია.

1997 წ. ზურაბ ქაფიანიძემ და თეიმურაზ მიბჩუანმა გამოსცეს წიგნი: “კაცობრიობის პირველი ანბანი. მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა”, რომელიც ითარგმნა ინგლისურად, მოიპოვა რეზონანსი უცხოელებში.

2002 წ. მივიღეთ წიგნის ახალი, შევსებული გამოცემა: “შუმერი. ზურაბ ქაფიანიძე – კაცობრიობის პირველი ანბანი. შუმერულ-ქართული ასომთავრული. თეიმურაზ მიბჩუანი – შუმერულ-ქართული პარალელები”.

შუმეროლოგიაში ამ აღმოჩენების შთამაგონებლად ითვლებიან ილია ჭავჭავაძე, მიხეილ წერეთელი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, რამაზ პატარიძე.

XI-XV საუკუნეებში დასავლეთ ევროპის აზროვნებაში მთავარი ადგილი დაიკავა გრაალის იდეალმა, რაც დაკავშირებულია ქრისტეს ჯვარცმასთან.

გრაალის პრობლემა დაუკავშირდა დავით აღმაშენებლის სახელს, რადგან, ლეგენდის მიხედვით, ქართველი მეფე მოიაზრება გრაალის თასის მცველად.

გრაალის ბარძიმი არის თასი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმისას მაცხოვრის ფერდიდან გადმოღვრილი სისხლით აავსო გოლგოთაზე იოსებ არიმათიელმა, ხოლო შემდეგ ევროპაში, ინგლისში წაიღო. ქრისტეს სისხლით სავსე ამ თასს ეწოდა გრაალი.

პირველად გრაალის ბარძიმს ძველ აღთქმაში ვხვდებით, როცა სალიმის მეფე-მღვდელმთავარი მელქისედეკი ბარძიმში ჩადებული პურითა და ღვინით შეეგება ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ აბრაამს. ახალ აღთქმაში გრაალის ბარძიმი საიდუმლო სერობისას გვხვდება პირველად, საიდანაც ქრისტემ მისსავე სისხლად და ხორცად გარდაქმნილი პური და ღვინო უწილადა თავის მოწაფეებს.

როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები არსებობს წმინდა ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელსა და სხვებში. ასევე წმინდა ნინოში გადმოსულია ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი.“სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აგებული, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული” (აკაკი ბაქრაძე, “დავიწყებული იდეა”) (5, 63).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებდა ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, ტერმინიც კაბადოკიურია: “გრაალი მომდინარეობს ძველპროვანსული და, ალბათ, ძირითადად, კაბადოკიური ტერმინიდან “გრაცალ”. საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია……..ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე. ი. ქართველური წარმოშობისა.. გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი” (9, 38).

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული “მადლთა ბარძიმი” იგივე გრაალის თასია. ქართულ ფოლკლორში წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოღებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული.. ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. “ვეფხისტყაოსანიც” გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე. ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან” (იქვე).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის აზრს, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა და ახორციელებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

“სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს ქართველებთან ერთად შესაძლოა ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.”

“გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს”. [10, 51].

მერაბ კოსტავა აგრძელებს: “ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი გვამცნობს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული მეტად მნიშვნელოვანი ორგანო-ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული”.

დავით აღმაშენებელს ჰქონდა “სპირიტუალური უნარი სივრცული ნათელხილვისა, იგი იგებდა სხვათა ფიქრებს და ზრახვებს. ეს სცოდნიათ მის ისტორიკოსს და იოანე შავთელს. ეს ეზოტერული სიბრძნე იყო”.

“დავით აღმაშენებელი რომ მართლაც ხელდასხმული იყო, ამას ღაღადებენ გელათის ტაძრის კედელზე გამოსახული მისი ფრესკა და თავს ზემოდან ციდან ჩამოშვებული ხელი”. [10, 45, 46, 48].

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში “პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე”. ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13ს.) თავის პოემას “ახალი ტიტურელი” უწოდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოტერული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღიმართა გრაალის კოშკი, რომელსაც თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის პიროვნების იდენტურობის შესახებ.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში “გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში” - ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში. სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა (5, 63).

გრიგოლ რობაქიძის “გრაალის მცველნი” გრაალის თასის რაინდებად მოიაზრებს მწერლებს, ხელოვან ხალხს: პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, შალვა დადიანს, აკაკი ვასაძეს, კოტე მარჯანიშვილს, აკაკი ხორავას.

სკერტი გრაალის კვალს ეძებს არგონავტებისა და პრომეთეს (ამირანის), მითში. იგი ერთმანეთს უკავშირებს ოქროს საწმისსა და გრაალს.

არგონავტების თქმულების მიხედვით, ოქროს საწმისის (რაც უზენაესისკენ სწრაფვის სიმბოლოა), უზენაესის, ამაღლებულის წვდომა მხოლოდ სიბრძნით, გონიერებით არის შესაძლებელი. იაზონმა ოქროს საწმისი მედეას დახმარებით მოიპოვა, მაშ, მედეა სიბრძნის, გონიერების მატარებელია.

“რენესანსის, როგორც ქრისტიანული კულტურის განახლების პროცესის ერთ-ერთ წინამორბედად უნდა ჩაითვალოს დავით-იოანე და გელათის ეზოთერული გარემო, რომლის სულიერ ატმოსფეროში ცხოველმყოფელობდა გრაალი” (10, 234).

წმინდა გრაალის შიგნით სასწაულები ხდებოდა. ვინც მასში ჩახედვას მოახერხებდა, მაცხოვარს ხედავდა, რომელიც იქიდან ესაუბრებოდა წმინდანთ (11, 20).

არსებობს აზრი, რომ გრაალის თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისაგან, რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას და იგი ადამიანს მარადისობის განცდას ანიჭებს. ...თასს იმთავითვე სარიტუალო საკრალური დანიშნულება ჰქონდა. ის თასია, მაგრამ შეიძლება წიგნადაც გარდაიქმნას, რომლის სიბრძნეს მცირედნიღა წვდებიან. ..გრაალში ქრისტეს წმინდა სისხლია შეგროვებული. გერმანული ტრადიციით (ეშენბახის “პარციფალი”) იგი ანგელოზთა ქვაა.. ის თავად საიდუმლოს და დაფარული ჭეშმარიტების სიმბოლოა (12, 5).

“გრაალი ეზოთერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა. ანტიკური ხანის ავტორები დიოდორე სიცილიელი, ჰეროდოტე და სხვები აღნიშნავენ ეგვიპტური მისტერიების სულიერ მემკვიდრეობას კოლხეთთან (13, 10).

გრაალის თემაზე თეორიულ ჭრილში უწერიათ ა. ბაქრაძეს, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, ო. ქვრივიშვილს, თ. ბურჭულაძეს. პოეტურ ჭრილში ეს თემა გააშუქეს გ. ტაბიძემ, გრ. რობაქიძემ, ზ. გამსახურდიამ, მ. კოსტავამ, ვ. ეგრისელმა.

დაცემის ეპოქის პრობლემებს, ირან-თურქეთის აგრესიას, რჯულისმიერ საშიშროებას საქართველომ თავი დააღწია ერეკლე II დროს რუსეთთან შეერთებით.

ჩვენი ქვეყნის არჩევანს განაპირობებდა რჯულის ერთობა რუსეთთან და საქართველომ შეინარჩუნა ქართული კულტურა, ქრისტიანობა. ამ დროს რუსეთი ახალ ბიზანტიად აცხადებდა თავს და, მართლაც, იგი ბიზანტიის სამყაროს დაცემის შემდეგ მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ცენტრად იქცა.

მესიანისტური იდეით საქართველომ თავი დაარწია ბიზანტიის გავლენას და გაარღვია ჩიხი, რუსეთის საშუალებით ეზიარა ევროპულ კულტურას.

თუმცა, როცა რუსეთის მეგობრული ტრაქტატი ფაქტიურად ქვეშევრდომული გამოდგა და 1921 წლის 25 თებერვალი ჩვენი ქვეყნის ანექსია, ისევ გაჩნდა მარადიული ეჭვი ქართული ეროვნული ენერგიისადმი, რაც გამოვლინდა ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნში "ფიქრები საქართველოზე" (1926). ამ ეჭვისგან არც გრიგოლ რობაქიძე იყო თავისუფალი, მაგრამ ერის უიმედობის გასაქარწყლებლად ცდილობდა საპირისპირო ემტკიცებინა ("საქართველოს ხერხემალი") (1927 წ).

მაგრამ ქართული კულტურის მთავარი სტიმული და პესიმიზმის გამქარვებელი უმთავრესად "ვეფხისტყაოსნის" გამჭოლი იდეა იყო: "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

შემთხვევითი არც ის იყო, რომ რუსთაველის პოემაში ავთანდილის სიმღერას უსმენდნენ "ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით ეგვიპტელნი". ამაში ვლინდებოდა სურვილი, პატარა საქართველოს მსოფლიოსათვის მიეწვდინა ხმა.

თუ რა წვლილი აქვს ქართული კულტურის განვითარებაში აღმოსავლეთს და დასავლეთს, როგორია მისი ხმა მსოფლიოს ორკესტრში, როგორი უნდა იყოს მისი მთავარი ორიენტირები მომავალში – ამის გარკვევა მომავლის საქმეა და მრავალი დარგის მეცნიერთა შეუნელებელ ინტერესს, ძალისხმევას მოითხოვს.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვსურს, რომ საღმრთო წერილის პოსტულატებზე ვითარდებოდა ქართული ცნობიერება. იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამებიდან", იოანე საბანისძის "აბოს წამებიდან", გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან", იოანე ზოსიმეს "ქებაი და დიდებაის", დიდი მთაწმინდელების ნააზრევიდან დაწყებული.

სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ქართველი რომანტიკოსების, ილიას, აკაკის, ვაჟას, ი. გოგებაშვილის თეორიული და მხატვრული აზროვნება არის ხორცშესხმა პრინციპისა, რომლის კლასიკური ფორმულა მოგვცა ილიამ: ენა, მამული, სარწმუნოება.

ამ ძირითად იდეალებს ეფუძნება მეოცე საუკუნეშიც ბოლშევიზმის, სატანისტური იდეოლოგიის წარღვნას გადარჩენილი ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანინე გამსახურდიას, "ცისფერყანწელი" პოეტების, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის, ვაჟა ეგრისელის შემოქმედება და ამ ასპექტით საკვლევ-საძიებელი ისევ ბევრია, მაგრამ ამჯერად ეს სცილდება ჩვენს თემას.

ბიბლიური მოსეს, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა დარი იყო ილიას, აკაკის პოეტური თუ მოქალაქეობრივი პროფილი, სულიერი, მამულიშვილური ღვაწლი ჩვენი სამშობლოსათვის.

მოგვიანებით, მე-20 საუკუნეში, ეროვნულობის, ქრისტიანობის, სულიერი განახლების იდეას დაუპირისპირდება "რევოლუციონიზმი, რომელიც წყვეტს დროთა კავშირს, - შლის წარსულის ხსოვნას, იგი ღრმად ანტიეროვნულია... რევოლუციური ინტერნაციონალიზმი არის სწორედ სიკვდილის თანმიმდევრული რელიგია, უარყოფა უხრწნელობისა" (ნიკოლოზ ბერდიევი, "ერი და კაცობრიობა") (14, 18).

"აღრევას, შენაცვლებას და ტყუილებს" მიიჩნევს ურბანისტული პაციფიზმის, ლიბერალური კოსმოპოლიტიზმის, მასონობის" ნიშნებად ბერდიაევი (14, 18).

"ინტერნაციონალიზმში ერი და კაცობრიობა ერთმანეთს გამორიცხავენ და საბოლოოდ, აღარც ერია და აღარც კაცბრიობა, მასში მოქმედებს არყოფნის სული, რომელიც მოჩვენებათა სახელით სპობს რეალობას" (14, 20).

ნ. ბერდიაევი მიმართავს ინტერნაციონალისტებს: "აქვს კი თქვენს ინტერნაციონალიზმს კაცობრიობის სული? აბსტრაქციას არ შეიძლება ჰქონდეს სული. მაგრამ თქვენი ინტერნაციონალიზმიც ხომ ერთიან კაცობრიობას არ აიდეალებს, არამედ ერთიან პროლეტარიატს... თქვენ უარყოფთ ღვთის ხატსა და მსგავსებას ადამიანში და აღიარებთ მასზე ეკონომიური მდგომარეობის ხატსა და მსგავსებას. თქვენთვის არ არსებობს ადამიანი და კაცობრიობრობა, თქვენთვის

მხოლოდ ეკონომიური კატეგორიები არსებობს. თქვენ კაცობრიობისა და ადამიანის მკვლელები ხართ.

“...ინტენაციონალიზმი არის მახინჯი კარიკატურა, გაყალბება მსოფლიო ქრისტიანული სულისა, მისი ცრუ მსგავსება” (14, 24).

ბერდიაევი საუბრობს რუსეთის იმპერიის არა “შემწე და მბოძებელ” პოლიტიკაზე მცირე ეროვნებებისთვის, არამედ მის “დამანგრეველ ბრძოლაზე” (14, 36).

“თქვენ ჩაძირეთ რუსული ეროვნული საკითხი სომხურ, ქართულ, პოლონურ, ფინურ, ებრაულ და სხვა ბევრი ეროვნების საკითხში” (იქვე).

ბერდიაევი ინტერნაციონალისტებს უწოდებს “გამათანასწორებლებს, გამმარტივებლებს, გამთქვეფელთ, მკვლელებს, სისხლიანებს” (14, 45-46).

დასკვნა კი ასეთია: “კოსმოპოლიტიზმი, როგორც ფილოსოფიურად, ისე ცხოვრებისეულად არის უარყოფა და გაქრობა ინდივიდუალური თავისებურებებისა, იგი განყენებულ ადამიანს და განყენებულ კაცობრიობას ქადაგებს” (14, 52).

ბერდიაევის აზრით, “კულტურა ყოველთვის კონკრეტულ-კაცობრიულია ანუ ეროვნულია, ინდივიდუალურ-ხალხურია და მხოლოდ ამ თვისებით აღწევს იგი ზოგადსაკაცობრიოს” (14, 53).

“...გამათანასწორებელი ცივილიზაცია სიმახინჯეა” (14, 56).

“გაერთსახიანებული ევროპეიზმი, საერთაშორისო ცივილიზაცია წმინდა წყლის აბსტრაქციაა” (14, 62).

“იმპერიალიზმი არ იქნება... რუსული ხალხური სულის გამომხატველი, იგი დაიწყებს რღვევას და რუსეთსაც დაშლამდე მიიყვანს (14, 102).

“ინტერნაციონალიზმი არის სნეულება, განუწყვეტელი სიღატაკე, ნაციონალურ ინდივიდუალობათა უარმყოფელი ერთობა. ინტერნაციონალისტური მარქსიზმის აშკარა შეცდომა იყო აბსტრაქციებში ტრიალი. ნაციონალიზმს უნდა დავუპირისპიროთ უნივერსალიზმი, რომელიც სრულიადაც არ უარყოფს ნაციონალურ ინდივიდუალობას, არამედ მოიცავს მათ კონკრეტულ ერთიანობაში” (ნ. ბერდიაევი, “ერი და კაცობრიობა”).

ბერდიაევის აზრით, ნაციონალიზმი უნდა მკვეთრად გაიმიჯნოს პატრიოტიზმისაგან (14, 109). ასევე დგას პრობლემა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთიანობისა. დასავლეთი არ ცნობს განსხვავებული კულტურას.

“ყოველი უმაღლესი საწყისი წუთისოფელში დამახინჯებას და გამრუდებას განიცდის. რუსული მესიანიზმი... იმპერიალიზმად და ნაციონალიზმად გადაგვარდა (14, 119).

“სულის სამეფო ყოველთვის იღებს კეისრის სამეფოს სახეს. მესიანიზმი გადატანილი იყო კეისრის სამეფოზე მაშინ, როცა ის მიმართული უნდა იყოს სულის სამეფოსადმი, ღვთის სასუფევლისადმი (14, 119).

“სულიერი რევოლუცია და არა სოციალური რევოლუცია...

“პიროვნება, ერი, კაცობრიობა, კოსმოსი – აი აღმავალი იერარქიული კიბე, რომლის საფეხურები ერთმანეთით არის გაპირობებული” (14, 121).

რუსეთის იმპერიამ თავისი ამორალური პოლიტიკით ბაბილონის მეძავის ასოციაცია შექმნა: “გაშიშვლებულა დიდი რუსეთი, როგორც მეძავი ბაბილონისა” (მერაბ კოსტავა, “ტანჯვათა ტიტანი”) (15, 16).

რუსეთი ბნელი რასკოლნიკოვია, რომელიც, თუ სინანულის გზას დაინახავს, ბოროტებაზე ამაღლების ძალებს მოიკრებს: “ზიზღით გასტყორცნის ალესილ ნაჯახს, ვინც სინანულის ბილიკს იპოვის, საკუთარ სულში გარდაქმნის ყაჩაღს რუსეთი – ბნელი რასკოლნიკოვი” (15, 17).

მერაბ კოსტავას სურვილი იყო ბიბლიური იონას სახეში ეხილა დიდი რუსეთი, ქრისტეს იმპულსებით გამსჭვალული, რომელიც ქრისტესავით ფეხს დაბანდა საკუთარ სამფლობელოში ძალით შემორეკილ გადამთიელებს: “უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს, ვეშაპის მუცლით გასულ იონას და აიაზმას გადაასხურებს, როცა განწმენდის ჟამი იელვებს, როცა იქცევა ყველას მსახურად, როცა ფეხს დაბანს გადამთიელებს” (15, 19).

დღეს ჩვენს ერს ისევ სჭირდება გრაალის იდეალი, სწორად გაგებული მესიანიზმი, რადგან, საბედნიეროდ, მას მსოფლიო – ისტორიული მისია აქვს.

20-იან წლებში ეროვნულ ნიჰილიზმს კულტურის დიქტატურა დაუპირისპირეს ქართველებმა (გ. ტაბიძემ, მ. ჯავახიშვილმა, ტ. გრანელმა, კ. გამსახურდიამ, გრ. რობაქიძემ) და შესძლეს მოჯადოებული წრის დარღვევა. ისინი მსოფლიოს ცენტრში ტრიალებდნენ თავიანთი ცნობიერებით, თამამად მიმართავდნენ კაცობრიობას და მათ მართლაც ინტერესით უსმენდნენ.

ისინი ოცნებობდნენ და იღწვოდნენ ქვეყნის, სულის, მაღალი იდეალის გადარჩენისათვის. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გვხვდება სიმბოლური

“ვარდების ქარში გადარჩენა”, “ალვის ხის გადარჩენა”. ალვა, ვარდი საღმრთო სახელებია. პოეტმა იწინასწარმეტყველა XX ს. კატაკლიზმები, მაგრამ გადარჩენის რწმენა არ დაუკარგავს და შექმნა “გადარჩენის ჰიმნი”, უმღერა “გადარჩენის ბედნიერებას”. ის ამბობდა: “რაც აირევა და დაირევა, რაც დაინგრევა, კვლავ შენდება”.

ხოლო ხსნის გზად დასახა სიყვარული, ანუ ღმერთი, მის სულში ჟღერდა განუმეორებელი “სიყვარულის სიმღერა”, საღვთო ჰანგები, ზეციური პოეზია: “გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი” (“ილიას მოტივი”) (16, 467).

ტერენტი გრანელის მსოფლშეგნებას ასაზრდოებდა ქართული ენისა და ქართველი ერის – ლაზარეს აღდგომის იმედი: “მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული” (17, 198).

დღეს, გლობალიზაციის, მასონიზმის ეპოქაში ისევ მწვავედ დგას ამ პრობლემის სწორად გაგების აუცილებლობა, რაც, უპირველესად, ერის მრავალსაუკუნოვანი, ქრისტიანული სახის შენარჩუნებას ითვალისწინებს და მსოფლიოში ქართული სულის მიღწევების გატანას, ეროვნული თვითმყოფობის დაცვას, როგორც ბიბლია გვასწავლიდა.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990.
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990.
4. აკაკი მინდიაშვილი, "ღვთაებრივი და ეროვნული", საღვთისმეტყველო ჩანაწერები, თბ., 1995.
5. აკაკი ბაქრაძე, "რწმენა", თბ., 1990.
6. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.
7. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. II, თბ., 1981.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
9. ზვიად გამსახურდია, "საქართველოს სულიერი მისია", თბ., 1990.
10. მერაბ კოსტავა, "ფიქრები საქართველოს მისიაზე", თბ. 1991.
11. გრაფი თარხანი, გრაალის თასის მცველები, მისი წარმოშობის ისტორია და სერ ლანსელოტის თავგადასავალი, "გზა", 2007, 28 ივნისი-4 ივლისი.
12. რენე გენონი, "გრაალის სიმბოლიზმი", "ლიტერატურული საქართველო", 15 ოქტომბერი, 1992.
13. დავით ტაკიძე, "გრაალის მისტერიის ისტორიულ-ქრისტიანული არსი", "მწერლის გაზეთი", 15-31 ოქტომბერი, 2004.
14. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ., 1994
15. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ., 1990.
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
17. "ცისფერი სიშორე", თბ., 1998.

თავი II

აპოკალიფსი და მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა
"ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირთა" ნაირსახეობანი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

გალაკტიონ ტაბიძემ ღმერთისუარმყოფელ, მეფისტოფელის საუკუნეში იცხოვრა. ამ ეპოქის დირიჟორი იყო სატანა, ანუ ათეისტური, სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი.

"ღრმა სიბრძნით თვალანახელი" პოეტების მეფე საგნების, მოვლენების "მიზეზთა მიზეზს" ეძებდა, ბიბლიური წინასწარმეტყველებივით ევლინებოდა ხილვები, რომლებიც მომავალს უცდომლად მიანიშნებდნენ.

"ბუმბერაზი წინაგრძნობით" მომადლებულმა გალაკტიონმა ყოველგვარი ნიღბის გარეშე იხილა სოციალ-დემოკრატთა სახეები, ოქტომბრის რევოლუციის რეჟისორთა სული, მათი საქმიანობის დამღუპველი შედეგები. წინასწარ დარწმუნდა, რომ სოციალიზმის სახელით არა ქრისტეს, არამედ ბარაბას გზას ერთგულებდნენ. პოეტი მთელი ეპოქის აშკარა თუ ფარულ დინებებს მისწვდა.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონი გამოცხადებული იყო რევოლუციის, საბჭოთა წყობილების, სოციალისტური აღმშენებლობის გულწრფელ მომღერლად.

მაგრამ პოეტის საღმრთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გრაალის, ქრისტიანული იდეალებისადმი ერთგულება გამორიცხავს სისხლიანი ძალადობისადმი სიმპათიებს, თანაც რევოლუციის ცნება ერთმნიშვნელოვანი როდია და აშკარად სხვადასხვაგვარია გალაკტიონის დამოკიდებულება თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებისადმი.

"წმინდა ცის" შუქით გაალებული პოეტის სული უცდომლად ჭვრეტდა მიწიურ უკეთურობებს, გლობალური კატაკლიზმების მიზეზებს უღრმავდებოდა, მეფისტოფელის, აპოკალიფსური მხეცების საუფლოდ ქცეულ ქვეყანას ხსნის გზებს უჩვენებდა ბოროტებისადმი ნიღბის ჩამოგლეჯით.

თითქმის ერთნაირი გაგებით შევხვდებით გალაკტიონის პოეზიაში მხეცის, ნადირის, აფთრის, მგლის, გიენას, ქაჯის სახეებს. ისინი არიან აპოკალიფსურ მხეცთა ვარიაციები, სამყაროში ბედისწერისაგან დროებით გამარჯვებული სიავის პერსონაჟები, რომელთა უფსკრულში ჩახოცვაზე თვით ბიბლიურ ხილვებშია მინიშნებული.

შესაბამისად, ჭოტების, ქორების, ყორნების, ბუს, მიკიოტთა ჩხავილი ენაცვლება ბოროტებამოძალებულ საუკუნეში "სიყვარულის ხმას". "ყრუ დედამიწას" არ აინტერესებდა არაფერი ღვთიური.

გალაკტიონის ლექსი "ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია" რევოლუციურ დამსჯელთა რაზმის ნგრევით საქმიანობას გვამცნობს: "ყველაფერი სრულიად გამხეცებულ ალისაგან განადგურებულია".

მხეცის სისასტიკეს, მის დაუნდობლობას, სისხლის მორევებს, ცეცხლად აგიზგიზებულ ბოროტებას, ცრემლების ოკეანეს, სიკვდილის მეუფებას გვიხატავს გალაკტიონის "პოემიდან – იგი ომია": "ხმობით საშინელით თხრილში ჩაჩრილები, ნისლი მორგებია სახე ფითრებული, ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების თითქო მორგვებია დასახიჩრებული... განა სისასტიკით, რაც აქ დაიღვარა სისხლის მორევები, გამოიზომება? მხეცი თოკიანი დაჰქრის უვნებელი, ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოდენი, დადგა ოკეანე დაუსრულებელი, ეს ხომ ცრემლებია, მაგრამ ესოდენი?"

"ზეცის ნგრევა" (უზენაესის დაგმობა), "მიწის გადაფერდება" (ქვეყნიური უკეთურობები) მხეცთა და დემონთა ღვაწლია: "თითქო მოინგრა ზეცა, სისხლი, სიცილი ლოთის, თითქო მალული მხეცი უფსკრულებიდან მოდის".

"სისხლში" წარმოგვიდგება გაუგონარი რეპრესიების ხანა, ერის რჩეულთა ფიზიკური და სულიერი შემუსვრის პროცესი, რომელსაც წარმართავს მხეცი: "საშინელია იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები, შენი სახელი მათ მიუეცრად – მხეცი! არც მეტი და არც ნაკლები... როს მუხლებამდე სისხლის მორევი გსვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხები, კმაყოფილი ხარ მათი მორევით, ყელამდე სისხლში მიდის ფეხები".

ამ მოვლენების ოსტატს ჰქვია "უმტკიცესი ბოროტება", "მკვლელი", "იუდა"...

გალაკტიონი ამხელს "მშობლიურ ცხედრებთან" შეხებით გახარებულ მხეცებს, რომელთაც ჩვენშიც ჰყავდათ ადრესატები.

პოეტის ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიპათიურად ყოფილა განწყობილი სტალინისადმი, რადგან 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა ოლია ოკუჯავა.

1959 წლის 9 მარტის წინადღეს გალაკტიონი არ აჰყვა ეგზალტირებული ახალგაზრდების ძახილს: "გაუმარჯოს დიდ სტალინს!"

გალაკტიონის დამოკიდებულება ბელადად აღიარებული სტალინისადმი ვლინდება ასეთ შენიშვნებში: "ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინო". სტალინის შესახებ რაც ლექსებია... ჰმ.." (1,465-466) იმ დროს დამკვიდრებული სახოტბო ლირიკის პათეტიკას გალაკტიონმა ასეთი მამხილებელი სტრიქონები დაუპირისპირა: "მაშ ძირს მფლობელობა კაენ-იუდების, ქნევა და თარეში ბერიას კუდების".

პოეტს ბერია წარმოედგინა ტოტალური ბოროტების რეჟისორად: "ბერიაა ნაშენებ შენობას რომ მოშლიდა, ბერიაა – ქართველი ერი რომ ამოჟლიტა, ბერიაა – ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა, ბერიაა – სინათლე ბნელს რომ გადააფარა" (1,479).

კონკრეტულ პიროვნებას მიმართავდა ერთ ლექსში: "შენ ხარ ის მხეცი, რომელიც ყეფას არ აგვიანებს. უცხო ნაჯახით შენ უპობ კეფას ადამიანებს".

"მწარე კბილის", "ჯოჯოხეთური ალის დამნთები" საშინელი განადგურების მომტანი მხეცი ბობოქრობს ლექსში "არ არის იგი იმდენად ტკბილი".

მხეცისა და მის თანამზრახველთა სახეები ამოიცნობა ლექსში "მთაწმინდის იქით": "არ არის შველა. ბნელი ჩრდილები მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა"...

აქ დატრიალებული უბედურების ფონზე მსოფლიოს მწუხარება მხოლოდ ლანდად, ჩრდილად ისახება.

ლექსში - "როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები" სიკეთე "მოკლულია, როგორც აფთარი". მხეცის საქმეებია სისხლი, სიკვდილი, წარღვნაში მცურავი ცხედრები, "გადამსხვრეული სწორი კენარი" (უარყოფილი სიცოცხლის ხე, ანუ ღმერთი) (2,181).

ნერონის ცეცხლი, ჯვარცმა, უბედურება, რღვევა, ცხედრები, გილიოტინა, ეშაფოტი ილანდება მხეცის ბრჭყალებში ჩავარდნილ თბილისში ("თბილისი").

დროის მახასიათებელი აფთარია: "ეს დრო-აფთარი შენ საუკუნის სვლას მიანებე" ("ელეგია").

მხეცი არ იცნობს მზეს, იგი საღამოს ბინადარია ("აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე").

“სამგლოვიარო ეტლების დემონური წინამძღოლის” სახეში დიქტატორ იმპერატორთა საქმიანობა ცნაურდება.

“იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენთო ერთი წმინდა სანთელი”, მიმართა საოცარი გაბედულებით ტერენტი გრანელმა მსოფლიო ტირანული პოლიტიკის გენიას – სტალინს (3,398).

გალაკტიონის ჭინკაც ხსენებული ბოროტების ნაირსახეობაა. იგი ემტერება ყოველივე ამაღლებულს, სიმბოლურ ალის ჭიქას (ალი ქრისტეს, ჭიქა მარიამის სიმბლოა (4,36.117). “ლურჯ ედემს” (მარიამის სახეა) (5, 121). ქარს უგზავნის, სძულს “ბროლის რიტმი, მუსიკა” (საღვთო ჰანგები), მაისის ბაღი (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით) ამარჯვებინებს უდაბნოს (ურწმუნოებას, უსულობას), ჭინკა ქვითინებს პოეტის ბინაში და შემოქმედების ამაოების, სიკვდილის გარდუვალობის ინტონაციებით წამლავს სულს: “რად გინდა ბროლის რიტმი, მუსიკა, სიკვდილი გელის”. მაგრამ, საბედნიეროდ, ჭინკა დაბმულია და მისი ბოროტების ასპარეზი შეკვეცილი (“დაბმული ჭინკა”).

“ცალთვალა მეფისტოფელი”, “ბნელცოდვილი ლუციფერი”, სატანა, ბელზებელი, შავი დემონი გალაკტიონის პოეზიაში ეპოქის ტოტალური ბოროტების მახასიათებელია.

სხვა სახელმწიფოს ძლიერი ცოფით მოწამლულ ხალხს ურჩევს პოეტი, საღად შეხედოს სინამდვილეს და მაშინ გულმართლის ნიღაბში დემონი შეიცნობა: “გულმართლის, სახე – კდემობის ჩამოიშორე ნიღაბი, რომ დაინახო დემონის ენერგიული ნიკაპი!”

“მწყემსი კეთილის” - ქრისტეს (იოანე, 10, 14) (6, 20) სიწმინდეს შეენაცვლა სისასტიკე, ალ-ქაჯების მეუფება ამ სოფელზე: “ცხოვრება გაწყრა და გაალქაჯდა, მინდვრებში გატყდა ოცნება მწყემსის” (“პორტრეტი”).

ქაჯის უარყოფითი სახე, რომელიც შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნიდან” არის ცნობილი, საბჭოთა სინამდვილის დასახასიათებლად გამოიყენა გალაჯტიონმა. ახალ დროში ხალხის მესვეურთ, მედროვეთ ცხვრის ტყავი აქვთ მორგებული, საქმით ქაჯები არიან: “თავმჯდომარე... ცხვარია, იმისი ენა, საქმე ქაჯივით ცხარეა” (“ჩემი მეეტლე”).

პოემა “მშვიდობის წიგნში” გაშუქებულია იმპერიული ამბიციების მქონე დიდი ქვეყნის მიმართება მცირე ერისადმი. მასში შეჯამებულია იმ მუხანათობების სერია, რაც ჩვენს ქვეყანას აწვნია “მტერმა მეორემ”, “მგმობარმა მეგობარმა”, რომელიც სახელდებულია ქაჯად.

ქაჯის მცდელობით დაიკარგა “მშვიდობის წიგნი”. წიგნი ღმერთის სიმბოლოა (4,151-152), ქაჯი რუსული ბოლშევიზმის, რომელმაც რწმენის სახელით გაგვაცურა, ჯერ დამოუკიდებლობა, მერე ღმერთის რწმენაც წაგვართვა. ამ ურწმუნო იმპერიას იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ეშმაკის ტახტის მემკვიდრე ეწოდება და ის საბჭოთა კავშირია (7,411).

გალაკტიონის პოემაში საუბარია მახეზე, ბადეზე, დიდ შეთქმულებაზე, წყლის ამღვრევასა და მზის გაუჩინარებაზე.

“ქაჯთ მიერ გადანაბირები” ზვირთები ანგრევენ სახლებს, იმუქრებიან ჩვენი ციხე_ სიმაგრეების აღებით, ხალხის აკლებით.

მიდამოს სატანა დაეპატრონება, ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩნდება, სანთელი ქრება, მზე ჩადის (მზე და სანთელი საღვთო სახელებია) (8,122), მამული ნისლის სამეფოდ იქცევა.

ქაჯებმა აღაზევეს მგლები, ძაღლები, ბაყაყები, ჭოტები, ჯოჯოები, დევები...

ნადირთა სათარეშოდ ქცეულ ქვეყანაში განსაკუთრებული მადით გამოირჩევა ვეფხვი, რომელსაც სურს “რამე ნამცეცი მიწის და ზეცის”. წარღვნისმაგვარი სტიქიით იღუპებიან ადამიანები, იძირება ბავშვებიანი აკვნები, ხალხი ხდება სიცივის მძევალი, თოვლის, ზვავის მსხვერპლი, ხდება “გადაშენება იათ და ვარდთა” (ია და ვარდი საღმრთო სახელებია) (8,122), ჯაგის, ყვავილთ მომშთობი ეკლების მომრავლება.

ეს უბედურება მშვიდობის წიგნის დაკარგვის შემდეგ ხდება. ბოლოს, ხალხი ჩასწვდა თავისი ტრაგედიის მიზეზებს, ტარიელმა იპოვა ქაჯების მიერ გატაცებული წიგნი, მერე დაცხრა წარღვნა, ამინდი გამზიანდა, “მზის სვეტი” გამობრწყინდა, წიგნის კითხვით ხალხს “შუბლს დაესახა ცისიერება”, “დიადად გათენდა”, “ცისკრის წამწამი ახამხამდა”, განთიადი დაბრუნდა (ცისკარი, განთიადი საღმრთო სახელებია) (8,122), მაგრამ წყალდიდობის შედეგად დარჩა სიმყრალით სავსე ორმოები, სადაც ყვავილები ვერ იყვავილებს. პოემის ავტორი ხალხს ურჩევს, სიმწრით ნაპოვნი წიგნი გალავნიან ციხეში შეინახოს, კარები მაგრად ჩაკეტოს, ჭიშკრები ჩარაზოს და ყველა გადამთიელი არ ათარეშოს თავის მიწაზე, უფრო მეტი სიფხიზლე იფაროს ფარად.

ქმედითი ეროვნული იდეოლოგია ასე გამოთქმული: “ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე, უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად”.

ლექსში “მახაჯირი” იმპერიული რუსეთის მიერ აფხაზთა გადასახლების ისტორიული ფაქტია (1864-1877 წწ) თემა.

მახაჯირობის რეჟისორია ქაჯი. მას ენაცვლება ნადირი და მხეცი. ნაწინასწარმეტყველებია მათი დროებითი მეუფება: “გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით”.

მხეცთა ბუნაგების იავარქმნის რწმენა გამოხატა პოეტმა ლექსში “ევროპავ, როგორ არ გახსოვს?” გალაკტიონის პოეზიის მხეცისა და მისი ვარიაციების სახეები პოეტის მიერ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების უცდომელი გაგებით არის შთაგონებული. იოანეს გამოცხადებაში საყურადღებოა ორი მხეცის სახე. გამოცხადებაში მხეცი წინასწარმეტყველებს დახოცავს, მაგრამ ისინი სამ-ნახევარი დღის შემდეგ გაცოცხლდებიან და ზეცაში ავლენ (გამოცხადება 11,7,9,10).

“წითელ გველეშაპს”, წუთისოფლის მაცდურს (თ. 12) ებრძვის მიქაელი ანგელოზებთან ერთად ზეცაში. მას ჩამოაგდებენ მიწაზე. გველეშაპი თავის ძალას, ტახტს და დიდ ხელმწიფებას მისცემს ზღვიდან ამომავალ მხეცს, რომელიც გმობს ღმერთს. მას თაყვანს სცემენ ისინი, ვინც ჩაწერილი არ არიან სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს კრავს (გამოცხადება, 11,1-8).

შემდეგ გამოჩნდება მიწიდან ამომავალი მხეცი, რომელიც მხეცის ხატებას გააკეთებს და აიძულებს ყველას, თაყვანი სცენ მას. ხელზე ან შუბლზე მხეცის ნიშნის მიმღებნი სვამენ ღვთის მრისხანების ღვინოს (გამოცხადება, 14,10), მათი წამების კვალი დის უკუნითი უკუნისამდე.

ღვთის მძვინვარების შვიდი თასის მიწაზე გადმოღვრის შემდეგ მხეცის ნიშნის მქონე ადამიანებს უჩნდებათ საზარელი ჭრილობები (გამოცხადება, 16,1,2).

მეხუთე ანგელოზი გადმოღვრის თავისი თასიდან მხეცის ტახტზე და დაბნელდება მისი სამეფო (16,10).

ეშმაკის სულები ახდენენ სასწაულებს, გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი ყოვლისსემძლე ღვთის დიდი დღისათვის (გამოცხადება, 16,14).

ათი მხეცი შეებრძოლება კრავს, მაგრამ კრავი გაიმარჯვებს.

მხეცს და მის თაყვანისმცემლებს ჩააგდებენ ცეცხლის ტბაში (გამოცხადება, 19,17,20).

ანგელოზი გველეშაპს შებოჭავს ათასი წლით და უფსკრულში მიუჩენს ადგილს (გამოცხადება, 20,10).

ბიბლიის კომენტატორები აკონკრეტებენ აპოკალიფსის მხეცთა ადრესატებს. "ზღვიდან მომავალი მხეცის თავი, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და არ მოკვდა, ლენინია. მან იმეფა 42 თვე, 1917-1921 წწ., ვიდრე შეეძლო აზროვნება, რის შემდეგაც მეფობდა მეორე მხეცი – სტალინი, რომელმაც შექმნა პირველი მხეცის ხატი და დახოცა ყველა, ვინც თაყვანს არ სცემდა მას. პირველი მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ნიშნავს ხალხის მღელვარებიდან მოსულ ბელადს, ლენინს. მეორე მხეცი, მიწიდან მოსული, არის იატაკქვეშელი ბოლშევიკი სტალინი.

ახდა ბიბლიური წინასწარმეტყველება. შეიქმნა უღმერთო იმპერია, მაგრამ, წითელი გველეშაპის ყოვლისშემძლეობასაც მოეღო ბოლო, დაემხო ბოროტების სისხლიანი მონსტრი. ბიბლიაზე დამყარებით, გალაკტიონი წინასწარმეტყველებდა ჩვენი უბედურების მოთავე ნადირ-მხეცთა გადაშენებას, და მართლაც, საუკუნის ბოლოს გავხდით ტოტალური ბოროტების უკანდახევის მოწმე, ხოლო აღმოსავლეთი, საიდანაც გამოჩნდა ცოცხალი ღმერთის ბეჭდის მპყრობელი ანგელოზი (გამოცხადება, 7,2-3), ჯერჯერობით ისევ შეჭირვებულია და ცისკრის გამოჩენას მოელის.

ლიტერატურა:

1. ვახტანგ ჯავახაძე, "უცნობი", თბილისი, 1991.
2. აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები, კრ. "პოეზია", 1981.
3. "ცისფერი სიშორე", თბილისი, 1978.
4. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ., 1996.
5. ტიტე მოსია, "საღვთისმშობლო სახისმეტყველება", ზუგდიდი, 1996.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
7. იოანე-იონა, "რა უნდა ვაკეთოთ", თბილისი, 1994.
8. ტიტე მოსია, "საღვთო სახისმეტყველება", ზუგდიდი, 1995.

აპოკალიფსური სახეები მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში რეპრესირებული, კონტრრევოლუციონერად, ანტისაბჭოთა, ქვეყნის მოღალატე მწერლად მონათლული მიხეილ ჯავახიშვილი ქრისტესავით ეცვა ჯვარს ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში და თავისი ტრაგიკული აღსასრულით კიდევ ერთხელ განამტკიცა ის მოსაზრება, რომ მხოლოდ სიმართლისათვის გოლგოთაგამოვლილთ ელოდებათ ამაღლება.

მიხეილ ჯავახიშვილმა უკვე გადალახა რუბიკონი, მარადისობაში შეაბიჯა და ერის თანამდევ სულად იქცა. მისმა ნააზრევმა გაუძლო დროის გამოცდას, მისმა გაფრთხილებებმა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შეიძინა და ბიბლიურ ბრძენთა დარად, წინასწარმეტყველის მანტიით შემოსილი გვეცხადება 21-ე საუკუნეშიც.

დიდი პროზაიკოსი ერს იმთავითვე მომავლის სანიშნოებს უჩვენებდა, შეუმცდარად ჭვრეტდა დროულს და ზედროულს, წარმავალს თუ მარადიულს, საფუძვლიანად გასიგრძეგანებული ჰქონდა სოციალურ, ეროვნულ, ფილოსოფიურ პრობლემათა არსი, იმხანად მოდური მოძღვრებები, რევოლუციათა დამანგრეველი ძალა, ქვეყანას ყოველთვის სწორი ორიენტირებისკენ მიანიშნებდა, მაგრამ მწერლის სიცოცხლეში მისი შეგონება-მოწოდებები რჩებოდა ღაღადებად უდაბნოსა შინა.

სამწუხაროდ, მხოლოდ კომუნისტური მმართველობის 70 წლიანი პერიოდის შემდეგ გავიხსენეთ დიდი პროზაიკოსის გაფრთხილებები, როცა აშკარა გახდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ხომალდი გეზსამცდარი მიაპობდა ზღვას, რომ ინტერნაციონალიზმი, კოსმოპოლიტური მოძღვრებები დამღუპველი იყო პატარა ერებისათვის, რომ ადრე გაფეტიშებული უფროსი ძმის სინდრომი საბედისწერო ხდებოდა და სისხლმოწყურებული კაენი ისევ ჩასაფრებოდა აბელს.

რამდენი რამ არის წინასწარმეტყველური მიხეილ ჯავახიშვილის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა მოთხრობები “დამპატიჟე”, “ლამბალო და ყაშა”, “დამდნარი ჯაჭვი”.

თაობებისადმი მიმართულ საგანგაშო ზარის შემოკვრად შეიძლება მივიჩნიოთ რომანები “ჯაყოს ხიზნები” (1924 წ.), “გივი შადური” (1928 წ.), “ქალის ტვირთი” (1936 წ.), “თეთრი საყელო” (1926 წ.).

ამ მხატვრულ თხზულებებში ქვეტექსტებით, დაშიფრული მეტყველებით გაცხადებულია საბჭოთა სინამდვილისათვის დამახასიათებელი ავბედითი მოვლენების არსი.

უცდომელი იყო მწერლის მიერ მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატიის, ბოლშევიზმის, რევოლუციების, ეროვნული სატკივრების განსჯა-შეფასება, მომავლისთვის გაწვდენილი მზერა.

მის ნაწარმოებებში მრავალგზის და თანაც ნეგატიურ კონტექსტში აქცენტირებულია "წითელი უღელი", "გაწითლება", "წითელი ეშმა",[1] "წითელი გველეშაპი", "წითელი ბაქტერიები", "წითელი გოლიათი",[2] "წითელი თემი" და "ახალი თემის ღალატისათვის ახალი თაობა საკუთარ მამას განგმირავს".[3] ცხადია, მორწმუნე მწერალი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ბიბლიას, აპოკალიფსის წინასწარმეტყველებას უღმერთო იმპერიის შექმნაზე, მის ეფემერულობაზე, აპოკალიფსური გველეშაპის მიერ ხელდასხმული ზღვისა და მიწის მხეცების მოვლინებით გამოწვეულ კატაკლიზმებს.

მრავლისმეტყველია მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გამოყენებული ხილვები, პარადიგმები.

1905 წლის რევოლუციის თემას ეძღვნება რომანი "ქალის ტვირთი", რომელიც დაიბეჭდა 1936 წელს. მასში მოცემულია სოციალური პრობლემების, რევოლუციური წარღვნის წინასწარჭვრეტა. ერთი ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია ტრადიციული ზნეობის რღვევა, გაფეტიშებული მარქსიზმის გავლენით ეროვნული ფასეულობების, რელიგიების იავარქმნა, რევოლუციის მესვეურთა მნგრეველი, ყოვლის გამანადგურებელი, სისხლმწყურვალე მორალი.

პროზაიკოსი სინამდვილის ობიექტურ დასურათხატებას ქვეტექსტებით, სიმბოლო-ალეგორიებით, მინიშნებებით აღწევს.

ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია მიხეილ ჯავახიშვილის მიმართვა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის აკაკი თათარაშვილისადმი, დაწერილი 1935 წელს, რომელშიც საუბარია მწერლის

---

[1] . მიხეილ ჯავახიშვილი, "თეთრი საყელო", თხზ. ექვს ტომად, ტ. II, თმ. 1959 წ. გვ. 467, 514.
[2] . მიხეილ ჯავახიშვილი, "ქალის ტვირთი", თხზ. ექვს ტომად, ტ. V, თმ. 1961 წ. გვ. 167.
[3] . მიხეილ ჯავახიშვილი, "გივი შადური", თხზ. რვა ტომად, ტ. III, თმ. 1973 წ. გვ. 210.

განზრახვაზე, დაწეროს რომანი 1905 წლის რევოლუციის თემაზე, რომელსაც "უმთავრესად პოლიტიკური ღერძი ექნება".

მწერალს სურდა უმთავრესი გმირების განზოგადება, მათი მიმსგავსება პარტიების ბელადებთან.

მიხეილ ჯავახიშვილი ამხელდა, რომ რომანის ცენტრალური ფიგურა სტალინი უნდა ყოფილიყო: "სტალინს არ შეიძლება გვერდი ავუხვიო, მაგრამ წინდაწინვე ვაცხადებ, რომ მეტად დიდი პასუხისმგებლობის გამო, ამხანაგ სტალინს თავის სახელსა და გვარს ვერ დავარქმევ. უმთავრესი გვარი კი არ არის, არამედ მხატვრულად განსახიერებული ტიპია, რომელიც ისე უნდა იყოს შესრულებული, რომ ყველამ იცნოს მაშინდელი სტალინი და ყველამ იგრძნოს, რომ ამ ახალგაზრდა კაცისგან ოდესმე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი დადგება... ბიოგრაფიული რომანის დაწერა ნაადრევია, ჯერჯერობით შეუძლებელია. (31.VII.1935).[4]

რომანის იდეა უნდა ყოფილიყო ოჯახისა და სახელმწიფოს ნგრევა რევოლუციის ზეგავლენით.

1936 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში, კრემლში, მიხეილ ჯავახიშვილს სტალინთან შეხვედრისას განუცხადებია იმის შესახებ, რომ 1905 წლის რევოლუციის თემაზე შექმნილ რომანში მან გვერდი არ აუარა ამხ. სტალინს და ისიც შედის მასში, როგორც მოქმედი პირი.

სტალინი – რა ჰქვია ნაწარმოებს?

მე – ქალის ტვირთი.

სტალინი – უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ქალის ხვედრი დაგერქმიათ?

მე – რომანში გამომყავს ორი ქალი, რომლებმაც რევოლუციის ტვირთი წამოიკიდეს . ერთმა მათგანმა ეს ტვირთი ბოლომდის მიიტანა, მეორე კი წაიქცა მისი სიმძიმის ქვეშ.

სტალინი – ეს უკვე სხვა საქმეა.

მოსკოვი, 20.. III. მიხ. ჯავახიშვილი.[5]

1937 წლის 4 – 7 აგვისტოს მოეწყო "ქალის ტვირთის" განხილვა მწერალთა კავშირში. ამ სხდომის სრული სტენოგრამა დაცულია ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

---

[4] . ლ. ხცსა ფ 8-1-480

[5] . იქვე, ფ. 8-1-62, ფ. 8-1-622.

რომანი უარყოფითად შეფასდა.

მწერალს დააბრალეს ეპოქის არცოდნა, სინამდვილის გაყალბება, რევოლუციურ იდეებში გაურკვევლობა, ფროიდიზმის იდეების ქადაგება, ეროტიზმი, სტალინის სახის ფრაგმენტული წარმოდგენა.

“ეს რომანის გარჩევა აღარ იყო, ეს იყო ადამიანის წინასწარი გეგმით შერისხვა”, ამბობს მწერლის ქალიშვილი ქეთევანი.[6]

მომხსენებელი იყო შალვა აფხაიძე. განხილვაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ი. ტატიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ა. გაწერელია, კ. აბაშიძე, დ. დემეტრაძე, პ. საყვარელიძე.

დისკუსიაზე საერთოდ იგნორირებული იყო ძირითადი აქცენტის მატარებელი სახეები.

მწერალმა ზურაბ გურგენიძის პროტოტიპად ჩაიფიქრა სტალინი, ხოლო “კობა” გამოიყვანა, როგორც მისი მოძღვარი.

სინამდვილეში ეს იყო ორი სახე ავსებს ერთმანეთს და ერთიდაიგივეა.

რომანის ჩანაფიქრის გასაგებად აუცილებელია მივმართოთ სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახეებს და ესენია: კოშკი, გედი, ურჩხული, წითელი გველეშაპი.

სიმბოლურია ნაწარმოების დასაწყისში ჭექა-ქუხილი, რომელიც დიდი კატაკლიზმების მოლოდინისთვის გვამზადებს: “იმ დღეს ცაც კი აჯანყდა. უცებ აიმღვრა, აფორიაქდა, ჭექა-ქუხილით ჩამოსრიალდა მთაწმინდიდან და გაწეწილი, გაშმაგებული ალქაჯივით მიაწყდა ანდრო ახატნელის სამსართულიან სახლს, ნომერ შვიდს, რომელიც მამადავითის ფერდობზე იდგა”.

“აგერ განმარტოებით თეთრი მარმარილოს კოშკი მიცურავს. კოშკზე ყელმოღერებული თეთრი გედი წამომჯდარა... უკან პირდაღებული შავი ურჩხული მისდევს... საცაა უნდა დაეწიოს... აჰა, კიდეც დაეწია... კოშკი დაინგრა, გედი ჩაყლაპა და თვითონაც ჩაიფუშა”.[7]

ამ ხილვას მოჰყვა ახატნელების სახლში რევოლუციონერ ზურაბ გურგენიძის შემოჭრა დამალვის მიზნით, რადგან მას მდევრები მოჰყვებოდნენ. ქეთომ

---

[6] . ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თმ. 1981, გვ. 418.

[7] . მიხეილ ჯავახიშვილი, “ქალის ტვირთი”, თხზ. 6 ტომად, ტ. 5, გვ. 9.

რევოლუციონერი დამალა და ამ კაცის გაცნობა საბედისწეროდ იქცა ქალიშვილის ცხოვრებაში.

ახატნელების ოჯახი მთაწმინდის უბეში, მამადავითის ფერდობზე იდგა. ოჯახი ძველი, დიდებული წარსულის მქონე ტრადიციული საქართველოს სიმბოლოდ არის ჩაფიქრებული.

მწერლის ქალიშვილის, ქეთევან ჯავახიშვილის ცნობით, ამ რომანის თავდაპირველი ვარიანტი ყოფილა 1906 წ. გაზეთ "შრომაში" დაბეჭდილი მცირე ზომის დრამატული ჟანრის ნაწარმოებები "ოჯახი", რომლის სიუჟეტიც მწერალმა განავრცო და მომავალი რომანისთვის გამოიყენა. ოჯახის წევრები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები არიან, რაც მათ განხეთქილებას, უთანხმოებას იწვევს.

"ქალის ტვირთის" თავდაპირველ ვარიანტს რქმევია "სახლი 17".[8]

ახატნელთა ოჯახის მესვეური ანდრია, ანდრია პირველწოდებულის მოსახელე იყო და ამ სახელს ამართლებდა, ის იყო განათლებული ქართველი ინტელიგენტი, მსახურობდა საგუბერნიო სამმართველოში, სათავადაზნაურო საკრებულოში, საადგილმამულო ბანკში. იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა საზოგადო მოღვაწეთა მეგობარი, ილიას "ივერიაში" იბეჭდებოდა მისი წერილები "არაგველის" ფსევდონიმით.

ანდრიას ძმამ აკაკიმ უფროსი ვაჟი გრიგოლ ორბელიანს მოანათვლინა და გრიგოლი დაარქვა, ის აგრონომი იყო. მისი ძმა დიმიტრი ყიფიანის ნათლული იყო, კარგი ექიმი, სოციალ-ფედერალისტი.

ანდრიამ თავისი ვაჟი აკაკი წერეთელს მოანათლინა და აკაკი დაარქვა, იგი მენშევიკი გამოვიდა.

მეორე ვაჟი ილია ჭავჭავაძის ნათლული იყო, დიდი მწერლის სახელს ატარებდა, მაგრამ ლოთი, ავარა, ტუტუცი, ახატნელთა გვარის შემარცხვენელი გაიზარდა.

მესამე ვაჟი ნიკო ნიკოლაძემ მონათლა და ნიკო დაარქვა. ის ბოლშევიკი გამოვიდა.

---

[8] . ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თმ. 1991, გვ. 187.

ოჯახის დედა მარიამი დარბაისელი ქართველი მანდილოსანი იყო, საზოგადო საქმეებში აქტიური, დრამატული, წერა-კითხვის, საქველმოქმედო საზოგადოებების წევრი, სახალხო თეატრის მხარდამჭერი.

ახალ დროში სხვადასხვა გზაზე დამდგარი წევრების გამოისობით ოჯახმა რღვევა იწყო.

რომანში ნათქვამია: "როგორ იშლება ეს ოჯახი... მარქსიზმიც ამბობს, რაც ოჯახია, სახელმწიფოც ის არისო. ახლა ყველა ოჯახი იშლება და მასთან ერთად სახელმწიფოც ირღვევა. სოციალიზმი ქერძაფივით შლის საზოგადოებას".[9]

საგულისხმოა, რომ კოშკი და ციხე არა მარტო ქეთოს ხილვაში ფიგურირებს, არამედ პოეტ ელიზბარ შუქურაულის სადღეგრძელოშიც, რომელიც ახატნელების სახლში ქეთოს დაბადების დღეზე თამადობს. იგი ასე მიმართავს ქალიშვილს: "შავი გედივით ზიხარ ბროლის კოშკში და გირჩევ, ასეთ დროში გარეთ არ გამოხვიდე, თორემ ლაფში ფეხს გაისვრი და ვეღარ გაისუფთავებ. სული დაგიმდაბლდება და ვეღარ განიკურნები"... ღმერთო, ამ კოშკს ნუ დაგვინგრევ!"[10]

თამადამ ერთობა წითელ გველეშაპს შეადარა, რომელიც ბროლის კოშკს მოხვევია და ლამობს იქიდან მზეთუნახავი ქეთო გამოტყუოს".

შემთხვევითი არც ის არის, რომ თამადამ საშიშ ავადმყოფობად მიიჩნია რევოლუციური იდეები, დიმიტრის და აკაკის "წითელი ბაქტერიები" აღმოუჩინა და განკურნება უსურვა.

მაშ, რომანში იკვეთება ანტიპოდური სახეები: კოშკი და შავი ურჩხული, კოშკი და წითელი გველეშაპი, ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეები და წითელი ბაქტერიები.

კოშკი და გედი იდეალის დონეზეა გააზრებული.

კოშკი არსებობას ბიბლიიდან იწყებს და ღმერთის სიმბოლოდ გაიაზრება: "ისმინე, უფალო, ვედრება ჩემი, ყური მიაპყარ ჩემს ლოცვას. რადგან შენა ხარ ჩემი მფარველი, ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი". (ფს. 61, 2, 4).[11]

აღსანიშნავია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ერთ შედევრს ჰქვია "კოშკი", რომელშიც "ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული" და ეს ბედისწერით არის

---

[9] . მიხეილ ჯავახიშვილი, "ქალის ტვირთი", თხზ. 6 ტომად, ტ. 5, გვ. 187.
[10] . იქვე, გვ.189.
[11] . ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 584.

განსაზღვრული, კოშკის ძველისძველ ფოლიანტზე გამოჩნდება ხელი (როგორც ბიბლიაში ბალთაზარის ნადიმის დროს კედელზე) და იწერება საბედისწერო სიტყვები, რაც კოშკის ნგრევას მოასწავებს და ეს მსჯავრი კიდევაც ასრულდება. ლექსი თარიღდება 1916 წლით.

ვფიქრობთ, ლექსში "კოშკი" მარიამის, ხოლო "სიყვარული" ქრისტეს სიმბოლოა და ნაწარმოების თემაა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების ჩვენება, რაც, უპირველესად, რწმენის წინააღმდეგ ბრძოლას მოასწავებს.[12]

მიხეილ ჟავახიშვილის რომანში კოშკის ნგრევა არა მხოლოდ სარწმუნოების, სახელმწიფოებრიობის მოშლას გულისხმობს.

მივმართოთ ისევ სუფრის თამადის ელიზბარ შუქურაულის სიტყვებს : "... იმან ამატირა, რომ თამარის და რუსთველის ხალხი იღუპება! უარესიც ხდება, საზარელი მიწისძვრაც მზადდება, რომელსაც პოეტი და ზოგი პირუტყვი წინასწარ ვგრძნობთ.[13]

აშკარაა, მიწისძვრაში ერთობა იგულისხმება, ხოლო აბელზე დაგეშილი ძმისმკვლელის-კაენის სახე ხელისუფლებაში მომსვლელთა სატანურ სულს უკეთებს აქცენტს: "ყური მიგდეთ, ქართველებო, კაენისა და აბელის პრობლემა მუდამ ცოცხალია და ჯერაც არ გათავებულა. კაენი ახლაც ემზადება აბელის მოსაკლავად და მშველელი არ ჩანს".

რევოლუციაზე ფიქრისას გალაკტიონს ეზმანება წარღვნა, სისხლის მორევში მცურავი მკვდრები, "დამსხვრეული სწორი კენარი", "იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი"(როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები").[14]

აშკარაა, მიხეილ ჯავახიშვილის ნეგატიური დამოკიდებულება რევოლუციისადმი, რასაც თამადის სიტყვები გამოხატავს და, რაც მთავარია, ამ მოსაზრებას არავინ აპროტესტებს.

ახლა იმ გველეშაპის შესახებ, რომელიც ბროლის კოშკს ეხვევა და იქიდან ქეთევანის გამოტყუებას ცდილობს.

ბიბლია, მითოლოგია, ქართული და უცხოური კლასიკური პროზა და პოეზია სავსეა გველეშაპის სახეებით.

---

[12] . იხ. ამაზე ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის "კოშკი", ლიტერატურულ-სამეცნიერო ალმანახი "მაფშალია", თსუ, ზუგდიდის ფილიალი, 1999წ.

[13] . იქვე.

[14] . გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თმ. 1977, გვ. 179.

მივმართოთ ბიბლიას: “ გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება” (ესაია წინასწარმეტყველი, 14, 29).[15]

იერემია წინასწარმეტყველი გოდებდა: “შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით” (იერემია, 51, 34).[16]

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში კი დაფიქსირებულია მიქაელისა და ანგელოზის მიერ ზეციდან ჩამოგდებული გველეშაპი, რომელმაც ძალა და მეუფება გადასცა ზღვის მხეცს. ის და მისი თანამოაზრეები დევნიდნენ, ხოცავდნენ მორწმუნეებს და “ყიდვა-გაყიდვის” ანუ არსებობის უფლებას მხოლოდ მხეცის ნიშნით აღბეჭდილებს აძლევდნენ. (იოანეს გამოცხადება, 11, 1-8).

კომენტატორები მიუთითებენ, რომ აქ მინიშნებულია უღმერთო, ურწმუნო იმპერიის, საბჭოთა კავშირის შექმნა, ხოლო ზღვის მხეცში ნაგულისხმევია ხალხთა მასებიდან მოსული ლენინი, მიწის მხეცში-იატაკქვეშელი სტალინი, რომელმაც გააკეთებინა პირველი მხეცის (ე. ი. ლენინის) ხატება და ყველას აიძულებდა, თაყვანი ეცათ მისთვის.[17]

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში შავი ურჩხული და წითელი გველეშაპი (წითელი აშკარად მიესადაგება სისხლიან საბჭოთა იმპერიას) მოაზრებულია რევოლუციის, “ერთობის” ჭრილში.

სწორედ “შავი ურჩხულისა” და “წითელი გველეშაპის” ძალისხმევით ინგრევა კოშკი (ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა), ახატნელების ოჯახი, იღუპება გედი-ქეთო.

აღსანიშნავია, რომ ქეთოს სახე გაგებულია, როგორც საქართველოს სიმბოლო, რომელსაც ეპოტინებიან პოეტი შუქურაული, ვაჭარი წვერაძე (სავაჭრო კაპიტალი), კლიმიაშვილი (ქართველი ჩინოვნიკი), ავშაროვი, - (რუსი მეფის მოხელე) და ბოლშევიკი ზურაბი.[18]

ქეთევანი რუსი ავშაროვის ცოლი ხდება და ბოლშევიკ ზურაბ გურგენიძის საყვარელი.

---

[15] . ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990, გვ. 841.

[16] . იქვე, გვ. 137.

[17] . იოანე- იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994, გვ. 423.

[18] . ლია ყატაშვილი, “წითელი გველეშაპი ბროლის კოშკს მოჰხვევია”, ალმანახი “კრიტიკა”, 1991, ¹ 5-6, გვ.54.

როგორც ზურაბ გურგენიძისა და სტალინის ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალების თანხვედრა (ხელოსნის შვილობა, მამით ობლობა, სოფლის ოთხკლასიანი სასწავლებლის შემდეგ სასულიერო სემინარიაში სწავლა, "წითელი ჭირით" დასნეულება, მარქსიზმით გატაცება, სამჯერ გადასახლება და სამჯერ გაქცევა, მოღვაწეობა ბაქოში) გვაუწყებს, ზურაბ გურგენიძის პროტოტიპი სტალინია.

მიხეილ ჯავახიშვილი არც რევოლუციას უყურებდა კარგი თვალით და არც რევოლუციონერებს.

"ქალის ტვირთის" მიხედვით, გურგენიძე პირველობას ჩემობს, ინტრიგანია, სისხლით გაუმაძღარი, სიყვარულში ამორალური, (საცოლედ მუშა მართა დოვლათაშვილს იგულვებს, ქეთოსთან კი ავხარცობა აკავშირებს, თვითონვე არ ფარავს, რომ ხშირად "დამპალ ხილს" მიირთმევს) ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეების დაუძინებელი მტერია.

ზურაბ გურგენიძე ყველას და ყოველგვარ ღირებულებას რევოლუციურ იდეებს უმორჩილებს: "ვისაც ჩვენი მიზანი ღრმად სწამს, ის არავითარ საშუალებას არ მოერიდება და ყველაფერს გასწირავს: ძმას, ქმარს, დედ-მამას, შვილსაც, სიყვარულსაც და მეგობარსაც".[19]

ზურაბ გურგენიძემ და მართა დოვლათაშვილმა შთააგონეს ქეთოს, ეკისრა ბიბლიური ივდითის როლი, რომელმაც მტრის სარდალ ოლომფერნის მორჩილება გამოუცხადა, სანოვაგით გაუმასპინძლდა, დაათრო, მძინარეს თავი მოჰკვეთა და ებრაელი ხალხი გაათავისუფლა (ივდითი, 13, 5-20).[20]

ქეთომ ცხოვრება ავშაროვს დაუკავშირა, ფარულად რევოლუციონერებთან თანამშრომლობდა, მაგრამ ქმარმა ჯაშუში მიუჩინა და ამხილა. იგი დაპატიმრებულმა გურგენიძემაც უარყო, არჩევანი მართაზე გააკეთა, ძველმა თაყვანისმცემელმა კლიმიაშვილმაც ზურგი აქცია, მარტოდ დარჩენილმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

საგულისხმოა მწერლის ერთი განაცხადი რომანში. აკაკი ახატნელის პირით ნათქვამია: "თუ ბოლშევიკები დამარცხდნენ, ვაი ჩვენი ბრალი, თუ გაიმარჯვეს, ვუი ჩვენი ბრალი. ძველ ქვეყანას ძირფესვიანად ამოაგდებენ."[21]

---

[19] . ქალის ტვირთი, ტ. V, გვ. 156.
[20] . ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990.
[21] . იქვე, გვ. 222.

ესეც წინასწარმეტყველური მოსაზრება გამოდგა.

შემთხვევით როდია რომანში გამუდმებული საუბარი სისხლზე, ზურაბ გურგენიძის სისხლით გაუმაძღრობაზე.

ასეთად ესახებოდა მიხეილ ჯავახიშვილს ბოლშევიკები და არც შემცდარა.

ანალოგიურად ფიქრობდნენ სხვებიც.

“სისხლში მცურავ ცხედრებზე”, სისხლის მორევებზე სწუხდა გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციაზე საუბრისას (“როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები”, (“სისხლი”).[22]

სისხლის სუნი სცემდა გრიგოლ რობაქიძის “ჩაკლული სულის”[23] პერსონაჟს თამაზ ენგურს, როცა რევოლუციაგამოვლილ ბერზინს უყურებდა. როცა იგი დააპატიმრეს და გპუ-ს ჯურღმულებში დაკითხვაზე ჰყავდათ, გულს ურევდა სისხლის სუნი და ზარავდა პატიმრების ცემა.

სისხლით მორწყულ გზებზე სწუხდა “სულის ცეცხლში”[24] ტერენტი გრანელი, უფრო მეტი, რეალურად იგი უდანაშაულო პატრიოტთა სისხლით მორწყულ ველზე დააბიჯებდა 1924 წ. აჯანყენის მონაწილეთა განადგურების შემდეგ და წერდა: “და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია”.[25]

ურჩხული, რომელმაც კოშკი დაანგრია და გედი ჩაყლაპა “ქალის ტვირთში”, “წითელი გველეშაპი”, რომელიც “ბროლის კოშკს” ეხვეოდა და იქიდან ქეთოს გამოტყუებას ცდილობდა, სწორედ იმ შეუბრალებელ აპოკალიფსურ მხეცებზე მინიშნებაა, რომელთაც უღმერთო იმპერია შექმნეს, ციხეებით, სახრჩობელებით, პატიმართა ბანაკებით მოჰფინეს ქვეყანა, ფსიქიატრული რეპრესიებით, ფიზიკური განადგურებით შეამცირეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და ტოტალური “შიშის ლანდი უზარმაზარი” (გალაკტიონის “კოშკი”) გაავრცელეს მთელ იმპერიაში.

რევოლუციური, აპოკალიფსური მხეცის სახე ილანდება აგრეთვე მ. ჯავახიშვილის რომანში “ჯაყოს ხიზნები”.

თავიდან თავისუფლების, რევოლუციის მხარდამჭერი იყო ინტელიგენტი თეიმურაზ ხევისთავი, მაგრამ შეზარა მისმა შედეგებმა, ქვეყნის ოკუპაციამ, სათავეში მოსულ რევოლუციონერ ხელისუფალთა სახემ და იგი განუდგა ქვეყნად

---

[22] . გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977, გვ. 179.
[23] . გროგოლ რობაქიძე, “ჩაკლული სული”, გვ. 40, 110.
[24] . ტ. გრანელი, რჩეული, თბ. 1961, გვ. 3.
[25] . ცისფერი სიშორე, თბ. 1998, გვ. 398.

გაბატონებულ ტერორს, სისხლიან პოლიტიკას, რკინის ბელადების კანონებს, რის გამოც გაირიყა საზოგადოებისაგან, ნაკაცარად იქცა.

“ჯაყოს ხიზნების მთავარი ოდიოზური პერსონაჟის ოსი ჯაყოს სახე გაგებულია, როგორც ბოლშევიზმის სიმბოლო.[26]

ეს მედროვე, ხარბი, გაუმაძღარი, აუტანელ მხეცად სახელდებული არარაობა, სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ხან რევოლუციას ეტმასნება, ხან კონტრევოლუციას, ხან ბოლშევიკებისკენ იხრება, ხან მენშევიკებისკენ.

თეიმურაზის თქმით, ჯაყო, ეს “მთიდან მოსული უცხო ვინმე”[27] თავიდან ობლის, გაჭირვებულის ნიღაბს იკეთებს, მენახირეობას სჯერდება, ხოლო როცა ძალმომრეობის განხორციელება უნდა, ოსებში მრავლად ჰყავს კაპიკებად მოსყიდული ნათესავ-მომხრეები.

ანგარებიანმა, უსინდისო ჯაყომ ისარგებლა თეიმურაზის გულკეთილობით, მიისაკუთრა მისი საგვარეულო განძი, სახლ-კარი, მამულები, ღირსება შეულახა მის მეუღლეს მარგოს, სოფლის ბატონ-პატრონად იქცა და რევოლუციის მიერ გარიყულ თეიმურაზს თავისსავე მამულში ჯაყოს ხიზნობა ერგო.

მენახირეობიდან მოურავობამდე აღზევებული და მთელი სოფლის ბატონ-პატრონად ქცეული ჯაყო თეიმურაზს თავის დუქანში ნოქრად ამუშავებს, მარგოს ხასად გაიხდის და ხევისთავობა მოუნდება. თეიმურაზს ითანხმებს მარგოსთან განქორწინებაზე და ეკლესიაში გადაიხდის ქორწილს, რომელსაც თეიმურაზიც ესწრება.

მიუხედავად მარგოს დიდი ძალისხმევისა, გაეკეთილშობილებინა, განათლების, ცივილიზაციის გზაზე დაეყენებინა ჯაყო, არაფერი გამოვიდა, “ბანჯგვლიანი დათვი მხოლოდ გაპარსულ მაიმუნს” დაემგვანა.

“ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, უსაზღვრო ექსპლუატაცია, სრული უმეცრება და უკანონობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა, რომლის უკან იმალება გარდაუვალი გახრწნა და დაცემა”, წერს აკაკი ბაქრაძე (“მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება”).[28]

---

[26] . შალვა ამირეჯიბი, “ჯაყოს ხიზნები”, “ქართული მწერლობა”, 1990 წ. ¹ 2, გვ. 40.
[27] . მიხეილ ჯავახიშვილი, “ჯაყოს ხიზნები”, თბ., 1957 წ. გვ. 161.
[28] . აკაკი ბაქრაძე, “რწმენა”, თბ., 1990, გვ. 235.

რევოლუციას მიტმასნილი და მღვრე წყალში მოსარგებლე ჯაყო მრავალი ეპითეტით შეამკო ავტორმა. ისიც აპოკალიფსური მხეცების ნაშიერია, მათი ყურმოჭრილი მონა და ამიტომ მწერალი მისი დახასიათებისას მხოლოდ პირუტყვთა სახეებს მიმართავს: "ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა".[29]

მარგოს სიტყვებით, ჯაყო არის "მხეცი, პირუტყვი, ვერაგი, ავაზაკი."[30]

რომანში ჯაყო მოხსენებულია, როგორც "ტყიდან გამოვარდნილი ნადირი, უგულო პირუტყვი, ... რეგვენი და ბნელი, ჭუჭყისაგან შეჭმული მყრალი".[31]

თეიმურაზს სჯერა ღვთაებრივი სამართლიანობის, "ბედი მდევრის", რომელიც ჯაყოსთანა "მგლებს" მაინც დასჯის: "კიდევ ვიღაც არის ამ ქვეყნად ღმერთის გარდა. ის "ვიღაც" ურმით დასდევს ფეხმარდ მგლებს... ურმით დასდევს, დიდხანს დასდევს. ბოლოს, რაც უნდა მარდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადაიკარგოს, ურმით მდევარი "ვიღაც" იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დააგლეჯს. ასეა მომართული ეს ქვეყანა, ჯაყო".[32]

"შენ ამიერიდან დღე-და-ღამ იმ სამართალს მოელოდე. ჩემს მაგივრად იგი მოვა და ანგარიშს გგ...აგისწორებს. ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგასწრო, შენს შვილებს მაინც წამოეწევა და კბილებით დაგლეჯს, შამფურზე შეწვავს, ნელ ცეცხლზე მოხრაკავს, ბნელ სოროში ჩაყრის და თან გველის წიწილებს ჩააყოლებს."[33]

"მოახლოვებულ არს ჟამი განკითხვისა, ჰოი, ავაზაკო! ჰოი მგელკაცო ჯაყო! ჰოი მხეცო, ავო პირუტყვო".[34]

თეიმურაზის წინასწარმეტყველება ახდა, ახალმა დრომ არ აპატია ჯაყოს ვერაგობა და მთლიანად ჩამოერთვა თეიმურაზის ქონება.

მწერალმა სიმბოლურად გვიჩვენა რევოლუციას მიტმასნილთა მხეცური, მტაცებლური ხასიათი.

წინასწარმეტყველურად არის მწერლის მიერ განჭვრეტილი ის ეროვნული პრობლემა, რომელიც ზედაპირზე მთლიანად არ ჩანდა იმ დროს, მაგრამ მწერალი ქვეშეცნეულად გრძნობდა ჯერ კიდევ მაშინ.

---

[29] . მიხეილ ჯავახიშვილი, "ჯაყოს ხიზნები", თბ., 1957, გვ. 3.
[30] . იქვე, გვ. 51.
[31] . იქვე, გვ. 119.
[32] . "ჯაყოს ხიზნები", თბ., 1957, გვ. 163.
[33] . იქვე, გვ. 165.
[34] . იქვე, გვ. 172.

1922 წელს ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ ფრთები შეასხა ოსებს. უფროსი ძმის წაქეზებით ეს ავტონომია საქართველოს ეროვნულ სხეულში ჩადებული შეყოვნებული მოქმედების ნაღმი გამოდგა, რომელიც 90-იან წლებში აფეთქდა... ჯაყოს თან მოჰყვა მისნაირი მხეცების პლეადა და ოსებმა ძირძველი ქართული მიწა სამაჩაბლო უბოდიშოდ დაისაკუთრეს.

აი, ამაზე გვაფრთხილებდა, ამ საშიშროებას ჭვრეტდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დიდი მწერალი, მაგრამ ეროვნული გრძნობისაგან დაცლილი ხელისუფალნი იქით უწყობდნენ ხელს ამ საბედისწერო პროცესებს.

პროფ. რევაზ მიშველაძის თქმით, რომანის პრობლემატიკა ორი მიმართულებითაა განფენილი: 1. სოციალური საკითხი. ძალა, რომელიც მოვიდა ქვეყნის ბატონ-პატრონად სოციალ-დემოკრატების სახით, არის უხეში, ტლანქი, გაიძვერა. ბატონობს ინსტინქტზე დამყარებული ძალა და იგი ქვეყანას სიკეთეს არ მოუტონს.

პრობლემათა მეორე ჭრილი კი ეროვნულ საკითხს უკავშირდება.

ნუ დაისვამ თავზე უცხოტომელს. ნუ მისცემ შენს მიწას საჯიჯგნელად გადამთიელს, თორემ იგი ადრე თუ გვიან შენივე მამულში ხიზნად გაქცევს- გაგვაფრთხილა ოციან წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა. დღეს კი, როდესაც სტუმარმა ხალხებმა საქართველოს ტერიტორიის მესამედი მიიტაცეს და ჩვენ ჩვენი სიმართლე მსოფლიოსთვის ვერ მიგვიწვდენია, სინანულით ვიგონებთ სამოცდაათი წლის წინათ ნათქვამ ამ მწარე სიმართლეს.[35]

მხეცის ასოციაციას ქმნის რევოლუცია, რომელსაც თავიდან თვითონ მიესალმა თეიმურაზი.

თეიმურაზისთვის რევოლუცია "ნამდვილი ვეფხვის ბოკვერი აღმოჩნდა", რომელიც შიშს თესავდა. "ის ბოკვერი თეიმურაზის თვალწინ გაიზარდა, გაიჭიმა, აიშოტა, აიბურძგნა და აიშალა. ვაშლისოდენა თვალებს აბრიალებდა და ელვას ისროდა. თითის სიგრძე კბილებს მრისხანედ აწკაპუნებდა, ფოლადის ბრჭყალებით ქვას ნაპერწკლებს აყრევინებდა, მტკავლის სიგრძე თითებით მიწას ჰბურდვნიდა, ყალყზე დგებოდა.[36]

---

[35] . რევაზ მიშველაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, უახლესი ქართული ლიტერატურეს ისტორია, თბ., 1999, გვ. 175.

[36] . მიხეილ ჯავახიშვილი, თხზ. 6 ტომად, ტ. I, თბ., 1969, გვ. 225.

თეიმურაზი გაოცდა, გატვრინდა: “გაუმარჯოს” აღარ იძახდა და აღარც წითელ ბაირაღს იქნევდა. მერმე, როდესაც იმის თვალწინ ვეფხვის ბოკვერმა გაინავარდა და თავის მშობელ მწიგნობარსაც ოდნავ კლანჭი გაჰკრა, თეიმურაზი შეშინდა და საქვეყნოდ ყვირილი მორთო: “დააბით! დაიჭირეთ! გალიაში ჩასვით!”

თეიმურაზი უკვე გაურბოდა “წითელ ფერს, სწვავდა უწინდელ დროშებს, ძვრებოდა თავის სოროში, შიშისაგან კანკალებდა და ბოკვერის ნავარდს დამფრთხალ თვალებს არ აშორებდა. ბოლოს, როცა ბოკვერი ვეფხვად გადაიქცა და იმ ვეფხვმა რამდენიმე ნახტომით ყაყანის მოედანი დასცალა, შიშისგან გადარეულმა თეიმურაზმა უმალ ზურგი მოიბრუნა, უგზოუკლოდ თავდაღმა დაეშვა და სასოწარკვეთით გაჰკიოდა: “გვიშველეთ! დავიღუპეთ!”

უშედეგო იყო თეიმურაზის გოდება: “მშველელი არსად ჩანდა. განწირულის კივილი და გოდება თანდათან მისუსტდა, მიიბნიდა და ბოლოს სადღაც ჯურღმულში მისწყდა, რევოლუციის გრიგალში თეიმურაზის კნავილი ვერავინ გაიგო, ხოლო მისი ათი წლის ნაშენები წითელმა ვეფხვმა ქინძისთავისოდენა ლუკმასავით ჩაყლაპა.[37]

როგორც ვხედავთ, მწერლის მიერ მგლის, ვეფხვის, წითელი გველეშაპის სახეში სიმბოლიზებული ბოლშევიკური რევოლუცია ყოვლის შემმუსვრელი და გამანადგურებელი მოვლენაა.

ამიტომ ჩივის თეიმურაზი სიმართლის სახელით მოსულ უსამართლო წყობილებაზე: “ძალიან მუშაობთ, მაგრამ ეგ არის დანგრევის მუშაობა. ერთს რომ ააშენებთ, ორი ინგრევა. კოოპერატივი კი ქვეყანას ვერ აშენებს.[38]

გული უკვნესის თეიმურაზს: “რკინის დროებაში ვცხოვრობთ... სიყვარული მოკვდა... ეხლა სიყვარულის ნაცვლად ქვეყანაზე და ხალხის გულში სხვა რამ დაგ...გუბებულა. ცეცხლი და წყალი ერთმანეთში არეულან და მშვიდობიანად შეწყობილან.

როგორ უნდა აშენდეს სიყვარული მძულვარებაზე?

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ განჭვრეტილი მოვლენების სისწორე დრომ დაადასტურა.

---

[37]. იქვე, გვ. 220.

[38] . “ჯაყოს ხიზნები”, თბ., 1957, გვ. 88.

ტერენტი გრანელი - სატანისტური ხელისუფლების ოპოზიცია

ტერენტი გრანელი იყო აშკარა ოპოზიცია ათეისტური, სატანისტური ხელისუფლებისა.

პოეტის პუბლიცისტური წერილები, ბოლშევიზმის სატანური ქმედებების მხილება, მოღვაწეობა ფედერალისტთა პარტიაში, აჭარასთან თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლა 1918 წელს, პოეტის ეროვნული პოზიცია, უკომპრომისო დაპირისპირება ანტიხალხურ, არაპატრიოტულ ხელისუფლებასთან, გაბედული ბრძოლა აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებთან მტარვალ-უკეთურთა რისხვის ღრუბლებს აგროვებდა სათუთი სულის შემოქმედის თავზე.

20-იანი წლების ქართულ ლირიკაში ისეთსავე ფურორს ახდენდა პოეტი, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში. გალაკტიონის გვერდით, რუსთაველის ქვეყანაში, მან დაიმკვიდრა უპირველესი პოეტის სახელი. მის შესახებ ინფორმაცია ბერიასაც მისწვდა.

ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტი გრანელის ლექსით დაინტერესდა ლავრენტი ბერია, რომელიც ყველანაირი გზით ცდილობდა პოეტთან კონტაქტის დამყარებას. ერთხელ თავისი დამქაშების მეშვეობით კაბინეტში დაიბარა, კარგად მიიღო, შეუქო ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ლექსი, მწვანე გზა მისცა მისი ლექსთა კრებულის გამოცემას.

უბინაო, თითქმის ქუჩაში მცხოვრები, უპოვარი ტერენტი გრანელი ბერიას მხრიდან ხელის გამოწოდებას აღტაცებით არ შეხვედრია. თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნო პოეტმა, ხომ ხელისუფლება იშინაურებდა, მის მოთვინიერებას იწყებდა, ქამანდს ესროდა და მიზანმიმართულად ეპატიჟებოდა ხელმწიფის ეკიპაჟში – მისი განსაკუთრებული ნიჭის სამართავად, პარტიული დოქტრინის ყმად, ამა ქვეყნის ძლიერთა პოლიტიკის სამსახურში ჩასაყენებლად.

ტერენტი გრანელი არ აჰყვა დიდმპყრობელთა ხრიკს, თავისი პრინციპული პოზიცია არ დათმო და “ღამესთან” დადგა, “როგორც ქანდაკება”. მან კარგად ამოიცნო სიტყვის რჩეულთა ნიჭზე მონადირე მიწიერი სამყაროს თავადნი, რომელთაც სურდათ პოეტის ავტორიტეტული მხატვრული სიტყვა თავიანთი სატანისტური საქმიანობის მეხოტბედ ექციათ.

“... მიდის ჩემი გზა სწორი”, აცხადებდა გულმართალი ლირიკოსი და კარგად არჩევდა ამა სოფლის დროებით მოვლენილ ფეოდალთ და ზეციურ თავადს, წარმავალს და მარადიულს.

ოპოზიციურობას იმითაც ავლენდა, რომ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას კი არ მიესალმებოდა, დამოუკიდებლობის იდეებს ერთგულებდა და ყინულოვანი მონსტრის მიერ გამეფებულ სიბნელეს, ღრუბლებს ებრძოდა, ფინიად სახელდებულ უკეთურთ უპირისპირდებოდა: “და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია”.

პოეტი ამხელდა ეპოქის საძულველ კერპებს, მარქსიზმ-ლენინიზმის შხამით მოწამლულ აპოკალიფსურ ტირანთა ნაშიერებს, ეთაყვანებოდა რწმენას, ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობელს, ანგელოზებს და უზენაეს, მარადიულ არსებათა თანამგზავრად მიირჩევდა თავს.

ეს უკვე იყო ბოიკოტი.

იმ პერიოდში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ტერენტი გრანელის ლექსი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეტის მაღალ გულისთქმას ავლენდა და მთლიანად უპირისპირდებოდა “ძლევამოსილი სოციალიზმის” მეხოტბეთა დოქტრინას. შეუძლებელია ამის შესახებ თავის დამსმენთა მეშვეობით ხელისუფლებასაც არ ჰქონოდა სიგნალი. აი ეს ლექსიც: “ფიქრი გადადის შორეულ ხეზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ ქალის ფეხებზე, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვიწამე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია. აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას”.

როგორც ვხედავთ, აქ მთლიანად უარყოფილია ტრაფარეტული ესთეტიკის კლიშეები და უმაღლესი პოეზიის საგნად ქცეულია “შორეული ხე” (საღმრთო სახელია), ზეცა, კოსმოსი, სულიერება, რწმენა, მხილებულია ცოდვილი მიწის საშინელებები.

და, ამავე დროს, ლექსი არ არის დროისგან გაქცევა, პირიქით, მასში არის ცდა ეპოქის გამრუდებული ორიენტირების გასწორების.

პოეტის განსხვავებული აზროვნების წარმოჩენასთან ერთად, ნაჩვენებია თანადროულობის ხასიათი, სოციალიზმის დიქტატორული მესვეურნი. წითელ დროშასთან, ნამგალთან ირონიული დამოკიდებულება ვლინდება.

მარადიულად მიჩნეულია არა ეფემერული საბჭოთა წყობილება, რომლის ნგრევა-წარმავლობას იოანე ღვთისმეტყველების აპოკალიფსი გვამცნობს, არამედ "შორეული ალი" /ცეცხლი – ღმერთის სიმბოლო/, მარადისობა, ღვთაებრივი სამსჯავრო. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ-მოეთი, წითელი დროშის "მშვენიერება", ნამგლის შეგნებული გაფეტიშება მარადისობის ძალით დაიფარება, ასეთია პოეტის აზრი: "ფიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შორეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას".

ნამგალი და ურო სატანისტური ბოლშევიზმის იარაღებია, ნამგალი მოცელავს, ურო – ანგრევს.

ამ ლექსით ტერენტი გრანელმა საბოლოოდ ახადა რიდე თავის სულს და შავბნელი ხელისუფლებისთვის გახდა შავსიელი.

უფრო და უფრო აძლიერებდა პოეტი თავის ოპოზიციურ იერიშებს წყობილების წინააღმდეგ. აშკარად ნეგატიურად აფასებდა ხალხის სახელით მოსულ სისხლიან პროვოკატორებს და ალექსანდრე სიგუას (პატრიოტს, შემდგომში პოლიტკატორღელს – ლ. ს.) ეუბნებოდა: "ჩემო საშა, შენ რა, ეს წყობა გგონია? ესენი დამხვრეტელები არიან, დამხვრეტელები" (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, "ცისფერი სიშორე", თბ., 1998, გვ. 414).

პოეტი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ არ გაეკენწლა სოციალიზმის ფალავნები.

ტერენტის სძულდა ანტიეროვნული ვაიპოლიტიკოსები, ერის გადაგვარების მოსურნე ღამურები. სასტიკად უპირისპირდებოდა უბირ ტირანს – სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც "ლუდაედს" ეძახდა, სპეციალურად უდარაჯებდა, რომ შეერცხვინა მის მიერ გადაბირებული ახალგაზრდები. სერგოს შეგირდები თავიანთი მოძღვრის მსგავს ძაბრისმაგვარ ქუდებს იხურავდნენ, რომელიც სინდის-ნამუსის, კაცურ-კაცობის კი არა, მოღალატეობის სიმბოლოდ აღიქმებოდა მამულიშვილთა თვალში. ტერენტი დაუდარაჯებდა ასეთ არარაობებს და ჯოხით გადაუგდებდა თავიდან ამ "ძაბრებს", რომლითაც ისინი ამაყობდნენ.

ერთხელ ტერენტის დაუნახავს ორჯონიკიძისნაირი ქუდით მომავალი კაცუნები და ალექსანდრე სიგუასთვის უთქვამს: "შეხე ამ უთვისტომოებს, ეს რა

ძაბრები ჩამოუმხიათ თავზე. საშა, ხომ იცი, მე როგორ გამიგებენ. თანაც, ესენი ყმაწვილები არიან. ხალხმა არ იფიქროს, რომ მე ამ ბალღებს ვჩაგრავ. ჩამოუგდე ამ გოგრებიდან ეს წითელი ძაბრები და თუ ამ ღლაპებმა რამე გაბედეს, აქა ვარ!" ამ საუბარში ისინიც მოგვიახლოვდნენ, ყვება ალ. სიგუა. – ფუი, თქვენს ყმაწვილკაცობას! – შესძახა ტერენტიმ. წითელი "ძაბრები" მიწაზე ეგდო. მორიგი შეტევისთვის მოვემზადე... ტერენტიმ ერთხელ კიდევ შეუკურთხა და ისინიც ადგილს მოწყდნენ"...

ტერენტი აღშფოთებას ვერ ფარავდა თურმე: "ასე როგორ უნდა გადავგვარდეთ, სამშობლო რომ დაგვავიწყდეს, ხომ ხედავ, ჩემო საშა, როგორ ამაყად მოაბიჯებენ ეს კაცუნები პროსპექტზე. ყოჩაღ! – უცებ ხელი მაგრად ჩამომართვა და ძმურად გადამეხვია – მაგრად უნდა იდგე, მაგრად! მძიმე ხვედრი ერგო ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. უფრო მძიმე გზაც გაუვლიათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენც უნდა გავუძლოთ" (ალექსანდრე სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, ცისფერი სიშორე, თბ., 1998 წ., გვ. 415-416).

პოეტი კიცხავდა "ავადსახსენებელ" ლევან ღოღობერიძეს, ხშირად ამბობდა, რომ ამ გიენამ ქართველ თავადაზნაურთა და მოაზროვნე ინტელიგენციის სისხლი ბოლომდე დალიაო. "ავადსახსენებელთა" რიგებში ტერენტი სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ღოღობერიძეს, 1924 წლის "შემოქმედთ" გულისხმობდა და ამბობდა: "ესენი უცხო თესლები არიან ქართველებისთვის, ჩემო საშა! და რბილად რომ ვთქვათ, მათ უზნეო დედათა ნაშიერად მიიჩნევდა. – ჩემო საშა, ესენი საქართველოს ვერ დააჩოქებენ, მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი იქნება! – თვალგაბრწყინებული მეტყოდა ხოლმე ტერენტი", იგონებდა სამშობლოს სიყვარულისთვის ჯვარცმული, ყოფილი პოლიტკატორღელი ალ. სიგუა.

იმდროინდელ ცხოვრებას ტ. გრანელი ჯოჯოხეთს უწოდებდა (როგორც გალაკტიონი, კ. გამსახურდია). თურმე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში ტერენტის ლექსი, რომელიც თავის არქივში შეუნახავს ალ. სიგუას: "დავდივარ მარტო ლანდივით, დარდის პერანგი მაცვია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე – დეკორაცია" (იქვე, გვ. 407).

ტერენტის ლექსი "სულის ცეცხლი" ზოგიერთებმა "წითელი საუკუნის" ხოტბად გამოაცხადეს. იგი ასე იწყება: "შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი,

ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი, ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი”.

შალვა დადიანი ამ სტრიქონებზე დამყარებით ლექსში საბჭოთა სინამდვილის თანაგრძნობას ხედავდა, მაგრამ ტერენტი აღაშფოთა ასეთმა გაგებამ და ხაზგასმა დანარჩენ ორ სტროპზე გააკეთა. მართლაც, აშკარაა, რომ მასში ნახსენები სისხლის მდინარე, ბურუსი, ტყვიები, განსაცდელი, კვამლი, მღელვარება, შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება და ეშაფოტი ვერაფრით ვერ იქნებოდა ჯოჯოხეთური სინამდვილისადმი პოეტის მხარდაჭერის სტიმული: “სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა; დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი, ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი. სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაპოტი”.

“შორეული რაინდების უმწეო შფოთი” ქვეყნის თავისუფლებისათვის ამაო შემართებაზე მიგვანიშნებს.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ ტერენტი გრანელის შემოქმედებას ტრაგიკული ელფერი კიდევ უფრო გაუმძაფრა.

“ორთაჭალა-კრწანისში ჯერ კიდევ ისმოდა 1924 წ. წამებულთა კვნესა, ტერენტი გრანელს მეგაღე ანდრია ძიძიგური უამბობდა იმ დღეებზე”, - იგონებდა ალ. სიგუა.

“სწორედ ამ საშინელ დღეებს მიუძღვნა პოეტმა თავისი ცნობილი წიგნი “მემენტო მორი”. სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ გამარჯვებულ ტრიუმფატორებს ძველ რომში – “გახსოვდეთ სიკვდილი”, თქვენც ხომ მისი შვილები ხართო” (ალ. სიგუას მოგონება, ცისფერი სიშორე, გვ. 397).

ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების კიდევ ერთ, ძალზე მნიშვნელოვან საკითხში გვახედებს ალ. სიგუა, რომელიც გვამცნობს: “საქართველოს თავს დატეხილი ამ დიდი ტრაგედიის “შემოქმედებს”, იოსებ სტალინს მიმართავს პოეტი, რომლის ერთი სტროფი დღესაც შიშის ჟრუანტელს მგვრის: “იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენთო თუნდაც ერთი სანთელი” (იქვე, გვ. 398).

1924 წ. აჯანყების დამარცხებამ და კომუნისტების მიერ გავრცელებულმა ჭორმა ამ აჯანყების მეთაურის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაღუპვის შესახებ ტერენტი გრანელს დააწერინა ასეთი ლექსი: “კვდება ის მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია. დილაზე მდელოს ვუმზერ სპეტაკი და საქართველოს ციდან ვუძახი: მათ საქართველო დღეს გულში დაჭრეს, ახლა ძნელია სულის მიგნება. ირგვლივ ღამეა, არ ჩანს მესია და საშინელი ეს გაციგნება. მაგრამ... ლაზარე აღსდგება მკვდრეთით, აღსდგება, როგორც ღვთის სიყვარული... მას ვამბობ, - როგორც ვამბობდი, კმარა!!! მზეო, ამოდი, ამოდი ჩქარა!!!”

ლექსს ჰქონია მინაწერი: “მადლობა ღმერთს, ეს მათ მიერ გავრცელებული ჭორი ყოფილა” (იქვე, გვ. 400). იგულისხმება ცნობა ქაქუცას სიკვდილის შესახებ.

1924 წლის ტრაგედიამ სტიმული მისცა თავისუფლებაწართმეული საქართველოს შვილთა განსაკუთრებული ნიჭიერების გამოვლენას ახალი, გენიალური ნაწარმოებებით, ესენია: გრიგოლ რობაქიძის “ლამარა”, კონსტანტინე გამსახურდიას “დიონისეს ღიმილი” (ჯოჯოხეთის სცენები, სატანისტური წითელი კირიპა, წითელი გველი ბოლშევიზმის ტრიუმფითა და აჯანყების დამარცხებითაა შთაგონებული), ტერენტი გრანელის “მემენტო მორი”, გალაკტიონ ტაბიძის პოემა “მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა”, მისივე დემონების, სატანების, მეფისტოფელ-ლუციფერებისა და ბელზებელის თარეშის ამსახველი ლექსები.

1924 წ. უბედურებას გალაკტიონი “მიმავალ საქართველოში” სასაფლაოს სიმბოლიკით გვიჩვენებდა, მიხეილ ჯავახიშვილი სასაფლაოზე ხედავდა პროგრესული ინტელიგენციის ადგილს, ტერენტი გრანელისთვის “მკვდარი” საქართველო იყო იერემიასებური გოდების მიზეზი.

1921 წლის 25 თებერვლის კატასტროფა აუსახავს ტერენტი გრანელს ლექსში “1921”, რომლის ეპიგრაფია: “დახოცილებთან ერთად დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ”. ისევ სამარის, ულმობელი ქარის, ცოცხლად დამარხული პატრიოტების ჩვენებით მხილებულია რეალურად მომხდარი შემზარავი ფაქტი: “ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია. ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა, შორს გაუსხლავი ლურჯი ბაღი. და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი” (“ცისფერი სიშორე”, თბ. 1998, გვ. 18)..

ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ნოე ჟორდანიას სამშობლოდან გაძევების შემდეგ წალეჯიხის რაიკომისა და ჩეკას დადგენილებით კომუნისტებს სოფელ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია დაუნგრევიათ. ამ ვანდალური აქტით აღშფოთებულ ტერენტი გრანელს თავისი პროტესტი ასე ქრისტიანულად გამოუხატავს: "რას შვრებიან ეს ცოდვილი შვილები, ღმერთო შეუნდე, ღმერთო, უშველე ამ ცოდვილებს. ეს ტაძარი ჩვენი მამაპაპათა ოფლით ნაგები სიწმინდეა, ღმერთო, შეუნდე, ამ ცოდვილებს" (სერგო ჟვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნაწერი, მოგვაწოდა ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელი არც თანამოკალმე პოეტებს ერიდებოდა, თუ მათში მედროვეობის ნიშნებს აღმოაჩენდა. ერთ ცნობილ პოეტს აღშფოთებულმა ტერენტიმ სილა გააწნა თურმე იმის გამო, რომ მან თავის ლექსს პირვანდელ სათაურად მისცა "პირველი საბჭოთა თოვლის სიმღერა". ცხადია, "საბჭოთა" შემდეგ პუბლიკაციებში ამოიღო მისმა ავტორმა (გივი ცქიტიშვილი, "ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990, გვ. 107).

ტერენტი გრანელი აღიქმებოდა, როგორც "ცოცხალი ლეგენდა, ფეხზე მოსიარულე ლექსი" (ალ. სიგუა), მის ყოველ სიტყვას ინტერესით უსმენდა ერი და ადვილი წარმოსადგენია, რა რეზონანსი ექნებოდა პოეტის პოზიციას, ყოველ გაბედულ განაცხადს.

რას ფიქრობდა ყოველივე ამაზე ლავრენტი ბერია, ეშმაკის ხელდასხმული, სატანისტთა მოძღვარი და მართალი სიტყვის ნამდვილი სულთამხუთავი? ის ხომ ადრე "აღტაცებული" იყო ტერენტის ნიჭით, ვიდრე პოეტი ქვეყნის მესვეურთა დამღუპველი პოლიტიკის მხილებას დაიწყებდა.

თუ როგორ შეცვალა ლავრენტი ბერიამ ხელისუფლებით უკმაყოფილო პოეტისადმი დამოკიდებულება, ამის შესახებ ისევ ალ. სიგუას მოვუსმინოთ: "ერთ დღეს ტერენტის და ჩემს გვერდზე მანქანამ დაამუხრუჭა, კარი გამოიღო, გამოჩნდა ბერიას სახე და გაისმა ხაზგასმული გამყინავი ხმა: "ბატონო ტერენტი! "ცივი და გამყინავი ხმა" მკაფიოდ ისმოდა: "ტერენტი! ტერენტი! წერე... წერე! და კარების დახურვის ხმა ისე მკაფიოდ ჩამესმა, თითქოს ვიღაცას ჩემთვის ძლიერი სილა გაელაწუნებინოს. მანქანა ადგილიდან მოწყდა და სწრაფად გაუჩინარდა."

ცხადია, ბერიას “ცივი და გამყინავი ხმა” არა ძველებურ სიმპათიას, არამედ რისხვას, დატუქსვას ავლენდა მოუსყიდავი და გადაუბირებელი პოეტისადმი.

ამ ფაქტით ყოფილა შთაგონებული ტერენტი გრანელის ლექსი, რომელშიც კარგად ჩანს მართალი პოეტის აზრი “მზრუნველ” ხელისუფლებაზე: “ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა. რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას”.

ტერენტი გრანელი შეუცდომლად გრძნობდა მისდამი ბერიას ინტერესის შორსმიმავალ მიზანს, მაგრამ იგი არ გატყდა, არ “გაიწვრთნა” და ამის გამო დაუნდობლად გაუსწორდნენ ციხით, დევნით, ცილისწამებით, ბოლოს კი გიჟის დიაგნოზი დაუსვეს და იძულებით მკურნალობას დაუქვემდებარეს.

ბერიამ და მისმა დამქაშებმა მოშურნე, ხელმოცარულ პოეტებთან ერთად, საბედისწერო როლი შეასრულეს ტერენტი გრანელის ცხოვრებაში.

და ბოლოს, როცა შეშლილად მონათლული, ნაწამები პოეტი ფიზიკურად წავა ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ გამოჩნდება პილატესავით ხელდაბანილი ბერია და ცდილობს, მისი რეჟისორობით ჯვარცმულ პიროვნებას ნამდვილ თაყვანისმცემლებზე უფრო მეტი “პატივი” მიაგოს.

იქნებ ეს იყო სისხლიანი ტირანის ერთგვარი მონანიება და სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ მის ხელებს ერის საამაყო შვილების ბევრი სისხლი ეცხო?

შალვა დადიანს ბერიასთვის უკითხავს, ტერენტი გრანელს თუ იცნობდითო. ბერიას უპასუხნია: “ტერენტი დიდებული პოეტი გახლდათ, ბატონო შალვა”. შალვა დადიანს გულისტკივილით შეუნიშნავს: “კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხონებული..., მაგრამ ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარცხდა, თავი დაიღუპა”.

ტერენტისადმი შალვას ამ “ბრალდების” პასუხად ბერიას პათეტიკურად უთქვამს: “ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვრებამ ვერ გაუგო მას”.

ბერიას ასეთი აზრით გაოცება ვერ დაუფარავს შალვა დადიანს: “ეს ისე იყო ნათქვამი, ტანში გამცრა, დავიბენი, ამისთანა პასუხს არ ველოდი და ვერც წარმოვიდგენდი. გულმა ბაგა-ბუგი დაიწყო, თვალწინ ტერენტი წარმომიდგა თავისი განუმეორებელი ღიმილით: “ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა, მზე მიდის გაღმა, ცის ხმა ისმოდა” (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, “ცისფერი სიშორე”, გვ. 441).

ტერენტი გრანელის ინტერესი რელიგიური თემებისადმი, დუმილი საბჭოთა წყობილების "სიკეთეებზე" და რაინდული დაპირისპირება აპოკალიფსურ ტრიუმფატორებთან, ხალხის მტრების გაბედული მხილება, საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წ. აჯანყების ასახვა ნათელ პასუხს იძლევა იმაზე, ვინ და როგორ ცდილობდა პოეტის ზეშთაგონებული ფიზიკური სახის წაშლას, მისი შედევრების "პესიმისტურად, უიდეოდ, შავ წიგნად" გამოცხადებას.

ტერენტის "დიქტატორი იმპერატორის", "ლუდაედების", "გიენას" გვერდით "ავი თვალის, ყღირსი თვალის, პატარა მტრების, "ყაჩაღი ქარების", კაენის, გველის სახეებიც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ნიღაბი აეხადა საქვეყნო-სახელისუფლო ბოროტებისთვის.

უეჭველია, რომ "მემენტო მორის" ავტორის იდეოლოგიამ კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის მხატვრულ ნააზრევთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბოროტების იმპერიის თიხის საძირკვლის შერყევაში.

ტერენტი გრანელი ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში სიყალბეს, კერპთმსახურებას. მისი ლექსებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი სულს აჯანსაღებდა სიკეთის, სათნოების ფლუიდებით, აპოკალიპსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჭეშმარიტი პოეტი არასდროს არ დგას განზე ცხოვრებისეული პრობლემებისგან, პოლიტიკისგან.

აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლი - კონსტანტინე გამსახურდია

პოეზია, ნოველა, რომანი, მებრძოლი პუბლიცისტიკა, თარგმანი, შემოქმედების რანგში აყვანილი კრიტიკა – ასეთი მრავალმხრივია ქართული მწერლობის დიდოსტატის – კონსტანტინე გამსახურდიას მოღვაწეობის სფერო. მისი წარმატებები გაპირობებული იყო ღრმა ერუდიციით, შრომისმოყვარეობით, დიდი ბიოგრაფიით, რაინდული გამბედაობით.

მწერლის სახელი მის სიცოცხლეშივე გასცდა საბჭოთა იმპერიის სივრცეს და როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში პოვა საყოველთაო აღიარება.

ექვს ათეულ წელზე მეტხანს იბრძოლა კონსტანტინე გამსახურდიამ სიტყვითა და ხმლით ეროვნული თავმოყვარეობის, ქართველების თვითშეგნების ამაღლებისათვის. არა პროვინციული, არამედ საკაცობრიო გადასახედიდან განჭვრიტა მოვლენები და თავის ხალხს მომავლის სანიშნოები განუსაზღვრა.

კ. გამსახურდია დაიბადა 1891 წლის 5 მაისს აბაშაში. სოფლის სამრევლო, სენაკის სათავადაზნაურო სკოლებს, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას დაუკავშირდა მისი ადრეული განსწავლის წლები. ქუთაისში ყრმა კონსტანტინემ და მისმა თანამოაზრეებმა დააარსეს საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია ”ცხრა მუხა”. მათი სახელი გახმაურდა რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ გალაშქრებით (პოლიტიკური პროკლამაციების დაბეჭდვა-გავრცელება, რეაქციონერი მასწავლებლის ცემა, ქართველთმოძულე რუსი გენერლების სურათების დახევა). პროტესტანტი “ცხრამუხელები” დააპატიმრეს, მაგრამ მცირეწლოვანებამ და გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელის თავგამოდებამ იხსნა.

1912 წელს ქუთაისის გიმნაზიის ფრიადოსანი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიატი კ. გამსახურდია კ. აბაშიძის სარეკომენდაციო წერილით პეტერბურგში გაემგზავრა და იქაური უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მაგრამ მალე იწვნია უნივერსიტეტის მესვეურთა შოვინიზმი. ნიკო მარის მიერ ილია ჭავჭავაძის უდიერი მოხსენიება მიზეზი გახდა პეტერბურგის დატოვებისა.

მწერალი კენიგსბერგს გაემგზავრა გერმანული ენის დაუფლების მიზნით, 1913 წელს კი ლაიპციგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი გახდა. მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა ევროპულ ლიტერატურას და ფილოსოფიას, ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას, იბეჭდებოდა გერმანულ პრესაში. გაეცნო თომას მანს. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის ჯაშუშად მიიჩნიეს, რაც დაპატიმრების საბაბი გახდა. გაათავისუფლეს თომას მანის თავდებობით. ჰქონდა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, სადისერტაციო ნაშრომის თემა იყო “საქართველოს მეფე ერეკლე II”.

1919 წ. იმოგზაურა იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებში.

1919 წ. სამშობლოში იყო და დააარსა ჟურნალი “პრომოთე”, 1922 წელს – “ილიონი”. რედაქტორობდა გაზეთებს – “საქართველოს სამრეკლო”, “ქართული სიტყვა” (1923წ.), “ლომისი” (1922წ).

კ. გამსახურდია იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, ბოლშევიკების მოძულე.

1918 წელს, როცა ოსმალეთმა აგრესია დაიწყო ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, კ. გამსახურდია ხმალშემართული დადგა სამშობლოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.

იმავე წელს მწერალმა მუშაობა დაიწყო საქართველო-ბერლინის საელჩოს კულტურის ატაშედ. შესთავაზეს 70 ათასი მარკა გერმანული ორიენტაციის ქართული გაზეთის დასაარსებლად, მაგრამ მწერალს ყოველთვის სძულდა “ოქროზე აგებული ბაბილონი” და ამ წინადადებაზე უარი თქვა, მაკიაველისებურ შეგონებას არ აჰყვა. 1920 წელს სამშობლოში დაბრუნდა.

1921 წლის 25 თებერვალს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას აშკარა პროტესტით შეხვდა, როგორც “შავჩოხიანთა” თავკაცი.

დიდი მოქალაქეობრივი გმირობა იყო 1921 წლის 7 მაისს გაზეთ “სოციალისტ-ფედერალისტში” გამოქვეყნებული კ. გამსახურდიას “ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი”, რომელშიაც მხილებული იყო რუსეთის იმპერიული ამბიციები, ამ პოლიტიკის მესაჭე – ლენინი.

არაერთგზის უთქვამს აუგი “ხალხთა ბელადზე” სხვა დროსაც.

1925 წელს მწერალმა ლენინი მოიხსენია დოსტოევსკის რასკოლნიკოვის გვერდით, ორივეს ერთი დედის საშოდან გამოსული მკვლელი უწოდა.

1922-1927 წწ. კონსტანტინე გამსახურდიამ დააარსა “აკადემიურ მწერალთა ასოციაცია”, რომელიც აშკარად ანტისაბჭითა პოზიციაზე იდგა.

1922 წელს მწერალი პოლიტიკური ბრალდებით მოათავსეს მეტეხის ციხეში.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ წამოაყენა “კულტურის ავტონომიის იდეა”, როგორც ეროვნული სულისა და ცნობიერების გადარჩენის საშუალება. “დისტანციის თეორიით” თავს უფლება მისცა დადუმებულიყო საბჭოთა წყობილების “სიკეთეებზე”, რაც, ცხადია, იყო თავისებური პროტესტის ფორმა.

1923 წელს პარიზში გაემგზავრა და ლექციებს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში.

1924 წ. დააპატიმრეს პოლიტიკური მოტივით.

1926 წ. კვლავ დაიჭირეს “შპიონაჟის” ბრალდებით. ჯერ მოსკოვის ლუბიანკის და ბუტირკის, მერე კემშისა და ლენინგრადის ციხეებში იჯდა, ბოლოს – სოლოვკის არქიპელაგის კონცლაგერში, საიდანაც ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს 1927 წ.

1931 წ. მწერალთა რიგებიდან გარიცხეს და აღადგინეს 1932წ.

“ურჩი გამსახურდია” მაინც ვერ მოათვინიერა ხელისუფლებამ, იგი მგელივით “გაუწვრთნელი” დარჩა.

ბოლომდე უპირისპირდებოდა ქვეყნის დაპყრობის მოსურნე ბოლშევიკებს: ს. ორჯონიკიძეს, ფ. მახარაძეს, ლ.ღოღობერიძეს და მათ დამქაშებს, აქტიურად ამხელდა წიწამურის ტრაგედიის რეჟისორის – ფილიპე მახარაძის ანტიქართულ საქმიანობას.

რეპრესიებიც არ აყოვნებდა. მწერლის დევნა და თვალთვალი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა. 50-იან წლებში ჩეკას განსაზღვრული ჰქონია, მის ავტომანქანაში ასაფეთქებელი ნივთიერების ჩადება და მწერლის ლიკვიდაცია. ამ პერიოდში მისი ნოველების წიგნი აიკრძალა, როგორც “კაცთმძულვარების” მქადაგებელი.

უშიშარი მწერალი მაინც არ ცხრებოდა. თავის გადასარჩენად დაწერილი რომანი “ბელადი” თვითვე უარყო და მეორე “აპოკალიფსური მხეცის” – სტალინის კრიტიკაც გაბედა (ცნობილია, რომ ბიბლიის კომენტატორები გველეშაპის მიერ ხელდასმული აპოკალიფსის ორი მხეცის – ზღვისა და მიწის მხეცის – ადრესატებად ლენინს და სტალინს მიიჩნევენ, ზღვის მხეცად – ხალხთა მასებიდან მოსულ ლენინს აცხადებენ, ხოლო მიწის მხეცად – იატაკქვეშეთელ სტალინს). მწერალმა განაცხადა: სტალინის სფერო პოლიტიკაა, მას მიხედოს, მწერლობა კი მე დამანებოსო.

დამქაშებისგან ინფორმირებულმა სტალინმა სასტიკად გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდია 1948 წ. გაგრაში, პარტიულ კონფერენციაზე და ბერიას დაავალა, აელაგმა ქართველი მწერალი, რომელიც “ამდენს ბედავდა”, მაგრამ მისი სიცოცხლის ხელყოფა დიდ რისკს უკავშირდებოდა, რადგან მწერლის ავტორიტეტი განუზომლად დიდი იყო.

ხელისუფლებისაგან შეგულიანებული საბჭოთა კრიტიკა ტენდენციურად თავს ესხმოდა დიდ პროზაიკოსს და დეკადენტის, რეაქციონერის, შოვინისტის იარლიყით ნათლავდა, მაგრამ თავის სიმართლეში დაჯერებულ მწერალს “იმუნიტეტი” ჰქონდა სიცრუის მოციქულებისადმი.

კ. გამსახურდიას კრედო იყო: მწერალმა მხოლოდ ისეთი სტრიქონების ქვეშ მოაწეროს ხელი, რომლისთვისაც ხმლის მოქნევას შესძლებსო.

ამიტომ მოუქნია ხმალი დუელში სოლოვკის კონცლაგერში ქართველთა შეურაცხმყოფელ პოლკოვნიკ სეროვს. მწერალთა კავშირში ილია ჭავჭავაძის სურათის ჩამოსახსნელად მისულ უდიერ კომკავშირლებს ხანჯლით გადაუდგა წინ და გადააფიქრებინა მკრეხელობა. როცა გულათში მედროვე კომისარმა აღმაშენებლის მიერ ჩამოტანილი დარუბანდის კარების წაღება მოინდომა, მხოლოდ კონსტანტინემ შეძლო მის წინააღმდეგ გალაშქრება. როცა უპრინციპო იოსებ მჭედლიშვილმა, პრიმიტიული კრიტიკოსების მიბაძვით, მწერლის ენა დაუსაბუთებლად გაკენწლა, რაინდმა მწერალმა დუელში გამოიწვია ეს ვაიკალმოსანი, სეკუნდანტების მოძებნა ურჩია და მწარედ ანანა გათავხედებულს. ერთხელ მწერალთა კავშირის უსახელო მდივანმა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ კონსტანტინე დაიბარა და თვით არ დახვდა. მწერალმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და დაემუქრა: მე აშორდიას აზნაური კი არა, ნამდვილი აზნაური ვარ და თუ დამჭირდა, ჩემი თავმოყვარეობის დასაცავად ყოველ აბეზარს თავს ხმლით წავაცლიო; ასევე გაკიცხა ილია ელეფთერიძე, რომელიც თავს დაესხა მეგრული ლექსიკის გამოყენების გამო.

ქვეყანაში უფროსი ძმის სინდრომი და რუსული ენის ბუმი იყო, კონსტანტინე კი თარჯიმნის თანხლებით შედიოდა პარტიის ცეკას მესამე მდივანთან – კოვანოვთან, რუსულ ლაპარაკს კრძალავდა და ჯარიმას აწესებდა, ვინც ამ ენაზე წამოიწყებდა საუბარს. სომეხ ვირაპიანცის რუსულად არ დაელაპარაკა და ამის გამო თარგმანში ასაღები ჰონორარი არ მისცეს. “დიდი რუსი ხალხის” ნაცვლად “ბევრი რუსი ხალხიო”, იტყოდა. ქართული ქუჩებისათვის რუსული სახელების გადარქმევას მოითხოვდა.

კომუნისტების სამიზნედ ქცეული მწერა;ლი დაჭერის შიშით ღამე სახლში ვერ ჩერდებოდა და ტყეში დაეხეტებოდა თავის ერთგულ ძაღლთან ერთად.

სამოცდაათი წლის ასაკში სურდა მოხალისედ წასვლა რომელიმე პატარა ქვეყანაში, რათა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეშველებოდა.

კ. გამსახურდიამ მიზნად დაისახა ახალი ტიპის კლასიკური ნოველებისა და რომანის შექმნა და ამით გაეჯიბრა მსოფლიოში ცნობილ კლასიკოსებს.

კორექტივი შეიტანა ილია ჭავჭავაძის ახალი ქართული სალიტერატურო ენის თეორიაში და ქართულ-კახურის გარდა თავის ნაწერებში უხვად გამოიყენა ძველი

ქართული, სხვადასხვა კილო, მეგრული ლექსიკა და განუზომლად გაამდიდრა კომუნისტების მიერ დაშრეტილ-გაღარიბებული ქართული ენა.

მასშტაბური, ევროპული ტიპის რომანია "დიონისოს ღიმილი", რომელიც დაიწუნა საბჭოთა კრიტიკამ.

ნოველაში "ტაბუ" და რომანში "დიონისოს ღიმილი" შავჩოხიანი წითურის, მორიელის და ქალაბიჭა ხვარამზეს, წითელი კირიპას, შავი მამლის, წითელი ქვეწარმავლის, ყვითელ-ეპოლეტებიანი მონგოლის სიმბოლური სახეებით მოგვანიშნა სატანურ კომუნისტურ იმპერიაზე, რომელიც ცდილობდა "გათიშე და იბატონეს" პრინციპით გადაეყლაპა პატარა ერები.

"ალგებრულ ფორმულებს" მიმსგავსებულია მწერლის წიგნები, ისინი წააგავს "შიფრით ნაწერს" და წარმოადგენს აპოკალიფსური ბელადების და მათ ნაშიერთა პოლიტიკის გაბედულ მხილებას.

1934 წ. "მთვარის მოტაცება" გამოაქვეყნა, რომელიც კრიტიკამ აღიქვა, როგორც ძველისა და ახლის დაპირისპირების გამომხატველი ნაწარმოები, ახალი სინამდვილის მხარდამჭერი, რადგან მასში ახალი იმარჯვებს. სინამდვილეში რომანში ოსტატურად იყო მხილებული ტირანული ეპოქა, რომელშიაც ქვეყნის მესვეურად მამის მკვლელი, არზაყანისნაირი უღმერთო, უკულტურო, ტრადიციების მგმობელი ადამიანები გვევლინებიან, ხოლო ხელისუფლება მტრობს რწმენას, კულტურას, ჰუმანიზმს, აფეტიშებს და ამკვიდრებს უზნეობას. მამისმკვლელობის ფაქტი აღებული უყო სინამდვილიდან. კომუნისტებმა ხომ პოლიტიკური მოტივით ერთმანეთს მიუსიეს მამები და შვილები, დები და ძმები.

"მთვარის მოტაცებაში" ავტორმა შეძლო შეფარულად, ხუცეს ტარიელ შერვაშიძის საშუალებით მიენიშნებინა საბჭოთა წყობილების ეფემერულობაზე. მწერლის ეს რწმენა ემყარებოდა ბიბლიის საფუძვლიან ცოდნას, შეუმცდარ ინტუიციას, რაც ახდა კიდეც.

ცხადი იყო "მთვარის მოტაცების" ეპოქალური ხასიათი, მწერლის მაშტაბური აზროვნება, მხატვრული ოსტატობა, მაგრამ ამ რომანმა თავის დროზე ვერ გააღწია საზღვარგარეთ, თორემ უფრო დიდი რეზონანსი ექნებოდა, ვიდრე გრიგოლ რობაქიძის ანტისაბჭოთა "ჩაკლულ სულს".

თავისებური იყო კონსტანტინე გამსახურდიასეული ისტორიული რომანის კონცეფცია. მიუდგა რა ისტორიას თავისუფლების (და არა თავნებობის)

პოზიციებიდან, მწერალმა ისტორიაში აღმოაჩინა მარადიული კანონზომიერებები და წარსული ტირანული ეპოქა თანამედროვეობის რეალისტური ასახვის სამსახურში ჩააყენა.

“დიდოსტატის მარჯვენაში” არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის ლეგენდის გამოყენებით მწერალმა მიგვანიშნა 1937 წლის გაუგონარ რეპრესიებზე და რომანს უწოდა “ავტობიოგრაფიული”, ამ ცნების “შემოქმედებითი” გაგებით. ნაწარმოები წარმოადგენს ნიჭის, ერუდიციის, ტიტანური შრომით შექმნილი ხელოვნების მარადიულობის აპოლოგიას. ასევე, მწერალი დიდი ძალისხმევით ხატავს ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლ, წინააღმდეგობრივი ხასიათის გიორგი პირველს, რომელიც მატიანეში მოხსენებულია, როგორც “უშიშო, ვითარცა უხორცო”.

ტეტრალოგია “დავით აღმაშენებელში” ნაჩვენებია ლეგენდარული მეფის და პიროვნების განუმეორებელი სახე. დიდმა მხედართმთავარმა მრავალი ომი გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ხოლო დიდგორის სასწაულებრივი გამარჯვებით იხსნა არა მარტო საქართველო, არამედ ამ ომს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო დავითი წარმოჩნდება, როგორც ზოგადსაკაცობრიო სახე, უძლეველი მხედართმთავარი, ბრძენი პოლიტიკოსი, რომელიც პირადულის საზოგადოებრივთან მსხვერპლად მიტანით აღწევდა გაუგონარ წარმატებებს. დავითზე ლეგენდები შეიქმნა ევროპაში, მას მოიხსენიებდნენ იოანედ (სახარების იოანე წინასწარმეტყველად), ქართველი მეფე გამოცხადებული იყო გრაალის თასის მცველად, ქრისტიანობის ადეპტად, გიპნოზის, სივრცული ნათელმხილველობის უნარის მქონე პიროვნებად, რომელიც თავისთავში აერთებდა უდიდესი სტრატეგისა და სულიერი მღვდელმთავრის მისიას. “გალობანი სინანულისანის” უნიჭიერესი ავტორი კ. გამსახურდიამ დიდების შარავანდედით შემოსა და მთელი ეპოქის მასშტაბური მხატვრული მატიანე შექმნა, რისთვისაც დაიმსახურა რუსთაველის სახელობის პრემია.

კ. გამსახურდიას არ დასცალდა დაეწერა რომანი თამარზე.

იგი 1975 წელს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ განუკურნებელი ავადმყოფობით იყო ავად, მხნეობას არ კარგავდა და რაინდულად, ფეხზე ამდგარი შეხვდა სიკვდილს. ანდერძისამებრ, დასაფლავებულია საკუთარი სახლის, კოლხური კოშკის ეზოში. მისი ანდერძი იყო პროტესტი იმ წყობილებისადმი, რომელმაც ილიას მკვლელი ფილიპე მახარაძე მთაწმინდის მიწას მიაბარა.

განუზომელი იყო მწერლის პოპულარობა. უკრაინაში ქართულ დეკადაზე ფეხზე ამდგარნი, ტაშით შეხვდნენ მის გამოჩენას, ერევანში წიგნის მაღაზია გატეხეს, რომ "დიდოსტატის მარჯვენის" შოვნა გაენაღდებინათ, ქუჩაში უჩერდებოდნენ, ხელზე კოცნიდნენ უცნობები, მკითხველებმა ზეპირად იცოდნენ მისი რომანების მთელი რიგი ეპიზოდები, წერილებს ღებულობდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

ქართველმა ალპინისტებმა პამირის ერთ-ერთ მწვერვალს ქართული პროზის დიდოსტატის კ. გამსახურდიას სახელი უწოდეს. მისი სახელი შესულია მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედიებში, ლექსიკონებში.

კოლხური კოშკიდან წამოვიდა ის ეროვნული იდეა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოგვაპოვებინა.

კ. გამსახურდია დღესაც ცოცხალია თავისი იდეებით, "მარადფხიზელი თვალებით" ზვერავს საქართველოს, მსოფლიოს და ჭეშმარიტი მწერლობის, მამულიშვილობის, მოქალაქეობის, უმწიკვლობის და რაინდობის მაგალითად რჩება ამ გლობალიზაციის და მასონობის მომძლავრების ეპოქაში.

აპოკალიფსური მხეცების თარეში გოდერძი ჩოხელის რომანში "მგელი"

.

გოდერძი ჩოხელი თანამედროვე ქართული პროზის რჩეულთა რჩეულია, ჩვენი ეროვნულობის, რწმენის,სულიერების, სიკეთის ფარად მოვლენილი არსთაგანმრიგის მიერ.

ასახავს რა სულის და ხორცის, სიკეთე-ბოროტების, დემონ-ანგელოზების დაპირისპირებას, ადამიანის სულის გაუხეშებას ათეიზმით, ეპოქისეული კატაკლიზმებით, ამავე დროს, ზნეობრივი კათარზისის პრობლემას, თავისი თანამემამულეების მოქცევის პროცესს უღრმავდება.

დიდი ინტელექტისა და წინასწარმეტყველური ინტუიციის ნაყოფია ქართველი რომანისტის განსაკუთრებული ხიბლით გამორჩეული სიტყვა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისა და ერის სულის განძთსაფარს დაამშვენებდა.

გოდერძი ჩოხელის პროზას ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ტრადიციები, სატკივრები მსჭვალავს, აწმყოს პრობლემების ძირეული წვდომის პარალელურად, მომავალში გასაღწევი გზების, ქვეყნის შუქნიშანის პოვნაა მისი მთავარი ორიენტირი.

ათეიზმის ბატონობის ავადსახსენებელი პერიოდის სასიკვდილო გაცილების გამომზეურება-მოკვდინებას, უბედურების სათავის მიგნებას, სულიერი, კულტურული ღირებულებების გადარჩენას ემსახურებოდა იგი, როგორც რეჟისორი, როგორც მწერალი.

სატანისეულთა სასიკვდილო შხამ-გესლის ჩამოცილება-გაუვნებელყოფის წამალს ეძებდა, მიწას მიჩერებული თაობების ყურადღებას მიმართავდა უმაღლესი იდეალებისკენ, მიგვანიშნებდა, გვმოძღვრავდა, როგორ გადაგვერჩინა ცხოვრების ნათელი საზრისი.

ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელია მის მიერ აღწერილი დორაისხევი გაუგონარი ინტრიგებით, სისხლის წყურვილით, გაცემა-დაუნდობლობით, ყოველგვარი სიკეთის გათელვით, ბოროტ ნებაზე დაფუძნებული ძალაუფლებით, მზაკვრობით რომ დაუმკვიდრებია საყოველთაო შიში. ეს ის ქვესკნელია, ის ჯოჯოხეთი, პროგრესის მსახურებს რომ ფარ-ხმალს აყრევინებდა, თავისი მომაკვდინებელი ცოფის გავრცელების არეალის გაფართოებისათვის რომ იბრძოდა დღენიადაგ.

წითელი და შავი – ამ მიკროსახელმწიფოს არსის წარმომჩენი ფერებია, მოჯადოებული წრის მახასიათებელი, სადაც საბედისწერო ჭირით ნადგურდებიან ადამიანები.

ამ ჩაკეტილ სივრცეში ადამიანები მგელკაცებს ემსგავსებიან და მგლური კანონებით ცხოვრობენ, თითქოს არ ჩანს გარღვევის პერსპექტივა.

აპოკალიფსური მხეცების სათარეშოდ ქცეულა ქვეყანა. Mმაგრამ ბნელეთის ამ უდაბნოში ,,ნაწილიანნიც" არიან, რომლებიც გრძნობენ დაფარულს, ჩხრეკენ მიზეზებს, სათუთად ინახავენ ყვავილის, ცეცხლის (საღვთო სახელებია) ხსოვნას, ადღეგრძელებენ წყალს, პურს (ღმერთის სიმბოლოებია), სადაც აგნებენ ადამიანური ყოფნის არსს, სადაც არა ოდენ ცოდვით დამძიმებულნი, ,,ტრფობის მთაზე" ამაღლებულნიც არიან, მათ კიდევ ძალუძთ წაბილწულ მიწაზე ამაღლება.

ჭასავით ღრმა და მზერაჩაუწვდენელია გოდერძი ჩოხელის პერსონაჟების სული, მათში მგლური ინსტინქტები თვლემს, მხეცური კომპლექსები იფურჩქნება, მაგრამ, ამავე დროს, ,,ნაწილიანთა" სულის ყვავილის სურნელიც გვაბრუებს.

ამ სამყაროში გულქვაობის ყინულით გათოშილ სულს მარადიულ ცეცხლზე ითბობენ, არსობის წყალს და პურს გულით ეთაყვანებიან და გონიერ, სულიერ ცას

გაჰყურებენ. სასწაულს - მოწყურებულნი ეძებენ ტოტალური ცოფის მკურნავ წამალს, საბედისწერო შავისა და წითელი ფერის მოძალების უთეთრესისა და უწმინდესის მოვლინება ენაცვლება, გამოცხადების მადლი კი, ნათლის შემოქმედის წყალობით, წმინდა გზას უჩვენებს იჭვნეულთ.

,,ნაწილიანთ" თმათეთრი მოხუცი (ღმერთი) ამხნევებს, ყვავილს უტოვებს, ნუგეშმწყურვალეთ ეცხადებათ ის, ვისაც მათი სული ქვეცნობიერად ეძებდა და გადარჩენაც გარანტირებულია.

გადარჩება სული, ცეცხლშემოგზნებული დედამიწა.

გამოჩნდება უნათლესი, უწმინდესი არ გაიწირება დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ერი, ,,არ გახმება იესეს ფესვი".

ამ გადარჩენისთვის მლოცველი იყო გოდერძი ჩოხელი, სიცოცხლეშივე ნათელშემოსილი, სიხარულშემოსილი, სულიწმინდის მადლით ცხებული.

,,კაბალისტები ვარაუდობდნენ, რომ სულიწმინდის მიერ შთაგონებული წიგნი სრულყოფილ ტექსტს წარმოადგენს, ანუ ისეთნაირ ტექსტს, სადაც შემთხვევითობის ელემენტი ნულამდეა დასული" (1, 51).

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, გოდერძი ჩოხელიც იგავებით წერს და თვითონაც იგავია, ღვთიური საიდუმლოებებით სავსე, ბიბლიური დავითივით: ,,იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა" (ფს.77,2)(2,604).

,,ყურს, მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს გამოცანას" (ფს.48,5) (2;572).

გოდერძი ჩოხელს თითქოს ადგილის დედა უამბობს იგავებს, გუდამაყრის ხეობაში ეხსნება ცა და ევლინება ღვთიური ხილვები.

,,გაიხსნა ცა და ვიხილე ღვთიური ხილვები" (ეზეკიტი, 11.21) გვამცნობს ბიბლიური წინასწარმეტყველი.

,,აჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის" (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა)(3,273) აღმოხდება გალაკტიონს.

გოდერძი ჩოხელის ხილვები, გამოცხადებები ღვთის რჩეულის, უზენაესისგან ინსპირირებულის ხილვებია, ისინი ქვეყნის მომავალზე მიანიშნებენ და ათეიზმის გაცილებით მოწამლულ სულს აიაზმასავით ეპკურებიან.

გუდამაყრელი მოგვი თავისივე რომან ,,მგელის" თანდილას მიაგავს, სურნელოვანი ყვავილებით შემოსილ, სასწაულებრივ თაიგულად ქცეულს,

ფერადოვანი სულის გამოსხივებით რომ გვაბრუებს, მარადაქტუალური მოწოდებით რომ შეგვძრავს: ,, იპოვე ყვავილი!''

გოდერძი ჩოხელი ქრისტეს მიწიური ვენახის (ქართველი ხალხის) მევენახე იყო, რომელიც სარეველებისაგან, უნაყოფო ლერწებისაგან წმენდდა უფლის ქმნილებას და მკითხველის სულს მარადიული ყვავილის სურნელით ასპეტაკებდა.

,,მწერალი იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაულღობს, გაყინულ ფესვებში გამლხვალ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებს, საიდანღაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილის მხრებზე რომ დასვამს...

,,ყვავილებმა კი აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს, თორემ ამ ქვეყნად მწერლებზე ადრე არავინ არ ჭკნება, თუ მათ არ უსმენენ.

,,მეც მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს არ დავუჭკნე საქართველოში" (4,25).

სწორედ ასეთი ყვავილივით ფაქიზი და, ამავე დროს, უზენაესივით მარადიულია გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, სიტყვის მარადიული ყვავილი, საღვთო მადლით ცხებული.

რომანში ,,მგელი" მწერალმა განაზოგადა ქვეყნის ნგრევის, რწმენის, სულის გატიალებისაკენ მიმართული საქმიანობა ტოტალიტარული სახელმწიფოს მესვეურთა და მას იგავურად ,,დორაისხევი" უწოდა. ამ სამყაროსათვის უცხო იყო ჰუმანიზმი, რწმენა, თავისუფლება. ამა ქვეყნის ძლიერთ დაუმორჩილებელთა დასათრგუნავი ქამანდი ჰქონდათ მომარჯვებული, ,,შეგუების ეტლში" შესაბმელად დარაჯობდნენ, მოსათვინიერებელ გალიაში უკრავდნენ თავს მოუთვინიერებელთ.

დორაისხეველთ თავიანთი ადგილის დედა ჰყავდათ და ისეთ ხაფანგებს აგებდნენ, ოდნავი წაბორძიკებაც კმაროდა, რომ მათთან ამოეყო გზააბნეულს თავი.

ეშმაკეულთ თავიანთი ,,საფიხვნო" ჰქონდათ, მათ სათავეში იყო ცალთვალა ეშმაკი. ამ ცალთვალობაზე აქცენტი შემთვევითი როდია. ცალთვალანი იყვნენ ურწმუნონი, ათეისტები, ნივთიერის, მატერიალურის გარდა ვერაფერს ვერ ხედავდნენ, სული და სულიერება უცხო იყო მათთვის. კოჭლი და ცალთვალა იყო გოეთეს ,,ფაუსტის" მეფისტოფელიც.

,,მგლის” პერსონაჟი თევდორე ღვთისნიერი თანდილას შთამომავალი იყო, მაგრამ ვერ დაიცვა მამის ,,სავენახე”, ნადირობის ჟინს გადაჰყვა,გზა აებნა და ორიენტაციადაკარგულმა, დორაისხეველთა კარზე ამოჰყო თავი უნებურად.

,,ძირი ეთხრება წმინდა ოცნებას, სოფლის საცდური როცა ძალადობს” (შენს სიამაყეს მივესალმები) (5,215), გვამცნობდა ანა კალანდაძე.

საცდური კი ძალზე ბევრია ცხოვრებაში.

სოფლის ცდუნებებს აყოლილი, საღვთო მადლის დამკარგავი თევდორე სულიერი მიძინების, სიფხიზლის მოდუნების შედეგად სატანისეულთა ხელდასხმას ვერ აცდა.

ეშმაკეულთა მიერ თევდორეს დამონების ნიშანია მის ყელზე შემოხვეული ალერდია (იგივე საბელი, ჯაჭვი).

ნათლობის მთავარი ატრიბუტია სისხლი.

,,ინათლება მგლად.....დღეის მერე ევალება: იყოს მგელი და მხოლოდ მგელი. სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის მსგავსი, არცა კატის, არცა ეშმაკისა.

დღეის მერე იყოს მორჩილი ბრძანებისა ჩვენისა და მისგან განწესებული ყოველი კანონის.

დღეის მერე სვას სისხლი და ერიდოს მძორს!

არ დაინდოს ადამის ძე!

არ უღალატოს მგლებს!

ნადირობისას არ მოშალოს რკალი!

ყოველივე, რაც განწესდება ჩვენს სამსჯავროზე, იყოს შეუვალი კანონი მისთვის.

ყელს გადაცმული ალდახი იყოს მისი მგლობის ბეჭედი.

მოინათლოს!...

მოიტანეს მგლის სისხლი და გადამასხეს” (6,71).

კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებას, კომუნისტების პარტიულ წესდებას გვაგონებს დორაისხეველთა ეს ქცევა, კოდექსის კანონის ფარად აფარებით, რადგან ყოველთვის კანონიერების სახელით თარეშობდნენ მტაცებლები.

მგელთა ტოტალურ მძლავრობას ხედავს ავტორი არა მარტო მთაში, არამედ ქალაქში, სოფელში, ყველგან.

მთელი ეპოქის სულის წარმომჩენია თევდორეს ნათქვამი: ,,ხალხში ვეღარ ვჩერდები. გული ხან რომელ კაცზე მეტყვის, ა, ეს კაცი მგელიაო, ხან რომელზე.

...სადაც კი წავსულვარ, ყველგან მგლის სუნი ტრიალებს.

ხალხი ცხვარია, როგორც კი მგლის სუნს იკრავს, დაფრთხება, მით უმეტეს, თუ სინათლე არსაიდან ჩანს და თუ სიბნელეში ცხვარი დაფრთხა, დაღუპულია იმ ფარის საქმე (6,147).

ორი გზა არსებობს: ან მგლების რკალის გარღვევა (რაც ერთეულთა ხვედრია), ან მათი მორჩილება. თუ შეძლებ და გეყოფა შენს თავში რწმენა და ძალა, მიდი, გაარღვიე ეს წრე, თუ არადა, დანებდი, შენც მგლად იქეცი, შენც იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი.

ქვეყანა სავსეა მგლებით, მათია ასპარეზი, ხოლო ვინც კაცი გააჩინა, დაკარგულია, სადღაც იმალება... მგლებს კი წრე აქვთ შეკრული" (6,172).

დორაისხეველნი პირველობისთვის ეცილებიან ერთმანეთს, სულის წაწყმედის, ანგარების გზით აღწევენ პირველობას, რაც აგრე მომნუსხველია თავმდაბლობის უარმყოფელთათვის, ამპარტავანთათვის.

მგლისსულიანი არსებების ზრახვები ამ პირველობისთვის ბრძოლაში შიშვლდება: ,,ნუთუ იმისთვის მიჰყიდეს მგლებს სული, რომ მგლებს ცხოვრებაში პირველობის მეტი უფლება აქვთ.

ვინ არის პირველი? ვინც უფრო მგელია.

მგელი სიბრალულის სიმგაწყვეტილია" (6,95, 106).

Nნამგლარი, მერე კი კაცად მოქცეული თევდორე აცნობიერებს Lლუკას: ,,ჩვენ ვართ და ღვთის სამართალი. მგლების სამართალი კი სულ სხვაა. იმათ სხვა უწერს მგლურ კანონებს, ღვთის განგებას კი მათთან საერთო არაფერი აქვს... რო არა სულიწმინდა, მგლებს დარჩებოდათ ეს ქვეყანა...

ქალაქში მგელი, რამდენიც გინდა იმდენია, თუმცა შენ რას გამოიცნობდი. კაცი კაცს ჰგავს და არა მგელს... ჩაუსახლდება ვინმეს სულში მგელი და ააყმუვლებს იმის არსებობას, იმდენს აქნევინებს, ახლა სხვას მოაქცევს მგლად...

სადაც სულიწმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ იმ წუთში მგელი ჩასახლდება. მერე ეს მგელი ცდილობს, საზოგადოებას კარგად მოაჩვენოს თავი. მგლებს ხომ კანონები უყვართ. ჰოდა ეს კრავიც კანონებს ეფარება...

...დაილოცოს, წმინდა სამებავ, შენი განგება და ნუ მოაქცევ ქვეყანას სამგლეთად” (6,64).

დორაისხევში იმას აწინაურებდნენ, ვინც შეუბრალებლობით იყო გამორჩეული. ერთხელ ერთ თათარს (დორაისხევი ინტერნაციონალური ,,სამოთხეა”) დაევალა ჯარჯის მოკვლა, მაგრამ ჯარჯიმ იმარჯვა, თვალში ხანჯალი ატაკა მომხვდურს და ბრძანება ვერ შესრულდა. ეს არ აპატიეს თათარს დორაისხევლებმა, თავიანთი რიგებიდან გამოაგდეს და მგლადქცევის ნიჭი წაართვეს(6,161).

,,დორაისხევლებს არ უყვართ ის, ვისაც არ ეშინია და თავის ნება-სურვილზე არ დადის”(6,162).

Mმერე ჯარჯის მოქცევა გადაწყვიტეს, მაგრამ ამაოდ.

თევდორე ყვება: ,,მგლებმა სუყველაფერი გადაგვავიწყეს. თუ კაცი ერთხელ მგლობის გზას დაადგა, ადამიანობას ივიწყებს”(6,192).

მგლური ინსტინქტების ადამიანები საკუთარსაც არ ინდობენ. ერთხელ თევდორეს ,,მგლობის შიმშილი” ეწვია და თავის უცოდველ ძმას –ლეგოს წაეტანა, მაგრამ ის გაიქცა, კეთილი ლეგო ძაღლმა იხსნა.

დორაისხევთა შტაბი უდაბურ ხევში იყო. სურფაზე იყვნენMმგლები, კაცები, ქალები. ზევით იჯდა მბრძანებელი დორაისხეველი, რომელსაც ანგარიშს აბარებდნენ, ვინ როგორ იმარჯვა უკუღმართულ საქმეებში. თათბირზე დორაისხეველის ბრძანებით ვიღაც აწამეს და ისე გამოტეხეს რაღაცაში, მერე შეკრეს ბალახის ალდახებით და დილეგში ჩააგდეს.

მგელი ბასა მონადირეთა წინამძღოლი იყო, მას დაჰყვებოდნენ მგლები: ჯალაბა, ბოღრა, ჯღუნა, აპარეკა, წიწილო, ფეფო, ჟოჟა, ჯაყო, ქორა. დამსმენი იყო მგელი ქალი-ცაცო. მისგან გაიგეს, რომ დონატა მთაზე იმყოფებოდა და მგლებმა დაგლიჯეს.

ვინც სათანადო სისასტიკეს ვერ გამოიჩენდა, საყვედურს იმსახურებდა. ერთხელ ერთი ლამაზი ბიჭი მოკლეს, დედა მის ნაფეხურებს კოცნიდა. ჯალაბას უნდოდა, ეს მგლოვიარე დედაც მოეკლა, მაგრამ თევდორემ არ მისცა ნება, ეცნენ სხვებიც და წინამძღოლი ჯალაბა მოკლეს. გადაწყვიტეს, სამსჯავროზე არ ეთქვათ ჯალაბას მოკვლის ამბავი.

დორაისხეველმა მგლებს მოენე მგლები მიუჩინა.

მგლებს უნდოდათ, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, გადაეგდოთ და შეეპყროთ დორაისხეველი, მაგრამ გასცეს შეთქმულება, შეიპყრეს გაფიცულები და წამებით მოკლეს. გამცემი იყო წიწილო. ერთხანს ის გახდა წინამძღოლი, მაგრამ მერე ისიც მოკლეს და ქორა აირჩიეს.

დორაისხევში ისევ მოხდა შეთქმულება, მაგრამ გამოჩნდა ჯაშუში. უცხო მგლები შემოუსიეს ადგილობრივებს და უდაბნოს გზას გაუყენეს ურჩები. შემდეგ ჯაყო გახდა წინამძღოლი.

დორაისხეველთათვის უცხო იყო ურთიერთგატანა, რომანში მხოლოდ ხარისა და ძაღლის ერთგულება მოჩანს სამაგალითოდ (6, 87).

მგლებს, ,,ვისაც კაცის სახით ხალხში უშვებდნენ, ზოგს რა ჰქონდა დავალებული და ზოგს რა. მგლები... შენს კეთილ საქმეს ავად მოაჩვენებენ ხალხს, თავისნაირ მგლებს შენზე დაგეშავენ და სისხლს გამოგწოვენ. შენი შურთ... და თანაც დავალებული აქვთ ყელი გამოღადრონ კეთილ საქმეს. ამისთვის იშველიებენ ყველანაირ კანონს და გაჰყმუიან – ამა და ამ კანონის ძალით, ამას და ამას მიესაჯოს ესა და ეს!" (6,143).

მგლების დავალებაში შედიოდა ქმრიანი ქალების ცდუნება ქრთამით, სამსახურით, ფულით, რომ თავიანთი მსგავსები გაემრავლებინათ. ასეთ ნამუსახდილ ოჯახში უფრო მეტი შანსი იქნებოდა მგლის დაბადების და გაზრდის. ,,ასე მტკიცდება და მრავლდება მგლების საზოგადოება", ასკვნის თევდორე(6,144).

,,საზოგადოება ყოველთვის ორი ფაქტორის-უმცირესობისა და მასების დინამიური ერთობაა. უმცირესობა ინდივიდთა ჯგუფია, თავისებურად რომ განსხვავდება ბრბოსგან. მასა კი ადამიანების ბრბოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკური თვისებები არ გააჩნიათ. მასა ადამიანთა თავმოყრაა, გამონაკლისთა გარდა, იგივე ბრბო, რომლის ნება ინსტინქტებზეა დამოკიდებული" (7,8).

ნიცშეს აღაშფოთებდა ,,ბრბოსთან ვაჭრობა და ჩალიჩობა ხელმწიფობისთვის" (8,75-76).

პოლ ვალერს სახელმწიფო წარმოედგინა ,,უზარმაზარ, საზარელ, ჩლუნგ, მოუქნელ, მოუხეშავ ციკლოპად, ურჩხულად", რომელიც ,,მხოლოდ პატარა კაცუნების მოფუთფუთე ბრბოთი სულდგმულობს. მისი ვეება შუშის თვალი ვერაფერს ამჩნევს, გროშებისა და მილიარდების გარდა" (9,129).

ზვიად გამსახურდია აღნიშნავს მეოცე საუკუნის კაცობრიობის მასის ტოტალურ გადაგვარებას და ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის თავდადებულთა მცირერიცხოვნებას უპირისპირებს ,,ბნელეთის მოციქულთა ლეგიონებს, მრავალრიცხოვნების წყვდიადს.”(10,32-33).

Mმწერალი გულისტკივილით აცხადებს: ,,სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკისეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა”(10;61-62).

დორაისხევის უბედურება იიყო კოლექტივი, რომელიც ხალხის ყვლეფის ოსტატურ ფორმას წარმოადგენდა.

კულაკობის ბრალდებით ხალხს ქონებას ართმევდნენ. ჩოხელაანთ გოგიას სახლი და საქონელი ჩამოართვეს, იმის სახლში კანტორა გახსნეს.

განკულაკებისას ორი ქვაბი თუ ჰქონდა ვინმეს, ერთი მიჰქონდათ. ზოგი ტყეში მალავდა ნივთებს, მაგრამ მოენეების საშუალებით ყველაფერს იგებდნენ ხალხის მეთაურები. როცა სოფელში დათვს ხაფანგი დაუგეს და დაიჭირეს, იმის ბუნაგში ნახეს ქვაბები, ვარცლები, ფარდაგები, გარმონი, მატყლი.

ქვაბებთან ერთად კოვზებიც არ ავიწყდებოდათ. ერთ ოჯახში სპილენძის ქვაბი მოეწონათ და ფაფიანად წაიღეს.

მშრომელ ხალხს კულაკს უწოდებდნენ და მის ქონებას თვითონ ითვისებდნენ. თუ რას წარმოადგენდა ეს ქონება, კარგად ჩანს კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანში ,,კოლხეთის ცისკარი”. ბარნაბა საგანელიძის მთელი ქონება ერთ ურემზე დაეტია.

Mმგლების მეთოდი იყო მამა-შვილთა, ძმების გადაკიდება. თადეოზ მღვდელი ამოიჩემეს, ეკლესიაში განძი აქვსო. რაკი იგი ვერ იპოვეს, თავისი შვილი ქორა გამსიველი მიუსიეს. ქორამ მამას თმა-წვერი გაკრიჭა, გადამალული ქონება ზედ დაჰკიდა და ასე სოფელ-სოფელ მოჰყავდა ყელზე საბელშებმული. მამის მწვალებელი ქორა დააწინაურეს. თადეოზმა შვილი დაწყევლა და გადაიკარგა.

მერე თადეოზი მთაში ნახა თევდორემ, ფრინავი ბერების მთაზე. მთა წმინდა ადგილად ითვლებოდა. სოფლისა და საკუთარი შვილისგან განწირული მოხუცი ლოცვით იმშვიდებდა სულს. მგელმა ჯალაბამ თადეოზისგან გაიწია, წინამძღოლმა ნება არ მისცა. ქორას დორაისხეველის ბრძანება ჰქონდა მღვდელზე თავდასხმის. თადეოზმა პირჯვარი გადაიწერა, როცა მიუახლოვდნენ. ქორამ კლანჭები ჩაასო. მღვდელმა უთხრა: მოგეკითხებათ.

მგლები არ ინდობდნენ ობლებს, გაჭირვებულებს.

დორაისხევში ხშირად იცვლებოდნენ ბრძანებლები. ზოგი თვითონ კვდებოდა, ზოგს კლავდნენ. მბრძანებლებს დორაის კლდეში არაქართველებიც ჰყავდათ. გულადებს ემტერებოდნენ, იმდენს ეცდებოდნენ, სანამ ასეთ კაცს სულს არ გააყიდვინებდნენ და სათავისოდ არ მოაქცევდნენ.ზოგს თვითონ იშორებდნენ თავიდან, ზოგს მგლებს მიუსევდნენ, ან რაიმე ხიფათს გადაჰყრიდნენ. ეს კანონი უცვლელი იყო (6,158).

სამგლეთში გარდაცვლილ ბელადებს კლდეში ასაფლავებდნენ პატივით. ღირსების საზომად სისასტიკე ითვლებოდა. თევდორემ თავისი გაზრდილი ხარი არ დაინდო, ხბო დედის რძეში მოხარშა, რაც ძალზე ცინიკურია. ერთხელ ძმისკენაც გაიწია.

მგლად მონათლულს გამოცდას უწყობდნენ, კლდიდან ყინულის ლოლუები უნდა ჩამოეგდო შეყმუვლებით. ნამდვილ ჯოჯოხეთს ჰგავდა მათი სერობა.

მგელქალა ცაცო გაწირეს,რადგან ეცოტავათ მისი სისასტიკეს ხარისხი, აქტიურობა.

მგლებს აღიზიანებდათ სიყვარული, ერთმანეთს აშორებდნენ ცოლ-ქმარს, რადგან დანგრეულ ოჯახში მეტი შანსი იქნებოდა მგლის გაზრდის.

,,...საზოგადოებაში, სადაც ღმერთი უარყოფილია, ადამიანი გადაიქცევა მხეცად, რადგან ღმერთის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ გაუქმებულია ზნეობა. ხოლო იქ, სადაც ღმერთი, ანუ ზნეობა უარყოფილია, უარყოფილია ადამიანიც”(11,115).

ასეთ წრეში სიყვარულზე ცინიკურად საუბრობენ, უფრო მეტი, საერთოდ უარყოფენ მას:,, მარადიული სიყვარული და მსგავსი რომანტიკული სისულელეები მთვარეულთათვის დაგვილოცნია, პროლეტარიატს არ სჭირდება მთვარეულები. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამას ლიტერატურულ განყოფილებაშიც შეიგნებდნენ”, ნათქვამია გრიგოლ რობაქიძის ,,ჩაკლულ სულში”(12,26-27).

Pპროლეტარული მწერლობის კრიტიკოსები აშკარად უარს აცხადებდნენ ქრისტიანულ სათნოებაზე და ყველაფერზე მაღლა კლასობრივ ბრძოლას აყენებდნენ. ,,ქრისტიანული სათნოება ჩვენთვის უცხოა. სამკვდრო-სასიცოცხლო კლასობრივი ბრძოლის დროს არავითარ სასიყვარულო დათმობებს არ შეიძლება ექნეს ადგილი. ჩვენი კლასობრივი ალღო ისე არ დაჩლუნგდება, რომ ბრძოლაში სიყვარულს

დაუთმოს ადგილი, აცხადებდა სიამაყით 1934 წ. საბჭოთა ლიტერატურის ნაფიცი კრიტიკოსი ბენიტო ბუაჩიძე”(11,136).

თევდორე შვიდი წელი იყო მგელი და იტანჯებოდა თავისი ჩადენილი საქმეების გახსენებით.

მწარე მოგონების გარდა, მისი სასჯელი ისიც იყო, რომ მძორის სუნი სცემდა, თუ სოფელში ვინმეს სიკვდილი ელოდა. სიკვდილისათვის გადადებულ კაცში ადრევე იგრძნობოდა ეს სუნი.,,მგლობიდან გამომყვა ეს ალღო”, ამბობს თევდორე.

სოფელში მრავლად იყვნენ მონათლული თუ მოუნათლავი მგლები. ისინი აღდგომის დღესასწაულს უშხამებდნენ უმანკო, სულწაუბილწავ ბავშვებს, არწმუნებდნენ, აღდგომა არ არსებობსო. ლუკა წითელი კვერცხებით რომ გამოცხადდა სკოლაში, დირექტორმა იმით დასაჯა, რომ ეზო შემოარბენინა და კვერცხები დაემტვრა.

გვახსენდება კომუნისტების მოწყობილი ანტირელიგიური პროცესიები კონსტანტინე გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცებაში” (13,221).

სკოლის მასწავლებლებიც იყვნენ წითელი ბაცილებით მოწამლული. ერთხელ მათ შველი დალანდეს აღდგომის წინადღეს და იმდენი სდიეს ტყეში გაქცეულს, სანამ არ მოიხელთეს და სიცოცხლეს არ გამოასალმეს.

გვეცნაურება შვლის მტრები ვაჟა ფშაველას ,,შვლის ნუკრის ნაამბობიდან” (14,279-288).

გალაკტიონს ბედისწერასავით სდევდა ,,უმიზეზოდ მოკლული” შვლის სევდა, მისი ,,სინაზის” მოკვლას რომ მოასწავებდა, მისი ნაადრევი და უმიზეზო სიკვდილის ტკივილი: ,,გაისმა შორი სროლის ხმა მთაში და მონადირემ დაჰკოდა შველი... საღამო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი... კუბო უმიზნოდ მცურავი ქარში და უმიზეზოდ მოკლული შველი!... რისთვის მოჰკალით ჩემი სინაზე? მახსოვს ფოთლები, ვენახი, თივა... ო, მეგობრებო, სანამდე მივა ოცნება ფერფლზე, მზეზე, წვიმაზე!” (სროლის ხმა მთაში) (15,289).

,,მგელში” მინიშნებულია ერთპარტიულ არჩევნებზე, ტოტალურ გაყალბებაზე.

რომანში მგლად მონათვლის მთავარი ატრიბუტია სისხლი.

ცნობილია, რომ სისხლით ნათლობაში განსაკუთრებით კომუნისტებმა გამოიჩინეს თავი.

გრიგოლ რობაქიძის ,,ჩაკლულ სულში “ კომუნისტი პეტროვი თამაზ ენგურს უყვება, რომ ზოგიერთი გპუ-ელი სისხლში იბანს ხელებს. ერთი გპუ-ელი მძიმეჩექმებიან ლამაზ ქალს აიძულებს, სისხლით სავსე აბაზანაში ჩაწვეს.

,,ვინც სისხლს ღვრის, ოკულტურ ძალას იღებს”, ამტკიცებს პეტროვი.

,,მხოლოდ მაშინ, თუ სისხლი ღმერთს ეწირება მსხვერპლად, უსწორებს თამაზი, რასაც არ ეთანხმება თამაზი, სისხლი ეშმაკსაც სჭირდებაო.(12,60-70).

თამაზი განარჩევს ღმერთთან მისტიური კავშირის სისხლით შენარჩუნებას, სამშობლოსთვის სისხლით შეწირულთ და ეშმაკისთვის სისხლის შეწირვას, რაც ბოროტეულთ ხელეწიფებოდათ(12,70-71).

,,ჩაკლულ სულში” სისხლის სუნი უდით ლენინს, სტალინს, პეტროვს, ბერზინს, ბოროტეულთა იმპერიის მსახურთ.

სისხლით გაუმაძღარია რევოლუციონერი ზურაბ გურგენიძე მიხეილ ჯავახიშვილის რომანში ,,ქალის ტვირთი”, ხოლო პროტოტიპად რევოლუციის ამ ლიდერისა მიიჩნევა სტალინი, რომელიც კლასობრივ მტრებზე შურით გახელებული ამბობს: ,,ოცდაათი კაცი მოკლეს, ასიოდე დაჭრეს. ამ რიცხვს ოდესმე სამიოდე ნულს მივუმატებთ და ვალს გადავუხდით. იქნება ოთხიც და ხუთიც მივუმატოთ, ერთმანეთის ხორცს დავაგლეჯინებთ, გაჩენის დღეს ვაწყევლინებთ”.(16,59).

Qქრისტიანული ნათლისღება სულიწმინდით და ცეცხლით ხდება. იოანე ნათლისმცემელი ეუბნება ებრაელებს: “მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად, მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია,... ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმენდით და ცეცხლით” (მათე, 4,11) (2,5).

სისხლით ნათლისღება რწმენისთვის მსხვერპლის გამღებთა ხვედრია: ,,...ნათელვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა... და მერე კვალად შთავხდე წყალთაცა და კვალად განვნათლდე...”, ამბობს ქრისტიანად მოქცეული არაბი აბო(იოანე საბანისძე, ,,აბოს წამება”)(17,461).

როგორც ცნობილია, ყველა მორწმუნეს, რომელიც უკვე ნათელღებული იყო, მარტვილობა, სისხლის დათხევა მეორე ნათლობად ერაცხება (ედიშერ ჭელიძე, ,,ეკლესია-რძალი უფლისა,” (190, გვ. 136).

გალაკტიონ ტაბიძემ აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების მთელი პლეადა გვიჩვენა: ,,მხეცი თოკიანი, მალული მხეცი, უფსკრულიდან მომავალი მხეცი, ბნელი

საუკუნის მღვრიე ნადირი...” ისინი სისხლისღვრის, ცრემლის გუბეების დაყენების, ნგრევის, განადგურების ოსტატები არიან.

მოვლენათა გაიდუმალების ხერხს მიმართა გოდერძი ჩოხელმა რომანში ,,მგელი” და წარმოგვიდგინა საბჭოთა წყობილების სახე.მის მიერ დახატული დორაისხევი სატანური იმპერიის მოდელია, ხელისუფლებისგან ხელდასხმული დამქაშებით, გამორჩეული უღმერთობით, გაცემა-დაუნდობლობით, ბოროტი ქმედებებით, სისხლის წყურვილით, რეპრესიებით.

ბიწიერების მკურნალობა, განწმენდა, ცოდვათა ჩამორეცხვა ქრისტიანული ცხოვრების მიზანია, რაც სინანულით, ლოცვით, დიდი ძალისხმევით მიიღწევა.

,,ყველას თავისი გზისებრ განგსჯით... შეინანეთ და მოიქეცით ყველა თქვენი შეცოდებისაგან და აღარ გექნებათ დაბრკოლებად უკეთურება.”

მოიშორეთ ყველა თქვენი შეცოდება... შეიქმენით ახალი გული და ახალი სული.”, გვასწავლის ბიბლია(ეზეკიელი,18,30,31)(18,209).

,,თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის აჭრელებულ ბეწვს?”(იერემია წინასწარმეტყველი,13,23) უსაფუძვლო როდია ეს ეჭვი.

სამწუხაროდ, უმეტესად ბოროტეულთა გზას აგრძელებენ უმეცარნი.

,,უკურნებელია შენი ჭრილობა, სამემკვიდროა შენი წყლული.

შენი დიდი დანაშაულის გამო.” (იერემია, 30,12,15) (18,154).

როგორც ყოველთვის, ,,მზაკვარნი მზაკვრობენ, მზაკვარნი ზაკვით იმოსებიან.”

შიში, ხარო და ხაფანგია შენს წინ, ქვეყნის მკვიდრო”(ესაია წინასწარმეტყველი, 24,16)(18,90).

ბიბლიის მიხედვით, მახვილის ამღები მახვილით დაიღუპება, სისხლისმღვრელი სისხლში იცოცხლებს: ,,ჩაგიარე და დაგინახე შენს სისხლში ამოთხვრილი, გითხარი: შენს სისხლში იცოცხლე-მეთქი!” (ეზეკიელი,16,6) (18,205).

ამბობს უფალი: სისხლად გაქცევ და სისხლი დაგედევნება, ხომ არ გძულებია სისხლი და სისხლი დაგედევნება.” (ეზეკიელი,35,6) (18,228).

ბოროტეული საბჭოთა იმპერიის სახეს მინიშნებებით, ქვეტექსტებით, მოვლენათა გაიდუმალების ხერხით ქმნიდნენ ქართველი მწერლები, ისინი გვიჩვენებდნენ სახეებს მსოფლიოში ცნობილი ტირანების, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების, რომელთაც უარყვეს ღმერთი, სატანის მსახურებად იქცნენ და ქვეყნის სათავეში მოსულებმა კანონი იფარეს ფარად, სიკეთის ნიღბები მოირგეს. ცნობილია

მათი პოლიტიკური სიბეცე, ბოროტება, ტახტის ხელში ჩაგდებისათვის გამოჩენილი ვერაგობები.

რევაზ მიშველაძის ნოველაში ,,ფრთები” საბჭოთა კავშირის გონებაჩლუნგ მესვეურს ბრეჟნევს ჰქვია იპიის გუბერნატორი იპიუს მეცხრე. აღწერილია, როგორც გაენდო იგი, ორ კაცს და დასასვენებლად წასული წინამორბედი გუბერნატორის ტახტი როგორ მიითვისა. სინდისი არ აწუხებდა, რადგან წინამორბედების გზას აგრძელებდა, მათაც ამ გზით მიითვისეს სხვისი გვირგვინი.

ნოველაში ,,დაღლილი კაცის ნათქვამი” მწერალი თანმიმდევრულად გვიჩვენებს ამ ,,ყოვლისშემძლე” მესაჭეების, მიტმასნილის, ბეცის, სუბიექტივისტური, ამბიციით შეპყრობილი სნობების, პოლიტიკური ავანტურისტების გადაშენებას, რომელთაც ქვეყანა ,,უძრაობისა და განუკითხაობის ჭაობში” ჩაძირეს, სულელური სამეურნეო ექსპერიმენტებით, რეპრესიებით, ავღანეთის ომით გაანადგურეს.

წიგნებისა და სამეცნიერო შრომების ავტორები სასტიკი ცენზურის პირობებში ქმნიდნენ, მათი ნაწერები ხშირად იჩეხებოდა, იკრძალებოდა, ირყეოდა რწმენა, იკარგებოდა იმედები(19,40-43. 129-132).

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: ,,ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ! აქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებელი. დღეს რომ ერთი ბრძანებლობს, ხვალ იგი დასახვრეტად მიჰყავთ... საბჭოეთში არის არა დემოკრატია, არამედ დემონოკრატია.” (,,გულნადები”) (12,323).

Mმოინელა ხალხმა საბჭოთა იმპერიის უნიჭო, მედროვე, ავანტიურისტი მესაჭეები, გადააშენა მგლები, ურჩხულები, მაგრამ არა საბოლოოდ, სახეცვლილი ფორმით ისინი ისევ მოვიდნენ ასპარეზზე.

როგორც ჩანს, ურჩხული, მგელი, მხეცი ყოველი ეპოქის თანამგზავრია.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანში ,,დათა თუთაშხია” ქვეყნის განმგებელი არის ურჩხული, იგი არის ,,სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა წიაღისა შინა” (20,4).

,,დათა თუთაშხიას” სეთურის იმპერიაც და გოდერძი ჩოხელის დორაისხევიც ანგარებაზე, ყალბ ღირებულებებზე, სისხლზე, სულის წაწყმედაზე,ბრბოდ ქცეული მასების გათელვაზეა აგებული.

როგორც ჩანს ,,მგლური კანონი” განაგებს სამყაროს უძველესი დროიდან დღემდე (21,117-119).

იერემია წინასწარმეტყველი დაეჭვებული კითხულობდა: ,,თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის აჭრელლებულ ბეწვს?" (იერემია,13,23) (18,134).

გოდერძი ჩოხელს აინტერესებდა მგლის შესაძლო ფერისცვალების პრობლემა და მრავალნაირ ჭრილში წარმოგვიდგინა ეს მტაცებელი.

Mმის წიგნში ,,ღმერთის შვილები" (თბ. 2002) რწმენის, ლოცვის, ზიარების, ეკლესიური ცხოვრების მადლით განიწმინდება მთავარი პერსონაჟი და მადლობას წირავს ღმერთს: ,,გმადლობ, უფალო, თუნდაც ერთი კაციც რომ მომაქციე ამ მგლებით სავსე ქვეყანაშიო" (22,36).

მწერლის აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორწმუნე, მართალი წინაპრების სულის ნათელს, სანთელივით რომ ანთებულან ცაში და იქიდან უნათებენ თავისიანებს, რომ არ დაბნელდეს და მგლების ხროვასავით არ დაერიონ ადამიანები ერთმანეთს სიბნელეში(22,57).

M,,მამა მგელში" შვილს მშობლის მგლად წარმოდგენაც კი სულს უფორიაქებს, რადგან მამამ ხუმრობით უთხრა თავის პირმშოს, მგელი ვარო".(23,14-18).

,,მგელი და სიკვდილი" ბედისწერის მგელზე მოგვითხრობს, მასში მგელი აღასრულებს განგების საბედისწერო ნებას.(23,48-54).

მოთხრობაში ,,მგელი" (28,63-70) გამიხარდი საზარლად აყმუვლებულ მგელს ფეხიდან ეკალს ამოუღებს, რადგან მისი მრწამსია, მიეხმაროს ყველას, ვისაც უჭირს, თუნდაც ეს მგელი იყოს. მისი ფიქრისა და საქმის პასუხად მადლიერი მგელი შორიდან შეჰყმუვლებს... ამ შემთხვევაში მწერალს სურდა, რომ მისი მოთხრობიდან ,,სიკეთის ყმუილი მოესმინა ყველას" (23-70).

,,მომშინაურებლებში" (23,71-73) ლაზარიანთ მოშინაურებული დათვის ბელი ისეთი დაუნდობელი გამოდგა,სოფელსაც აწიოკებდა, საქონელსაც, ხოლო ფუტკარი მთლიანად ამოუხოცა კეთილისმყოფელთ.

გოდერძი ჩოხელის რომანში ,,მგელი" არა მხოლოდ ეს მხეცია საუკუღმართოდ მოვლენილი. მასში შეხვედრა გვიწევს დათვთან, გველეშაპთან.

ამ სახეებს მრავლად ჰყავთ წინაპრები ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში, ქართულ თუ უცხოურ კლასიკურ ლიტერატურაში.

,,ბიბლიაში, ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში, ,,დავითიანში" ეშმაკის, ავი სულის, ბოროტი ძალის სიმბოლო და ალეგორიაა გველი, გველეშაპი, ურჩხული." (24,210).

ღარიბი ხალხის მჩაგვრელები ბიბლიაში ლომსა და დათვთან არიან შედარებულნი: ,,რაღა მბრდღვინავი ლომი და ღრიალა დათვი და რაღა ბოროტეული ბატონი ღარიბ-ღატაკი ხალხისთვის" (იგავნი სოლომონისა,28,5) (18,636).

იერემია წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: ,,შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით" (იერემია, 51,34) (18,77).

ანალოგიური შედარებები გვხვდება ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში: ,,ჭაბუკ ლომს ჰგავდი ხალხთა შორის და გველეშაპივით იყავი-თქო ზღვებში.

Mმოგისვრი მიწაზე და ტრიალ მინდორზე დაგაგდებ და დავასახლებ შენზე ცის ყოველ ფრინველს და მიწის ყოველ მხეცს შენით გამოვკვებავ" (ეზეკიელი,32,2,4) (18,224).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში დიდ წითელ გველეშაპს ცაში ებრძვიან მიქაელი და მისი ანგელოზები (იოანეს გამოცხადება, 12,9) (2,505).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემს ზღვიდან ამომავალი მხეცი, რომელსაც გველეშაპმა მისცა თავისი ძალა, ტახტი და ხელმწიფება. იგი გმობდა ღმერთს: ,,გახსნა მან პირი ღვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებული" (იოანეს გამოცხადება, 13,1,2,5,6) (2,506).

შემდეგ გამოჩნდება მიწიდან ამომავალი მხეცი, კრავის მსგავსი, ორი რქით. იგი ლაპარაკობდა როგორც გველეშაპი, სასწაულებით აცდუნებდა ხალხს, დედამიწის მკვიდრთ ეუბნებოდა, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება (იოანეს გამოცხადება, 14-11-18) (2,507).

ბიბლიის კომენტატორები ზღვისა და მიწის მხეცების ხატებაში ლენინისა და სტალინის არქეტიპებს ხედავენ (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (25,411).

Mმომნანიებელთ, სიკეთის გზაზე შემდგართ, მხეცებისაგან დაცვას ჰპირდება ღმერთი: ,,დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და გადავაშენებ ქვეყნიდან სასტიკ მხეცებს.

...მშვიდად იცხოვრებენ და აღარ ეყოლებათ დამაფრთხობელი" (ეზეკიელი 34,35,28) (18,227).

ცოდვებისაგან განკურნება ლომის ხახისგან თავის დახწევად წარმოიდგინება: ,,ხოლო უფალი ამომიდგა მე და გამაძლიერა, რათა ჩემი მეშვეობით აღსრულდეს

ქადაგება და მოისმინოს ყველა წარმართმა: ,,მე თავი დავაღწიე ლომის ხახას”(პავლე მოციქული, “ტომოთე, 4,17) (2,461).

ჰერმან ჰესეს “ტრამალის მგელი” გვარწმუნებს, რომ ადამიანში არის არამარტო ორი სულია, მაგალითად: მგლური და ადამიანური, არამედ უამრავი, რომელთა ერთიანობაც ქმნის ჰარმონიას.

რომანის პერსონაჟი ბოლოს აღწევს იმ სამყაროს, სადაც ხდება ადამიანების მიერ მგლის მოთვინიერება, სულიერი წონასწორობის აღდგენა, და ერთიანი უნიკალური, “მეს” დაბრუნება (26,8-9).

“თანამედროვე დასავლეთის ინდუსტრიულ-ცივილიზებულ ქალაქებში გამხეცებული ნიჰილისტების ანუ მარტორქების დიდი და მცირე გუნდები დათარეშობენ.

ამის შესაბამისად, თანამედროვე დასავლური ლიტერატურა და ხელოვნება აღსავსეა ვარიაციებით მარტორქის თემებზე” (27,92)

Mმგლის, ვეფხვის, დათვის, მელიის, მარტორქების, ვეშაპების, ლომის სახეებს ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ თუ მხატვრულ ჭრილში მრავალგზის შევხვდებით რევაზ მიშველაძის პროზასა და პუბლიცისტურ წერილებში და ეს სახეები ყოველთვის გამიზნულად არის ნახმარი, მიგნებულ კონტექსტებში გამოიყენება.

გოდერძი ჩოხელის რომან “ მგელის” მთავარი პერსონაჟი თევდორე, ღვთისნიერი თანდილას შვილი იყო. მამამ თავის მემკვიდრეს ყვავილის პოვნა, წმინდა გზაზე სიარული დაუბარა ანდერძად, სიზმარშიც ეცხადებოდა გარდაცვალების შემდეგ და შთააგონებდა ყვავილის ძიებას.

თევდორე გულგრილი აღმოჩნდა მამის მოწოდებისადმი, ნადირთა უსაზღვრო ხოცვა-ჟლეტვის გზა აირჩია, ცხოველური ინსტინქტების ტყვეობაში აღმოჩნდა, მისი სულიერება, რწმენა მიმქრალ-მიძინებული იყო და ამ უაზრო ხეტიალში მხეცთა ადგილის დედას გადაეყარა შემთხვევით. თევდორემ ვერ შეიცნო ბოროტება, იგი მგლად მონათლეს, ყელზე ალდახი (საბელი, ჯაჭვი) შემოახვიეს, თავისუფალი ნება აჰყარეს და მრავალი ცოდვა ჩაადენინეს, მაგრამ მონანიებით, უფლის ნებითა და საკუთარი ძალისხმევით ისევ კაცად მოექცა, მამის მართალი გზა მოძებნა, იპოვა ყვავილი (ღმერთი) და მხოლოდ მაშინ იგრძნო ადამიანად ყოფნის სიხარული, სიკეთის ქმნით მოგვრილი ბედნიერება.

ამ გაგებით, თევდორე მგლის მონა კი არა არის მხოლოდ, ეს მონობა დროებითია და როცა მორჩილების ალდახს გაწყვეტს და ღვთის მადლს ეზიარება, იგი მგლის, მგლობის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად იქცევა.

თევდორეს სულის ისტორია ზოგადად ადამიანის, კაცობრიობის სულში ცოდვა-მადლის, სიკეთე-ბოროტების ჭიდილის, სიკეთის საბოლოო გამარჯვებისა და ,,ტრფობის მთაზე"(ვაჟა ფშაველა) ამაღლების განუმეორებელი მხატვრული ისტორიაა.

გარდა თევდორესი, რომანში ,,მგელი" მხეცებთან მებრძოლად წარმოგვიდგება გარსიაც.

გარსია ვიღაცამ წააქეზა, თუ ვაჟკაცი ხარ,იმ დათვს ებრძოლეო.

გარსიამ მოძებნა დათვის სორო, არ შეუშინდა მხეცის ღრიალს, გაბედულად შეუვარდა, მაგრამ არ მოკლა, თუმცა ეტყობოდა, დიდი ფათერაკი გამოიარა, რადგან სისხლიანი გამოვიდა დათვის ბუნაგიდან. იმის შემდეგ დათვი არ გამოჩენილა.

სოფელში შავი წვიმა მოვიდა, შავმა წყალმა დაფარა მიწა, შავი ტალღები აბნელებდა იქაურობას.

გარსია შავი ცხენით გაემართა შავი მდინარისაკენ. საშინელი ხმა გაიგონა და მის კვალზე წითელი გველეშაპი დალანდა. გარსია წყალში გადაეშვა, მოახტა გველეშაპს და მერე ორივენი გაუჩინარდნენ.

Mმეცხვარეებმა შეამჩნიეს, როგორ ამოხეთქა გველეშაპმა მდინარის სათავეში მიწა და შემზარავად აწივლდა.

ლეგენდასავით გავრცელდა, გარსიამ მთელი ხეობა იმ გველეშაპზე ამხედრებულმა გაიარაო.

დაიკარგა გარსია.

ნათელმხილველს მიმართეს გარსიას ამბის გასაგებად. მან სანთელი აანთო და მის შუქზე გველეშაპზე ამხედრებულ გარსიას ხედავდა ერთი კვირა. მერე გველეშაპიანად ჩაინთქა ზღვაში და თან გადაიყოლა გარსია. მაგრამ ხალხს არ სჯეროდა გარსიას დაღუპვა, ეგონათ, იმ ხვრელიდან დაბრუნდებოდა, რომელიც გველეშაპმა ამოგლიჯა. იქიდან ცივი ქარი ქროდა, შემზარავი სუნი ამოდიოდა. ამბობდნენ, რომ ეს იყო ქვესკნელის ჰაერი. ეშინოდათ, რომ იმ ჰაერს ავადმყოფობა ამოჰყვებოდა მაღლა. მაგრამ ხვრელის ამოქოლვა მაინც არ უნდოდათ, რადგან იქიდან მოელოდნენ გარსიას დაბრუნებას.

ერთ დღეს გარსიას ლანდი ცოლ-შვილს გამოეცხადა. იგი ყვებოდა, ქვესკნელში ვიყავი, იქ ყველაფერი გველეშაპივით წითელი იყო, ცაც წითელი იყო და მიწაც. მარტო ხალხი ყოფილა შავად, ლანდისებურად.

გარსია უსხეულო იყო. საიქიოში ვერ გაეძლო, რადგან იქ სავაჟკაცო საქმეები არ ჩანდა. უნდოდა დაბრუნება, მაგრამ ნებას არ აძლევდნენ, წესი არ არისო.

გარსია ხეობაში თიბავდა, მაგრამ არ ჭამდა, მარტო წყალს სვამდა.

სოფელში არჩევნების დღეს ხმა აიმაღლა, როცა მონაწილეობის უფლება არ მისცეს, ამოწერილი ხარო. მოითხოვდა, ბარათი მიეცათ, რომ გაეგო, ვის ირჩევდა. მილიციას დაუძახეს, რადგან ყუთი გააქრო. ციხეში გაუშვეს ამის გამო. მერე ციხე ააფეთქეს, მაგრამ გარსია იქ აღარ იყო.

ხალხს სწამდა გარსიას დაბრუნება.

ეშმაკთან, იგივე აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლია თევდორეს მამა თანდილა, რომელიც მაცდურს სულს არ მიჰყიდის და ჯოხს მოუღერებს.

მხეცები თარეშობენ ქალაქშიც, რომელთაც არაერთგზის გადაეყარა ლუკა და არც ერთ შემთხვევაში არ დაემონა მათ. მისი გაქცევა ქალაქიდან ბრძოლის ველის დატოვება როდია, არამედ უკეთურებისგან განრიდება, თვითგადარჩენაა, სულის გადარჩენა. ქალაქი კი სულიერი უდაბნოა.

,,მოვიძულე კრებული უკეთურთა და ბოროტთა გვერდით არ დავჯდები",ამბობს დავით წინასწარმეტყველი (ფს.26,5,) (2,546).

ბოლომდე გაუთვითცნობიერებელ Lლუკას არ ესმოდა, რომ მგლების ნაკლებობას არც სოფელი განიცდიდა და ვიდრე ,,ტრფობის მთაზე" დამკვიდრდებოდა, თავისი დიდი წინამორბედის-ვაჟა ფშაველას დარად, გამოცდა უნდა გამოევლო, დიდი ჭირთათმენა, უნდა ეხეტიალა ყარიბივით, რათა თევდორეს გადაჰყროდა და მისი ნაამბობით შეეჯერებინა ყველაფერი, მადლისა და ცოდვის დაპირისპირებაში უნდა გაეკეთებინა არჩევანი.

ლუკას ორჯერ გამოეცხადა თეთრი მოხუცი, რომელმაც თავისი უზენაესი მისია ამცნო-ეპოვა ყვავილი, ერთხელ კი თვითონ მისცა ყვავილი.

ვაჟა ფშაველას ,,მოჩვენებაში" მოთხრობის პერსონაჟს მცველად ევლინება ღმერთი თეთრ წვერა მოხუცის სახით (28,298).

ის, რომ სოფელში წითელი გველეშაპი გამოჩნდა, რომელმაც მიწა ამოანგრია და იქიდან ამოსული მყრალი სუნი ჯოჯოხეთის შეგრძნებას ქმნის, შემთხვევითი როდია. ეს არის ადამიანთა ცოდვების, ურწმუნოების საზღაური.

ბიბლიაში გვხვდება სისხლის ღვრა, შავეთის ხახა, როგორც შედეგი უზნეო, უღმერთო ცხოვრებისა.

,,ისრაელის ხალხი და იუდას ხალხი... სამართალს მოელოდა და, აჰა, სისხლის ღვრა...

ამიტომაც გაფართოვდა შავეთი და ხახა უზომოდ დააფჩინა. ჩახდება იქ მისი დიდება და უხვება, მისი შვება და ლხენა" (ესაია, 5,7,14) (18,124).

სამყაროში ცოდვების მომრავლების მიზეზი ეშმაკის მძლავრობაა, ადამიანის მცდარი გზით სვლის მიზეზი მაცდურია: ,,ვიცი, უფალო, რომ ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა, რომ მომავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს" (იერემია, 10,23) (18,135).

Mმაგრამ უფალია ცოდვილთა მიმტევებელი, განმწმენდელი (ეზეკი, 20,12) (18,210).

ეშმაკის მცდელობით თუ ეცემა ადამიანი, ღმერთის ნებით შესაძლებელია დაცემულის ადგომა: ,,ასე ამბობს უფალი: განა ვინც დაცემულა, არ ამდგარა, ან ვინც გაბრუნებულა, არ მობრუნებულა?" (იერემია, 8,4) (18,133).

გოდერძი ჩოხელის თევდორემ დაივიწყა მამის შეგონება, დაივიწყა ყვავილი (ღმერთი) ჯვრის გარეშე იარა, ამიტომაც მხეცების საბუდარში ამოყო თავი. მხოლოდ უფალმა, ჯანსაღმა გენეტიკურმა კოდებმა, მამის გამოცხადებამ, დიდმა ძალისხმევამ იხსნა იგი საუკუნო წარწყმედისაგან. მან თავი დააღწია მგლის ხახას.

ყველაფერი კანონზომიერად მოხდა, რადგან ხსნა მხოლოდ რწმენაში, მარადიული დედა-ძისკენ გზის გაგნებაში იყო.

,,დაუჯდომლის" ავტორი და დავით გურამიშვილი ქრისტესთან ერთად, მარიამსაც თვლიან "უხილავთა მხეცთა მაოტებლად."

,,დაუჯდომელი": ,,გიხაროდენ, უხილავთა მხეცთა მაოტებელო."

დავით გურამიშვილი - ,,სიტყვიერთა ცხოვართ ქნარო და უხილავთ მხეცთ დამსხარტო" (24,384).

ვაჟა ეგრისელი ებრძვის აპოკალიფსურ მხეცებს, ,,სიძულვილის შავ მგელს”(ქართული მიწა ბრძოლის ველია) (20,75), მტრობის და ღვარძლის ცხრათავიან გველეშაპს (შურის ციკნები დაკიკინებენ) (29,171).

,,კოლხური ფსალმუნების” ავტორი, როგორც დიდი ფშაველი, ,,ცხრათავიანი დევების დამრბევია” (29,887). მისი პოეზია არის ,,გალობა მებადურთა და მონადირეთა” (სამარადისო) (29,507).

,,ნადირობა არის ბრძოლა ადამიანის ნეგატიურ საწყისებთან. რაინდულ სიმბოლიკაში მონადირე რაინდი ის არის, რომელიც გადის კათარსისს, სპობს თავის ინსტინქტებს, ვნებებს, სურვილებს, რომელთაც განასახიერებენ მხეცები” (30,251).

სასულიერო პოეზიაში წმინდა გიორგი არის ,,ქრისტეს მონადირე, რომელმაც დასცა მხეცი იგი მძვინვარე (“იოანე მინჩხი”, “გალობანი გიორგისნი” (31,507).

წმინდა იოანე ოქროპირი უღირს კაცს ლეშის მჭამელ მგელს ადარებს: ,,უღირსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს”, ეს მგელი, სხვა მხეცებთან ერთად, ,,პატივმოყვარეობის კუნძულზე მკვიდრობს”.(32,98).

წმინდა ეფრემ ასური შენატრის მართლმორწმუნე კაცს, რომელიც ვერ აცდუნა უწმინდურმა მგელმა: ,,კურთხეულ არს, ვინც წმინდა ეკლესია ირჩია. ესე არს კრავი, რომელიც ვერ წარიტაცა მგელმა. (32,101).

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი დარწმუნებულია, რომ მგლები ცხვრებად და ცხვართა მწყემსებადაც შეიძლება იქცნენ, თუ უფალი ინებებს: ,,...იმათგან, რომელნი აწ მგელნი არიან, ოდესმე მრავალნი, ცხვრებად უნდა მივითვალო და ვინძლო ზოგნი მწყემსებადაც! ამას თვით მწყემსი კეთილი მახარებს მე, რომლის მიერაც სულს დავდებ ცხოვართათვის”(33,78-79).

ლიტერატურა

1. ხორხე ლუის ბორხესი, ენიგმათა სარკე, თარგმნა თ.ჩხენკელმა, თბ 1996.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ-I, თბ. 1988.
4. გოდერძი ჩოხელი, ღმერთის შვილები, თბ.2002.
5. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ.1988.
6. გოდერძი ჩოხელი, მგელი, თბ.1988.
7. ხოსე ორტეგო ი. გასეტი, მასების ამბოხი, თბ. 1993.

8. ფრიდიხ ნიცშე, ესე იტყუოდა ზარატუსტრა, თარგმანი ი. ტატიშვილის, თბ. 1993.
9. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ.1983.
10. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ. 1995.
11. აკაკი ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თხზ. ტ-III, თბ. 2004.
12. შერისხულნი 15 ტომად, ტ. 2, თბ. 1994.
13. კონსტანტინე გამსახურდია, ,,მთვარის მოტაცება", თბ.1991.
14. ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986.
15. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
16. ლია ყატაშვილი, წითელი გველეშაპი ბროლის კოშკს მოჰხვევია, ,,კრიტიკა", 1991, ¹5-6.
17. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ-I, თბ. 1987.
18. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990.
19. ლუარა სორდია, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, თბ. 2001.
20. ჭაბუა ამირეჯიბი, ,,დათა თუთაშხია", თბ1986.
21. შოთა ნიშნიანიძე, ლექსები, თბ.1983.
22. გოდერძი ჩოხელი, ღმერთის შვილები, თბ2002.
23. გოდერძი ჩოხელი, მოთხრობები, თბ.2003.
24. ტიტე მოსია, ,,დავითიანის" სახისმეტყველება, თბ2005.
25. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ1994.
26. ჰერმან ჰესე, დამსვენებელი, ტრამალის მგელი, თბ1985.
27. ზურაბ კაკაბაძე, ფილოსოფიური საუბრები, თბ.1988.
28. ვაჟა ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ.5, თბ.1961.
29. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ-I,თბ.2001.
30. ზვიად გამსახურდია, ,,ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, თბ.1991.
31. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ-I, თბ.1987.
32. სიტყვა მართლის სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ.1991.
33. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი VI, თბ.1992.

ბიბლიური პარადიგმების გამხელილი სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში

ვაჟა ეგრისელის ღრმააზროვანი ფილოსოფიური ლირიკის ძირეული პრობლემაა ადამიანის შეცნობა, მისი არსებობის ფორმების და დანიშნულების, ცხოვრების საზრისის ძიება-მიგნება. ამ საკითხებს პოეტი აშუქებს მრავალგვარად, სიღრმისეულად.

ამჯერად გვაინტერესებს მხეცისა და მისი ვარიაციების მრავალმნიშვნელოვანი სახეებით როგორ არის გაცნობიერებული ადამიანისა და ცხოვრების რაობა სოციალურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ ჭრილში ბიბლიასთან, მითოლოგიასთან, ღვთისმეტყველებასა თუ ქართულ-უცხოურ კლასიკურ მწერლობასთან მიმართებაში, რადგან ამ სახეთა იგავურ-სიმბოლურ გააზრებას უძველესი ისტორია აქვს.

საკითხის მასშტაბურობის წარმოსაჩენად ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაჟა ეგრისელის ღმერთებით, ანგელოზებით, სერაფიმ-ქერუბიმებით, უზენაესი იდეალებით ცნობილ პოეზიაში ამ წმინდა სულების პარალელურად თანაარსებობენ ნაირსახოვანი ნადირ-მხეცები: დევი, ბაყბაყდევი, მგელი, აფთარი ტურა, ციკლოპი, ცერბერი, ურჩხული, ჯიქი, ავაზა, გველეშაპი, ფოცხვერი, ვეფხვი, ლომი, ქიმერა, მხეცი, უნასი, სქილა, ქარიბდა.

ისინი ხან გარეგან ძალად ვლინდებიან, ხან ადამიანის სულში სახლდებიან და ანგრევენ, ანადგურებენ ცხოვრებას, ზნეობას.

პრობლემა მდგომარეობს მათ დამარცხებაში, მოთვინიერებაში, რადგან მარადიულია და გარდუვალი სიკეთის ჭიდილი სულის ნეგატიურ საწყისებთან, რომელიც ხელშემწყობ პირობებში იფურჩქნება და ადამიანის გაუსახურებას იწვევს.

ეს მარადიული სატკივარი პოეტმა ორიგინალურად, ახლებურ ჭრილში გაიაზრა, თავისებურად გადაწყვიტა, გენიალურად "გაეჯიბრა" (უნებურად) წინამორბედებს თუ თანამედროვეთ და თვალმიუწვდენელ სიმაღლეზე ავიდა.

ჯერ უწინარესად თვალი გადავავლოთ წინარე ტრადიციებს.

ფსალმუნის ავტორი აფიქსირებს: "მათი შხამი მსგავსია გველის შხამისა, ყრუ ასპიტისა, ყურს რომ დაიჩულავს.

... ლომთა ეშვები მოთხარე, უფალო” (ფს. 58, 5, 6) (1, 581).

დავით წინასწარმეტყველი ევედრება ღმერთს: “შერისხე მხეცი ლერწმიანისა, ხარების ჯოგი ხბოებს შორის, რომლებიც ტრაბახობენ ოქროს ზოდებით”. (ფს. 68, 31) (1, 592).

“მიხსენი ლომის ხახისაგან და მარტორქისაგან გადამარჩინე”. (ფს. 21, 22) (1, 543).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი გვამცნობს: “შეთქმულან აქ მისი წინასწარმეტყველები, ლომებივით ბრდღვინავენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ.

მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისათვის” (ეზეკიელი, 25, 28) (2, 214).

ესაია წინასწარმეტყველებდა: “გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება” (ესაია წინასწარმეტყველი, 14,29) (2, 841).

იერემია წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: “შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით” (იერემია, 51, 34) (2, 177).

“გაბნეული ცხვარია ისრაელი, ლომმა დაფანტა” (იერემია, 50, 17) (2, 175).

კერპების მოთაყვანე, უზენაესის დამვიწყებელ ისრაელის ხალხს ასე ემუქრება უფალი: “ნანგრევებად ვაქცევ იერუსალიმს, ტურების ბუნაგად” (იერემია, 9, 10) (2, 134)

საზარელი სიკვდილით დაიხოცებიან... მათი გვამები ცის ფრინველთა და მიწის მხეცთა კერძი გახდება (იერემია, 16,4) (2, 140)

“აჰა, მოგისევთ მოუნუსხავ უნასებს და დაგგესლავენ” (იერემია, 8, 10) (2, 133)

ურწმუნოების გამო ასეთ სასჯელს ჰპირდება ღმერთი “სამეფოთა მშვენება” ბაბილონს: “უდაბნოს მხეცები გაიჩენენ იქ ბუნაგს და მიკიოტებით აივსება მათი სახლები.

ტურები მოჰყვებიან კივილს გაოხრებულ სასახლეებში (ესაია, 13, 21, 22) (2, 143)

მას, ვინც პირველად ცოდვა ჩაადენინა, გველი ეწოდება და მახვილი უფლისა მოწეულია ვეშაპსა ზედა გველსა გულარძნილსა” (ესაია, 27, 1) (2, 143).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: “იერუსალიმს დაუდგა საშინელი ჟამი, შიმშილი-სასტიკი მხეცი და ჟამი-ქვეყნად კაცისა და საქონლის გასაწყვეტად (ეზეკიელი, 14, 21) (2, 204).

“მიტოვებულია ჩემი ცხვარი და მიწის მხეცების კერძი გამხდარა უმწყემსოდ დარჩენილი” (ეზეკიელი, 34, 8) (2, 226).

სხვაგან მშვიდობის აღთქმას და მხეცების გადაშენების პირობას აძლევს უფალი ისრაელს: “დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და გადავაშენებ ქვეყნიდან სასტიკ მხეცებს” (ეზეკიელი, 34, 25) (2, 227).

ახალ აღთქმაში უფლის წყალობით მარცხდება მტაცებელი: “ხოლო უფალი ამომიდგა მე და გამაძლიერა, რათა ჩემი მეშვეობით აღსრულდეს ქადაგება და მოისმინოს ყველა წარმართმა: “მე თავი დავაღწიე ლომის ხახას” (პავლე მოციქული, II ტიმოთე, 4, 17) (1, 461).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში გვხვდება დიდი წითელი გველეშაპი (77, 12, 3) (2, 505). მიქაელი და მისი ანგელოზები ცაში ებრძვიან ამ უწმინდურს: “გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი და მისი ანგელოზებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად”.(12, 9) (1, 505).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემენ ზღვიდან ამომავალი მხეცი და მიწის მხეცი. გველეშაპმა ზღვის მხეცს მისცა თავისი ძალა, ტახტი და ხელმწიფება. იგი გმობდა ღმერთს: “გახსნა მან პირი ღვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებული” (იოანეს გამოცხადება, 13, 1, 2, 5, 6) (1, 506).

მიწიდან ამომავალი მხეცი, კრავის მსგავსი ორი რქით ლაპარაკობდა, როგორც გველეშაპი, სასწაულებით აცდუნებდა ხალხს, დედამიწის მკვიდრთ ეუბნებოდა, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება (იოანეს გამოცხადება, 14, 11-18) (1, 507).

თეოლოგები, ჯერ კიდევ II საუკუნიდან ეძებდნენ ბიბლიური ანტიქრისტეს ისტორიულ პროტოტიპს. ეს ძიება დღემდე არ წყდება: ნერონი, დიოკლეტონე, ნაპოლეონი, პატრიარქი ნიკონი და სხვ. მაგრამ არავის უცდია გაეხსნა ეს შიფრი ლენინისა და სტალინის მიმართ (3, 249).

ცნობილია მოსაზრება რომ პირველ, ზღვიდან ამომავალ მხეცში ხალხის მასებიდან მოსული ლენინი იგულისხმება, ხოლო მიწის მხეცი არის იატაკქვეშელი სტალინი. (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (4, 441).

აღსანიშნავია, რომ დანიელის წინასწარმეტყველებაში ოთხი მხეცის სახით მინიშნებულია ოთხი სახელმწიფოს აღზევება. ეს მხეცებია: ლომი, ტანზე არწივის ფრთებით, რომელიც ადამიანივით ორ ფეხზე დადგა და კაცის გული მიეცა – სიმბოლო ბაბილონის იმპერიისა, დათვის მსგავსი მხეცი სამი ეშვით-მიდია-სპარსეთის გაერთიანებული სამეფო, შემდეგ ხდება ზღვიდან ჯიქის მოვლინება, რაც ასპარეზზე საბერძნეთის მოვლინებას მოასწავებს და შემდგომ რკინის კბილებიანი მხეცი, ყველაფრის გამანადგურებელი, მკრეხელური სიტყვებით, სიმბოლო რომის იმპერიისა, სადაც კეისართა ძალაუფლება პაპების ძალაუფლებამ შეცვალა, დაიწყო თვით უფლის წინააღმდეგ გალაშქრება, მცნებების შეცვლა, ცრუ სწავლება, წარმართული წეს-ჩვეულებების აღდგენა, რეპრესიები, მორწმუნეთა დევნა, ეპისკოპოსის გამოცხადება ღვთის მოადგილედ, "სხვა ღმერთად". ეს ძალმომრეობა გრძელდებოდა 1798 წლამდე, ვიდრე საფრანგეთმა არ აიღო რომი და არ დაატყვევა პაპი.

დანიელის წინასწარმეტყველება ზუსტად აღსრულდა (დანიელი, 7, 25).

მხოლოდ განკითხვის დღე არ დამდგარა (არტურ ს. მაქსველი, ღმერთი და სამყაროს მომავალი, დანიელის წიგნის კომენტარები, თბ., 1994, გვ. 33-41).

გარდა ბიბლიის და კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებისა, ვაჟა ეგრისელი ითვალისწინებს მითოლოგიურ სახეებსაც: "ზღაპრებიდან მოისმის ხმები საარაკონი – ბაყბაყ დევის ჭყივილი. ხუთკუნჭულას ჩურჩული: ადამიანს ვითა მტრობს გველი, ჯარბი, დრაკონი, ვასილისკო, ასპიტი, ვეშაპი და დემონი, ეშმაკი და იქედნე, უნასი და ურჩხული" (ზღაპრებიდან მოისმის, "კოლხური ფსალმუნები", თბ., 2008, გვ. 962).

XX საუკუნის ლიტერატურაში აპოკალიფსური მხეცების სახეებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გალაკტიონ ტაბიძის პოეზია (5, 18-24).

ნაირგვარი ბიბლიური პარადიგმა ფიქსირდება რევაზ მიშველაძის ნოველებში: ლომი, მგელი, ჩრდილოელი დათვი, ურჩხული, ვეშაპი, ტურა-მელები, ცერბერი, ვეფხვი, ვეშაპი, მარტორქა, დევები.

"თავმოჭრილი და ქედგამოცლილი ვეფხვის მსგავსია ახლანდელი საქართველოს რუკა", წერს მწერალი ("ვისგან ვათავისუფლებთ აფხაზეთს") (6, 4).

მეზობელი აგრესორი ქვეყანა ამოიცნობა რ. მიშველაძის სტრიქონებში: "ჩრდილოელი დათვის უზარმაზარი ჩრდილი ეცემა საქართველოს" (7, 258).

სხვაგან ვეშაპია ქვეყნის მტერი: “გამოფხიზლდით, ქართველნო, ოსტორიის ვეშაპი ჩასაყლაპავად გვეპარება” (8, 433).

ასევე დრაკონია ჩვენი ამომგდები (9, 14).

პურის რიგები მარტორქათა ბრძოლას გვაგონებს (8, 345).

სხვაგან უსულგულო ადამიანია ვეშაპი (“მიუკარებელი”) (7, 210).

ასევე მრავალი მაგალითი დაიძებნება მწერლის ნოველებსა და პუბლიცისტურ წერილებში, სადაც ადამიანი, მისი ბრძოლა თავისუფლებისთვის, “პარტიული და პოლიტიკური განგსტერიზმი” დახასიათებულია მგლის, ლომის, ურჩხულის სახეთა გამოყენებით.

ცნობილი პროზაიკოსი ოთარ ჩხეიძე ამბობს: “მხეცებში ადამიანები ამოელანდებათ, ადამიანებში მხეცები მოსჩანანო, ირწმუნებიან. ირწმუნებიან და გარწმუნებენ: დააკვირდი თუნდაც კეთილი, კეთილი თვალითაო, ოღონდ საგულდაგულოდ დააკვირდიო, - კაცი წაიშლება, მხეცია თითქოსო. შინაურ პირუტყვზე ნუღარას იტყვი: იმდენი ხანია მოშინაურდნენ, იმდენი ხანია შეეწყვნენ ერთმანეთსა – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო” (10, 4).

თანამედროვე დასავლეთის ინდუსტრიულ-ცივილიზებულ ქალაქებში გამხეცებული ნიჰილისტების ანუ მარტორქების დიდი და მცირე გუნდები დათარეშობენ.

ამის შესაბამისად, “თანამედროვე დასავლური ლიტერატურა და ხელოვნება აღსავსეა ვარიაციებით მარტორქების თემაზე”. (11, 92).

ნიცშესათვის სახელმწიფოა “საშინელი, ცივი მხეცი” (12, 42).

ახლა თვალი გავადევნოთ, რას გვაუწყებს, როგორ შემოქმედებითად ეკიდება ამ სახეებს ვაჟა ეგრისელი, რამდენად მრავალმნიშვნელოვნად და სხვადასხვა ასპექტში მოიაზრებიან ზემოხსენებული პარადიგმები, რამდენად ხატოვანია მისი სამყარო და როგორ ამდიდრებს წინარე ლიტერატურულ ტრადიციებს.

“ბიბლიაში, ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში, “დავითიანში” ეშმაკის, ავი სულის, ბოროტი ძალის სიმბოლო და ალეგორიაა გველი, გველეშაპი, ურჩხული, იქედნე, ასპიტი, დევი” (13, 210).

კონკრეტულად, დევი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაპირისპირებული ძალაა: “ქართულ ენაში დევმა მიიღო ჭეშმარიტი სარწმუნოების საწინააღმდეგო

კულტის მნიშვნელობა. ამავე მნიშვნელობით შემოდის დევი ქრისტიანულ შეგნებასა და ტექსტებში” (14, 19).

ვაჟა ეგრისელი ქართლსა და კოლხეთში ავსულებს-დევებს ხედავს, მაგრამ მათ უპირისპირებს მითოლოგიურ რაინდებს-კოპალეს და არამხუტეს: “ზღაპრიდან და ლეგენდიდან ისევ ცხადად ვხედავ: კოლხეთში და ქართლში ყველა გზა და ხევი ცას შესცქერის უხმოდ, ავსულებით დახუთულს და მუსრს ავლებს უღვთოდ, თუ სადმეა დევი, მთაში კოპალე და ბარში არამხუტე” (კოპალე და არამხუტე) (15, 319).

ბოროტებას - დევს, როგორც ხალხურ “ამირანშია”, გზისამრევი მსტოვრებიც ჰყავს, რომლებიც მთავარ გეზს გვაკარგვინებენ: “გზას, ბაყბაყ დევის მსტოვარი კვლავ გვირევს, არ ჩანს საშველი, ვით ბადრი, უსუპ, ამირან მესამედ იქვე მივედით, ჩვენ რომ დავკარით ისარი. მამულო ნამაისარო, აქა-იქ მაინც ასხია, მაინც მწიფდება იმედი” (15, 944).

ლექსი დათარიღებულია 1995 წლით და აშკარაა, რომელი სახელმწიფო იგულისხმება დევში და რომელი გამყიდველი პოლიტიკოსი დევის მსტოვარში, რომელთაც ერთობლივი ძალისხმევით შეუქმნეს ჩვენს ქვეყანას ურთულესი დემოგრაფიულ-ტერიტორიული პრობლემები.

ლექსში “გაგრის დაცემა” (15, 991) უფრო კონკრეტდება დევის ადრესატი, მას ენაცვლება ცეცხლისმფრქველი გველეშაპი და უახლესი ისტორიის ტრაგიზმი წარმოჩნდება მიგნებული სახეებით: “გველეშაპი ცეცხლს აფრქვევდა, ამირანმა შეძლო შებმა, მაგრამ როცა გადაყლაპა დევმა გაგრა, ერთმანეთს კვლავ გადახედეს ქართლის მთებმა და ზღვაც შავად აიძაგრა” (15, 991).

ცხადია, ამირანის სახეში უთანასწორო ომში ჩაბმული ჩვენი ქართველი მეომრები იგულისხმებიან.

ვიდრე ეს მოხდებოდა, ჯერ ზიზღს უნდა ეშვა “სიძულვილის დევი”, რომელიც უსაფუძვლო პრეტენზიემით წაეპოტინებოდა აფხაზეთს. პოეტი მარტო შედეგებს კი არა, ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზებსაც უღრმავდება: “ბოლოს, ვით იქნა, აფხაზეთი დააფეხმძიმეს – ქართველის ზიზღით აფსუებმა და ...ვითარც ზღაპარში, დრო გაიჭინთა და შობა დევი სიძულვილისა, რომელმაც ერთად ჩაგვიყლაპა: სოხუმიც, გაგრაც, ზღვაც და ბიჭვინთაც”. (ბოლოს ვით იქნა) (16, 338).

სხვაგან დევის სახე ფილოსოფიურ ჭრილში მოიაზრება. სიკვდილის მადა დევის გაუმაძღრობასთან არის შედარებული ლექსში “სარკოფაგები”: “მიწა დევია, - ჰაუ, რამდენი ჩაუყლაპავს ჩვენი თვისტომი”. (15, 591).

ასევე შთამბეჭდავია დევის სახის გამოყენებით სიკვდილის ტრაგედიის გადმოცემა ძაღლის ყმუილისა, დევის მადისა და ჭირისუფალთა ცრემლების ფონზე: “აყმუვლდებიან ძაღლები მყისვე, როდესაც იგი მოიკითხავს მათეს და ლუკას. არც შეცოდება და არავის შიში და ხათრი. გვყლაპავს სიკვდილი ბაყბაყივით სულ ლუკმა-ლუკმა, ჭირისუფალთა ცრემლს აყოლებს – წუხილის კათხით” (აყმუვლდებიან ძაღლები მყისვე) (17, 768).

ერთგან დევი პოზიტიურ ჭრილშიც გამოიყენება, კოლხი რაინდები დევებად იწოდებიან შემართების, ვაჟკაცობის გამო.

ლექსი “ღიად დარჩენილ მტრობის კარიდან” ქართველთა იმ განუკურნებელ მანკიერებას ეხება, რაც კუთხურობაში, ურთიერთდაუნდობლობაში გამოიხატება. ნაწარმოებს საფუძვლად უდევს მხედრიონელთა ერთ-ერთი ვანდალური თარეში კოლხეთის მიწაზე, რასაც გულისტკივილით გვამცნობს პოეტი: “ღიად დარჩენილ მტრობის კარიდან – სიკვდილმა როცა შემოიჭვრიტა, სადგომი დევთა და ტარიელთა ჩემი კოლხური მიწა იჩქითად, ვაჰმე! რა უცებ დაცარიელდა!” (15, 190).

დევებს კეთილ, უძლეველ არსებებად წარმოგვიდგენს გოდერძი ჩოხელი რომანში “ღმერთის შვილები”. ნაწარმოების პერსონაჟები ახალდაბადებულს დევის ჭიპს უდებენ ჯიბეში, რათა ამ გოლიათის ძალა დაებედოს. ასევე, კეთილ დევებს ჰგვანან რომანის გმირები: ბაყდარი და საპყარი (18, 67).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ვხვდებით დევის კიდევ ერთ, ძალზე საინტერესო გაგებას: სიტყვა ცხრათავა დევია, რომლის დამარცხება, მოთვინიერება რაინდულ შემართებას მოითხოვს: “...და მე სიტყვის დევებს ვებრძვი, ბაყაყსა და ცხრათავიანს” (კოლხთა ზღაპრულ წარსულიდან) (15, 447).

ამაზე უფრო მიგნებულად შეუძლებელია დახასიათებულ იქნას სიტყვის ძალა, ყოვლისშემძლეობა, რომლის მოხელთება რაინდთა ხვედრია. ამიტომაც პოეტის ლექსების ცათამწვდენ კოშკში გამუდმებით მოისმის დევთა გრგვინვა-გრიალი: “...და დევთა გრგვინვა და გრიალი ზამთარ და ზაფხულ კვლავ მოისმის ჩემი ლექსების ცათამწვდენ კოშკიდან” (ზღაპარში ეშვები იალებს) (15, 111).

აქ ზღაპრის ინტონაციების შემოქმედებით გათავისებასთან გვაქვს საქმე. დევის ძალა იმალება პოეტის სტრიქონებში: “დევებს, ზღაპრიდან გამოქცეულებს (რომლებიც ბავშვებს ასე აშინებთ), ვითარცა ერთ დროს, დიდი ფშაველი, მეც სტრიქონებში ვამწყვდევ მაშინვე” (დევებს, ზღაპრიდან გამოქცეულებს) (17, 793).

“პოეტი ... ბაყბაყდევივით ცის ქვაბშია გამოკეტილი” (პოეტს) (17, 538).

ოჯალეში დევის სისხლია, ღრუბელი დევია...

დრო-ჟამიც ცხრათავიანი ბაყბაყდევია და მასზე გამარჯვების ხერხებს მხოლოდ რჩეულნი, შემოქმედნი ფლობენ: “სიცოცხლით გადაირევი, ვით პაპის-პაპა და პაპა. და ცხრათავიან ბაყბაყ ჟამს, ყელშიაც გაეჩხირები და ვერასოდეს ჩაგყლაპავს” (სიცოცხლით გადაირევი) (16, 118).

სიცოცხლე, ცხოვრება ქრისტე ღმერთის სიმბოლური სახელია: “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე” (იოანე, 14, 6) (1, 211).

ვაჟა ფშაველა იყო ბუმბერაზი დევების ნათლია. მის “ოცნებაში” (ტ. 5, 80) უზარმაზარი დევის გამოჩენა შეიარაღებული ლაშქრით ბოროტების მოძალებას გვამცნობს, მაგრამ უკეთურება მარცხდება სულიწმინდის ძალით.

“ნამძინარევი დევების”- მთების მგოსანი ვაჟა ფშაველა ვაჟა ეგრისელს მარად ახსოვს, რადგან მისი “ნაგრამია”, “ძმა, წინაპარი, თანატოლი”. ჩვენი თანამედროვე პოეტი შემოქმედებითად ითავისებს ფშაველი გენიოსის დიდ ტრადიციებს და არასოდეს კარგავს ორიგინალობას, თანაც არ ავიწყდება საკადრისი პატივი მიაგოს დიდ წინამორბედს.

ამ საკითხში ისინი ერთმანეთს ხვდებიან, როგორც დევების, ბოროტების დაუძინებელი მტრები, ამიტომ როცა თავის დამსახურებაზე საუბრობს, ვაჟა ეგრისელს მუდამ გასიგრძეგანებული აქვს “ბახტრიონის” ავტორის მაგალითი: “ცხრათავიანი დევების – შიშის ზარი და დამრბევი (როგორც ის დიდი ფშაველი), ქვეყნად რად გაჩნდი ნეტავი, საუკუნეთა – დამფშვნელი, პოეტი – რკინისმკვნეტელი” (ცხრათავიანი დევების) (17,887).

პოეტის იდეალია ქართული ზღაპრის დევებთან მეომარი ამირანი, მებრძოლი სულის ორეული: “ვით ამირანი დევებს, დღეებს მეც ისე ვებრძვი, სანამ, ო, სანამ ჩემი ბედის დამდგარა ეტლი” (ფიქრების მაღალ ბოლში და კვამლში) (17, 481).

დევთან ჭიდილი ცოდვილ მიწასთან განშორებით და ცაში, მაღალ იდეალებთან ზიარებით მთავრდება: “ვით ცეროდენას, გამოქცეულს დევის

კოშკიდან, მეც ბაყბაყ ჟამის მომდევს მდევარი, ხელში მიჭირავს წლების კეტები. და მე გავრბივარ... და მიწაზე დაუტევარი, ცაში ვარსკვლავთა კუნძულებზე დავეხეტები" (ვით ცეროდენას) (16, 533).

ვაჟა ეგრისელმა ბრწყინვალე ხედვითი სახეები შექმნა დევის გამოყენებით: "ბროლით ნაგები ცა-ბააყი დევის კოშკია" (მზე და მთვარე) (17, 304).

ორიგინალური მეტაფორაა: "ღელვამ, დევმა ცხრათვალამ, ძირში მოჭრილი... მოიბა ერთად ცხრა თავი და დაეძგერა დედამიწას ჩასაყლაპავად" (მოწყენილი ციდან) (15, 429).

ან: "თითქოს ურჩმა და გაგრიამ, გალეშილმა დევთა ხროვამ, ზღვა სულ მიანგრ-მოანგრია"(ზღვა ქარიშხლის შემდეგ) (15, 949).

"დარდის დევის" ცხრაკლიტულს "მწყემსი კეთილის" (ღმერთის) ნებით აღწევს თავს ლექსის ლირიკული გმირი: "...შენც დარდის დევს, კლიტულში ჰყავხარ გამოკეტილი, მაგრამ წამით არ გტოვებს იგი- "მწყემსი კეთილი" (სადღაც ძაღლი შუაღამისას, "კოლხური ფსალმუნები", ტ. 4, გვ. 459).

ლექსში "შენ"- გვხვდება "პოეზიის ბაყბაყდევის" სახე: "ქართული სიტყვის დიდი ზღვა, რომ არასოდეს დამყაყდეს, უცვლი წყალს, კვლავ გავეშებით, შენ პოეზიის ბაყბაყდევს-აუელვარე ეშვები" (ტ. 2, გვ. 534).

დევთა ჯოგის მომრევად მითოლოგიური კოპალა წარმოიდგინება: "კარატის მისადგომებთან, ...კოპალა ამოზევზევდა: დევთა ჯოგს ერეკებოდა აკუშურაის ხევზედა" (კოპალა, ტ. 2, გვ. 813).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს მგლის პარალიგმას და ეს სახეც მრავალმნიშვნელოვანია, სიმბოლურ-ალეგორიული.

"მგელი მოუთვინიერებელი მტაცებელია" (19, 310) "მხეცი ბოროტი" (20, 455).

ბიბლიაში მრავალგზის გაიელვებს ამ საძულველი მხეცის სახე.

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ანგარებიანი და ვერაგი მთავრები არიან შედარებული სისხლისმღვრელ მგლებთან: "...მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის" (ეზეკიელი, 25, 28) (2, 214).

წმინდა იოანე ოქროპირი უღირს კაცს ლეშის მჭამელ მგელს ადარებს: "უღირსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს", ეს მგელი, სხვა მხეცებთან ერთად, "პატივმოყვარეობის კუნძულზე" მკვიდრობს" (21, 160, 161, 236).

წმინდა ეფრემ ასური შენატრის მართლმორწმუნე კაცს, რომელიც ვერ აცდუნა უწმინდურმა მგელმა: “კურთხეულ არს, ვინც წმიდა ეკლესია ირჩია. ესე არს კრავი, რომელიც ვერ წარიტაცა მგელმა” (21, 201).

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი საუბრობს თავის “ზღუდე-გალავანზე”, რომელიც არათუ “მიუდგომელია” მგელთათვის, არამედ მგლების ცხვრებად მოქცევის უნარის მქონეცაა: “...ჩემი ზღუდე-გალავანი... მიუდგომელია მგელთათვის, არც ავაზაკებს შემოუშვებს შიგნით და ვერც მპარავნი თუ გარეშენი გარდმოევლებიან მას. კარგად ვიცი, რომ ოდესმე მას უფრო ფართოსაც ვიხილავ, რომ იმათგან, რომელნი აწ მგელნი არიან, ოდესმე მრავალნი ცხვრებად უნდა მივითვალო და ვინძლო ზოგნი მწყემსადაც! ამას თვით მწყემსი კეთილი მახარებს მე, რომლის მიერაც სულს დავდებ ცხოვართათვის” (22, 78-79).

მგლის, მხეცის მოთვინიერების საშუალებად ისახება მცნებათა დაცვა, მარხვა, სინანული, ლოცვა, ნათლისღება (22, 61).

მგლად შობილი და მგლად მიცვალებული მგელია მოღალატე ვარსქენ პიტიახში იაკობ ცურტაველის “შუშანიკის წამებიდან”.

მგლის პარადიგმა ორგანულია მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისთვის.

გოდერძი ჩოხელის რომანის ნამგლარი თევდორე კვლავ მართალ, სათნოებით სავსე, მგლების წინააღმდეგ მებრძოლ რაინდად გარდაისახება ლოცვის, სინანულის, სულიწმინდის ძალით (“მგელი”).

შოთა ნიშნიანიძეს კაცობრიობის მთელი ისტორია მგლური კანონების ამოქმედებად ესახება: “ბაბილონიდან, რომიდან, სულაც არ ვამბობ ტყუილს და კიდევ უფრო შორიდან მგლური კანონი ყმუის”.

პოეტი ეჭვით კითხულობს: “იქნება ღვთის ხატს ვატარებ და ბუნაგი ვარ მგლისა და ჩემში მგელი ამთქნარებს მგლური კანონის გამო”.

ზნეობრივი სრულყოფისათვის მებრძოლთ მარადიულად აწვალებთ მგლური ინსტინქტების დაძლევის პრობლემა: “გაყმუის რომის ლეგენდა: -ტყეს დაუბრუნეთ მგლები! ატოტებულა ალგეთი – ტყეს დაუბრუნეთ მგლები!”

მაგრამ სურვილი სურვილად რჩება და ხალხურ სიბრძნეზე დამყარებით ასკვნის პოეტი: “მგელი კი მაინც მგელია! არ მორჯულდება მგელი. მგლის თავზე სახარებაო, თქმაა ღიმილის მგვრელი” (მგლური კანონის ბალადა) (23, 118-119).

იგივე აზრი ასე ხატოვნად გამოიხატა ვაჟა ეგრისელის შემდეგ სტრიქონებში: “მშობელს მოწყვეტილ, მგლების დამფრთხალ ქვიშორ კვიცივით წინ გამიგდეს და მიმარბენენ ჟამთა ქარები” (მშობელს მოწყვეტილ) (17, 511).

იქნებ შემთხვევითი არც ის არის, რომ ნოველისტ რევაზ მიშველაძეს თავისი ხალხი წარმოუდგება “თავჩაქინდრულ, დადედლებულ, ნაზამთრალ და მგელდაცემულ ხბორებად” (“ერის ხსნა”) (9, 262).

არც უდედოდ დარჩენილი მგლის ლეკვის ყმუილი რჩება ვაჟა ეგრისელს შეუმჩნეველი. (ხის ტოტზე) (15, 318).

მგლის სახე მრავალნაირ კონტექსტში მოიაზრა პოეტმა.

ბუნებრივია, მგლის ხსენება ხშირად სიკვდილის ასოციაციას ქმნის: “...ვჭვრეტ ლოდზე ზის სიკვდილი, ვითარცა მესაფლავე და მშიერი სიცოცხლეს მგელივით ილუკმება” (ბარები და ნიჩბები) (16, 42).

სიკვდილის მაცნეა მგლის ყმუილი: “ვითარც ბრძანებდა შენიე-პოეტი მარტოგულია. და სადღაც სიკვდილს მგლები კი ვაჰ, რა საზარლად ყმუიან”. ცად კი სიცოცხლის ხეები დგანან: პალმა და ტუია” (ვითარც ბრძანებდა შენიე) (17, 116).

“უნდო დღეები” მგლების ხროვას ჰგავს, უდედო კვიცზე დადარაჯებულს: “ვით მგლების ხროვამ უდედო კვიცი წინ გამიგდო და უკან წამით არ მომახედა უნდო დღეებმა” (ვით მგლების ხროვამ) (17, 766).

სხვაგან დრო ყმუის მგელივით სიშორესა და სიმარტოვეზე: “დრო გადმოდგება მწუხრის სერიდან და სიშორეს და სიმარტოვეს ყმუის მგელივით”. (დრო გადმოდგება) (15, 255).

სამწუხაროდ, ადამიანთა შორის სიძულვილი ვლინდება მგლის ძალით, სიყვარული კი დათრგუნული შიშის ლეკვია: “ ცას რომ შეყმუის-სიძულვილის შავი მგელია და სიყვარულს რომ დაღავღავებს-შიშის ლეკვია”. (ქართული მიწა ბრძოლის ველია) (16, 751). ასე ჭარბობს სიძულვილი სიყვარულს...

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა-ცხვრის ფარა ამაოდ მოელოდა მწყემსს, იტანჯებოდა მგლის კლანჭებში, ჩვენდა სავალალოდ, ფარამ ვერ იცნო მწყემსი კეთილი (ქრისტე) და ახლაც მგლის ხელშია.

ვაჟა ეგრისელის ლექსში აქცენტი კეთდება დროზე “წინათ, ახლაც”: “ვით წინათ, ახლაც ადამის მოდგმას შურის და მტრობის ნისლები ფარავს. და კვლავ

უმწყემსოდ იტანჯვის მრევლი. ვხედავ: მგლები ჭამს და ბღავის ფარა, თვალებზე სიმწრის მადგება ცრემლი”. (ვით წინათ, ახლაც) (16, 99).

ლექსში “ფიქრები” მგლის ძალით ვლინდება ძიების, შეცნობის, ბრძოლის, შემოქმედების, ფიქრის წყურვილი: “ბრძოლით დაღლილი, მარადიულ ტანჯვის ბუდეში-წევს დედამიწა ფიქრით ნაშობი. სიცოცხლე შიათ და მიწაზე დათარეშობენ და ჩემი ყოფნა ძუ მგლებივით ფიქრებმა დახრეს”. (15, 279).

აღმართმავალი პოეტისთვის ასევე სანატრელია მგლის მუხლი, რათა მისი გალობის სასწაულები შორ სივრცეებს მისწვდეს: “მისდევ აღმართებს ისევ მგლის მუხლით. ხედავ? გალობამ მეც ჩიტივით შორს გამიტყუა” (სიცოცხლის ტოტზე) (15, 175).

მგლების ყმუილი მგლების გაზრდილი რომისა და რემულის ასოციაციას იწვევს და პოეტს იზიდავს ეს მითი: “რომში კი არა, ყველა გზა მიდის ქალაქში არყოფნის... ცხადია, არა ტყუილი მითი რემის და რომულის. მიტომაა მგლის ყმუილი სამყაროს შიშად რომ უვლის”. (რომში კი არა) (16, 804).

ამ ლეგენდასთან შორეულ შემოქმედებით შეხმიანებად ისახება ვაჟა ეგრისელის ლექსი “ვით რომა და რომული”, რომელშიც თვით ავტორია ძუ ლომის გაზრდილი, ჟამთან რაინდულად მეომარი, ცაში და მიწაზე ნათელი სულით მოარული პოეტი: “გპოვა დედიშობილა ძუ მგელმა და გაგზარდა, ვით რომა და რემჟლი და ჟამმა ვერ გაგთელა! ვაჟავ! – შენი სულია-განთიადის ნათელი, ცას და მიწას რომ უვლის”. (16, 116).

რომის დამფუძნებელი და პირველი მეფე, რომული და მისი ძმა რემი ძუ მგელმა გამოკვება, რის გამოც სიმბოლურია ქანდაკება ძუ მგელისა, რომელსაც ორი ყრმა ძუძუს სწოვს.

ეგვიპტეში ზოგ ღმერთს ძუ მგლის... სახე აქვს.

მგლები წმინდა გიორგის ძაღლებია და ვისი დაგლეჯაც დაევალებათ, ვერავინ იხსნის.

მგლისტყაოსანთა პროცესია იმართებოდა კამაჩატკაზე. (24, 295).

ორფიკულ საგალობებში აფროდიტეს ეწოდება ძუ მგელი: “ზეციერო, ...ზღვათაგან შობილო... მადლიანო, უხილავო, ...მპყრობელო ღმერთის სკიპტრისაო, ჰოი, ძე მგელო, მოდგმის მომცემო, მამრის მეტრფევ... საღმრთო ნატამალო...” (აფროდიტესადმი)” (25, 50).

ლექსში “გურჯისტანი” ჯვარცმული საქართველოს გადარჩენის საწინდარად მოჩნეულია მისი “მგლობა”, შეუპოვრობა, რის გამოც სპარსელები საქართველოს გურჯისტანს – მგლების ქვეყანას უწოდებდნენ: “წამების ძელს ჯვარგაკრული, ათასწლებით დალურსმული ვითარც ჩვენი მაცხოვარის – ქრისტეს ლურჯი ტანი ისე მოჩანს საქართველო – ჩემი გურჯისტანი”. (16, 876).

ამხელს რა ჩვენი ხალხის სიკვდილის მსურველთ, საიმედოდ ესახება “მგლისფერის” ხილვა ქართველის სახეზე და აფრთხილებს ვერაგებს: “უკან მოხედვას აღარ აცლიდით, ისარს ტყორცნიდით და სამარეს ჩუმად უთხრიდით ჩემს საქართველოს... მუდამ პირფერი – მორჩა! გათავდა! ახლა უფრთხილდით! ქართველს სახეზე ადევს მგლისფერი” (მტერთა ჩვენთა გასაგონად) (15, 489).

ლექსი დაწერილია 1994 წელს და მინიშნებაა მოყვრის ნიღბით მოსულ პირფერ ჩრდილოელ მეზობელზე, რომელსაც ყოველთვის ძილს უფრთხობდა ჩვენი რჩეული, მგლის შემართების მქონე ხალხის ქვეყანა.

აცნობიერებს რა ამქვეყნად სამგლეთის არსებობს, პოეტი იმედებს ალგეთის მგლებზე-ქართველებზე – ამყარებს: “სანამ ისმის რუსთაველის ვეფხვის წიგნში ლომთა ბრდღვინვა, დე, გაიგოს მტერ-მოყვარემ, ვინ ვიყავით... დღესაც ვინ ვართ. დე, იცოდნენ, რომ სამგლეთი კვლავ არსებობს ამა სოფლად. დრო მოვა და... მგლებს ალგეთის ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ” (სანამ ისმის) (15, 83). ლექსი თარიღდება ავბედითი 1992 წლით.

რაკი მგლის გაზრდილია მისი პოეზიის ლირიკული გმირი, სიცოცხლეში მგელივით მუხლმაგარი, პოეტის იდეალია სიკვდილსაც მგელივით დაუთრგუნავი და უშიშარი შეეგებოს, როგორც ალფრედ დე ვინის მტერმოჯარული მგელი: “ადამის ძეო, მიბაძე ნადირს, აღარ განერთხო მომხდურის ფერხთით, იმ ავაზაკის და არამკითხის. ალფრედ დე ვინის მგელივით შეხვდი სიკვდილს, რომ მოვა ჟამი განკითხვის” (ჟამი განკითხვის) (17, 711).

ალფრედ დე ვინის ლექსში ძაღლთან შებმულ მამალ მგელს ტყვიით დაცხრილავენ, სხეულში დანას გაუყრიან, ის კი, სისხლიანი, მტერს მაინც უმკლავდება, ვიდრე ძაღლი არ დაეცემა. მის უკანასკნელ და გულშიჩამწვდომ მზერაში იკითხება: “როცა დაგიდგება ჟამი განკითხვის, შეინარჩუნე ეგ მხნეობა და დააკვირდი, რომ გონებამ და სიამაყემ არ გიღალატოს; ის მე უღრანში თან მახლდა და ვთმობდი არასდროს. ატარე ტვირთი უმძიმესი, ნუ გსურს ვედრება, ტირილი, ოხვრა

და ჩივილი ლაჩრის ხვედრია. იყავ მდუმარე და სიკვდილის კართან მისული, ამ ტანჯვისაგან შენც უსიტყვოდ განთავისუფლდი” (“მგლის სიკვდილი”) (26, 52-53).

აი ასეთი უშიშარი სიკვდილი უნდა იყოს ადამიანის იდეალი.

ვაჟა ეგრისელის კიდევ ერთ ლექსში გვხვდება ნაბრძოლი მგელი: “ტყის განაპირას, მძორთან ფაშატის, ძვლების, თოფების შავ სიუხვეში ეგდო ნაბრძოლი და ნირშეცვლილი და სულთამობრძავს ვულკანად ქცეულ გუგებში შურისძიება ენთო ცეცხლივით” (“მგლის სიკვდილი”) (17, 777).

ამით არ ამოიწურება ვაჟა ეგრისელის მიერ “მოშინაურებული” მგლისადმი დამოკიდებულება. აქ გვხვდება “სიბერის მგლური ნაბიჯები” (მთვარის ცივი კალმით) (15, 361), მგლებივით შემოპარული სიბერის ბუნაგი (შემოპარულან წლები და) (15, 31), შავი ფიქრების მგლისებრი ყმუილი (რწმენის სანთლად ანთებული) (15, 30), მგლებისაგან შუაღამისას უფსკრულში გადაჩეხილი და ფაშატივით ძვლებიანად დახრული მთვარე (მთაში) (17,318), ძუ მგლების ფიქრებით დახრული ყოფნა. (15, 279).

აქვეა მგლად დაბადებული და ძაღლად მოშინაურებული ცხოველის სევდა, რომელშიც მაინც თვლემს ძველი ჯიში და ჯილაგი, მათ ენატრებათ წინაპრების ტყეში თავისუფალი ნავარდი: “თქვენ მგლის მოდგმა ხართ, ჩემო კარგებო, ფუჭმა ცხოვრებამ ძაღლად გაქციათ და შეგაკრიჭათ ველურობის ზნე და ფაფარი. ჯიშსა და ჯილაგს იხსებებთ და აღარ ეშვებით. და გიხარიათ, რომ წინაპარნი უღრან ტყეებში რომ დათარეშობდნენ (“ძაღლები”) (“კოლხური ფსალმუნები”, ტ. 3, გვ. 838).

მგლის, როგორც ძლიერების, პრინციპულობის, შეუვალობის სიმბოლის დიდი ადგილი უკავია მითოლოგიაში, ლიტერატურაში.

ხალხურ პოეზიაში “კაი ყმა” შედარებულია მგელთან.

კონსტანტინე გამსახურდია თავის ტოტებად მგელს მიიჩნევდა.

“მთვარის მოტაცების” პერსონაჟებმა მწერალს ნადირობისას მგელი შეარქვეს, რაც მოეწონა კიდეც.

თვითონ პროზაიკოსმა ნოველაში “ქალის რძე” “ძმად” მოიხსენია მგელი, რაზედაც პროლეტარულმა კრიტიკამ განგაში ატეხა.

თარაშ ემხვარი ერთ ბარათში წერს, რომ სვან ბავშვს დაბადებიდანვე მგლის კბილს დაჰკიდებდნენ, თვითონაც ნატრობს, შემოხედვა ექნეს “მგლური”.

“მგლები წმინდა გიორგის ძაღლებია. მგლები შეწირულია მარსისადმი, რომელიც ომისა და სისხლის ღმერთია და ამდენად არის ძალაუფლების სიმბოლიკა. (შედრ. ალ. ჩაკოვსკის ცნობით, სტალინი სხდომებზე ცხოველების ფიგურებს ხატავდა, მეტწილად კი მგელს”). (27, 145-146).

კონსტანტინე გამსახურდია კომუნისტებთან ბრძოლაში მგელივით შეუპოვარი, მგელივით მოუთვინიერებელი იყო და ამიტომაც უპრიანია, ეწოდოს აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლი. ასეთივე მებრძოლები და შემტევები იყვნენ ეპოქის მხეცებთან გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი. (28, 39-57).

მგლის სიჯიუტე და შემართება აუცილებელიც კია დიდი იდეალებისათვის ბრძოლაში: “კვლავ ძველებურად, როგორც მწერალი და მოქალაქე, მარტოხელა მგლის ხვედრით და სიჯიუტით ვიბრძოლებ ჩემი სამშობლოს თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და რუსეთის მიერ წაგვრილი ტერიტორიების დაბრუნებისათვის”, წერს ნოველისტი რევაზ მიშველაძე (“უარს ვაცხადებ”) (29, 4).

წმინდა იოანე ოქროპირი საუბრობს ”პატივმოყვარეობის საშიშ კუნძულზე” მცხოვრები ურჩხულების შესახებ და კითხულობს: “რა ურჩხულებია ასეთი?” პასუხის მიხედვით, “ეს ურჩხულები არიან მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, გულძვირობა უდანაშაულო ხალხის მიმართ, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ კეთილდღეობასა ზედა, თავის ქების სურვილი, ვნება ყოველნაირი პატივის მიმართ, სწავლება პირფერული და ალერსი თვალთმაქცური, კაცთ მოთმინება მდაბალი, უგულებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, საშიში და უგუნური უპირატესობების მინიჭება, მოწყალებანი საშიშნი, როგორც გამცემელთათვის, მიმღებელთათვის, მონური შიში, გაუბედაობა, მოჩვენებითი სიმდაბლე, თუალაღებითი მხილება და სჯა... სიმკაცრე უზომო უბრალო ხალხის მიმართ, ძლიერთა წინაშე უსიტყვობა. ამდენს კი არა, ამაზე მეტ ურჩხულსაც კი იტევს ის კუნძული და თუკი მათ ერთხელ მაინც მოიტაცეს ვინმე, ისე დაიმონებენ, რომ ბევრ რამეს, რაზედაც ახლა უხერხულია ლაპარაკი,... გააკეთებინებენ” (21, 160-161).

ვაჟა ეგრისელთან ძალზე საინტერესო კონტექსტებში გვხვდება ურჩხულის სახე.

ლექსში “მსხალთა” ურწმუნოება მიჩნეულია, როგორც ურჩხული, რომელიც სამასი წელი გაქრობას უმზადებდა ქართველს, მაგრამ გადარჩენის საწინდარი გახდა

ქრისტიანული რწმენა: “წელი სამასი ჩასაყლაპავად ეღირებოდა, როგორც ურჩხული, ქრისტეზე მლოცველს და ღვთისებრ მართალს. ახლა შავი ზღვის ესმის ჩურჩული ქართულად... და ღმერთს მადლს საწირავს მსხალთა” (16, 238).

“არგოს გამოჩენაში” ფიგურირებს კოლხეთში ოქროს ვერძისა და მუხის მოდარაჯე ურჩხული, რომელიც ჩააძინა იასონმა, რათა გაეტაცებინა აიეტის სამეფო განძი: “იქ ურჩხულის თოლი ათი, დარაჯობდა ვერძს და მუხას. ო, იმ ღამეს ქცეულს ნაცრად, ვით დაჭრილი გოლიათი, ზღვა ფაზისთან მიბარბაცდა, მერე იქვე ჩაიმუხლა” (15, 982).

ის, რომ ურჩხული დარაჯობს ოქროს ვერძს, რომელიც სიმბოლოა სულიერი განძისა, ნიშნავს, რომ ეს სიბრძნე ქვენა მალების ხელშია (30, 176).

ვაჟა ეგრისელისთვის ოქროს საწმისის მცველი ურჩხული ბოროტებაზე, დემონთან კავშირზე მიმანიშნებელი სახეა, ამ აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს პოეტური პარალელიზმი – ურჩხული და გამცემი, ფიცის გამტეხი უსენი “ვეფხვისტყაოსნიდან”: “ვითა არესის მთვლემარ ჭალაში ოქროს საწმისის მცველი ურჩხული, ისე აკვესებს ბოროტ თვალებს წიგნში უსენი, ზეცით დემონი ეჩურჩულება და მთები ფეხზე მდგარნი უსმენენ” (16, 97).

ათასწლეულების მერე ახალი დროის ორფეოსებსაც ღალატისა და მწუხარების მომტანი ურჩხული ჩასაფრებია: “ათასწლეულების მერეც, ფაზისის პირს ტანწერწეტა ლერწმის ღერებს, ხმა კვლავ არხევს ორფეოსის. ისევ ისე სძინავს ურჩხულს-ღალატის და მწუხარების ნისლით მოსილს” (ათასწლეულების მერეც), (კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, გვ. 119).

სხვა ლექსში მწუხრი გაიგივებულია ურჩხულთან, რომელიც დღის ჩაყლაპვას ცდილობს, ასე წარმოესახა პოეტს ბნელისა და ნათლის, ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლა: “გარდასულ ჟამთა ცის ბუნაგიდან მწუხრი, ვითარცა ურჩხულს შეჰფერის, დღის ჩასაყლაპად პირს შავად აფჩენს”. (გარდასულ ჟამთა ცის ბანაგიდან) (15, 691).

პოეტს, როგორც აზრებისა და გრძნობების უკიდეგანო ოკეანეში მოგზაურს, მრავალი გარემოსმიერი თუ შინაგანი საფრთხე ემუქრება და ჭეშმარიტი ოსტატი ისაა, ვინც ამ საშიშროებებს მამაცურად შეერკინება.

ვაჟა ეგრისელი მრავალგზის ამახვილებს ყურადღებას მითიური ურჩხულების –სცილასა და ქარიბდას შესახებ, რომელთაც მხოლოდ ერთეულები თუ გაუმკლავდებიან.

სკილა არის “ზღვის ურჩხული, საშინელი მორევის განსახიერება. აქვს თორმეტი ფეხი და ექვსი გველური თავ-კისერი, ყოველი ხახიდან შემზარავად ყეფს და ღმუის. სამ წყებად აქვს გაჭედილი ბასრი კბილებით ორივე ყბა. ცხოვრობს ზღვაში, ცად აღმართულ ფრიალო კლდის ბნელ გამოქვაბულში, ნისლიან მღვიმეში. იქიდან ესხმის თავს და ნთქავს ყოველ ცოცხალ არსებას. იქვე, ისრის სასროლ მანძილზე, უფრო დაბალ კლდეში ბინადრობს მეორე საშინელება-ქარიბდა, დღეში სამჯერ რომ ნთქავს წყალთა ნაკადებს და სამჯერვე ამოანთხევს. ქარაფის თავზე დიდი ლეღვის ხე დგას. ვინც სკილას გადაურჩება, ქარიბდის ხახაში მოხვდება.

სკილა და ქარიბდა ორმხრივი საფრთხეა, მათ შორის გავლა ორ ცეცხლს შუა მოხვედრაა” (24, 453).

ჰომეროსი აღნიშნავს: “მოკვდავთაგან ამ სრუტეში არავის გაუღწევია. ერთადერთმა კოლხეთისკენ მიმავალმა არგოს ხომალდმა დააღწია მას თავი... ჰერას დახმარებით”.

ჯადოქარი კირკე არიგებს ოდისევსს: “უკვდავია ბოროტეული სკილა, სასტიკი, მძვინვარე და უბრძოლველი. გულს ნუ გაივლებ მასზე მახვილის აღმართვას” (31, 199-200).

კირკემ ურჩია ოდისევსს, უმჯობესია, სცილას ჩაუარო ხომალდით, ერთიანად დაღუპვას ექვსი კაცის გაწირვა გერჩიოსო.

როცა კვლავ სცილასა და ქარიბდას შორის მოხვდნენ ოდისევსი და მისი თანამგზავრები, ოდისევსი ლეღვის ხეზე ავიდა. ღმერთებმა მისი თავი აღარ დაანახვეს სცილას (31, 208-209).

ვაჟა ეგრისელს, როგორც “ზღვის წიაღმავალს”, ბუნებრივია, ელოდა ორი ურჩხულის-სკილას და ქარიბდას საფრთხე, მაგრამ მათ შიშს ამარცხებდა რწმენით: “სკილას და ქარიბდას გავაღწევ, მოვალ და... სიყვარულს გპირდები, სიცოცხლემ რომ გაინავარდოს! უფალმა ნუ ქნას და... თუ გაგიჭირდება, მიხმე! და... ქვას ქვაზე დავადნობ...”. (სკილას და ქარიბდას) (15, 998).

კოლხ პოსეიდონს ზღვაც ემორჩილება და მისი ტალღები იცავენ ვერაგი ურჩხულებისგან: “ხიფათად შობილი რიფები და შავი სკილა და ქარიბდა, - ეს ორი ვერაგი ურჩხული მოგზაურ პოეტს ჩვენ აგარიდეთ, მომესმის ნაპირთან ტალღების ჩურჩული” (ხიფათად შობილი რიფები) (17, 896).

უკიდეგანო სივრცეებში უსაფრთხოდ მავალი პოეტის გემს ვერ ეკარებიან ურჩხულები, მას ალბატროსები და ტალღები მიაცილებენ: “ჩაესმის მიწის უხმო ძახილი ცას – ვარსკვლავების ქვებით მოხრეშილს. არსად ქარიბდა და არც სცილები. და მიდის გემი ზღვის ამღვრეულ სიბობოქრეში, ალბატროსები და ტალღები მიაცილებენ”. (ჩაესმის მიწის უხმო ნაწილი) (15, 672).

ცხოვრება, დღე და ღამე, ბნელი და ნათელი სკილა და ქარიბდაა, რადგან საწუთრო მარადიული საფრთხეების წინაშე აყენებს ადამიანს და მხოლოდ უშიშართ ხელეწიფებათ უკეთურების დამარცხება: “დღესა და ღამეს-სკილას, ქარიბდას - ამ ორ დიდ ურჩხულს არ შევუშინდი და ეს საწუთრო მე შევიფერე” (დღესა და ღამეს) (17, 783).

დროც ურჩხულია, წარმავლობა ყველა ურჩხულზე ძლიერია, რადგან სიკვდილის მომტანი დემონი არ გვაცლის ცხოვრებით ტკბობას: “ჟამს შარმათივით დღეთა ყანწებით ვსვამთ და ვსვამთ... მაგრამ ვეღარ დავცალეთ, სულ ტკბილად რომ ვსვათ, ნებას აღარ გვაძლევს ურჩხული, რადგან წუთები ცივი ჩურჩულით ისე ცვივა, ვით ქვიშის საათში – ქვიშის მარცვლები”. (ჟამს შარბათივით) (17, 73).

არაგვს გაღმა და გამოღმა ურჩხულებივით ილანდება ორი შავი კლდე, რომლებიც პირიმზეს აშინებენ: “არაგვს გაღმა და არაგვს გამოღმა, ორი შავი კლდე გარინდებულა, როგორც სქილა და როგორც ქარიბდა. და ეშინია, ნაპრალზე რომ ფეხი დაუსხლტეს პირიმზეს, როცა მზე პირს არიდებს” (პირიმზე) (32, 100).

პოეტი არათუ არ უფრთხის განსაცდელის, გმირი კადმოსივით თვითონ თესავს დრაკონის კბილებს, რათა იქიდან ამოსულ ურჩხულებს შეერკინოს, რადგან იცის, რომ “განსაცდელთა გარეშე ვერავინ განისწავლება, ხოლო განსწავლის გარეშე ვერავინ მიაღწევს სიმდაბლეს”. (წმინდა ისაკ ასური, სიტყვა იმის შესახებ, რომ უნდა ვერიდოთ უდებ და დახსნილ ადამიანებს) (21, 224).

ვაჟა ეგრისელის რაინდული ბუნების გაცხადებაა სტრიქონები: “თქმულებების... ლეგენდების... და ამბების საზღაპრონის, სიზმარ-ცხადში გადმოსვლის-ვთესავ ლექსებს, ვით დრაკონის კბილებს, გმირი კადმოსი”. (თქმულებების, ლეგენდების) (15, 927).

დრაკონი არის იგივე ურჩხული, საშინელი ცეცხლისმფრქვეველი და სისხლისმსმელი უწმინდური, რომელიც ზღვაში ან ხმელეთზე ცხოვრობდა,

ჩვეულებრივი ადამიანის მსხვერპლს ითხოვდა და იცავდა რაიმე განძს. მაგალითად, ოქროს საწმისს არესის ძალაში, კოლხეთში.

არესის დრაკონად ითვლებოდა კადმოსის მოკლული ურჩხული თებეში.

თებეს ციკლის თქმულებებში კადმოსმა მოკლა დრაკონი, დათესა მისი კბილები, მიწიდან ამოსულ ბუმბერაზებს შეება და დახოცა. გადარჩა მხოლოდ ხუთი, რომელთა დახმარებითაც სახელოვანი ქალაქი თებე ააშენა. ამბავი მეორდება არგონავტების თქმულებაში, სადაც კბილებს იასონი თესავს არესის ველზე, კოლხეთში.

დრაკონის კბილებს თესავს ნიშნავს: საომრად ემზადება.

სახელი "კადმოსი" ნიშნავს "მომწესრიგებელს", მომწყობს. მას მიეწერება ფინიკიური ანბანის შექმნა.

"სულ სხვაა მეფე დრაკონი, ათენელთა პირველი კანონმდებელი (VII ს. ძვ. წ.) რომლის სისხლით დაწერილი კანონებიც სასტიკ კანონთა სინონიმად, საანდაზო თქმად იქცა". (24, 145, 146, 237).

ვაჟა ეგრისელი გამუდმებით ეომება შურის და მტრობის ცხრათავიან გველეშაპს, ურჩხულებს, დევებს, სიტყვის დევებს, დრაკონის კბილებივით თესავს ლექსებს და სიტყვის გოლიათებთან ჭიდილში მუდამ გამარჯვებული გამოდის.

ციკლოპი – იგივე კიკლოპი არის "ველური კაციჭამია ბუმბერაზი, ერთადერთი თვალით შუბლზე". (24, 544).

ომში ძლევამოსილი, გმირული სულის, მრავალგზის სიკვდილს გადარჩენილი და საზრიანობით გამორჩეული ოდისევსი ვაჟა ეგრისელის იდეალია: "ვინაც გამბანა ნათლის ემბაზში მასვე ექნება ალბათ მიზეზი, რომ მარადიულ წყვდიადს შემყაროს. მაგრამ მე ისე, ვით ოდისევსი, ამოვეკრობი ჩემს პოეზიას, კიკლოპს - სიკვდილს რომ გამოვეპარო" (ვინაც გამბანა ნათლის ემბაზში) (15, 427).

ამაზე ძლიერად და შთამბეჭდავად შეუძლებელია ითქვას სიკვდილის დამმარცხებელი შემოქმედების შესახებ.

ვაჟა ეგრისელის ლექსი წარმოადგენს ჰომეროსის "ოდისეას" მთავარი პერსონაჟის – ოდისევსის ციკლოპების კუნძულზე "გულმხეც ციკლოპთან" – პოლიფემენთან შეხვედრისა და მისი ხერხით დამარცხების ეპიზოდის სიმბოლურ ჭრილში გამოყენების, მისი შემოქმედებითი გადააზრების მაგალითს.

კაციჭამია ციკლოპმა პოლიფემემ ოდისევსს ორი თანამებრძოლი შეუჭამა. ოდისევსმა ციკლოპი დაათრო, კეტი გამოთალა, ცეცხლში გაახურა და თვალი დასთხარა. უსინათლო ბუმბერაზს გამოქვაბულის კლდეში დაემალნენ ღამე რაინდები. ციკლოპი დილით გამოქვაბულის კართან დაჯდა , რომ არ გაპარვოდა "სტუმრები". ოდისევსმა და მისმა მხლებლებმა დიდი ვერძები შეარჩიეს, სამი ერთად გადააბეს, სამთაგან შუალას ოდისევსმა თითო თავისი ამხანაგი ამოაკრა მუცელზე, რომ ვერძებს პოლიფემეს იდუმალ გაეყვანათ ისინი გამოქვაბულიდან. თვითონ ოდისევსი ერთ ზორბა ერკემალს მოაჯდა და მის მატყლს ჩაებღაუჭა, რომ როგორმე მისი მუცლის ქვეშ მოქცეულიყო. თვალდავსილი ციკლოპი სინჯავდა ცხვრებს კარებში გასვლისას ზურგზე ხელის მოსმით. რეგვენმა პოლიფესემ რა იცოდა, რომ ცხვრების მუცელზე აკრული ოდისევსის ამხანაგები რიგრიგობით ტოვებდნენ გამოქვაბულს. (31, 152-153).

ვაჟა ეგრისელის ზემოხსენებულ ლექსში ციკლოპს ეწოდება სიკვდილი, ხოლო პოეზია – მისგან თავდაღწევის საშუალებაა, როგორც ჰომეროსის წიგნში ვერძის მუცელზე ამოკვრაა რაინდებისთვის კაციჭამია კიკლოპისაგან თავისდაძვრენის ხერხი.

ციკლოპების მომშინაურებელი, მათი შიშის დამმარცხებელი "სიტყვის ქვის" ოსტატი მიკენის შენობათა ხუროთმოძღვარს ემსგავსება და ციკლოპთა ბუმბერაზულ ძალას სიტყვის ხუროთმოძღვრებაში იყენებს მიკენის ამგებ კადმოსივით: "სიტყვის ქვით ვაშენებ და ვბაძავ შენობებს მიკენში ნაგებს. ბუმბერაზთა შიშმაც იკლო, და ვუხმობ სამივე ციკლოპს: ბრონტოს, სტერაპოს, არგესს" (სიტყვის ქვით ვაშენებ) (15, 455).

ლექსში გამოყენებულია მითი ცალთვალა ბუმბერაზ კიკლოპთა ტომზე, რომელმაც თითქოს ააშენა უძველესი ციკლოპური შენობები-მიკენურ ხანაში. კედლებზე აზიდული ციკლოპური ლოდები ბერძენთა ფანტაზიას საფუძველს აძლევდა, რომ შეექმნათ მითი ბუმბერაზებზე, რომელთაც უჩვეულო ღონე და შუბლზე ჩასმული ცალი თვალი ჰქონდათ... ბუმბერაზები ლიკიიდან მოსულან და აუშენებიათ ტირინთოს და მიკენის კიკლოპური კედლები.

ჰერიოდე სამ კიკლოპს ასახელებს: ბრონტე-მქუხარე, სტერაპე-ელვის (მეხის) მკვესავი, არგესი-მოციმციმე.

როცა ზევსმა აპოლონის შვილი ასკლეპიოსი მათი დამზადებული მეხით მოკლა, აპოლონმა კიკლოპები დაუხოცა, რისთვისაც ზევსმა შვიდი წლით განდევნა.

სტრაბონის მიხედვით, კიკლოპებს ტირინთოს კედლებიც აუშენებიათ, "ოდისეის" კიკლოპები კი არიან ველურნი, კაციჭამიები. ისინი გამოქვაბულში ცხოვრობენ.

მიკენი იყო უძველესი ქალაქი ძვ. წ. II ათ. მიკენის მეფე იყო ტროას ომის გმირი, აქაველთა მთავარსარდალი აგამემნონი. ახლაც არის აგამემნონის სამარხები, საგანძურები, კიკლოპური კედელი, ლომების ჭიშკრით დაგვირგვინებული. იქ ჩატარდა შლიმანის გათხრები (1868-1885წ.). თითქოს სამაგრის კედელზე შემჯდარი ლომები იცავენ სვეტებიან სასახლეს, სამარხებს, საგანძურებს, მიკენის მეფის ოქროს ნაღაბს, ლომებითა და ჯიქით შემკულ ოქრო-ვერცხლის ხანჯლებს, ოქროს ფიალებს (ათენი), ოქრო-ვერცხლის საკულტო ჭურჭელს. კრეტა-მიკენის კულტურა ძვ. წ. XII საუკუნეში დაიღუპა რაღაც კატასტროფის გამო. მის კულტურაზე მეტყველებს ჰომეროსის პოემები, არქეოლოგიური მონაპოვრები, ოქროთი მდიდარი ლამაზი ნაგებობები. ქვეყნის ძლიერების სიმბოლო – გამოკვეთილი ლომების რელიეფური გამოსახულება ძველი ქართული "მიკენური ხანის" ლომებს ემსგავსება (24, 323).

ვაჟა ეგრისელთან ჟამიც, ათეისტური საუკუნეს ცალთვალა კიკლოპია, რომელთანაც შებმა გარდუვალია შემოქმედისთვის: "ცალთვალა ჟამთან, ვითარც ციკლოპთან, შეძელი შებმა და ახლა შვებით, ვითარცა ვაჟას მოხუცი მთები, დაგიტირებენ შენ შენი ზღვები, იკითხონ სხვებმა" (ცალთვალა ჟამთან) (16, 333).

"შავი შური" ხშირად "უცხვირპირო და ცალთვალა" ციკლოპის სახით ვლინდება, ხოლო "შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა" (20, 310).

ვაჟა ეგრისელის ერთი უსათაურო ლექსი გვამცნობს: "უცხვირპირომ და ცალთვალამ ციკლოპივით – გაიღვიძა შავმა შურმა. ბნელში მზერა ჩანს მრისხანის. ჭიქა წყალში ავმა სულმა კვლავ ასტეხა ქარიშხალი" (უცხვირპირომ და ცალთვალამ) (15, 235).

ორიგინალურად გაიაზრებს პოეტი მიწისძვრასაც, რომელიც თითქოს ურჩხულია, ცალფეხზე მხტუნავ ბავშვივით რომ აბარბაცებს დედამიწას და მხოლოდ მწყალობელი ცა სტაცებს პირიდან ქვეყანას შხამ-გესლიან ურჩხულს თუ უნასს: " დიდი შიშით და დიდი წვალებით, ცამ გამოსტაცა თითქოს პირიდან, შხამ-გესლით

სავსე ურჩხულს თუ უნასს. ვით ბავშვი, ყურში წყალჩარჩენილი, მიწა ცალ ფეხზე ხტუნავს და ხტუნავს” (მიწისძვრა) (17, 855).

თავს კიკლოპების მმუსრავად და მომთვინიერებლად რომ წარმოგვიდგენს, ვაჟა ეგრისელს არასოდეს ავიწყდება თავისი დიდი წინამორბედი, “ძმა, წინაპარი და თანატოლი” - ფშაველი გენიოსი, რომელსაც განსაკუთრებული პოეტური ძლიერების გამო სამართლიანად კიკლოპად ნათლავს: “მთიდან გადმომდგარი, ვით ფშავი კიკლოპი, შენ ხარ პოეზიის ტარიგი. წუხილის ნატეხით და ჭიქა ღვინით, სოფლის შარაზე სიკვდილი მიმოდის – საფლავებსა და ცრემლებს არიგებს” (ვით ფშავი კიკლოპი) (16, 23).

არც ცერბერებს – ავ ქვესკნელის ძაღლებს მორიდებია პოეტი, რომელსაც განსაკუთრებით ზეცა, მზე და პლანეტები უყვარს: “ვით უკვდავება, სახეს მარიდებს – მარსი, ვენერა და ოტარიდი. თუმცა სამივე მხმობს აწყურივით, მაგრამ არ მიშვებს მიწა ბებერი და ქვესკნელიდან მიყეფს ცერბერი, მასაც ჩემსავით კლავს მზის წყურვილი” (ვით უკვდავება) (16, 242).

ცერბერად წარმოიდგინებიან საქართველოს მტრები: სასანიდები, არაბები, სპარსელები, სელევკიდები, რომლებმაც “ლეწეს ქარათული ცის დარბაზები, მოჭრილ თავს სარზე დროშად ჰკიდებდნენ” “...დღეს კი დაჰყურებთ მთვარე ეული და ვერ აღვიძებთ ყეფა ცერბერის”, “რადგან – ”მტვრად და მიწად ქცეულან ქართულ მიწაზე მეოცნებენი”, რისთვისაც პოეტი მადლობას უხდის ღმერთს (მადლი ღმერთს) (17, 439).

ცერბერად მოიხსენება პოეტი ზაურ ბოლქვაძე, რა თქმა უნდა, პოზიტიურ კონტექსტში, სამშობლოს ერთგულებისა და მისი ინტერესების სადარაჯოზე ცერბერივით დგომის გამო: “გულს რომ გაყრია საქართველოს მიწა ბებერი, იქაც დარაჯობ მას ერთგულად, როგორც ცერბერი, მამულის პოეტ ჭირისუფალს ასე შეშვენის” (ზაურ ბოლქვაძეს) (32, 4).

პოლიტიკურ ჭრილში გაიაზრება სახე “ძმები ტურების”, რომლებმაც 1989 წლის 9 აპრილი და 15 ივლისი შეამზადეს: “და... საქართველოვ, ხედავ თუ არა, გეპარებიან... და ჩხავიან “ძმები” “ტურები” (17, 456).

როცა პოეტის ბუდეს – სამშობლოს – “დღეთა ძუ დათვები” ეპოტინებიან, ლექსის ლირიკული გმირი ხის ტოტიდან ჩამოვარდნილი მართვეს მდგომარეობაშია და ასეთ სიცოცხლეს მამულისთვის თავგანწირულ სიკვდილს ამჯობინებს

უყოყმანოდ: “მე, უშენოდ ხის ტოტიდან ჩამოვარდნილს ვგავარ მართვეს. ბუდე დღეთა ძუ დათვებმა დამიტორეს. ჰე, მამულო! ჩემს სიცოცხლეს შენ მოგართმევ, ჩემთვის სიკვდილს დავიტოვებ” (მე, უშენოდ) (15, 550).

ლექსში “საქართველოვ” (16, 544) ჩრდილოელ “ერთმორწმუნე” დათვსა და სამხრეთელ მუსულმანურ ლომს შორის მოქცეულ სამშობლოს, იუდასგან (თვისტომისაგან) მუჭა ვერცხლად გაყიდულ საქართველოს ტრაგედიაზეა საუბარი, რომელსაც წინ “მეწყერი, უკან ცეცხლი” ელოდება: “აქეთ დათვი, იქით-ლომი, წინ მეწყერი, უკან ცეცხლი... საქართველოვ... რას დიდგულობ? ქრისტესავით მუჭა ვერცხლად იუდასგან გაყიდულო!!!” ლექსი დათარიღებულია ქვეყნის ისტორიაში ძალზე ავბედითი 1992 წლით.

წმინდა მამა მძვინვარე მხეცს ადარებს სიკვდილს: “სიკვდილი ცოდვის გზით შემოვიდა ქვეყნად, როგორც ველური და მძვინვარე მხეცი, რომელმაც წაიყვანა ადამიანის ყოფა” (იოანე დამასკელი) (35, 380).

წმინდა იოანე ოქროპირი წუხს ურწმუნო ადამიანის სულის “მხეცურ და კაცთმოძულე განწყობაზე”, მის მხეცურ სახეზე (33, 402).

წმინდა ეფრემ ასური გვმოძღვრავს: “ევედრენით ღმერთსა, რათა... არცა ვიხილოთ და არცა ვისმინოთ ხმა მის მხეცისა” (21, 78).

მწყემსი კეთილის მადლით ცხებულნი გვაფრთხილებენ: “მხეცის ბეჭდის მიმღებნი გეჰენიაში მკვიდრდებიან” (21, 82).

ხოლო “იხარებდნენ წმინდანი და მართალნი ყოველნი, რომელთ არ მიიღეს ბეჭედი ურჩხულისა” (21, 84).

იოანე მტბევარი ამბობს: “წინასწარმეტყველმან დანიელ... მხეცთა ზედა მძვინვარეთა ძლევა პოვა და ღირს იქმნა ცნობად საიდუმლოთა დაფარულთა და გვახარა... მოსვლაი მხსნელისაი” (34, 180).

“უხილავი მხეცის” “ნატორი” ვაჟა ეგრისელის ლექსის ლირიკული პერსონაჟი “თეთრ თუღუნს” – შევარდენს (ქრისტეს) მოელის მხსნელად: “ზიხარ ცივ სიმყუდროვეში, “უხილავ მხეცთა” ნატორი, უსასოო და უღონო. მაგრამ წამითაც არ გტოვებს აჩრდილი-თეთრი თუღუნის” (თეთრი თუღუნი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, გვ. 459).

სხვაგან მხეცის შიშს ამარცხებს ღამე უღამო (ღმერთი), “სამოთხეთა სამოთხე” (მარიამი): “სანამდე სულს ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე “მხეცის”. მიხმობს ღამე

უღამო – სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის” (სამოთხეთა სამოთხე, ტ. 4, გვ. 383).

ერთგან ლაპარაკია მანიით შეპყრობილი საწყალი პოეტის გამხეცება – გატყიურებაზე. (ეს საწყალი პოეტი, ტ. 4, გვ. 111).

ვაჟა ეგრისელი მხეცთა მეუფებას ხედავს სამყაროში. მისი თანამდევია მეფისტოფელის აჩრდილი, ყოფნა კი მხეცთა ბუნაგს დამსგავსებია: “დაგვდევს აჩრდილი მეფისტოფელის, სიბნელით გვავსებს ღამე-ავსული. და ხდება ყოფნა ბუნაგი მხეცთა. თუმცა ყოველივეს აქვს დასასრული, უსამანოა არყოფნის ზეცა” (დაგვდევს აჩრდილი მეფისტოფელის) (16, 682).

ზღვა და მხეცი – ორივე ცდილობს ადამიანის უფსკრულში ჩანთქმას: “ზღვა ჩასანთქმელად გვეღირება, როგორც უხილავი მხეცი”. (დაუღიათ ზღვებს პირები) (16, 277).

ზღვის და ბოროტი მხეცის ასოცირება შემთხვევითი როდია, რადგან ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით, “ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს” (ესაია, 57,20) (2, 116).

სოფელი აფთრისთვალება სიკვდილის საუფლოა, რომელიც სიბნელეში დარაჯობს ადამიანებს: “ვფიცულობთ მზეს და ის გვემალება, ვითარც ლაჩარი ქსელის მბეჭველი. დაგვდევს სიკვდილი-აფთრის თვალება, რომ სიბნელეში დაგვცეს ბეჭებით. რომელსაც ელვის ხელს მოაწერს და დაუდასტურებს მთავარის ბეჭედი”. (ვფიცულობს მზეს და) (16, 326).

ჯუნგლად, სიძულვილის, ვამპირების და მიზანთროპების საუფლოდ აღიქმება სამშობლო ერთ ლექსში: “დღეს საქართველო თითქოს ჯუნგლია და სიძულვილის არ ჩანს ნაპირი. ძმას არ სურს ძმისთვის თვალის შევლება. სამშობლოვ ჩემო! ზოგ-ზოგ ვამპირებს და მიზანთროპებს რა ეშველებათ”. (დღეს საქართველო თითქოს ჯუნგლია) (16, 39).

წმინდა მამები გვიცნობიერებენ: “...უფლის ხმამ... უღრანი ტყეები, ველური და უნაყოფო მცენარეების ხშირი ტევრებით დაფარული ადგილები გამოაჩინა, რომელსაც უპირატესად შხამიანი ცხოველები აფარებენ თავს.

...უღრანი აუცილებლად უნდა განიწმინდოს. ტყის მძაფრი სულები, რომელთა შინა მრავალფეროვანი ვნებები, ვითარცა ნადირნი, ისე იმალებიან,განიწმინდებიან სიტყვით, რომელიც ყველა ორპირ მახვილზე უფრო ორლესულია (ებრაელთა, 4, 112).

"...უფალი ააშკარავებს ტყეების, ანუ ამ ცხოვრებისეული საზრუნავების სიმახინჯეს, უშვერობასა და მავნებლობას, ...ბოროტება უღრანია, რომელსაც ხმა უფლისა გამოაჩინებს და ამზეურებს" (33, 90).

სწორედ ამ "უღრანს მოჰკაფავს" ვაჟა ეგრისელი, მისივე სიტყვები რომ დავამოწმოთ: "ღამის უღრანში ნადირს ვსდიე და ბნელს ვეომე" (ღამის უღრანში) (15, 867).

მუზების რჩეულს, ნერეიდების მფარველობაში მყოფს, აემგზავრებიან ხოლმე კენტავრებიც, მაგრამ მისი გამორჩეული სიტყვის მზეს და ნათელს ვერაფერს აკლებენ: "მიირთმევ ღვინოს ნეტარებით, ნერეიდები გართობენ... თავზე გესხმიან კენტავრები - ათობით. მაგრამ შენ ბოლოს დამბადებელი გაქცევს მნათობად, ვითარც ფილოს!" (მიირთმევ ღვინოს ნეტარებით".

ნერეიდები არიან ზღვის მშვენიერი კეთილი ნიმფები, ეხმარებიან განსაცდელში მყოფ მეზღვაურებს, რომ სკილასა და ქარიბდას სრუტეში გემი უვნებლად გაიყვანონ. ასე იხსნეს ჯერ არგონავტები და მერე ტროაში მიმავალი ბერძნები. მათი წინამძღოლი თეტიდა აქილევსს აძლევს ჰეფესტოს გამოჭედილ ფარ-ხმალს. ჰომეროსთან გვხვდება 34 ნერეიდა. ნერეიდები არიან ამფიტრიტე (პოსეიდონის მეუღლე), კალიფსო, დიონე, გალატეა, კეტო. (24, 346).

ბერძნულ მითოლოგიაში კენტავრი არის არსება, რომელსაც აქვს ცხენის თავი და ადამიანის გულ-მკერდი.

წმინდა მამა გვმოძღვრავს: "ნუ შეეკამათები ცრუ გონებიდან დაბადებულ ეჭვებსა და წინააღმდეგ აზრებს, ნურც მის განსჯას შეუდგები. რწმენის მახვილით მოჰკვეთე თავი ამ გველებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან! ეს იქნება სწორი და გონივრული ქმედება. ასეთი ქმედება შეჰფერის მას, ვინც ერთხელ და სამუდამოდ შეუდგა ქრისტეს". (წმ. ეპისკოპოსი ეგნატე, სიტყვა თქმული, დიდი მარხვის პირველ კვირიაკეს მართლმადიდებლობის შესახებ) (33, 263).

ვაჟა ეგრისელის მხეცები არასოდეს არიან ერთმნიშვნელოვანი, ისინი სხადასხვაგვარად მოიაზრებიან სათანადო კონტექსტში.

მხეცებთან “სიახლოვის” სურვილიც კი გაკრთება ლექსში “ზაფხულის ტყეში”, მზიანი მთებისა და სხივმოსილი ტყის ფონზე, სადაც “ფოთლების ლოცვანი”. ისმის: “გადაიქროლა რემამ ღრუბლების და ლურჯი მთები უცებ გამაღლდნენ, მზე მოიჩრდილა პატარა ბორცვმა. აყვავდა სივრცე-სხივმოსილი და ხე-ტყიანი და შორით ვისმენ ფოთლების ლოცვანს, მინდა მხეცებთან სიახლოვე და ხეტიალი”. (17, 517).

აქვს ამ “უცნაურ” სურვილს ახსნა: “...აქვს სარგებლობა და საჭიროება მხეცებს, რადგანაც გვაშინებენ ისინი და გვაიძულებენ, რომ შევიმეცნოთ შემოქმედი ღმერთი და ჩვენსკენ ვუხმოთ მას” (იოანე დამასკელი, მიწის შესახებ და იმათ სესახებ, რაც მისგანაა) (36, 357).

ლექსი “ქირონი”, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მითოლოგიური ტრადიციების ახალ საფეხურზე ამაღლებას: “ღრუბლები კი ფიქრებია, მთვარე-ღამის აზრი არის, უსაზღვრო და უნაპირო. ვით ჰერაკლე, ბრძენთა გონს რომ მაზიაროს, კვლავ დავეძებ კენტავრ ქირონს” (16, 36).

ქირონი იყო თესალიის მთებში მობინადრე ბრძენი კენტავრი, “ღვთაებრივი მხეცი”, ტყის დემონი, ორმაგი ბუნების. უკრავდა ოქროს ქნარზე, იყო მკურნალი. ორფეოსს ასწავლიდა ქნარზე დაკვრას, იბრძოდა სიმართლისათვის. ეს სიკეთე ჩაუნერგა ათენამ (24, 518).

პელევსმა ყრმა აქილევსი აღსაზრდელად ბრძენ კენტავრ ქირონს ჩააბარა, რომელიც მას ნადირობას, ომის ხელოვნებას ასწავლიდა... კენტავრი მას კვებავდა ლომის და ტახის შიგანით, დათვის და ირმის ძვლის ქონით და სახელი აქილევსიც მან უწოდა, რაც ნაშიმშილებს, “უჭმელს” ნიშნავს (24, 91).

თუ სიბრძნის კიდევ რა წყაროს ეზიარა და როგორია ვაჟა ეგრისელის სიბრძნის ხარისხი, ეს ურთულესი თემაა, ისე კი ყველა ომიდან გამარჯვებით გამოსული პოეტის იდეალი აქილევსიც რომ იყო, ესეც არ არის შემთხვევითი...

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში, ქართულ და მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაში ერთერთი ძალზე გავრცელებული სახეა გველეშაპი.

ესაია წინასწარმეტყველმა განჭვრიტა გველეშაპის წარმომავლობა ევას მაცდუნებელი გველისგან: “გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება”. (ესაია, 14, 29) (2, 84).

იერემია წინასწარმეტყველი გვამცნობდა: “შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით” (იერემია, 51, 24) (2, 177).

ღვთისმეტყველებაში მითითებულია, რომ “ერთნაირი ბუნებისაა გველი, ვეშაპი, ლომი, როგორც მაცდური დემონი და ეშმაკი, როგორც სულის, ისე ხორცის დამღუპველი. რაკი ყოვლად საძაგელ არს ცოდვის მომგონი და საშინელი დემონია ეშმაკი, მისი ოდნავი გამოჩენაც და, ყველა მას დევნის, ვითარცა მგელს, ვითარცა ვეშაპს, ვითარცა ლომს, რომ ეძიებს, ვინ მოიტაცოს და ჩანთქას”. (ათანასე დიდი, ეპისტოლე არიანელთა წინააღმდეგ, ეგვიპტისა და ლიბოს მხარის ეპისკოპოსთა მიმართ) (33, 104).

წმინდა ეფრემ ასური საუბრობს “უსაძაგლესი ვეშაპის” საშინელ მისიაზე, “რომელ ზარგანხდის ყოველს ცისქვეშეთს და ძრწოლას, სულმოკლეობასა და ურწმუნოებასა შთაუთხრობს გულთა კაცთასა და ჰყოფს სასწაულსა და ნიშებსა ვიდრე ცდუნებამდე...

“...თვით გველი იგი დიდის ხელმწიფებით ჰყოფს სასწაულებსა და ნიშებსა და ოდეს საზარელ ჩვენებებში ღმერთად გამოაჩინებს თავსა და იფრენს ჰაერში, ხოლო ეშმაკნი ყოველნი ანგელოზთაებრ ამაღლდებიან წინაშე მჭირვებელისა.” “ზარი მიპყრობს მის ვეშაპისა ერთი ოდენ ხსენებაც, რომ წარმოვიდგენ იმ დიდ სისასტიკეს, რომელსაც დაატეხს გველი იგი კაცთა მოდგმასა და უფრორე ბოროტს მოაწევს წმიდათა ზედა... გარნაღა მაშინ ვეშაპი იგი საძაგელი... მიწის მეუფედ იგულვებს... თავსა, ხოლო, მსახურად ყოველთა კაცთა.”

“მაშინ გამოჩინება მის ვეშაპისა მშვიდობას წარტაცებს ქვეყანას, იქნება გოდება დიდი, ზარი, ტყება და სიკვდილი.”

“ევედრენით ღმერთსა, რათა... არცა ვიხილოთ და არც ვისმინოთ ხმა მის მხეცისა” (სიტყვა უფლის მოსვლისათვის, აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის”) (21, 76, 77, 78).

სატანისეულნი თავიანთ ბეჭედს ასვამენ კაცთ, პირჯვარს ცვლიან მხეცის დამღით: ღვთისმბრძოლი... იწყებს მუცლით, რათა უკიდურესის შიმშილით იძულებელყოს კაცნი – მიიღონ მეჭედი მისი უღირსი გამოსახულებისა მარჯვენა ხელსა და შუბლზე, რათა მარჯვენით პირჯვარი ვერ გადაიწეროს კაცმა... მძიმე ღვაწლი გვმართებს ყოველთა ქრისტიანთა, ოდეს ვეშაპი ბეჭედს თვისას გამოსახავს

ნაცვლად ცხოველმყოფელის ჯვარისა... ვინც არ იქნება აღბეჭდილი მხეცის ბეჭდით, მას ვერ მოხიბლავს ცრუ სასწაულნი მხეცისა". (21, 79).

"რომელთ... ექნებათ ბეჭედი უწმინდურისა შუბლსა და მარჯვენა მკლავზედ, მათ მიეცემათ მცირედი საზრდელი" (21, 81).

მაგრამ "ანტიქრისტეს ბეჭდით დაბეჭდილთა და მხეცისა მის... ნაწილი აღარ ექნებათ ქრისტესთან სასუფეველში, არამედ ვეშაპისა თანა მიეცემიან გეჰენისა" (21, 82).

"... და იხარებდნენ წმინდანი და მართალნი ყოველნი, რომელთ არ მიიღეს ბეჭედი ურჩხულისა" (21, 101).

წმიდა იოანე ოქროპირი აფრთხილებს ხალხს, რომ "ახლოსაა მისგან ჩასაფრებული დაცემა და გამხრწნელი ვეშაპი ანუ ამპარტავნების ეშმაკი" (21, 243).

მხეცთა დამარცხების საშუალებად ისახება უფლის მცნებათა დაცვა, მარხვა, სინანული, ლოცვა, ნათლისღება.

უფლისმიერი ნათლობის მიზანი იყო "შეემუსრა თავები ვეშაპთაი წყალთა ზედა". (ფს. 73,13).

ურწმუნოება, უპირველესად, სულის შებილწვა, ზნეობის სიკვდილია: "ურწმუნოების მრუმე წყვდიადით მოცული ბიწიანი სულები, რომელნიც ფეხქვეშ გადაუთქორავთ ვირებისა და ჯორების ჯოგს, მორიელებსა და გველებს დაუგესლავთ, მომაკვდინებელ ცოდვებსა და არაწმინდა სულთა ტყვეობაში იმყოფებიან" (წმ. ნიკიტა სტიფატე) (22, 415-416).

ქართველი ჰიმნოგრაფი მიმართავს ღმერთს: "ქრისტე მეუფეო... ნათლისღებითა შემუსრე თავი ვეშაპისა, რომელი უკბენდა ბრჭყალსა ადამეანთასა" (იოანე მტბევარი) (34, 137).

ვაჟა ეგრისელის ერთი უსათაურო ლექსის პერსონაჟია ახმახი გველეშაპი, რომელიც სოფლის წყაროს დაპატრონებია და მსხვერპლსაც ითხოვს. ლექსში მიგნებული სახეებით, ლაკონურად იხატება არა მორჩილი, არამედ შურისმაძიებელი, ხალხი, რომელსაც მოუმარჯვებია ჩახმახშეყენებული თოფი და მშვილდ-ისარი. პოეტი არ ახსენებს სოფლის მცხოვრებთა ზრახვას, ამაზე იარაღით მიგვანიშნებს: "სოფელს ისევ კლავს წყურვილი და ზღაპარში ლურჯ წყაროსთან, გველეშაპი ჩანს ახმახი. ფეხზე უდგას თოფს ჩახმახი. ცერზე უზის – მშვილდს ისარი". (სოფელს ისევ კლავს წყურვილი) (15, 243).

წყარო, წყალი უფლის სახელია, მასზე გადაფარებული გველეშაპი – ურწმუნოება, ბოროტება.

შური და სიძულვილი პერსონიფიცირებულია გველეშაპის სახეში, სიმართლის ისარი მიმართულია ისტორიის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ, რომლებმაც არ იციან და ანგარიშს არ უწევენ კოლხეთის უმდიდრეს ისტორიას და ამით სრულიად საქართველოს დიდებულ წარსულს აკნინებენ: "აიეტის ზღაპრულ კოლხეთს მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მოსწოლია... რადგან სჯერათ: აქ იწყება საქართველოს ისტორია" (აიეტის ზღაპრულ კოლხეთს) (15, 265).

ლექსში "ძმათა მტრობის ზღვა" ჟამი სახელდებულია გველეშაპად, რომელიც სარფიდან (ზოგადად ნაგულისხმევია მუსულმანური გარემოცვა) ცდილობს ჩვენი ქვეყნის სარწმუნოებრივ გადაგვარებას: "ჟამი პირს აღებს გველეშაპივით, რომ ქართლი შთანთქოს აქვე, სარფიდან". (16, 232).

"მსხალთაში" დაპირისპირებულია ურწმუნოების ურჩხული და ქრისტიანობა, რომელიც აჭარის საქართველოსთან შემოერთებით და გამუსულმანებულთა მოქცევით დამთავრდა, რაშიც ღმერთის მადლია გამოვლენილი: "წელი სამასი ჩასაყლაპავად ეღირებოდა, როგორც ურჩხული, ქრისტეზე მლოცველს და ღვთისებრ მართალს. ახლა შავი ზღვის ესმის ჩურჩული ქართულად... და ღმერთს მადლს სწირავს მსხალთა" (16, 232).

შურის, ბოღმის, სიძულვილის, მტრობისა და ღვარძლის დასახასიათებლად პოეტი შურის ციკნების, სიძულვილის ვერძის, მტრობის და ღვარძლის ცხრათავიანი გველეშაპის მიგნებულ სახეებს მიმართავს: "შურის ციკნები დაკიკინებენ, წინ სიძულვილის მიუძღვით ვერძი და ირგვლივ ყრია ბოღმის ნაკელი. მტრობის და ღვარძლის ცხრათავიან გველეშაპს ვებრძვი, მაგრამ რაღა ვქნა, ვერაფერი ვერ დავაკელი" (შურის ციკნები დაკიკინებენ) (16, 171).

არც კოლხეთში, აიეტის სამეფოში ოქროს საწმისის მცველი და იასონის მიერ ჩაძინებული გველეშაპი და განძის გატაცება რჩება ყურადღების მიღმა (მთვარით შევერცხლილ გველეშაპს სძინავს) (16, 161).

ლექსში "პაპა" ("კოლხური ფსალმუნები", ტ. 4, გვ. 825) დრო ცხრათავიანი გველეშაპია, ურარტუს და ბაბილონის მომნელებელი, ხოლო კოლხეთი მისგან შთანთქმას გადარჩენილია: "დამიჯენდა მუხლზე პაპა ბავშვს და მიამბობდა ხშირად:

“დრომ, ცხრათავა გველეშაპმა, ურარსტუ და ბაბილონი გადაყლაპა, კოლხეთი კი ყელს ძვალივით გაეჩხირა”.

საგულისხმოა დრაკონის გამოყენებით შექმნილი ხედვითი სახეები: “ზღვები მაღალ მთებს მისწოლია გველეშაპივით, წუხს დედამიწა მძვინვარ ყბაში ოკეანეთა” (ზღვები) (17, 616).

“პატარა მდინარე, სუსტი და უნდილი, ბორცვებს შუა იკლაკნება დრაკონის კუდივით” (პატარა მდინარე) (15, 804), “ღამე სივრცეში გაწოლილა გველეშაპივით და ხახა სავსე აქვს ვარსკვლავებით (მამლის ყივილი) (15, 757), “ოკეანე გველეშაპია, მზად მყოფი მიწის ჩასაყლაპად”. (ვით მომლოცველი) (15, 746).

“ვნებები ვეშაპია” (ინტიმი) (16, 195) ეს უკვე გრძნობის დახასიათებაა ვეშაპის საშუალებით.

საღვთო, ზეციური სიბრძნის მაძიებელ პოეტს “უნასთა სისინი” ჩაესმის, მაგრამ ზეციური ხმა ამხნევებს და ჩასაფრებულთა, ავსიტყვათა გნიასი ვერ აკრთობს, იგი დარწმუნებულია, რომ მისი წმინდა სიტყვა გააღწევს შორეთში: “ნე გაკრთობს უნასთა სისინი, ჩიტის კვერცხებივით ეს ციცქნა ლექსები შაშვის გალობაში შეფუთნე. რადგანაც ისინი აწმყოს კი არა, მომავალს ეკუთვნის” (ნუ გაკრთობს უნასთა სისინი) (16, 320).

მიწიდან ისევ უნასების გესლი ამოდის ნაღმებად, მაგრამ იმედია ქრისტეს რწმენა, ამაღლება: “შხამჩაქცეული მიწის ბელტები უნასებივით ისევ ეგესლავენ, დღეებს გიდებენ ისევ ნაღმებად. მაგრამ შენ, შენ ხარ... და ქრისტესავით, დღითიდღე ელი ცად ამაღლებას” (შხამჩაქცეული მიწის ბელტები) (16, 582).

იქედნეს წიწილი სიკვდილს მოაჭენებს (სააკაძის ნანადირევი) (15, 751).

პოეტს ზარავს “იქედნური, ასპიტური რჯული” (იქედნე, ტ. 4, გვ. 18).

იქედნესავით მიიკლაკნება გზა შორეთში (წეროებივით) (16, 662).

ეს სახე პოეტმა ფილოსოფიურ ჭრილში მოიაზრა, დღე-ღამის, სიბნელისა და სინათლის, სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობისა და ერთგან შეყრის თვალსაზრისით: “დღეები – ღამეებს ელის და აელვარებს იმ მრუმე მთებს. ფერდობზე წრედ გდია გველი და პირში კუდს იდებს- დასაწყისს – დასასრულს უერთებს” (გველი) (16, 655).

ნეტარი ავგუსტინე გვმოძღვრავს: “ეკრძალენით საზარელსა და არაადამიანურ ამპარტავნებას, გარყვნილებათა ფუჭ სიამეს და იმას, რაც ყალბად იწოდება

მეცნიერებად, ...რათა მოშინაურებულ იქნან გარეული მხეცები, მოთვინიერდნენ შინაური ცხოველები და უვნებელნი გახდნენ გველები.ყველა ისინი ნართაულად გამოხატავენ სულიერ მდგომარეობებს, მაგრამ ქედმაღლური თვითგანდიდება, უკეთური გულისთქმით თრობა და ცნობისმოყვარეობის შხამი თვისებებია მკვდარი სულისა. სულის სიკვდილი სრულ უგრძნობლობას როდი ნიშნავს: ის კვდება, როცა განეშორება ცხოვრების წყაროს, წუთისოფლის ბობოქარი დინებით წარიტაცება და ცდილობს მიესადაგოს მას" (7, 294).

ნათელი იდეალებისათვის მებრძოლი, ჰუმანური პოეზიის არსს "იქედნეთა ჯარში" მოქცეული პოეტი მაინც არ ღალატობს და ამ თვალსაზრისს ასე გამოხატავს ურჩხულის სახის გამოყენებით: "ორკაპი ენის სარსალით, ავთვალი და მოკრუნჩხული, იქედნეს ჯარი მესია. მაგრამ ლექსი, ვით ურჩხულის კბილი არ დამითესია" (ორკაპი ენის სარსალით, ტ. 2, გვ. 555).

ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხიაში" ქვეყნის განმგებელი არის ურჩხული, რომელიც არის "სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა წიაღსა შინა" (37, 182-183).

წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე გვამცნობს: "...მე ვიხილე კაცობრიობა პირუტყვთა და მხეცთა მსგავსებაზე დაცემული. იქ ადამიანებზე ისე ნადირობენ, როგორც ცხოველებზე, იქ ადამიანებით ვაჭრობენ, იქ ადამიანი... როგორც მძვინვარე მხეცი, ისე იქცევა, სისხლისღვრაში ჰპოვებს სიამოვნებას და... გამხეცებული ჭამს თავისივე მსგავსთ" (38, 266-267).

ვაჟა ეგრისელს თავის "ზოოპარკში" ჯიქიც გაუშინარებია.

"ჯიქი ფიცხია და მოქნილი, მის სხეულში ერთმანეთს ერწყმის სინოტივე და სიმსუბუქე, რის გამოც მისი მოძრაობა სისწრაფით სამშვინველის მოძრაობის თანხვედრია, წერს წმინდა ბასილი" (19, 458).

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, "ჯიქი ვეფხვს ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდებენ". (20, 458).

როცა შემოქმედის სულის "კარდიოგრამას" განჭვრეტს, ვაჟა ეგრისელს შემწედ ეგულება ზღვა, ცის უსაზღვროება, ჯიქთა ჯიში, ქართული სისხლი, სიმაღლე (მთებთან ასოცირებული) და ფრთები: "ზღვა და ცის ლურჯი უსაზღვროება და ჯიქთა ჯიში და უკვდავი ქართული სისხლი და სიმაღლე სამშობლოს მთების, მაგრამ... თუ მიხსნის ერთადერთი – მარტოდენ ფრთები"(ზღვა და ცის ლურჯი უსაზღვროება) (15, 187).

საუკუნეთა ავბედობას მუდამ უმკლავდებოდა და არსებობას ინარჩუნებდა ამაყი ჯიქთა ჯიშის ქართველი ერი: “საუკუნეთა მღვრიე ჯარი მოდგა და მოდგა, მაგრამ ვერასგზით ვერ აღგავა მიწის პირიდან ჩემი ამაყი ჯიქთა ჯიში და ჩემი მოდგმა”. (მაშრიყის მხრიდან და მაღრიბიდან) (17, 165).

არყოფნის საუფლოსკენ მიმავალთა ნუგეშია ის, რომ მათი არსებობა გაგრძელდება ლომის, ჯიქის შთამომავლებში: “მელის და ცხარობს საუკუნე განსაცხრომელი... არყოფნის კერძი, სიკვდილის ლუკმა მივალ... მივდივარ აქედან-იქით... მწუხარე თვალებს მაყოლებს უკან შთამომავალი ჩემი, - მოდგმა ლომის და ჯიქის” (შთამომავალი ჩემი) (17, 439).

ასევე მიგნებულია და მართებული ქართული ჯიქის დახასიათება ფოცხვერისა და ავაზის სახეებით: “ჩემი სიცოცხლის ტოტებზე სხედან და სიხარულს და ნათელს გალობენ ისინი, ვინც მე ეს ცხოვრება გამილამაზა: ჩემი ზურაბი-ფერი ფოცხვერის და ჩემი დაჩი-შავი ავაზა”. (ნათელს გალობენ) (17, 225).

პოეტი “ჯიქთა ნაშიერი” შვილებისათვის სიცოცხლეს და სიყვარულის ნიჭს შესთხოვს უფალს: “ჩემს ყევარ ბიჭებს-ჯიქთა ნაშიერთ! მიეც სიცოცხლე თავზე საყრელად, ხოლო სამშობლოს სიყვარული სულ მოაშიე!” (ჩემს ყევარ ბიჭებს) (15, 838).

სიბნელე ავაზასავით იბუდებს კლდეთა ქიმზე: “ავაზასავით კლდეთა ქიმზე წვება სიბნელე” (17, 219), დაჭრილი. სიყვარული შავი ავაზაა (არ გაგახსენებ) (33, 567).

ბიბლიაში მხეცთა, ნადირთა მომრავლება და მოვლინება ურწმუნოთა სასჯელია.

წმინდა გზიდან გადახვევის გამო “სამეფოთა მშვენება” ბაბილონს მხეცებით ემუქრება ღმერთი: “უდაბნოს მხეცები გაიჩენენ იქ ბუნაგს და მიკიოტებით აივსება მათი სახლები” (ესაია წინასწარმეტყველი, 13, 21).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში მხეცის სახით ვლინდება შიმშილი: “იერუსალიმს დაუდგა სასტიკი ჟამი, შიმშილი – სასტიკი მხეცი და ჟამი-ქვეყნად კაცისა და საქონლის გასაწყვეტად” (ეზეკიელი, 14, 21) (2, 204).

“მიტოვებულია ჩემი ცხვარი და მიწის მხეცების კერძი გამხდარა უმწყემსოდ დარჩენილი” (ეზეკიელი, 34, 8) (2, 226).

ღმერთისკენ მიბრუნებულნი კი მშვიდობას დაიმკვიდრებენ, მათი ქვეყნიდან გადაშენდებიან მხეცები: “დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და გადავაშენებ ქვეყნიდან სასტიკ მხეცებს” (ეზეკიელი, 34, 25).

ვაჟა ეგრისელის ლექსებში ნადირს აქვს ძალზე საინტერესო, მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტები.

ბუნებრივია, ნადირი ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრის-ნადირ-შაჰის სახელთან ასოცირდება: “ნადირ-შაპი ქართლს დედაწულიანად რომ მილალავს, როგორც ფარას, მართლაც ნადირია. და... მარაბდის ველს რომ ფარავს, ნისლი არა, აქ დაცემულ ცხრა ძმის დედის მანდილია” (ნადირ-შაპი) (15, 103).

ღვთისმეტყველთა მიხედვით, სიკვდილი ქვეყნად “ცოდვის გზით” შემოსული “ველური და მძვინვარე მხეცია” (იოანე დამასკელი) (35, 308).

ვაჟა ეგრისელის ლექსში “მოგვდევს და მოგვდევს” ნადირი ადამიანის მარადიული თანამდევი – სიკვდილის შიშია: “მოგვდევს და მოგვდევს... მოგვდევს ძუნძულით... ხან შორით გვიღრენს და ადევს ფერი გაცრილი ქვიშის. ძვალი და ტყავი, თმაგაბურძგნული მოგვდევს ნადირი – სიკვდილის შიში” (17, 168).

სხვაგან სიკვდილი პერსონიფიცირებულია ვერძის რქებიან, ტახის ეშვიან ნადირის გეშთან: “კვლავ კვალში მიდგას, რქები აქვს ვერძის და ტახის ეშვი და...მოსვლის დღიდან მეძებს და მეძებს ნადირის გეშით” (კვლავ კვასში მიდგას) (17, 62).

ღამეს, შიშს, ნადირს და სიკვდილს შეძახება აფრთხობს: “თვალებთან თითი ვერ მიაქვს ღამეს, თუნდ რომ მიჰქონდეს, რა თავში ვიცემ, როცა მდევს შიშის გუგები ფართო. ეჰე ჰეჰეი! გავძახი სივრცეს, ნადირთან ერთად სიკვდილსაც “ვაფრთხობ” (თვალებთან თითი ვერ მიაქვს ღამეს) (15, 492).

ლექსში “ღამის უღრანში” იდინტური ცნებებია ნადირი და ღამე, რომელთაც პოეტი ეომება: “ღამის უღრანში ნადირს ვსლე და ბნელს ვეომე”. (15, 867).

ნადირობის შედეგები, უდედოდ დარჩენილი მგლის ლეკვის ყმუილი, სროლის ხმა, შიში, სიბნელე და მიკიოტის ხმა გვზარავს ლექსში “ხის ტოტზე”: “ხის ტოტზე მთვლემარე ფრინველი ფრთხებოდა და აღვიძებდა მძინარ ტყეს სროლის ხმა. ჩვენ მონადირენი ნადირს მივკიოდით... სადღაც უდედობას ყმუოდა მგლის ლეკვი, შიშს და სიბნელეს ჰკიოდა მიკიოტი” (15, 318).

“ნადირობის” სცენა შემთხვევითი როდია ლექსში მონადირე: “ დაუმიზნა როცა თოფი ნადირს, ტყე გარინდდა უსწრაფესად ქარის. ცას ახედა მძინარს, სისხამ დილით დააბრმავა შუქმა: ნახა მნათთა შორის – როგორც გაჰყვა ქრისტე ელვის ბილიკს” (17, 367).

არც ქრისტეს მოლანდებაა შემთხვევითი “ნადირობის” პროცესში.

ნადირთა მტერი პოეტი ტყეში სხვა საფრთხეს გადააწყდება დალის სახით: “ღამის უღრანში ნადირს ვსდიე და ბნელს ვეომე – ელვის ნათელზე ენგურწყალში მობანავე დალი დავლანდე (წამს თავი მივეც ტყეებს – უსიერს) და ახლა ვშიშობ: ვით არტემიდემ აქტეონი შვლად არ მაქციოს და ძაღლები არ მომისიოს” (ღამის უღრანში) (15, 867).

არტემიდეს მიერ ძაღლადქცეული აქტეონის ბერძნული ლეგენდა სხვა ჭრილში აქვს ჩაფიქრებული გალაკტიონ ტაბიძეს. მისი ლექსის ფინალი ასეთია: “ვიცან, გალაკტიონ, შენში აქტეონი, შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული. შენგან დაწვრთნილები ყეფენ მოუსვენრად ისევ შენთვისავე – ავი ძაღლებია” (როცა აქტეონი, ძეი არისტეას).

გალაკტიონისგან დაწვრთნილი “ავი ძაღლები” მისი პოეზიის ნასუფრალით გამოკვებილი პლაგიატი თანამედროვეები არიან, რომლებიც მერე იქით დაუპირისპირდნენ “მწვრთნელს”, პატრონს.

მონადირისა და ნადირობის თემას უბრუნდება ვაჟა ეგრისელი ლექსში “სხვა არაფერი”: “სხვა არაფერი... სამშობლოა შენი ბუნაგი, შენ იქ ბინადრობ... ეს უფალმა ასე ინება. ბევრჯერ, ბევრ მომხდურს მტვერი ადინე, რადგან ქართული პოეზიის შენ ხარ ნადირი. და მიტომაა რომ იღრინები” (16, 750).

აი, როგორ არის აღქმული ნადირის ცნება და ნადირის ინსტინქტებისგან განწმენდა წმინდა მამასთან: “უღრანი აუცილებლად უნდა განიწმინდოს. ტყის მძაფრი სულები, რომელთა შინა მრავალფეროვანი ვნებები, ვითარც ნადირნი ისე იმალებიან, განიწმინდებიან სიტყვით, რომელიც ორპირ მახვილზე უფრო ორლესულია” (წმიდა ბასილი დიდი) (19, 90).

“კოლხური ფსალმუნების” ავტორი არა მარტო მონადირეა უკეთურებაზე, ვნებებზე, ბოროტებაზე, იგი მებადურიცაა: “სამარადისოდ ღელვასა და შფოთს მიმაჯაჭვე, რადგანაც, ზღვაო, შემოგბედე მცირე გალობა – მებადურთა და მონადირეთა” (სამარადისოდ) (32, 507).

ქრისტემ მოციქულის მისია დააკისრა მებადურებს – სიმონს და ანდრიას, რომლებიც ზღვაში ბადეს ისროდნენ, რადგან მებადურები იყვნენ.

იესომ უთხრა მათ: “მომყევით და ადამიანთა მებადურებად გაქცევთ” (მარკიზის სახარება, I, 16, 17) (1, 69).

სახარების, ღვთისმეტყველების ენაზე მებადურისა და მონადირის საქმიანობა იგავურად გაიგება და ვნებების დათრგუნვას, სულის განსაწმენდელ ღვაწლს უკავშირდება: “ნადირობა არის ბრძოლა ადამიანის ნეგატიურ საწყისებთან. რაინდულ სიმბოლიკაში მონადირე რაინდი ის არის, რომელიც გადის კათარზისს, სპობს თავის ინსტინქტებს, ვნებებს, სურვილებს, რომელთაც განასახიერებენ მხეცები” (30, 257).

სასულიერო პოეზიაში წმინდა გიორგი არის “ქრისტეს მონადირე”, რომელმაც “დასცა მხეცი იგი მძვინვარე” (იოანე მინჩხი, “გალობანი გიორგისნი”, ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 507).

ვაჟა ეგრისელი, ნეგატიურ საწყისებთან ნადირობის პარალელურად, არის “ძველი კოლხეთის წარსულ დღეთა... მონადირე” (ცაში ვარსკვლავთა არის ნადიმი, ტ. 3, გვ. 914).

ვაჟა ეგრისელის აზროვნების სიმბოლურ-ალეგორიულობა განსაკუთრებით ვლინდება ლომ-ვეფხვის სახეებთან დაკავშირებით.

“ლომი ძლიერების, ძალაუფლების სიმბოლოა. მეფეს ეძახიან “მძლე ლომს”. ტუტანხამონის ერთ გამოსახულებას ლომის სახე აქვს, მტრებს ტორავს და გლეჯს. ეგვიპტეში ძუ ლომი ღვთაებად ითვლება” (24, 284).

“ლომი დაბადებიდანვე მრისხანეა, მარტო ცხოვრებისა და თვისტომთაგან განცალკევებისკენ მიდრეკილი, ვითარცა ხელმწიფე პირუტყვთა, ბუნებით დამახასიათებელი სიამაყის გამო ბევრთან გათანაბრებას ვერ ეგუება, არც წინა დღის საზრდელს ეკარება და არც თავისი ნადავლის ნარჩენებს მიუბრუნდება. ბუნებამ მას ხმის ისეთი ორგანოები მისცა, რომ მრავალ ცხოველს, რომელნიც მას სისწრაფით აღემეტებიან, ხშირად მხოლოდ ღრიალით მოინადირებს” (33, 310).

ეშმაკი, დემონი ღვთისმეტყველებაში სახელდებულია, “ვითარცა გველი, ...ვეშაპი, ვითარცა ლომი, რომ ეძიებს, ვინ მოიტაცოს და ჩანთქას” (ათანასე დიდი. ეპისტოლე არიანელთა წინააღმდეგ, ეგვიპტისა და ლიბიის მხარის ეპისკოპოსთა მიმართ) (33, 104).

ფსალმუნის ავტორი ევედრებოდა ღმერთს: “მიხსენი ლომის ხახისაგან და მარტორქისაგან გადამარჩინე” (ფს. 21, 22) (1, 543).

“ლომთა ეშვები მოთხარე, უფალო” (ფს. 58,5) (1, 581).

ახალ აღთქმაში ცოდვებისაგან განკურნება ლომის ხახისაგან თავის დაღწევად წარმოიდგინება: “ხოლო უფალი ამომიდგა მე და გამაძლიერა, რათა ჩემი მეშვეობით აღსრულდეს ქადაგება და მოისმინოს ყველა წარმორთმა: მე თავი დავაღწიე ლომის ხახას” (პავლე მოციქული, II ტიმოთე, 4, 17) (1, 461).

ლომი, მხეცი ადამიანის სულის ნეგატიური ორეულია, ამასთან ლომი ორმაგი სიმბოლოა...

“ძველეგვიპტურ ინიციაციაში მზიური მეფე-გმირი, ფარაონი ამარცხებს თავის თავში ლომის” დამანგრეველ ძალებს, კერძოდ, მატერიალურ და სპირიტუალურ ეგოს, ქვენა მეობას, ლომი ამ შემთხვევაში იმაგინაციურად გამოსახავს მეფურ ზვავობას, ნებას ძალაუფლებისადმი... ფარაონი, ლომის ტახტზე დამჯდარი, არის ხატი თვითფლობისა, თავდაჭერისა – ლომი თავისი თავდაპირველი არსით მზეს უკავშირდება, იგი გამოხატავს მეფურ შემართებას, ნებას, ძალას, კეთილშობილებას, უძლეველობას, სულის გამარჯვებას მატერიაზე... ლომთან მებრძოლი გმირები... განასახიერებენ ადამიანის ბრძოლას საკუთარ თავთან, საკუთარ ნებელობასთან, ეგოიზმთან, სიამაყესთან, ეგოსა და სიამაყის ყალბ გაგებასთან. სუფიზმში “წითელი ლომი” განასახიერებს ფილოსოფიურ ქვას, ალქიმიის მიზანს. მზე, ლომთან დაკავშირებული, ერთი მხრივ, იძლევა ცხოვრებას, ნათელსა და სვეს, მეორე მხრივ კი, მისი ძლიერი სხივები დამანგრეველ ძალასაც განასახიერებენ, ჭკნობას, წვას. ამ გაგებით ლომი ორმაგი სიმბოლოა” (30, 190).

სამეფო ინიციაცის გზაზე აუცილებელია ლომის ნეგატიური თვისებების დათრგუნვა და ესენია: გულგოროზობა, მრისხანება, ტირანია, დესპოტიზმი, სუსხი. გარეგან, ისტორიულ პლანში ეს არის დაპირისპირება პოლიტიკური ტირანიისადმი (30, 198).

დანიელ წინასწარმეტყველის ჩაგდებას ლომების ხაროში და მის გადარჩენას ზვიად გამსახურდია განიხილავს, როგორც “დაპირისპირებას პოლიტიკური ტირანიისადმი”, სადაც “ლომებით სიმბოლიზირებულია ბაბილონის ტირანია”.

ლომებთან ბრძოლის კვალს ეძებს ზვიად გამსახურდია დავით აღმაშენებლის ნაწარმოებში “გალობანი სინანულისანი”, სადაც დაგმობილია მეფობის, ლომობის

ნეგატიური მხარეები, რომელთაც დავითი სძლევს სიმდაბლით, ლოცვითა და სინანულით” (30, 198).

“შუასაუკუნეთა ლიტერატურის ძეგლში “ქრისტიან როზენკროიცის ქიმიური ქორწინება” გვხვდება ლომი, რომელიც გზას გადაუღობავს ინიციაციის მაძიებელს, სულიერი სამყაროს კარიბჭესთან მდგომს. ეზოტერული განმარტებით, ადეპტი ამ სახით ხედავს თავის საკუთარ ბუნებას ზეგრძნობად სამყაროში, რომელშიც იგი ამჟამად შედის, ...იგი შეხვდება თავის საკუთარ ქვეცნობიერ ბუნებას, რომელიც შემზარავია მისთვის, როგორ ძვინვარე ლომი” (30, 199).

ასეთ ჭრილში გაიგება ტარიელის ბრძოლა ლომ-ვეფხვთან “ვეფხისტყაოსანში”.

მხეცთან, მგელთან დაძმობილება, მგლის სისხლით მონათვლა თევდორესი გოდერძი ჩოხელის რომანში “მგელი” მინიშნებაა მთავარი პერსონაჟის სულში ბნელი ინსტინქტების აღზევებაზე, ხოლო მისგან გაღწევა, ისევ გაადამიანება რწმენის, სულიწმინდის, ჯვრის ძალით, ღმერთის, ყვავილის პოვნით გახდა შესაძლებელი (39, 64, 170-171).

ჰერმან ჰესეს რომანი “ტრამალის მგელი” გვიჩვენებს მთავარი გმირის – ჰარი ჰალერის ჭიდილს შინაგან დემონთან – მგელთან.

ჰალერის ამოცანაა გაარღვიოს საკუთარი პიროვნების მოჩვენებითი მთლიანობის ზღუდე და თავისივე შიდა სამყაროს მრავალსახეობა ცნოს (რეზო ყარალაშვილი, რომანის წინასიტყვაობა) (40, 4).

“რომანში მკითხველი დაესწრება პიროვნების აგების გაკვეთილს... ნახავს, როგორ ათვინიერებს ადამიანი მგელს და მგელი ადამიანს, ავტომიბილზე მხიარული ნადირობის მოწმეც გახდება და ბოლოს მოცარტის ნაწნავზე ჩაფრენილი კოსმიურ სივრცეშიც გაინავარდებს, მაგრამ სულ მალე აღიდგენს სულიერ წონასწორობას და ისევ თავის... უნივერსალურ, ერთიანსა და განუყოფელ “მეს” დაუბრუნდება. (40, 14).

საკუთარ არსებაში მგლის მომთვინიერებელი ჰალერი ამბობს: “ვიცოდი, ახლა ჯიბეში მეწყო ყველა ის ფიგურა, ასი ათასი ცხოვრების ასაწყობად რომ იკმარებდა. გაოგნებული ვცდილობდი ჩავწვდომოდი თამაშის არსს, მეწადა ხელახლა განმეცადა ამ თამაშით მოგვრილი ტანჯვა. დაუოკებელი წყურვილი მქონდა ისევ და ისევ გამევლო საკუთარი თვითარსის ჯოჯოხეთი” (40, 346).

ვფიქრობთ, ამ ასპექტში ვაჟა ეგრისელის კრედო ყველაზე კარგად გაცხადებულია ლექსში “ სიხარული”: “ვეფხვის ნახტომს ჰგავს სიცოცხლე შენი –

გარდახდილი თუ გარდუხდელ ომით. გიხმობს ბავშვობის მინდვრებიდან ზარი – ენძელის. და გიხარია, რომ ცხოვრების – მბრდღვინავი ლომის, მოთვინიერება, გვიან, მაგრამ მაინც შესძელი” (17, 362).

ნაწარმოების მიხედვით, არა რომელიმე კონკრეტული მოვლენა, არამედ ზოგადად ცხოვრება წარმოიდგინება, როგორც “მბრდღვინავი ლომი” და ცხოვრების, ამ “უღრანი ტყის” ბინადარია ლომი, ბნელი ინსტინქტების მეუფე, რომლის მოთვინიერებაც ცენტრალური თემაა ლექსის. ამის წინაპირობაც ლაკონურად არის მინიშნებული: “გიხმობს ბავშვობის მინდვრებიდან ზარი – ენძელის”. ბავშვობა უბიწოების, სიწმინდის, გულუბრყვილობის, სიკეთის სავანეა,ენძელა, (ვარდის, ყვავილის ნაირსახეობა) მშვენიერების, რწმენის (შეიძლება ქრისტიანობისაც, ვინაიდან ვარდი და ყვავილთა ნაირსახეობა ქრისტიანული სიმბოლიკის უცილობელი ნაწილია), ...ბავშვობაში” შეიძლება ჯანსაღი გენეტიკური კოდებიც ვიგულისხმოთ, ასე რომ, ლომის (ქვენა ბუნების, ბოროტეულის, მხეცური ინსტინქტების) დამარცხება შემზადებულია ნათელი წარსულით, რაც თავის მხრივ “ვეფხვის ნახტომის” მიღწევის გარანტიაც არის.

ამ და სხვა შემთხვევებში პოეტი იმდენად ორიგინალურია თავის ჩანაფიქრში და თვით - მყოფადი მისი ხატოვანი სახეები, რომ მხოლოდ შორეული კავშირების დაძებნა თუ შეიძლება წინამორბედებთან, თანაც ეს კავშირი ტიპოლოგიურია და არა გენეტიკური.

ლომის საშუალებით ახდენს ვაჟა ეგრისელი საკუთარი პოეტური სიდიადის, ძლევამოსილების წარმოჩენას.

ცნობილია ლომის შემზარავი ხმა, რომელიც ყველა სულდგმულს ზარავს სამყაროში.

პოეზიაში განარჩევენ სხვადასხვაგვარ ხმებს. ორფეოსის ხმა (გალაკტიონი), ბულბულის ხმა, კაჭკაჭთა და მისთანათა “ბუნტი, ქოთქოთი, წიწინი” (ანა კალანდაძე), ქარიშხლიანი ხმა (ვაჟა ეგრისელი), საგალობელთა ხმა (სასულიერო პოეზია)...

მაგრამ ლომური ბუხუნი მაინც განსაკუთრებულია და პოეტურ გამორჩეულობაზე მიმანიშნებელი, რაზედაც აქცენტი კეთდება ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში: “მოდი! გამტყორცნე და გადამკარგე, ანდა მარადჟამს აქ დამასახლე,

გესმას ბუხუნი ჩემი ლომური. სანამ მთლიანად მოერღვევა ჟამთა სასახლეს ჩემი დღეების ციცქნა გომური” (მოდი) (17, 577).

“გესმის ბუხუნი ჩემი ლომური!” ამ გაფრთხილების მთქმელს მართლაც ლომური ძალა უნდა ჰქონდეს პოეზიაში და ლომის წილ ტვირთს უნდა ეწეოდეს.

მძვინვარე ლომის ხმა ხეობებს აყრუებს, უვალი გზით სიმაღლისაკენ მოქრის, მოუშინაურებია მნათობები, მზე, მთვარე: “ღამეების თეთრ ძვლებს ვხრავდი, გზა მოჩანდა – უვალი და ღორღიანი. შენ რომ გესმა მძვინვარ ხვადის ხმა, ის მე ვარ, ჩაგიარა კვლავ ღრიალით. მნათობების ოჯახები დავიარე, გსვამ სიმაღლევ! – მზის მოწვდილო. მთვარე არა, მთვარე ჩემი დაი არი, მზეზე უნდა ვიქორწილო” (ღამეების თეთრ ძვლებს ვხრავდი) (17, 308).

ამის მთქმელს ქედიც ლომური აქვს და იობის მოთმინებით იმკის ბედის წყალობას: “მოთმინების ცივ ურემზე შებმულს, უიმედობა, წუხილი და ოხვრა ლომურ ქედზე უღელივით მედგა. და დღეს, როგორც დაკარგულმა ძროხამ ჩემს კარებზეც მოაბღავლა ბედმა” (მოთმინების ცივ ურემზე შებმულს) (17, 207).

ბუნებრივია ქართულ ეროვნული გენის დახასიათება ლომის საშუალებით: “...არყოფნის კერძი, სიკვდილის ლუკმა... მივალ... მივდივარ აქედან იქით... მწუხარე თვალებს მაყოლებს უკან შთამომავალი ჩემი, - მოდგმა ლომის და ჯიქის” (შთამომავალი ჩემი) (17, 439).

ლომია ვახტანგ გორგასალი: “უჯარმაში კვლავ ჩანს ვახტანგ “ლომი იგი ლომთა” და “გოლიათი გოლიათთა” (უჯარმაში) (17, 730).

რუსთველის პოემა ერის სიდიადის, მისი განსაკუთრებულობის პასპორტია საერთაშორისო არენაზე და ვერავითარი სამგლეთი ვერ მოელევა “ალგეთის მგლებს” – ქართველებს: “სანამ ისმის რუსთაველის ვეფხვის წიგნში ლომთა ბრდღვინვა, დე, გაიგოს მტერ-მოყვარემ, ვინ ვიყავით... დღესაც ვინ ვართ. დე, იცოდნენ, რომ სამგელეთი კვლავ არსებობს ამა სოფლად. დრო მოვა და... მგლებს ალგეთის ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ” (სანამ ისმის) (15, 83).

ღრმააზროვანია ფრაზა: “ვეფხვის თვალებში იელვარებს ფიქრი – რუსთველის” (“საუკუნეთა მღვრიე ქარავანს”) (17, 574).

სულიერ ნათესაობას გენიალურ პოეტთან ვაჟა ეგრისელი ასე გამოხატავს: “...ჩემს წიგნებში გაწოლილი სტრიქონები კი არა და, შოთას ვეფხვის ზოლებია” (ავთანდილის ისრის ნატყორცნ) (15, 997).

ლექსი “მესხეთი” იგავურად მიგვანიშნებს ძალზე მნიშვნელოვანს: “ვეფხვის ზოლებზე დავწერო, რაც შოთას დარჩა უთქმელი შაირი ისე მესხურად, თქვან რომ სულმნათი რუსთველის ნათელი გადაესხურა” (15, 779).

პოემის ვეფხვის ცნებაში ნაგულისხმევ აზრს იგავურ-სიმბოლურად გამოხატავს “კოლხური ფსალმუნების” ავტორის შემდეგი განაცხადიც: “ხელს გიწვდიდა საალერსოდ-ქართული ცის ათინათი. ვეფხვის ტყავში გახვეული შოთას სიბრძნე და იყავი მაშინ ათის, იღლიის ქვეშ ფრთა რომ იგრძენ” (ხელს გიწვდიდა საალერსოდ) (15, 228).

მაინც რა სიბრძნეა ვეფხვის ტყავში გახვეული?

ვეფხვის სახე დაფიქსირებულია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში, ქართულ და უცხოურ პროზასა და პოეზიაში.

ლომი და ვეფხვი “ორმაგი სიმბოლოა... ვეფხვი არის ძალოვანი და აგრესიული ასპექტი ლომისა... ვეფხვის ტყავი სიმბოლოა სამეფო ინიციაციისა, ვინაიდან დაკავშირებულია შობასთან და ხელახლა შობასთან.

“გადაჭდობილი ვეფხვის ტყავი ნიშნავს “შობას”, საერთოდ ფორმირებას. ძველ ეგვიპტეში არსებობდა ინიციაციური რიტუალი ტყავში გასვლისა, რომელსაც გადიოდნენ ფარაონები და ქურუმნი გასაჭაბუკებლად, სულიერი სიბრძნის მისაღწევად. შაჰ-ნამეს მითიური პირველ-მეფე და პირველ-კაცი ქეიმურსი და მისი ქვეშევრდომნი... გაძლიერდნენ და დაბრძენდნენ მას შემდეგ, რაც ქეიმურსმა ვეფხვის ტყავები შეჰმოსა მათ” (30, 190).

“შუასაუკუნეების ხელოვნებაში ცხოველები, მხეცები ალგორიულად წარმოისახებიან”.

“ვეფხვი მარტოოდენ ადამიანის ქვენა ბუნების სიმბოლო კი არ არის, არამედ ნეგატიური, იმპერიული, ანარქიული სოციალური წყობის სიმბოლოცაა” (30, 194).

“დაწინწკლული ან ზოლებიანი ტყავი ვეფხვისა ერთი ასპექტით განასახიერებს ამსოფლურობას, ქვენა ყოფას, რომლის მთავარი ატრიბუტია მრავლობითობა” (მრავალი წინწკლი, მრავალი ზოლი), ამიტომაც იგი არის (აპოკალიფსში) ბაბილონის ალამი (ბაბილონი – ამსოფლური მეუფება) (30, 195).

“ვეფხისტყაოსნობა სიმბოლოა თურანზე, ბნელეთზე გამარჯვებისა...(30,197).

ტარიელის ბრძოლა ვეფხვთან ალეგორიულად ნიშნავს ქურუმის, ადეპტის ბრძოლას ვნებებთან, ქვენა ბუნებასთან, მეორე მხრივ, ...ლომ-ვეფხვი შესაძლოა აღვიქვათ პოლიტიკური ისლამის, სპარსეთის სიმბოლოდაც (30, 198).

ტარიელს მოსავს ვეფხვის ტყავი-ვარსკვლავეთი, ანუ სამყარო, როგორც სამოსი, რაც მისი უზეშთაესი გონების განსახიერებაა (30, 199).

ბასილი დიდის "ფიზიოლოგოსში".. ვეფხვი... სიმბოლოა ქრისტესი, ხოლო მისი ტყავი მშვენებით ედრება იოსების სამოსს. ამდენად, ვეფხვის ტყავით მოსილის გაგება ფუნქციურად ემთხვევა ჰაგიოგრაფიული "ქრისტეშემოსილის" გაგებას (30, 200).

უკაცო, ურწმუნო ქვეყანას ვაჟა ეგრისელი აღიქვამს უდაბნოდ, სადაც მხოლოდ აღრიალებულ ლომებს (ბნელის, ქაოსის ნაშიერთ) ღვიძავთ: "გრიალი გააქვთ არყოფნის დიუნებს, ყოფნა უსასოო, უღვთო და უდაფნო, მოწყენილი და ნაღვლიანი. უკაცო ქვეყანა, ეს არის უდაბნო, გაღვიძებული ძუ ლომის ღრიალით" (ეს არის უდაბნო) (17, 653).

"მისტერიალურ, რელიგიურ სიმბოლიკაში უდაბნო, კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს სულიერებას მოწყვეტილ ყოფას, მატერიის საუფლოს, ცოდვით-დაცემის შედეგს, ხოლო მცენარეული საფარი და ყვავილებით მდიდარი პეიზაჟი – სულის საუფლოს, სამოთხის ყოფას" (30, 210).

შთამბეჭდავია ლომის სახის გამოყენებით შექმნილი შედარებები და მეტაფორები: 'ზღვა ჰგავს მძინარ ლომს" (15, 140), ქარიშხალზე მიჯაჭვული, ლომის ფაფარს გადაიყრის ზღვა, როს იპყრობს აგონია" (ქარიშხალზე მიჯაჭვული) (15, 920), ქარი... გარბის სადღაც ლომის ფაფარით, ვეფხვის ნახტომით და მგლის მუხლებით (ქარი) (17, 232). (შდრ. გალაკტიონი: "ქარი დაჭრილ ლომივით მიაფენს ფაფარს").

სიბერეც ლომის ტორია, სიჭაბუკეზე დადებული: "კოლხეთს... ლომის შავ ტორებს ადებს სიბერე" (არ გაუხდია, ტანზე ისევ აცვია გლოვა) (15, 813), ერთგან გვხვდება ლომის "დაუურველი ცეცხლი და გზნება და სივერაგის ბურუსი" (დაუურველი ცეცხლი და გზნება) (15, 185).

მრავალთგან დავიმოწმებთ კიდევ ორ მაგალითს: "ისე მიაწყდნენ ნაპირს ტალღები, თითქოს და ლომის, ბრდღვინვამ აჰყარა მთის კორტოხებზე ნიამორები" (ზღვის იალაღები) (15, 681), "როგორ გამხდარა ჩვენი ლიახვი, ადრე კი ლომი, ახლა ფიტული" (ლიახვი) (15, 731).

განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა აქვს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ვეფხვის პარადიგმას.

ვეფხვის საშუალებით არის დახასიათებული მამული, ბუნება, სული, პოეზია, იგია ამავე დროს ინიციაციური სიბრძნის, სულიერად ხელახლა შობის სიმბოლო.

ჩვენი პატარა, მაგრამ გამორჩეული მამული, პოეტის თქმით, არის "ხვადი ვეფხვის ერთი ნახტომი, არწივის ერთი გადაყივლება" (მამული ჩვენი) (15, 18).

"პოეტის ეპიტაფიაში" ჟამია ძუ ვეფხვივით მშიერ-მწყურვალი, ანუ სიკვდილის მაცნე: "უფალმა ღმერთმა მიწის ბელტიდან გააკეთა სიცოცხლე ჩემი და სიმღერები ჩამბერა სულად და მიმატოვა. მოვარდა ჟამი ძუ ვეფხვივით მშიერ-მწყურვალი და წაიხემსა დღეები ჩემი" 17, 917).

ლექსი "ლეგენდებიდან მესმის ძახილი" გადამწვარი და დამეხილი ციხის ქონგურების კბილებია ჟამთან შედარებული, რომელიც მომხდურს უღრენს ვეფხვივით: "ლეგენდებიდან მესმის ძახილი-ამირანების და აბრსკილების და გადამწვარი და დამეხილი ციხე, ქონგურების კბილებით, მომხდურს-ჟამს კვლავ უღრენს ვეფხვივით" (15, 902).

რა აქტუალურად, თანადროულად ჟღერს მერვე საუკუნეზე ნათქვამი: "სიავით სპარსიც დაჩრდილა აღვირახსნილმა არაბმა, წევს ქართლი ისარგაჩრილი და თქვა მტკვარმა და არაგვმა: "იგია ვეფხვი დაჭრილი, მაგრამ მომაკვდავს არა ჰგავს" (VIII საუკუნე) (17, 647).

ვაგლახ, რომ ისევ მტრის რკალშია საქართველო, "ისარგაჩრილი", "ვეფხვი დაჭრილი" და ისევ ჰკიდია მის თავზე დამოკლეს მახვილი.

გიგანტური მთების ცქერისას ვეფხვის ნახტომი წარმოესახება პოეტს: "შორს ვეფხვების ნახტომივით, თეთრზოლება ჩანან მთები" (გაზაფხულზე ქართლის ქედებს) (15, 31).

პოეზიაში ვეფხვური ნახტომის თანამდევია უკვდავება: "პოეზიის უდაბნოში საუკუნის წევს არილი და ნახტომი ჩანს ვეფხვური. უკვდავება მწევარივით ყნოსავს შენს ძველ ნაფეხურებს" (პოეზიის უდაბნოში) (15, 145).

ვეფხვური ნაბიჯები აჩნია პოეტის გარდახილ ომებსაც და მომავალ გზებზეც ასეთი ვეფხვური შემართება ეიმედება: "ვეფხვის ნახტომს ჰგავს სიცოცხლე შენი – გარდახდილი თუ გარდუხდელ ომებით..." (ლიხარული) (17, 362).

“ლომური ბუხუნის” პარალელურად, “ვეფხვის ხავილიც” ორგანულია პოეტისთვის: “ჩემი სიმღერა ასურეთთან მოკლული ვეფხვის ხავილია. ჩემი გული – ლოტოსის ყვავილია, წუმპეში მდგარი სურნელს რომ აფრქვევს” (ჩემი სიმღერა) (16, 247).

ლექსში “წლები” პოეტის არქეტიპი სიკვდილის კლანჭებს გამოქცეული, პარნასისკენ მიმქროლი შამბნარის ვეფხვია: “სიკვდილის კლანჭებს გამოქცეული, ვით ვეფხვი შამბნარს, წლებს მიარბევდი. და შენც ისე, ვით მოქელანჯელომ, რადგან პარნასზე ფიქრი გაბედე, ღმერთმა სიცოცხლე მოგცა სასჯელად” (16, 887).

ფიქრის საგანია ხალხური ვეფხვისა და მოყმის ბალადა, ტარიელის ვეფხვის ტყავი, ვეფხვი რომელიც “მოყმეს”... წამოუფრინდა არაგვთან (იქნებ) (15, 527). ამ ორ ვეფხვს შორის კავშირს ეძებს ვაჟა ეგრისელი და სრულიად ლოგიკურად, რადგან არც ვეფხვია მისთვის უბრალოდ მტაცებელი ცხოველი და არც მისი ტყავი ჩვეულებრივი ნივთი...

გამუდმებულ ინტერესს მაინც შოთა რუსთველის გენიალური “ვეფხვისტყაოსანი” იწვევს: “წიგნს ვხურავ და ვიდებ გულზე და... რვაასი წლის მერე, იმ ვეფხვის მომესმის ღრენა, ქვაბლუთან, იმ ნაცნობ ბორცვთან, ტარიელმა რომ შეიპყრო და “მის გამო” სურდა კოცნა” (ვეფხვისტყაოსანის კითხვისას) (15, 997).

“კოლხური ფსალმუნების” ავტორის აქცენტირება ვეფხვის თვალებში მოელვარე ფიქრზე, პოეტის წიგნებში გაწოლილ შოთას ვეფხვის ზოლებზე, სურვილი ვეფხვის ზოლებზე დაწეროს შოთას მიერ უთქმელი, ყურადღების გამახვილება ვეფხვის ტყავში გახვეულ სიბრძნეზე, უცდომელი მინიშნებაა, ინტუიციურ-ინტელექტუალური წვდომაა “ვეფხვისტყაოსნის” იდეურ-მხატვრული თავისებურებებისა, მისი იგავურ-სიმბოლური ხასიათისა.

აშკარაა, ახლებურად, არატრადიციულად კითხულობს ვაჟა ეგრისელი არა მარტო რუსთველის პოემას, ვეფხვის სიმბოლოსაც.

ჩვენი თანამედროვე პოეტი უყოყმანოდ ეთანხმება დიდ წინაპარს, რომ “შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი”...

რა სახისაა, როგორია ვაჟა ეგრისელის ტიტანურ შემოქმედებაში დავანებული სიბრძნე, რატომ არის იგი “რუსთველის ნაგრამი და ნატამალი”, ფშაველი გენიოსის “ძმა, წინაპარი, თანატოლი”, ვაჟას “სისხლის წვეთი”, ამას ქვეშეცნეულად უთუოდ

იგრძნობს გიგანტური “კოლხური ფსალმუნების” ხუთტომეულში ჩაღრმავებული მკითხველი, მაგრამ მომავალი საფუძვლიანი კვლევის მიზანი მისი სიდიადის გაგება-გაცნობიერება და დასაბუთებული წარმოჩენა უნდა გახდეს, სათანადო ლიტერატურულ-ფილოსოფიური წყაროების გათვალისწინებით. ეს კი მომავლის საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
3. ვახტანგ გოგუაძე, ორი მხეცი (ლენინი და სტალინი), “სტალინი” და საშინელი სამსჯავრო”, თბ., 2006).
4. იოანე იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ., 1994.
5. ლუარა სორდია, აპოკალიფსური სახეები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, ჟურნალი “კულტურათაშორისი კომუნიკაციები”; თბ., 2007, ¹ 2.
6. გაზ. “ოქროს საწმისი”, აპრილი, 1999.
7. რევაზ მიშველაძე, მინაწერები სატელეფონო წიგნზე, წერილები და დიალოგები, თბ., 1996.
8. რევაზ მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, თბ., 1993.
9. რევაზ მიშველაძე, ასი ახალი ნოველა, თბ., 1997.
10. ოთარ ჩხეიძე, “თეთრი დათვი”, თბ., 1999.
11. ზურაბ კაკაბაძე, თანამედროვე დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემები, წიგნში “ფილოსოფიური საუბრები”, თბ., 1988.
12. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ი. ტატიშვილის, თბ., 1993.
13. ტიტე მოსია, “დავითიანის” სახისმეტყველება, თბ., 2005.
14. ზურაბ კიკნაძე, მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.
15. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2001.
16. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2006.
17. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.

18. გოდერძი ჩოხელი, ღმერთის შვილები, თბ., 2002.
19. წმინდა ბასილი დიდი, თხზულებანი. ფსალმუნთა განმარტებანი. ჰომილიები ექვსი დღისათვის, თბ., 2002.
20. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, Iთბ., 1991.
21. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991.
22. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992.
23. შოთა ნიშნიანიძე, ლექსები, თბ., 1983.
24. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
25. არფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო, ლ. კვირიკაშვილმა, თბ., 1985.
26. ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა, თბ., 1977.
27. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ., 1991.
28. ლუარა სორდია, აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლნი, გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი, (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), თბ., 2005.
29. გაზ. "ასავალ-დასავალი", 13/IX, 1999.
30. ზვიად გამსახურდია, "ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, თბ., 1991.
31. ჰომეროსი, "ოდისეა", ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა, თბ., 1975.
32. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ., 2007.
33. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ., 1991.
34. პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტექსტები VIII-X ს. ტფილისი, 1913.
35. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელის) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მაია რაფავამ. თბ., 2002.
36. ნეტარი ავგუსტინე, "აღსარებანი", ლათინურიდან თარგმნა ნაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995.
37. Qჭაბუა ამირეჯიბი, "დათა თუთაშხია", თბ., 1986.
38. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1991.

39. გოდერძი ჩოხელი, “მგელი”, თბ., 1989.
40. ჰერმან ჰესე, “დამსვენებელი ტრამალის მგელი”, გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები რეზო ყარალაშვილის, თბ., “ზერანი”, 1985.

თავი III

გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი

გრაალის ორდენის რაინდები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში (გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვაჟა ეგრისელი).

ორგვარ სიბრძნეს განარჩევენ ბიბლიაში: მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრძნეს (ბარუქი, 3,23) (1,190) ეშმაკეულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილს.

პავლე მოციქული აცხადებდა: ,,...ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წესია: ,,მათ ცბიერებაში შეიპყრობს ბრძენებს” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 3,19) (2,360).

სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოგვიწოდებდა, შეგვეცნო ,,ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული” (Iკორინთელთა, 2,7) (2,358).

წმინდა მამა განასხვავებდა ,,ხორციელ გონებას” და ,,ღვთის მადლს” (II კორინთელთა, 12) (2,385).

პავლე მოციქულისთვის მიუღებელი იყო ,,ფუჭი ამპარტავნობა ხორციელი გონებით” (კოლასელთა, 2,18) (2,433).

მისი იდეალი იყო სულიერი გონება, ღვთის სიბრძნე: ,,ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით” (კოლასელთა, 1,9) (2,431).

უზენაესის შესაცნობად საჭიროა ,,სიბრძნისა და გამოცხადების სული:” ,,...ვლოცულობთ, ...რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების

მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2,17) (2,414).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა ზერელე ,,სწავლას” და ,,შემეცნებას”, კიცხავდა ,,ხორციელ სიბრძნისმეტყველებას” და მას უწოდებდა ,,სხეულებრივი გრძნობების უძლურებას” (3,47-48, 49-50).

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ,,კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია-არარელიგიურია, ინტერნაციონალური(აკაკი მინდიაშვილი) (4,116).

ნამდვილი მწერლობა ყოველთვის რელიგიური იყო და მისი ორიენტირი იყო ღვთის სიბრძნე.

ათეისტური ტირანიით ცნობილ მეოცე საუკუნეშიც იყვნენ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატები, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ რწმენასთან, სულიერებასთან, მარადიულ იდეალებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება გრაალის პრობლემისადმი.

გრაალი ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია.

უკვდავების ძიება კაცობრიობის მარადიული იდეალია, ამიტომ ყველა ქვეყანაში არსებობს გრაალის იდენტური საკრალური, დაფარული საგანი. ასეთია უკვდავების სასმელი ,,სომა” ინდოეთში, ირანული ტრადიციით-,,ჰაომა”.ეს სასმელი, სათანადოდ შემზადებული, ადამიანს აღუდგენდა მარადისობის განცდას.

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და რომელიც შემდგომ იოსებ არიმათიელმა (ქრისტეს ფარულმა მოწაფემ) ქრისტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.

ლეგენდის მიხედვით, თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა. ეს კელტურ და ქრისტიანულ კულტურებს შორის კავშირის გაბმას მოასწავებდა.

თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისაგან, რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას. ეს ზურმუხტი გვაგონებს ურნას, შუბლის მარგალიტს, რომელიც ინდურ ტრადიციაში ძალიან ხშირად შივას ,,მესამე თვალის” ადგილს იკავებს და მარადისობის განცდას ანიჭებს.

ლეგენდაში ისიც ნათქვამია, რომ გრაალი ადამს ჩაბარდა მიწიერ სამოთხეში, მაგრამ დაცემისას დაკარგა იგი სამოთხიდან განდევნილმა, რადგან ზეადამიანურ მდგომარეობას ცოდვილნი ვერ ეზიარებიან.

შემდეგ შეთმა (სეთი, ადამ და ევას ძე კაენისა და აბელის შემდეგ) სამოთხეში შესვლის უფლება მიიღო და დაიბრუნა თასი. მას თავის მიმდევრებთან ერთად უნდა დაეარსებინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი.

ცნობილი არ არის, სად და ვინ შემოინახა გრაალი ქრისტეს ეპოქამდე.

გრაალი იკარგება ან იფარება, როცა ის უშუალო კავშირს წყვეტს უზენაეს ცენტრთან.

ავგუსტინეს მიხედვით, წარღვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის ,,ენოქის სამკვიდრებელი და წმინდა მიწა". მისი თხემი ,,მთვარის სფეროს ეხება", ე.ი. ცვალებადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში.

მაგრამ როცა შესუსტებულია რწმენა, იგი დახურულ ცენტრებში ინახება.

,,გრაალ" სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. გრაალი თასიც არის და წიგნიც. ეს უკანასკნელი ასპექტი ცხადლივ აღნიშნავს ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სულიერ ცენტრებს განუყრელად უკავშირდება მრგვალი მაგიდა, მის ირგვლივ შემოკრებული თორმეტი პერსონაჟით. ეს მაგიდა განკუთვნილია გრაალის მისაღებად(5,10).

გრაალს უკავშირდება მონსალვატის ,,მთა ხსნისა", სიმბოლო მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს ,,შორეულ ნაპირზე", მოკვდავთაგან რომ ვერავინ მიუახლოვდება. იგი ,,მიუწვდომელ მხარეში", შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და ,,პოლარული მთაც." ეს არის უკვდავების მიწაც, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ.

გრაალის უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას. აღმოსავლეთში სამსხვერპლო თასი შეიცავდა უკვდავების სასმელს: ვედური ტრადიციით-სომას, ხოლო მაზდეანურით-ჰაომას.

თასის დაკარგვა მოასწავებს არა იმდენად ნივთიერი დოვლათის დაკარგვას, არამედ ტრადიციის შებღალვას. და იგი კვლავ ზებუნებივი ჩარევით უნდა აღდგეს. თასი უნდა გამოჩნდეს კვლავ ზეციდან მაღალ მთაზე, ან აღმოჩნდეს გამოქვაბულში, ან მიწაში ჩამარხულს უნდა წამოედოს სახნისის პირი. ასეთ ანდრეზებში თასი

ჭეშმარიტებისა და წმინდა რეალობის ნივთიერი გამოხატულებაა და მისი ორმაგი ადგილმდებარეობა-ცაში და მიწაში- ჭეშმარიტების ,,ხილვადობისა” და ,,შებურვილობის” პერიოდებზე მიუთითებს (6,5).

,,და თუ ანდრეზის საკრალური შინაარსი ასაღორძინებელია ცნობიერებაში, მისი აღორძინება კვლავ სიწმინდის წიაღშია შესაძლებელი (იქვე).

რენე გენონის ნააზრევში განსაკუთრებით საყურადღებოა თასისა და წიგნის იდენტურობის დაშვება.

ხოლო მოციქულთა რიცხვის თანაზიარი თორმეტი რაინდი, მრგვალი მაგიდის გარშემო რომ არიან შემოკრებილი და ზნეობრივ სრულყოფას ესწრაფვიან, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ეკლესია, რომელთა მინიმალური რიცხვი თორმეტია ,,მოციქულთა დადგენილებების” (V) თანახმად, კრებული მორწმუნეთა ბარძიმ-ფეშხუმის მოლოდინში, რომელსაც მათ წინაშე საფარველი (დაფარნა) უნდა აეხადოს, რომ სათითაოდ ეზიარონ ,,უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა.”

ზურაბ კიკნაძე არ ეთანხმება თასის ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში გრაალის ლეგენდის გამოძახილის დანახვას. ფშავ-ხევსურეთის საყმოებში თასი სადღესასწაულო სიწმინდეა, მაგრამ მხოლოდ თავისი საიდუმლოებრივი წარმოშობითა და მოუხელთებლობით თუ მოგვაგონებს იგი გრაალს. თასის მცველი და მპყრობელია უხუცესი (5,5).

გრაფ თარხანის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის დროს თასის ასაკი რამდენიმე საუკუნეს აღწევდა.

თასი ძვირფასი, არამიწიური ქვისგან იყო გამოთლილი, რომლის შუაში ძვირფასი ქვა იჯდა. ეს ქვა მამაღმერთმა ლუციფერის განდევნის დროს მისი გვირგვინიდან მოხსნა, რითაც დაცემულ ანგელოზს სამყაროს მართვის უფლება წაართვა. შემდეგ სასმისი, ღმერთმა თავისსავე შექმნილ ადამს გადასცა, მაგრამ მისი შეცოდების შემდეგ თასი კვლავ ზეცაში დააბრუნა და ქრისტეს უბოძა.

არსებობს ლეგენდის სხვა ვერსიაც. მთავარანგელოზ მიქაელის მითითებით, ანგელოზები თავს დაესხნენ ლუციფერს და შერკინების დროს მთავარანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ამოუგდო ლუციფერს გვირგვინიდან ზურმუხტის თვალი. შემდეგ მისგან გააკეთეს სასმისი, რომელსაც წმინდა გრაალის თასი ეწოდა.

გრაალის თასში თავმოყრილია ის დიდი სიძლიერე, რომელიც მამა ღმერთმა თავის შვილს გადაულოცა. გოლგოთაზე კი მაცხოვრის სისხლი ბოლო წვეთამდე

სწორედ ამ თასში მოგროვდა. სისხლი არ დედდებოდა და არ ცივდებოდა. თასმა იოსებს ხელები დასწვა. მისი ტემპერატურა მზის ტემპერატურას უტოლდებოდა, მაგრამ არაფერს წვავდა. იოსებმა ანგელოზისგან მიიღო მითითება, როგორ უნდა შეენახა და დაეცვა თასი. ეს მითითება თასთან ერთად მან გადასცა მემკვიდრეს, რომელმაც სულ მალე პალესტინა დატოვა და ქრისტეს მრწამსის გასავრცელებლად დასავლეთისკენ გაეშურა.

გრაალის თასის კვალი IV საუკუნეში იკარგება... გრაალის თასმა ,,ვერ აიტანა" ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვა და გაქრა. ამის შემდეგ ის ინახება საიდუმლო ტაძარში და ელის დროს, როცა კვლავ წარდგება მსოფლიოს წინაშე.

გრაალის თასის კულტი შუა საუკუნეების ბრიტანეთში წარმოიშვა. თასს აქვს უნარი გაჯანსაღებისა, თუ მას ადამიანი რვა წლის განმავლობაში დაეუფლება. ასევე, ვინც მისგან სითხეს მოსვამდა, ყველა ცოდვა მიეტევებოდა, ჩვეულებრივი მოკვდავი და ცოდვილი თასს ვერ დაეუფლებოდა.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვით იოსებ არიმათიელი, წმინდა ფილიპეს დავალებით, იერუსალიმიდან ბრიტანეთში გადავიდა და მისთვის მინდობილი რელიქვიაც თან წაიღო. იქ, გლასტონბერთან, მან მიწაში ჯოხი ჩაარჭო. ჯოხმა ფესვები გაიდგა და კვრინჩხის ბუჩქად გადაიქცა, რომელიც წელიწადში ორჯერ ყვაოდა. იოსებმა ეს მოვლენა ღვთის ნიშნად მიიჩნია და იმ ადგილას ეკლესია ააგო, რომელიც მოგვიანებით სააბატოდ გადაიქცა, მიიჩნევენ, რომ გრაალის თასი სწორედ გლასტონბერის სააბატოს მიწისქვეშეთში ინახება. განსხვავებული ცნობით, თასის ადგილსამყოფელად ესპანეთში მდებარე სალვატის ტაძარი მიიჩნევა, რომელიც ერთ ღამეში აუშენებიათ ანგელოზებს.

მეფე არტურზე შექმნილ ლეგენდებში მთავარია გრაალის თასის ძიება.

1485 წელს, თამაზ მელორმა გამოაქვეყნა წიგნი ,,არტურის სიკვდილი." მასში აღწერილია, როგორ გაემართა 150 რაინდი წმინდა გრაალის საძებნელად კამელოტიდან. ციხე-სიმაგრეს, სადაც თასი ინახებოდა, პირველი სერ ლანსელოტი მიუახლოვდა. გაიღო კარი, იქიდან დიდი სინათლე წამოვიდა და როგორც კი ზღურბლზე გადმობიჯება დააპირა, შემოესმა ხმა, რომელმაც ამცნო, რომ თუ შენობაში შევიდოდა, აუცილებლად დაისჯებოდა. ლანსელოტმა უკან დაიხია, მაგრამ ღია კარიდან დაინახა დარბაზის შუაგულში აღმართული კათედრა წმინდა გრაალის თასით, რომელსაც ანგელოზები ეხვეოდნენ. კათედრის წინ თეთრებში გამოწყობილი

მლოცველი ღვთის მსახური იდგა. ლანსელოტს მოეჩვენა, რომ მას ფეხზე დგომა უჭირდა, ღმერთს სთხოვა, მიეცა მისთვის უფლება, მოხუცს მხარში შესდგომოდა. როცა გადააბიჯა ზღურბლს და კათედრისკენ გაემართა, ცხელი ჰაერის ტალღამ უკან გადააგდო, შემდეგ რამდენიმე ხელმა აიტაცა ჰაერში და გარეთ გაიყვანა. ლანსელოტი არ აღმოჩნდა ღირსი, რომ გრაალს მიახლოებოდა. რელიქვიამ ის უარყო. ლანსელოტის შემდეგ მოსულმა დიდგვაროვნებმა დაინახეს, როგორ დაეშვა ზეციდან ხელი, აიტაცა გრაალის თასი და ზეცაში წაიღო.

შუა საუკუნეებში გრაალს სიყვარულის ტაძარს უწოდებდნენ. მისი შეხების უფლება მხოლოდ უმანკო მამაკაცს ჰქონდა.

ლეგენდის მიხედვით, მამა ღმერთს სამყაროს შექმნის დროს ხელში წმინდა გრაალის თასი ეპყრა.

ბიბლიაში გრაალის პირველი ხსენება მეფე მელქისედეკს უკავშირდება. ის გრაალის მცველად მოიაზრება.

ვის ხელში არ გამოიარა გრაალმა, იკარგებოდა და ხელახლა მოიძებნებოდა ხოლმე, ის მოულოდნელად ქრებოდა, ასევე მოულოდნელად გამოჩნდებოდა სრულიად შეუცნობელ ადგილებში.

მაცხოვრის ჯვარცმისას გრაალი ზეციდან დაეშვა უამრავ თეთრებში გამოწყობილ ანგელოზთან ერთად და ის მოულოდნელად აღმოჩნდა იოსების ხელში. იოსებმა იესოს სისხლი მოაგროვა თასში. ჯვარცმის შემდეგ გრაალის თასი მამა ღმერთის ტახტრევანთან ამაღლდა, ხოლო ჯვარცმისა და ქრისტეს სხეულის დაკრძალვის შემდეგ იოსებმა გრაალი წმინდა მარიამს მოუტანა და უთხრა: ,,დღეიდან შენ ხარ მისი მცველი, შენ ხარ ქრისტეს ხორცშესხმული თასი. შენ ხარ წმინდა გრაალი და ცოცხალი საკურთხეველი. ნეტარო მარიამ, მიიღე ჩემი ხელიდან ეს წმინდათაწმინდა ჭურჭელი ჩვენი ღმერთისა და გაუფრთხილდი მას. ღმერთი აღუთქვამს მუდმივ სიცოცხლეს მას, ვინც ამ წმინდა სასმისიდან მის წმინდა სისხლს მოსვამს".

მარიამმა პირველმა მოსვა წმინდა სასმისიდან ღვთის სისხლი, რომელიც მაშინვე ,,გამრავლდა" და პირვანდელი მოცულობა დაიბრუნა.

წმინდა გრაალს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა: თასის შიგნით თავიდანვე სასწაულები ხდებოდა. ვინც მასში ჩახედვას მოახერხებდა, მხსნელის აჩრდილს

ხედავდა. მაცხოვარი ჩნდებოდა თასში და იქიდან ესაუბრებოდა მათ, ვისაც ამის ღირსად მიიჩნევდა.

წმინდა სასმისის ანგელოზები აუწყებდნენ წმინდა ქალწულს, რა განსაცდელი ელოდა გრაალს, როგორ ბოროტებას ჩაიფიქრებდნენ მის წინააღმდეგ ჯერ იუდეველი ფარისევლები, შემდეგ კი მათი მემკვიდრეები, ქრისტიანი მამები, იმპერიული რწმენისა და რომაული ცეზარეპაპიზმის დროს.Fფარისევლებმა დააწესეს დიდი ფულადი ჯილდო იმისთვის, ვინც სინედრიონში წმინდა გრაალის მიტანას შეძლებდა.

წმინდა გრაალი მხოლოდ ადრექრისტიანული აღაპების დროს, ლიტურგიებზე, ერთდროულად ჩნდებოდა რამდენიმე ადგილზე, იცვლიდა ფერს, მის თავზე კი გამუდმებით ეკიდა ცეცხლოვანი ჯვარი. ხანდახან კი თვით მაცხოვარი ცხადდებოდა და თასში ჩაეშვებოდა ხოლმე.

თასის მოულოდნელი გამოჩენა რწმენის გამყარებას უწყობდა ხელს. წმინდა გრაალის მეშვეობით ჩამოყალიბდა რაინდთა საძმო, რომლის წევრებსაც სამუდამო უმანკოების ფიცი ჰქონდათ დადებული. ისინი იკვებებოდნენ მხოლოდ ზეციდან მოვლენილი საკვებით. ტრაპეზის დროს მაგიდაზე მხოლოდ ვერცხლის და თიხის ჭურჭელს დგამდნენ. სპეციალური ლოცვის აღვლენის შემდეგ, მაგიდის თავზე გამოისახებოდა გრაალი. ჭიქები საუკეთესო ღვინით ივსებოდა, ხოლო ლანგრებზე, საუკეთესო თევზი და არამიწიერი საკვები ჩნდებოდა. რაინდები ღვთის ნებას გრაალის შიგთავსში კითხულობდნენ, რომლებიც სითხეში წარწერების სახით ჩნდებოდა.

დედამიწაზე ცნობილია გრაალის 180 მცველი.

IV საუკუნეებში, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, გრაალი გაქრა. რაინდები ტყეში გადასახლდნენ. შუა საუკუნეებში, ინკვიზიციისა და ჯვაროსნული მოძრაობის დროს, გრაალი უფრო მიყრუებულ ადგილზე გადაიტანეს.

ფაშიზმის მიმდევრები ჰიტლერის დავალებით ცდილობდნენ გრაალის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათ მხოლოდ იმ შუბს მიაგნეს, რომლითაც დაჭრეს იესო. შუბი დიდი ხანი ინახებოდა ნიურნბერგის ახალ საიდუმლო საცავში, მაგრამ მესამე რაიხის დაცემის შემდეგ, 1945 წლის 30 აპრილს, ამერიკულმა სპეცდანიშნულების რაზმმა საიდუმლო სამალავი აღმოაჩინა. 1945 წლის 4 იანვარს რელიქვია გაიგზავნა ვენაში, სადაც დღემდე ინახება ჰოფბურგის სასახლის განძსაცავში (7,19-20).

გრაალი, ეზოტერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა.

ალქიმიკოსებისთვის ,,გრაალი" ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან, ანუ ,,ფილოსოფიურ ქვასთან" არის გაიგივებული, რაც ანტიკურ პერიოდში იგივეა, რაც შუა საუკუნეებში ,,გრაალი". ,,ფილოსოფიური ქვის" ძიება არის სულიერი გზა, რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება ძიებას ,,ოქროს საწმისის." რამდენადაც ,,ფილოსოფიური ქვა" და გრაალი იდენტურად მოიაზრება, ,,ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკურ გრაალს ეწოდება ,,ოქროს საწმისი."

,,გრაალი", ბერძნული ვერსიით, ღვინისა და წყლის შესარევ ჭურჭელს, ლათინური ვერსიით ჭეშმარიტ სისხლს, ხოლო ისლანდიური ვერსიით სიუხვის კალათას ნიშნავს.

,,გრაალთან" დაკავშირებულია ადამიანის ასტრალური სხეულის განწმენდა ქვენა ინსტინქტებისა და ვნებებისაგან. ძველი ბერძნები ამ უდიდეს სულიერ პროცესს ,,ოქროს საწმისს" უკავშირებდნენ. (8,225-235).

ცნობილი რუსი მოგზაური, მხატვარი და ორიენტალისტი ნიკოლოზ რერიხი წერს: ,,Великая чаша сделана из драгоценного камня. Много внимания уделялось чудесному камню, упавшему с далекой звезды... Должное время камень исчезает, чтобы опять появитьсия в сужденный срок в совершенно другой стране"(9,127).

პოეტ იოჰან იოზეფ გორესის (1776-1848წწ). აზრით, ,,გრაალში" ჩაწნულია უძველეს ქურუმთა საიდუმლო სიბრძნე. იგი პარალელს ავლებს ჰერკულესის თასთან, რომელსაც ბაკხუხის მისტერიების დროს იყენებდნენ. ეს თასი ჰერკულესს მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა, რომელიც კოლხი მედეას პაპა იყო.

ზოგიერთი მკვლევარი ,,გრაალის" თასს ჰერმეს მეგვიპტელისა და ჯემშიდის თასსაც უკავშირებს. პერსეპოლისის ამშენებელი ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმული სითხეც სიბრძნისა და უკვდავების სიმბოლოდ მოიაზრება.

ბრიტანეთში ,,გრაალის" ორდენის რაინდთა შორის იყო რაინდი პარციფალი (პარსიფალი), რაც სიტყვასიტყვით მოხეტიალეს ნიშნავს. მან მოიპოვა წმინდა სასმისი და ღვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. მას სათნოებისთვის ერგო თასი, შუბი და დავით მეფის ჯადოსნური მახვილი.

წმინდა ,,გრაალი” ჰიპოფიზის სიმბოლოა-ანუ ადამიანის თავის ტვინის ზედა დანამატის, რომლის მიერ გამომუშავებული ჰორმონები არის სწორედ მთავარი წარმმართველი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ-ფსიქიკური პროცესების, ხოლო სასწაულმოქმედი ,,შუბი” ეპიფიზის სიმბოლოა. ეპიფიზი თავის ტვინის ზედა დანამატია, რომლის მიერ გამოყოფილი ბიოლოგიურად მაღალაქტიური ჰორმონები ადამიანის სისხლში შედის. კაცობრიობა მას ,,მესამე თვალის” სახელწოდებით იცნობს, რაც ანატომიური ცდებითაც დასტურდება. რენე დეკარტის აზრით, ,,ეპიფიზი სულის სამყოფელია.”

პარციფალმა უვნებლად განვლო კლინგსორის ხიფათებით სავსე სასახლე, დალაშქრა ,,ხსნის მთა” და იქ მდებარე ტაძარი დაიპყრო. ეზოთერული თვალსაზრისით, კლინგსორის სასახლე ცხოველური ენერგიაა, რომლითაც ადამიანი ცდუნდება. ,,ხსნის მთა” ადამიანის სხეულია, ხოლო მწვერვალზე არსებული ტაძარი-თავის ტვინი. მიზანი ის არის, რომ ფიზიკური სხეული უნდა გახდეს სულის მეგობარი, დაეხმაროს ჩვენს არსებას სულიერი ხედვის გაღვიძებაში, რელიგიური ცნობიერებით დაძლიოს ცხოველური საწყისები.

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებიდან ოცი წლის შემდეგ, 1119 წელს, იქმნება ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა ორდენი.

ტამპლიერები მონაწილეობდნენ დიდგორის ომში.

ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ მეფე-ხუცეს იოანეს.

ვოლფრან ფონ ეშენბახის პოემა ,,პარციფალში” მეფე ხუცესი იოანე არის პარციფალის ნახევარძმის ფაირეფიცის ძე. ფაირეფიცი ეტიმოლოგიურად ნიშნავს ,,შავ-თეთრს.”

პარციფალი წარმოადგენს დასავლური ეზოტერიზმის გზას, რომელიც ეძებს ,,გრაალს,” ხოლო ფაირეფიცი-აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის გზას, იმდროულად, თეთრი და შავი რასების შერევას. შავ-თეთრი არის იმიტომ, რომ ქრისტიანული დასავლური სიბრძნე შერწყმულია არაბულ სიბრძნესთან. ხდება დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის სინთეზირება.

დავით აღმაშენებლის ქრისტიანული მსოფლგანცდა დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის ნაერთია, ამიტომ ძველ ისტორიულ-ჯვაროსნულ ქრონიკებში ,,შავ-თეთრი” ანუ მეფე-ხუცეს იოანე სიმბოლურად ნიშნავს დავით აღმაშენებელს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერებთან იყვნენ დაახლოებულნი. ტამპლიერები აღმოსავლურ ესთეტიზმს ქრისტიანულ მრწამსს უხამებდნენ. ტრამპლიერთა გვიანდელი მემკვიდრეა როზენკროიცერთა ორდენი, რომელიც რელიგიათა სინთეზს ისახავდა მიზნად და ამის ემბლემაა ვარდებიანი ჯვარი. ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ვარდი-ისლამის, მაგრამ რელიგიათა ასეთი შერწყმა მიუღებელია მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის (8,225-235).

სულ სხვაგვარია გრიგოლ რობაქიძის მიერ მოაზრებული გრაალი რომანში ,,გრაალის მცველნი.”

გრაალის არსი გახსნილია ლექსში, რომელსაც გრაალის მცველი ლევან ორბელი კითხულობს.

უფსკრულის პირას იდგნენ რაინდები, რომლებმაც მტრის მორჩილებას სიკვდილი არჩიეს. მათ ჰქონდათ წმინდა ნინოს ჯვარი, ვაზისგან გამოთლილი და მისი თმით შეკრული. უფსკრულში გადაშვების წინ პატარა, მტირალი გოგონა შემთხვევით შეეხო ჯვარს. გამხმარი ხე აყვავდა, ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა და სასოწარკვეთილ რაინდებს უძლეველი ძალა მიეცათ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს, წვენი თასში დააგროვეს და თასი ფარულად შეინახეს, როგორც სიწმინდე. თასის გარშემო საიდუმლო ორდენი ჩამოყალიბდა მრავალი მცველით. თასში იდო გული - საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობდნენ იდუმალ მიწას.

თასის მცველები, განსხვავებით გრაალის მცველებისაგან, იყვნენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ამ პერსონაჟთა გვარები გაშიფრა კ. სალიამ: ოდილიანი-პაოლო იაშვილი, ავალა-ტიციან ტაბიძე, მზისავარ-აპოლონ წულაძე, დათა და კოსტა-ძმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძეები, ჰიდდირ-მამედ ბეგ აბაშიძე, საღარა-მფრინავი საღარაძე, მარჯანი-კოტე მარჯანიშვილი, უშანგ-უშანგი ჩხეიძე, ხორავ-აკაკი ხორავა, ვასსა-აკაკი ვასაძე, ვანო-იაკობ ნიკოლაძე, ს.ო.-სერგო ორჯონიკიძე, შავდია-ლავრენტი ბერია, ლეგა-ლევან ღოღობერიძე.

კ. სალიას არ მიუთითებია, ვინ იგულისხმებიან ლევან ორბელის და Yთავად გიორგის სახეში, მაგრამ ლევან ორბელის პროტოტიპი თვით გრიგოლ რობაქიძის უნდა იყოს!

ასევე დაუდგენელია რუსი ჩეკისტის ველსკის ადრესატი.

თასის მტრები არიან ს. ო. შავდია, რუსი ჩეკისტი ველსკი.

ბუნებრივია, გრიგოლ რომაქიძემ თასის მცველებად მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები, რწმენით, სულიერებით გამორჩეული ადამიანები რომ შეარჩია.

თასის განადგურება ერის სულის ჩაკვლის ტოლფასია და ამიტომ დაეძებს მას ჩეკისტი ველსკი, რადგან ამით ხალხის დაბეჩავება სურს. ამას ის კაცობრიობისთვის თავისუფლების მოტანის სურვილით ამართლებს და ამტკიცებს, რომ ღმერთის რწმენა იგივე მონობაა და ადამიანი უნდა განთავისუფლდეს მისგან.

რომანში იდუმალი კავშირი იკვეთება ორ მოვლენას შორის. ველსკის ნაამბობის მიხედვით, ნაპოლეონის ჯარებმა იტალიაში ილაშქრეს, გენუა დაიკავეს და სან ლორენცის ტაძარში საფირონის შვიდკუთხიანი თასი იპოვეს, რომელიც, თქმულების თანახმად, ჩამოტანილი იყო ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიიდან და წმინდა გრაალად ითვლებოდა. მორწმუნეები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ ტაძარში მის სანახავად. ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა მისი ღირებულების დასადგენად.

იმავე დროს, ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის მთასთან დაბანაკდა ჯარი. იქ იდგა ცისე-დარბაზი, რომელიც, თქმულების მიხედვით, ლოენგრინსა და გრაალის სხვა რაინდებს უკავშირდებოდა. ფრანგებმა დაანგრიეს მონასტერი და მოციქულ ლუკას მიერ ხისგან გამოჭრილი ხატიც იავარქმნეს. ამ დროს პარიზში გაიბზარა სან ლორენცის ტაძრიდან ჩამოტანილი თასი.

ველსკის ნაამბობიდან ის აზრი იკვეთება, რომ სიწმინდეთა ხელყოფა სიმამაცეს ამტკიცებს და, ვინც უშიშარია, უბრალო მოკვდავზე, ათეისტზე მეტია.

რომანში აღწერილია 1924 წლის აჯანყება, რომელიც დამარცხდა.

ველსკის ამ დამარცხებაზე მეტად გრაალის განადგურება აინტერესებს, რადგან რწმენის, სულის გადარჩენა ერის გადარჩენის ტოლფასია.

ველსკი, ქართველი და რუსი ჩეკისტები ვერ მოახერხებენ გრაალის ხელში ჩაგდებას. ლევან ორბელი და მისი ამხანაგები გადაარჩენენ გრაალს.

გრიგოლ რობაქიძის რომანის ,,ალეგორიულ შინაარსს" ასე შიფრავს აკაკი ბაქრაძე: ,,ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს... მწერლობის ამოცანა კი ის არის, დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში.

,,ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან, ერთი მხრივ, არის ბრძოლა გრაალის დაცვისთვის და, მეორე მხრივ, ბრძოლა გრაალის დანგრევისთვის.”(აკაკი ბაქრაძე, ,,ბრძოლა გრაალისთვის”) (10,308-322).

აშკარაა გრაალის კავშირი ქართულ სინამდვილესთან.

როცა გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები არსებობს წმინდა ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელსა და სხვებში. ასევე, წმინდა ნინოში გადმოსულია ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. ,,სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აგებული, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული.” (აკაკი ბაქრაძე) (11,63).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, ტერმინიც კაბადოკიურია: ,,გრაალი მიმდინარეობს ძველპროვანსული და, ალბათ, ძირითადად, კაბადოკიური ტერმინიდან ,,გრაცალ”. კაბადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობისა... გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი.”

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული ,,მადლთა ბარძიმი” იგივე გრაალის თასია. ქართულ ფოლკლორში წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოღებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული... ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. ,,ვეფხისტყაოსანიც” გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან” (12,38).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

,,სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს ქართველებთან ერთად შესაძლოა ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს" (13,51).

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში ,,პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე," ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13ს) თავის პოემას ,,ახალი ტიტურელი" უწოდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოტერული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღმართულ გრაალის კოშკს თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის იდენტურობის შესახებ.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში ,,გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში" - ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში...

გალაკტიონ ტაბიძე იყო სულიწმინდის მადლით ცხებული პოეტი და ბუნებრივია გრაალისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი.

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პოეტი მოწმე გახდა ღირებულებათა გადაფასების, სულის გაუდაბურების, ტირანიის, ანტიქრისტეთა ლეგიონების თარეშის. ქართველი კაცი გაუუცხავდა უფალს, უდანაშაულოთა სისხლით და ცხედრებით აივსო ქუჩები, რეპრესირებულ იქნენ ერის საუკეთესო წარმომადგენლები. გაუგონარი უსამართლობით გულმოკლული პოეტი მამაღმერთს- ,,თიბათვის მზეს" ევედრებოდა ძე ღმერთის მოვლინებას, რათა გადარჩენილიყო სიყვარული.

თიბათვის მზესთან მუხლმოყრილი, გრაალის ორეულად ქცეული, ანუ სულიწმინდის მადლით ცხებული პოეტი ლოცულობს მხურვალედ, რათა გადარჩეს მისი სიყვარული: ,,მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები."

გულწრფელი სტრიქონები ლექსისა ფსალმუნის ავტორის ღაღადისს ეხმაურება თითქოს: ,,ღმერთო, შემინახე თვალისჩინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ დამიფარე ბოროტთაგან, რომელნი თავს მესხმიან, მტრებისგან, გარს რომ მერტყმიან სულის ამოსახდელად" (ფსალმუნი,17,8,9) (2,535).

მამაღმერთის მეოხებით სწადია გალაკტიონს უბედურების ჟამს მამისმიერი სულის-სულიწმინდის მოვლინება უმანკოთა მშვენიერი სულის შესანარჩუნებლად: ,,ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენმიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი." ლექსის "თიბათვის მზე" მამაღმერთია, მისმიერი სული-ქრისტე.

მამაღმერთის სიმბოლოდ მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს "თიბათვის მზე".

ლექსში "მზეო თიბათვისა" ნახსენებია ქრისტიანული სამების სამივე წევრი: ღმერთი (თიბათვის მზე), სულიწმინდა (სული მოუვლინე ისევ შენმიერი) და ძე ანუ ქრისტე ("ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები").

სტრიქონი - "ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები" ასე უნდა წავიკითხოთ: ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს სისხლით სავსე თასს ვგავარო" (აკაკი ბაქრაძე, "რას ნიშნავს თიბათვის მზე?" (10, 300-301).

"თიბათვის მზესთან" დაკავშირებით კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს მეცნიერი: "პოეტი ღმერთს... სულიწმინდის მოვლინებას ევედრება ("სული მოუვლინე ისევ

შენმიერი”), სულიწმინდის მოფენის დღე კი 14 ივნისია (ძველი სტილით 1 ივნისი). ივნისი ხომ ქართულად თიბათვეა!” (10, 302).

აშკარაა, მამაღმერთის წინაშე “ლოცვად მუხლმოყრილი” პოეტი გრაალს ედრება, ანუ თავის სულში სულიწმინდის დავანებას გვამცნობს.

მხოლოდ ციური სულით არის შესაძლებელი მშვენიერების გადარჩენა, ამაღლება, თავისუფლების მიღწევა: ,,უფალი სულია, ხოლო სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება.”(პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ) (9,7) (2,388).

უკეთურობის, გაუტანლობის პერიოდში შემთხვევითი როდია სულის ნატვრა, რადგან ,,სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება” (პავლე მოციქული გალატელთა მიმართ, 6,22,23) (14,411).

ლექსის ფინალში კონკრეტდება შინაარსი ეპოქისა, რომელიც გამოირჩა სისხლით, ცხედრებით, ქარტეხილებით და ბუნებრივია პოეტის სურვილი, ბოროტებამოძალებულ დროში გადარჩეს სასურველის ნათელი სული: ,,ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!” (15,161).

ასე დაუპირისპირდა გალაკტიონის თანამედროვეობაში ერთმანეთს გრაალი, დიდი სიყვარული, უმანკო სული და ხანი უნდობარი, სისხლი, ცხედრები, მძაფრი ქარი.

არასწორი იქნებოდა იმ ლექსის დაკავშირება უცხოურ ტრადიციებთან. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, იგი მიძღვნილია ოლია ოკუჯავასადმი, შიშია მეგობრის მომავალზე, ვედრებაა სიყვარულის გამარჯვებაზე. ამიტომაცაა ასე გულწრფელი და სულისშემძვრელი მუსიკად ქცეული ტკივილები სულისა.

გალაკტიონის დროს ბევრჯერ იზეიმა ბოროტებამ, ძალმომრეობამ. ღმერთის საბოლოო სიკვდილისა და ცრუ ბელადების გაღმერთების იდეაც ამ ეპოქის გამონაგონი იყო. უჭირდა სიკეთეს, სიმართლეს, დრაკონის ნაშიერები ცდილობდნენ რელიგიური მრწამსის, გრაალის იდეალის ჩაკვლას. იტანჯებოდა პოეტების მეფე, იმსხვრეოდა გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო, უგულებელყოფილი იყო ციური ოცნება, კაცთა გაუგონარი მკრეხელობით კვდებოდა ვარდები და ქარვათა მორევში სამუდამოდ ეშვებოდა ფარდა. ანგელოსის პერგამენტზე ეწერა უმძიმესი განაჩენი:

,,ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე, თვალებით მიწას დაპყურებდა. მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე, ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა! ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთაოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე! გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა."

ფითრდებოდა თვით ღვთისმშობელი, რომლის სიმბოლოა "ღრუბელი ფერადი" (16,224) ციური ოცნების უხეში დაგმობით შეძრწუნებული იყო ძე ღმერთი – "ალვა თანადი" (ალვა ძე ღმერთის სიმბოლოა) (17,122).

უიმედობა, ტკივილები და სამუდამო დამშვიდობება იყო ყოველივეს ფინალი: "ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები, საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!" (15,74)...

გალაკტიონი მზად იყო, სისხლით ეწერა, ყოფიერების შხამიანი თასი დაეცალა, სიკეთისათვის სიცოცხლე გაეღო ქრისტესავით და გრაალის ბარძიმი გაევსო საკუთარი სისხლით, რაც მისი უკვდავების საწინდარი გახდა.

უდავოა, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედების ცენტრალური თემა იყო რწმენა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის, უმაღლესი რელიგიური ფასეულობების განუხრელი მსახურება. სამწუხაროდ, დაკარგულია მისი ოთხი კრებულის ხელნაწერები, რელიგიური პოემები. ძნელია მტკიცება, ჰქონდა თუ არა საკუთრივ გრაალზე ტერენტი გრანელს რამე დაწერილი, მაგრამ მისმა თანამედროვებამ იგი მაინც გრაალის ორდენის ერთგულ რაინდად წარმოიდგინა.

პოეტის მეგობარი კონსტანტინე გაჩეჩილაძე (კონნე სპერელი) ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმს – გრანელი – გრაალს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ეს კეთილხმოვანი სიტყვა მიღებულია გრაალისგან: გრაალი – გრაალელი – გრანელი... (18,12-13).

ათეისტურ მეოცე საუკუნეში სხვებსაც ენატრებოდათ გრაალი, მაგრამ ამ იდეალის გაუჩინარება ფაქტი იყო, რაც სევდით მსჭვალავდა მის მაძიებელს.

ზვიად გამსახურდიას თეორიულ ნააზრევზე, გრაალთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი. მან პოეტურ ასპექტშიც გამოავლინა ამ სახის წყურვილი და დააფიქსირა სავალალო სურათი: ქიმგაბზარული გრაალის კოშკი, სიბრძნე – ათენა შავი ყორნით და დემონების გაბატონება: "ვით შეღამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს, ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული. გრაალის კოშკი შორით მოჩანს ქიმ-გაბზარული, პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად

რებულს “შავი ყორანი აზის თავზე” და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილწი არული” (მიძღვნა. სონეტი) (19,5).

პოეტს ეზმანება გველეშაპების და ცისიერთა ბრძოლა, ესმის კენტავრების აურზაური, ახსენდება მონსალვატი, რომელიც ცისებრ სალუქი სულის უნაზეს ფოლიანტებს ააშრიალებს და მონსალვატზე დავანებული საგანძურის ნატვრას წარმოშობს: “გველეშაპები იწვოდნენ ცაზე... ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა... და შემოგესმა კენტავრების აურზაური. მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული დაინთქა ლექსი და ამ ნალექსში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები”. ლექსი ეძღვნება კონსტანტინე ჭიჭინაძეს და ამჯერად იგია გრაალის რაინდი, მონსალვატის საუნჯის მაძიებელი (“კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი”) (19,36).

მონსალვატი არის “მთა ხანისა”, მწვერვალი, რომელიც მდებარეობს შორეულ ნაპირზე, ...მიუწვდომელ მხარეში, შუაგულ ზღვაში, რომლის უკან მზე ამოდის... ეს არის უკვდავების მიწა რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ”. (6,2).

სხვაგან ზ. გამსახურდია ღმერთს მიმართავს: “მეუფევ, შენი ბარძიმია სამყარო”, მაგრამ აქაც სევდაა, რადგან “გუმბათგადახდილი გაირღვა ტაძარი, ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა” (“კოსმიური წირვა”) (19,116).

მერაბ კოსტავასადმი მიმართულ სტრიქონებში ივერიის ცაზე ღმერთის, ბარძიმის გაბრწყინების სურვილია: “დე, ელვარებდებდეს ივერთა ცაზე მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა...” (19,75).

მერაბ კოსტავას პოეზიაში გამორჩეული ადგილი ეთმობა გრაალის თემას.

ლექსში “ძმას ქრისტესმიერს”, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება, ნაწარმოების ადრესატი წარმოიდგინება პარსიფალის ნახევარძმად, ტაძრელად, გრაალის მცველად: “...ხარ მწირი თამარ დედოფალისა საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი, თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული” (20,9).

ცნობილია, რომ 1118 წელს, იერუსალიმში შეიქმნა ტამპლიერთა სამხედრო-სასულიერო ძმობა, რომელიც თავის თავს “მეტაძრეთა” ორდენს უწოდებდა, რადგან მათი თავშეყრის შენობა აგებულ იქნა უშუალოდ იმ ადგილის მახლობლად, სადაც

ლეგენდარული სოლომონ ბრძენის ტაძარი იყო აღმართული (შ. ბადრიძე, “საქართველო და ჯვაროსნები”) (8,227).

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში ეკიდა სურათი, რომლის კომპოზიცია ტამპლიერთა ცხოვრების ერთ ეპოზოდს გადმოგვცემს (8,227).

მეტაძრე ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენლებმა ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე.

1314 წლის 18 მარტს საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზისა და მისი დამჯერე პაპის – კლიმენტი V შეთანხმებით, ინკვიზიციური პროცესი აღიძრა და სიკვდილით დასაჯეს კოცონზე მეტაძრე-ტამპლიერთა ორდენის უკანასკნელი მაგისტრი იაკობ მოლე, რითაც ფაქტიურად დაასრულა ორდენმა თავისი არსებობა (8,228).

“დიდგორში” მერაბ კოსტავა ეხება დავით აღმაშენებლის სასწაულებრივ გამარჯვებას, მეფის სახელთან ბარძიმის დაკავშირებას, რადგან დავითი გრაალის მცველად მიიჩნეოდა: “აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა, აღსავლის კარიდან აღსტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ – ბარძიმი. (20,10).

ლექსში “გალაკტიონი” მერაბ კოსტავა პოეტების მეფის წუხილის უმთავრეს მიზეზად სამართლიანად მიიჩნევს გრაალის, მონსალვატის მიუწვდომლობა-გაუჩინარებას: “...ყველა დროების პირველ პალადინს, რამეთუ გფერფლავს, ვითარცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეუღწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის”...

“გრაალის” მიმდევარს მოეთხოვება უმაღლესი კეთილშობილებისა და სიწმინდის პრინციპების დაცვა, ნათელი გონება და სუფთა გული; გახდეს ჭეშმარიტების დამცველი, კადნიერი მსახურება შეცვალოს თავმდაბლობით, უშიშრად შეავიწროვოს სიყალბის სული და აღადგინოს თავის თავში სიტყვა (ლოგოსი). მხოლოდ იშვიათ რჩეულთ ეძლევათ ღირსყოფა გრაალის საიდუმლოებისა. გრაალი თვით უხმობს მათ. ეშენბახის მიხედვით, ფრაგეტანი გრაალის სახელს კითხულობდა ცის გუმბათზე (8,231).

“გრაალის რაინდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც შეიცნო პირველცოდვის სიმძიმე და რომელიც მოკრძალებით მიმართავდა “სრულ სამ –

მზეს", რათა "სულის მხედველობით" ეხილა უფლის ნათელი და ამ "ნათელის" განმტკიცებისათვის თვით ეტვირთა ჯვარი" (8, 232).

პოეტი წარსული დიდებით ინუგეშებს თავს, რადგან საქართველოც იყო ერთ დროს "ისტორიის უმძლავრესი კოლოსი" დავით მეფის დიდების დროს, როცა გელათს ამშვენებდა გრაალი: "საქართველოსაც ხომ ერგო რიგი, ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს, საოცრებათა გრაალი იგი, წმინდა გელათში იყო სულ ბოლოს. ჩვენი კაცობის დამამშვენებელს, ვინც იყო ჩვენი დიდების ჭერი, ხელთ ეპყრა დავით აღმაშენებელს, მეფე-მღვდელმთავარს ქართველი ერის" (18, 11).

მერაბ კოსტავა თავის უდიდეს სატკივარს, ეჭვებს უზიარებს პოეტების მეფეს, რადგან ათეიზმის ზეობის ჟამს დადუმებულია წმინდათა სავანე, ბურუსშია მომავალი: "მოვდივარ შენთან, როგორც მავანი, მარქვი, მგოსანო, რატომ მდუმარებს ღირსთა მამათა წმინდა სავანე? ნუთუ დაგვეხშო აღსავლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა? რამეთუ ვუწყით, მეტყველი არი, ერთობ მჭევრია საგანთა ენა. რადგან უწყიან იქაც, მიწაზეც, ვისთვისაც ჯერ არს, ყველამ იციან, ბარძიმი იქ არს, იმასთან ცაზე, გალილეია ვინც აირჩია" (21,4-7).

ვაჟა ეგრისელის პოეტური მოღვაწეობის დიდი პერიოდი, დაწყებული მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, იყო მატერიალიზმის, დოგმატური სოციალისტური რეალიზმის, ცალთვალა ათეიზმის ზეობის ხანა.

მიუხედავად ამისა, გრაალის ძიებისა და მსახურების დიდი ტრადიცია შემოქმედებითად გრძელდება "კოლხური ფსალმუნების" ავტორის შემოქმედებაში.

"მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლის" გამთავისებელი, ჰიმალაის, სულიერების უმაღლესი სავანის – შამბალასა და ანდების მომხილველი პოეტი გრაალს, ოქროს საწმისს აიგივებს სიბრძნესთან, წიგნთან, როგორც რენო გენონი და ამ საკრძალური, ინიციაციური ცოდნის უპირველეს საწყისებს კოლხეთში, მერე მთელ კავკასიაში ეძებს და კავკასიონის დიდ მთებს მოაზრებს "ხსნის მთად", "ფილოსოფიური ქვის" სავანედ.

ეს შეხედულება დაფუძნებულია კოლხეთის პრეისტორიის სულის თვალით განჭვრეტაზე, საქართველოს და მსოფლიოს ისტორიის საფუძვლიან ცოდნაზე.

პოეტის მოსაზრებას ამაგრებს მრავალი მეცნიერული არგუმენტი.

ზვიად გამსახურდია წერს: "კავკასიის, კერძოდ, კოლხეთის ოქროს საწმისი გაიგივებული იყო ფილოსოფოსთა მთასთან, რწმენასთან და ეწოდებოდა ზეციური

რწმენის მადანი. საწმისის ძიება ზეცნობიერის, უმაღლესი სულიერების ძიებად ითვლებოდა ისევე, როგორც გალაადის და სხვათა მიერ გრაალის ძიება. ვერძი ნიშნავს უმანკოებას, ხოლო საწმისი უმაღლესი სულიერების სიდიადეს და ბრწყინვალებას, რაც უკავშირდება განძის ზოგად სიმბოლიზმს".

"ოქროს საწმისის ძიება, რასაც ადგილი აქვს მისტერიათა სამყაროში, არის იგივე გრაალის ძიება!"

ამიტომაც ოქროს საწმისს... კლასიკურ გრაალსაც უწოდებენ" (12,272).

"საწმისი არის სიმბოლო კოსმიური სიბრძნისა. ადამიანმა ოდესღაც დაჰკარგა იგი, ხოლო მისი კვლავ დაბრუნება დაკავშირებულია მრავალ ფათერაკთან და საზარელ ძალებზე გამარჯვებასთან. ასეთი რამ არის მარადიული საწყისი ადამიანში, მისი ზესთაცნობიერება, მისი ღვთაებრივი არსი. იგი ეკუთვნის ადამიანს"... (12,40).

გრაალს და ოქროს საწმისს კოლხურ-ეგვიპტურ სამყაროს უკავშირებენ უცხოელი ავტორებიც: "ანტიკური ხანის ავტორები დიოდორე სიცილიელი, ჰეროდოტე და სხვები აღნიშნავენ ეგვიპტური მისტერიების სულიერ მემკვიდრეობას კოლხეთთან. მოგვიანებით ჰანს გზენგერი პირდაპირ მიუთითებს, რომ სწორედ კოლხეთიდან ხდებოდა ეგვიპტური ეზოთერული ცოდნის გამჟღავნება ბერძნული სამყაროსთვის" (დავით ტაკიძე, გრაალის მისტერიის ისტორიულ-ქრისტიანული არსი) (14,10).

რაკი გრაალში ჩაწნულია უძველეს ქურუმთა საიდუმლო სიბრძნე, აქ მოიხსენება ჰერკულესის თასიც, რომელიც ჰერკულესს მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა, კოლხი მედეას პაპამ" (იქვე).

უეჭველად მიიჩნევა დასავლეთის კულტურის აღმოსავლური ძირები: "კოლხური ტაძრების სარკმელთაგან მრავალი ხალხის სულიერმა თუ მატერიალურმა ღირებულებამ გაიხედა ევროპაში... დასავლეთი ჩვენში ამით თავისი კულტურის აღმოსავლურ ძირებს ეძიებდა და ეცნობოდა.

"...ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ლაიტმოტივი გადაჯაჭვულია საკაცობრიო კულტურათა უმნიშვნელოვანეს ნაკადებთან" (8,234).

ჰერკულესის თასისა და გრაალის იგივეობის აზრია გაზიარებული ლექსში "ჰერკულესის თასი": "კოლხურ სიბრძნის სადღეგრძელო" იმ თასიდან უნდა მოსვა, რომელიც თვის უერთგულესს რომ მიართვა კოლხ ჰერკულესს მზის ღვთაება ჰელიოსმა".

ზევსის ძე, “გმირთა გმირი ჰერკულესი” ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ყოველთვის გრაალის თასით წარმოიდგინება: “ზევსის ძეს და გმირთა გმირს და მამის უერთგულესს, სავსე იდუმალებით და სიშორით აღვსილი – მზე ეჭირა ჰერკულესს – ხელთ გრაალის თასივით”(ჰერკულესი).

მთათა მაღალ მწვერვალზე, წყვდიადში გამკრთალ ელვად ილანდება მაყვლის ბუჩქი თუ ჰელიოსის ფიალა: “მთათა მაღალ მწვერვალზე წყვდიადში რომ იალა, მაყვლის ბუჩქი იყო თუ ჰელიოსის ფიალა” (სადღაც ათასწლეულთა).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ “ალქიმიკოსებისათვის” “გრაალი” ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან ანუ “ფილოსოფიურ ქვასთან” არის გაიგივებული, ხოლო “ფილოსოფიური ქვა” ანტიკურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში “გრაალი”. “ფილოსოფიური ქვის” ძიება არის სულიერი გზა – რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება ძიებას “ოქროს საწმისისას”... ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკურ “გრაალს” ეწოდება “ოქროს საწმისი” (8.110).

რენე გენონმა დაუშვა გრაალისა და წიგნის იდენტურობა.

ვაჟა ეგრისელი უფრო შორს მიდის. მისთვის სინონიმურია გრაალი, ოქროს საწმისი, კოლხური ფსალმუნი, ანუ ამ ფენონიმების ძიება მისთვის უმაღლესი სულიერების, საღვთო სიბრძნის ძიებაა.

პოეტს გრაალის, ოქროს საწმისის და “კოლხური ფსალმუნების” (უმაღლესი სიბრძნის, სულიერების) სავანე მარადიული სინათლის სიშორეში, ღვთის საბრძანისში ეგულება: “იქ, სადაც სინათლე მეუფეს და აღარასოდეს ღამდება, გზას რომ სიშორის აუდის ალმური, ხატება იქ ილანდება: გრაალის, საწმისის და კოლხური ფსალმუნის” (სამება).

ოქროს საწმისი და გრაალი მარადიული იდეალია, სულის თვალით სახილველი ვარსკვლავთა ფესვებში: “დაკარგა... დაეძებს სულის თვალი. მისთვის არც ზამთარია და არც ზაფხული და თუ იპოვა, ვაი, მისი ბრალი, ოქროს საწმისი და გრაალი ვარსკვლავის ფესვებშია დამარხული” (ოქროს საწმისი და გრაალი). ვარსკვლავი საღმრთო სახელია. (ეს პრობლემა დაწვრილებით გვაქვს შესწავლილი წერილში “ოქროს საწმისის” პარადიგმები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში”).

ლექსში “კელტებსა და იბერებს” (22,116) გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ გრაალის პირველი მფლობელები იყვნენ კაბადოკიელები ანუ ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსი.

გრაალი ხან სულიწმინდის, ხან მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა და ბუნებრივია, ქრისტეს კონტექსტში ფიგურირებს.

პოეტი წერს: “უცხო ხილვად ანთია-მაყვლის ბუჩქის სხვა ალი. შიში არ ეკარება სიკვდილსა და სიბერეს: პირველ მფლობელთ გრაალის_ტიტურელ_კაბადოკიელთ, კელტებსა და იბერებს”.

მაყვლის სიმბოლო სათავეს იღებს ბიბლიიდან. მოსემ ქორიბის მთაზე იხილა მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლის ალი ეხვეოდა, მაგრამ მაყვალი არ იწვებოდა. მაყვალი მირიამის, ხოლო ცეცხლი ქრისტეს სიმბოლოდ იქნა კომენტირებული.

ლექსში ლაკონურად მინიშნებულია, რომ სიკვდილისა და სიბერის დამარცხება მხოლოდ ღმერთის შეწევნით, სულიერი სიბრძნით (გრაალით) არის შესაძლებელი.

კოლხეთის პრეისტორიაში სულის ლამპრით მჭვრეტელი პოეტი გამუდმებით ამტკიცებს, რომ კოლხეთია კაცობრიობის კულტურის უპირველესი სავანე.

ბუნებრივია, ვაჟა ეგრისელის პოეზიაში კოლხეთს-მითანს უკავშირდება გრაალიც.

ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ მეფე_ხუცეს იოანეს. ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა “პარციფალში” მეფე ხუცესი იოანე არის პარციფალის ნახევარძმის ფაირეფიცის ძე.

პარციფალი წარმოადგენს დასავლული ეზოტერიზმის გზას, რომელიც ეძებს გრაალს, ხოლო ფაირეფიცი აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის გზას (14,5).

უძველეს კოლხეთში_მითანში ეგულება ვაჟა ეგრისელს გრაალის საწყისები, მისთვის კოლხეთია ფაირეფიცის და პარციფალის აკვნის დამრწევი, მაგრამ პრეისტორიის უღრანებში, დროგადასული ისტორიის ჩონჩხებში ვერ ჭვრეტენ მას სრულყოფილად, რაც სევდით ავსებს პოეტს: “მოასვენებდი მითანიდან – გრაალს მოწიწებით აყვანილს... არც ბედი გქონია, არც იღბალი, თუმცა შენ დაურწიე აკვანი – ფაირეფიცის და პარციფალის” (22,126). ლექსი თარიღდება 1963 წლით.

“აიაში” გრაალის სიმბოლოდ ფიგურირებს “ცისფერი თასი”, რომლის ძირი წარმართულ “აიაში” (კოლხეთშია) საძიებელი, იგი განბანილია მზისა და მთავარის ემბაზში, ხოლო ცისფერი თასით აიას მარტოობა ბიბლიური წინასწარმეტყველის – ესაიას მარტოობას მოაგონებს ლექსის ავტორს: “უხმობს მთვარე – მამა – მძუძე. მზის ნაშობი, გზით იურვის... ცისფერ თასით ეს “აია” მარტოა, ვით ბიბლიური – ღვთისმოსავი ესაია” (22,135). ლექსი დათარიღებულია ათეიზმის ზეობის პერიოდით – 1970 წლით.

კოლხეთისა და გრაალის განუყრელობის იდეის გაჟღერებაში თანმიმდევრულია ვაჟა ეგრისელი: “ღამეებიდან და წარსულიდან არავინ იცის, თუ როდის მოხველ და წყლის ღვთაებას – მოუხმობ ფაზისს. შავი ზღვა ხელში უჭირავს კოლხეთს, ვითარც მზით სავსე გრაალის თასი”.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში იდენტურად წარმოიდგინება გრაალი, ოქროს საწმისი, ოქროს ვერძები და ეს სიმბოლოები სულიერების, ინიციაციაქმნილი სიბრძნის მიმანიშნებელია, თანაც განუყრელი კოლხეთისაგან: “...ლოცვებით და ოქროს საწმისით პონტოს და ფაზისს ხელთ უპყრია ძველი კოლხეთი – მთელი სამყაროს დასასრული და დასაწყისი” (პონტოს და ფაზისს) (23,819).

ლექსში “კოლხეთს ვეძებ” (23,923) ვერძებია ძიების, ფიქრის საგანი: “...ღამით ლაზურ აფრებს გავშლი და ბობოქარ ჟამთა ზღვაში ვუხმობ გატაცებულ ვერძებს... მე დავკარგე აიეტის კოლხეთი და იმას ვეძებ”.

“ვერძი” ნიშნავს უმანკოებას, ხოლო საწმისი უმაღლესი სულიერების სიდიადეს და ბრწყინვალებას, რაც უკავშირდება განძის ზოგად სიმბოლიზმს” (12,273).

გრაალის ადგილსამყოფელად მიიჩნევა მონსალვატის “მთა ხსნისა”, სიმბოლო მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს შორეულ ნაპირზე, მოკვდავთაგან რომ ვერავინ მოუახლოვდება. იგი “მიუწვდომელ მხარეში”, შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და “პოლარული მთაც”. ეს არის უკვდავების მიწა, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ” (რენე გენონი, მთა და გამოქვაბული) (6,10).

პრეიტორიის ზღვაში დაეძებს პოეტი “ხსნის მთას”, მაგრამ ვერ პოულობს და მაინც, არა მონსალვატზე, არამედ კოლხეთში ეგულება იგი, სხვები კი ჰიმალაის, შამბალას და ანდების მწვერვალს მიიჩნევენ გრაალის ადგილსამყოფელად: “ზღვაში

პრეისტორიის “ხსნის მთას” ვეღარ ვპოულობ, თუმც კოლხეთში მეგულვის. რწმენა მაინც ადნება: ჰიმალაის, შამბალას და მწვერვალებს ანდების”.

“კოლხური ფსალმუნების” ავტორი თავისი გუმანით არა შორეულ ანდებში, არამედ კავკასიონის მთებში მოიაზრებს გრაალის და საწმისის სავანეს: “წელი არის სინათლის, ცხადად რომ გელანდება: გრაალი და საწმისი, მთებში კავკასიონის და არა შორს ანდების” (მთებში კავკასიონის).

მერე უფრო კონკრეტდება ადრესატი და კოლხეთი, ჩე გოლა (თეთრი მთა) წარმოესახება პოეტს გრაალის სამშობლოდ: “რომ წუთისოფლის შარაზე რამზეს მეორის ეტლივით ათასწლეულებს ეგორა, კოლხურ ცას გრაალს შესტირის მისი მშობელი ჩე გოლა”.

ავგუსტინეს მიხედვით, წარღვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის “ენოქის სამკვიდრებელი და წმინდა მიწა”, მისი თხემი მთვარის სფეროს ეხება, ე.ი. ცვალებადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში.

ვაჟა ეგრისელი იზიარებს ქართველებისა და ბიბლიური ქალდეველების ნათესაობის იდეას, კაცობრიობის კულტურის უპირველეს აკვნად კოლხეთი ესახება, აღდგომის კუნძულებზე, წმინდა კუნძულებზე ხედავს თავის კოლხ წინაპრებს, საწმისისა და გრაალის მფლობელთ: “შორს, აღდგომის კუნძულებზე, ათასწლეულობის მერე, ჩეხავ უღრანს, ტეხავ ახოს: იქნებ წინაპარი კოლხის ქოხი სადმე დაინახო” (ათასწლეულების მერე) (23,917).

სულის თვალი აღდგომის კუნძულზე ჭვრეტს კოლხთა ნასახლარებს: “ფიქრის ჩელტიანი ნავის, მიმაქანებს წინ აფრები და აღდგომის კუნძულზე გადარჩენილს ჩემდა ბედად, ჩემი დიდი წინაპრების – კოლხთა ნასახლარებს ვხედავ” (ფიქრის ჩელტიანი ნავის) (24,82).

“კოლხური ფსალმუნების” ავტორის პოეზიაში გაიგივებულია მითოსური სამოთხის კუნძული – დილმუნია და კოლხეთი: “მშობლიური ცის ტაძარში_ვარსკვლავების ზარს ვარისხებ მნათესავით და მსურს ვამცნო მთელ დუნიას, რომ შავი ზღვა – არის ჩემი ნათესავი, კოლხეთი კი – დილმუნია” (დილმუნია) (24,109).

ლეგენდის მიხედვით, შეთმა (სეთი, ადამ და ევას ძე, კაენისა და აბელის შემდეგ) უფლება მიიღო სამოთხეში შესვლის და დაიბრუნა ძვირფასი თასი, რაც

დაკარგული სამოთხის დაბრუნების, სულიერი ცენტრის განახლების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო (5,10).

მაგრამ შემდეგ მიუწვდომელი გახდა უზენაესიც და სამოთხეც, მოხდა სულიერი ცენტრის დაბნელება, უმრავლესობა მოსწყდა მას და ასეთ დროს მხოლოდ დახურულ ცენტრებში შემოინახება გრაალი (6,10).

ზვიად გამსახურდია წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოღებულ თასს გრაალის თასად მიიჩნევდა.

თასის ქვესკნელში ყოფნა ადამის ძეთა სულიერ დაბნელებას მიანიშნებს, მისი გამოხსნა კი მხოლოდ წმინდა სულის მატარებელთა ხვედრია.

“მისტერიათა სიბრძნის მაძიებელს დიდი განწმენდა, შემზადება და მძიმე გამოცდები უნდა დაევლო დაკარგული სიბრძნის კვლავ მოსაპოვებლად” (25,269).

ათეისტური ეპოქის შვილი – ვაჟა ეგრისელი ქვესკნელში იგულვებს გრაალს, მის გამოსახსნელად იკრებს ძალისხმევას, საქართველოს მთიანეთის მითოლოგიაზე დამყარებით, დევების მმუსვრელთ-კოპალას და იახსარს მოუხმობს წმინდა საწყისის დაბრუნებისათვის შემწედ: “მტერთა ჩემთა სიმრავლეს – ვამრავლებ და ვაჯამებ, მათი სული ქვესკნელის კედლებს უნდა მივასხა. თასის გამოსახსნელად ლაშქრად მივალ ქაჯავეთს და საშველად მოვუხმობ კოპალას და იახსარს” (მტერთა ჩემთა სიმრავლეს) (22,130).

აქ პოეტი წმინდა გიორგის მისიით გამოდის და სულიერი საჭურველი აუსხამს.

ლექსში “გრაალის ბარძიმი” გრაალი სულიწმინდის სიმბოლოა და იგი ისევ ქვესკნელიდან არის მოსაპოვებელი: “მოსვლის დღიდან მოველი სულიწმინდის გადმოსვლას და ფიქრები მამძიმებს – ქვესკნელს უნდა ჩავიდე მე, გრაალის ბარძიმის პოვნად, გამოსახსნელად” (22,120). ლექსი დაწერილია 1959 წელს.

გრაალის (სულიწმინდის) ქვესკნელში ჩაძირვა სულიერი ცენტრის დაბნელებას, რწმენის იგნორირებას მოასწავებს.

ლექსში “გრაალის თასი” (24,79) რომელიც დაწერილია 1964 წელს, “თვალბნელი ღამეა”, “ღია სამარეა” საზარელი ფაქტი, გაუჩინარებულია უზენაესი, ამაოა ცის გახსნის ლოდინი, სისხლით ივსება გრაალის თასი და “თვალბნელი ღამის” ამ მწარე სინამდვილეს მაინც ჩრდილავს რწმენის მზე, ლოცვები, ცისკრები, დედა ქალწულის მოვლინება: “თვალბნელი ღამიდან, ვით დედა ქალწული, მზე

ატატებული მოდიან ცისკრები და ღია სამარეს ლოცვები ავსებთ. არა ჩანს უფალი, აღარც ცა იხსნება და სისხლით ივსება გრაალის თასი”.

“თვალბნელი” ათეისტური მეოცე საუკუნის 60-იან წლებში მაინც ილანდება წყვდიადის დამარცხების, რწმენისკენ მიბრუნების რწმენა.

განუმეორებელი სახეებით მიეწოდება მკითხველს რწმენა-ურწმუნოების დაპირისპირება ლექსში “მეხთა ტეხა” (22,116). ცის სარკეზე (ცა უფლის სამყოფელია) ირეკლება “მეხთა ტეხა” (ურწმუნოება), სულის მსხვრევა-გამთელება და მაინც ღვთის ტაძარი ბრწყინავს, ხოლო აღორძინების ეპოქის ტრადიცია შავთელის სახით “მადლთა ბარძიმს” შეახსენებს.

შავთელის “აბდულმესიანში” “მადლთა ბარძიმი” თამარ მეფეს ეწოდება. იმ პერიოდის საისტორიო მწერლობამ თამარი სამების მეოთხე წევრად დასახა, რაც “ქრისტიანული დოგმატის თვალსაზრისით, გაუგონარი მკრეხელობა და ერესია” (ა. ბაქრაძე).

ვფიქრობთ, ვაჟა ეგრისელის “მადლთა ბარძიმში” ნაგულისხმევია ამ ფენომენის პორველადი მნიშვნელობა, ე.ი. სულიწმინდა.

ლექსში “სულიწმინდა” (22,144) ბარძიმი მოიაზრება, როგორც სულიწმინდა, რომელიც სულის გამწმენდია შიშის, სიბნელის, ცოდვებისგან, ხოლო უფლის წმინდა ნათელი ესხურება რწმენის ცის დარბაზებს: “თუ არა იგი ბარძიმი მე, შიშით ღამენათევი – ცოდვები უნდა მეზიდა. გადმოჩქეფს წმინდა ნათელი – რწმენის ცის დარბაზებიდან”.

“ნათლის საჭურველი” (ქრისტე) და გრაალის თასის (სულიწმინდის) ბრწყინვალება ორი ათასი წელია ურწმუნოების ბნელს ებრძვის და ვარსკვლავივით (ვარსკვლავიც საღმრთო სახელია) ასხივოსნებს სულს: “ღამე იგი განგვეშორა... და გრაალის ბრწყინავს თასი, ვარსკვლავების დგას ჭურები. წელი არის ორი ათასი – გვმოსავს ნათლის საჭურველი” (ნათლის საჭურველი) (22,462). ლექსი თარიღდება ურწმუნოების პერიოდით – 1967 წლით.

ვაჟა ეგრისელის პოეზია საღვთო სიბრძნის ჯერაც განუჭვრეტელი სალაროა, “ციურ აზრთა” ნადავლი და, ბუნებრივია მისი დაინტერესება “ღაზელებით” (საღვთო სიბრძნით), რაც სპარსული პოეზიიდან მომდინარეობს, სუფისტური სიყვარულის ანარეკლია და “აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით” (25, 104).

სუფისტურ სიყვარულს პოულობდნენ “ვეფხისტყაოსანში” ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, კორნელი კეკელიძე (თუმცა ეს მეცნიერი არ იყო ამ საკითხში თანმიმდევრული, 1933 წ. იგი სუფისტურ პოეზიას უკავშირებდა რუსთაველის პოემას, 1941 წ. უარყო ეს აზრი, 1945 წ. კი ისევ სუფიზმს დაუკავშირა).

სუფისტების მოძღვარი იბნ ელ არაბი წერდა: “მე მივსდევ რელიგიას სიყვარულისას. მე მიწოდებენ ხან ღაზელების (საღვთო სიბრძნის) მწყემსს, ხან ქრისტიან ბერს, ხანაც სპარსელ ბრძენს. ჩემი მიჯნური სამებაა, რომელიც არის მხოლოდ ერთი” (26, 17).

სუფისტური სიყვარულია ჯალალ-ედ-დინ რუმის პოეზიის მთავარი თემა. “მე... ერთს ვუჭვრეტ ორსავ სოფელში... იგია პირველყოფილი და უკანასკნელი, იგია ცხადი და დაფარული. და ამ სოფელში ჩვენ ორს გარდა, სხვას არავის ვცნობ. მე სიყვარულმა დამათრო და ცნობისგან მიხდილი მაქვს ორივ ქვეყანა (26, 17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და “საყვარელს” - ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, “საყვარელი” და “სულიკო” ერთდროულად (27, 61-66).

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა დაამკვიდრა საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსები, ცნობილი “გაზელების” სახელწოდებით.

ამ ტრადიციის სათავე მან აღმოსავლურ ლირიკაში, ჯალალ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ომარ ხაიამის, საადის შემოქმდებაში იპოვა და განაცხადა, რომ ისინი “სავსე პეშვებით ისვრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას”.

სპეციალურ წერილში - “გაზელა” გალაკტიონი საუბრობს როგორც “გაზელის” წარმოშობაზე, ისე მის თავისებურებაზე (28, 92-95).

“გაზელის მცოდნის” ადრესატი თვით გალაკტიონი იყო: “შორეულ დღეებს მახლობლად უზის მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის, ცივი ოცნება შხეფავს აუზის, ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის” (ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის).

ვაჟა ეგრისელი თანამგზავრია “პირველი სიყვარულის” (სამების) და ის ეიმედება “ამსოფლად და იმსოფლად” (პირველი სიყვარული).

პოეტი ვერ ელევა გრაალის თასის ბრწყინვალებას და უკვირს, სული და ხორცი, წარმავალი და მარადიული რომ ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ მავანთ, თვით კი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მარადიული ჭეშმარიტების – ღმერთის,

სულიწმინდის ერთგულებაა ამქვეყნიური სამოთხის შექმნის და მიღმური სამყაროს სამოთხეში დამკვიდრების საწინდარი: “ბრწყინავს თასი გრაალის და როგორ არ მიკვირდეს, როცა ვხედავ სულს და ხორცს ერთმანეთში აზელილს. მე, ვით მგოსანს მარადისს – სასუფეველს მიმკვიდრებს ორთავ სოფლად ღაზელი” (22, 489).

როგორც ვნახეთ, ვაჟა ეგრისელმა თავის პოეზიაში დიდი ადგილი დაუთმო გრაალის წარმომავლობის ჩვენებას, დაუკავშირა იგი კოლხეთს, გააიგივა ოქროს საწმისთან, ფსალმუნთან და უმაღლესი სულიერების, სიბრძნის, რწმენის სიმბოლოდ წარმოგვისახა (იხ. ამაზე დაწვრილებით – ლ. სორდია, “ოქროს საწმისის პარადიგმები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში” და “ვაჟა ეგრისელის ტიტანური ხუთტომეულის - “კოლხური ფსალმუნების” სახელწოდების შესახებ” (ჟურნალი “კულტურათაშორისი კომუნიკაციები; თბ. 2009, [1]2).

პოეტმა თვალი გაადევნა გრაალის გააზრების ტრადიციებს ბიბლიიდან, მითოლოგიიდან, ქართული სახოტბო თუ აღმოსავლური პოეზიიდან.

“კოლხური ფსალმუნების” ავტორმა თვით შექმნა ახალი სულიერი ცენტრი, საღვთო სიბრძნით გასხივოსნებული მიწიერი სამოთხე, წმინდა მიწა, აღდგომის კუნძულებზე, ზღვაში ააგო ახალი კოშკი, დანერგა ახალი “ოქროს ბაღები”. მან გრაალი არა ჰიმალაის, შამშალას, ანდების მწვერვალებზე დალანდა, არამედ კოლხეთში, კავკასიონის მთებზე, “წმინდა მთა” და ქვესკნელში გაუჩინარებული გრაალიც აქვე აღმოაჩინა.

მის პოეზიაში წარსულის ქარების ქროლვა ძველკოლხური ოქროს ბაღების სურნელს აფრქვევს: “...რომ ქრის წარსულის ზღვის ქარია და მოაქვს სურნელი – ძველ-კოლხური ოქროს ბაღების” (ისევ აწყდება ნაპირს ტალღები”) (24, 918).

მერე ეს აზრი მთელ კავკასიაზე ვრცელდება: “არც ჰიმალაი და არც ანდები, კავკასიონის დიდი მთებია, მიწას აკვანი ვინც დაურწია” (არც ჰიმალაი და არც ანდები) (24, 912).

გრაალის მფლობელი წმინდა სულის, ღმერთმოსილი, ცეცხლმოსილი უნდა იყოს, რომ უზენაეს ძალებთან წილნაყარმა დედამიწაზე რწმენის, სიკეთის ზეობისთვის იღვაწოს.

“დედამიწის სადღეგრძელოში” (24, 138) გრაალის სინონიმია “მთვარით სავსე ზეცის ფიალა” და პოეტი გაბედულად მიმართავს მთელ დედამიწას: “ვით ყველა მოკვდავს შენც, მზის ნაშიერს, ბოლო მოგიღო წუთისოფლის ბორბლის ტრიალმა და

ბრუნოსავით მარადიულ ცეცხლში დაიწვი. ხელში გიჭირავს მთვარით სავსე – ზეცის ფიალა და სადღეგრძელოს სვამ დედამიწის”.

ვფიქრობთ, წმინდა მიწა, მიწიერი სამოთხე უნდა ვიგულისხმოთ სტრიქონებში: “უფალს ნაამბორები, არ მიკარებს მე რული. ბრუნავს ჟამთა მორევი – შორი და უფერული. ცა და მიწა – ორივე არის ეზოთერული” (უფალს ნაამბორები) (23, 929).

ლიტერატურა:

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992
4. აკაკი მინდიაშვილი,ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ, “ცისკარი”, 1999, ¹3
5. რენე გენონი, გრაალის სიმბოლიზმი, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა, “ლიტერატურული საქართველო”, 15 ოქტომბერი, 1992
6. რენე გენონი, მთა და გამოქვაბული, “ლიტერატურული საქართველო”, 27 დეკემბერი, 1987
7. გრაფი თარხანი, გრაალის თასის მცველები, მისი წარმოშობის ისტორია და სერ ლანსელოტის თავგადასავალი, ჟურნ. “გზა”, 2007, 28 ივნისი-4 ივლისი
8. თენგიზ ბურჭულაძე, დავით აღმაშენებელი და გრაალის რაინდები, ალმანახი “რიწა”, სოხუმი, 1982
9. Н. Рерих, Избранное, М., 1979
10. აკაკი ბაქრაძე, თხზ. ტ. III, თბ. 2004
11. აკაკი ბაქრაძე, “რწმენა”, თბილისი, 1969
12. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
13. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
14. დავით ტაკიძე, გრაალის მისტერიის ისტორიულ-ქრისტიანული არსი, “მწერლის გაზეთი”, 15-31 ოქტომბერი, 2004
15. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

16. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
17. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
18. მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები. კონნე სპერელი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003
19. ზვიად გამსახურდია, მთვარის ნიშნობა, თბ. 1989
20. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
21. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1994, ¹5
22. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. 4, თბ. 2008
23. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ. 2007
24. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ. 2006
25. ზვიად გამსახურდია, "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", თბ. 1991
26. აღმოსავლური პოეზია, თ. ჩხენკელის თარგმანი, თბ. 1981
27. ლუარა სორდია, აკაკი წერეთლის "სულიკო", ჟურნ. "სკოლა და ცხოვრება", თბ. 1991, ¹6-7
28. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 5, თბ. 1995.

Luara Sordia

A Bible Conception

Apocaliptic Emages

The Ideal of Grail

S U M M A R Y

The work deals with a Bible conception related to the protection of a nation and national features and clearly opposes a masonic-cosmopolitan doctrine.

The georgian people messianic idea, the national triad-language, native land – the faith, is based on the wisdom of Holy Scriptures and serves the cause of preserving he nationa state system of our country.

Using apocaliptic images the georgian writers gave a vision of epochal events.

By a beast and its variations Galaction Tabidze shourd his contemperary atheistic 20th century, which was warked by tyranny and totalitarianianism, while in his poetry the symbolic images of beasts are inspired by John the Preacher's appearance and implies a sea beast (Lenin), earthly beast (Stalin) and, in general, bloody dictators of the atheistic epoch.

The revolution was understood by Michael Javakhishvili as a total disaster, and its bloody leadres as devil servants. In his novels ("Jagho's Refugees", "Woman's burden") the monster, dragon, beast and tiger personify the faithless revolution – makers, the leaders who destroyed the movals, familys, religion, national features and the state system; our territorial integrity was endangered. In "Jagno's Refugees" the writer predicted the possible processes in Samachablo and the loss of this age-old georgian region with the help of interna and external enemies.

In his work Konstantine Gamsakhurdia showed himself to be a fierce oppenent to the Soviet ruling bloody tyrrany. He was uncompromising and implacable to the repressions, atheism, to all that was against spirituality, georgian consciousness. In the short story "Taboo" the Georgian-abkhasian conflict inspired by "The red devil" (russian empire leaders) was predicted which was ended in the loss of Abkhazia.

Terenti Graneli's works his life that he was an indomitable, uncompromising fighter against the apocaliptic beast's off springs to uphold the State independence and Georgian values. This is well seen in his lyrics, in the verses dedicated to Stalin and Beria.

The novelist Goderdzi Chokheli in his novel "Wolf" depicts the off Springs of apocaliptic beasts, that is the leaders possesed by power. Doraiskhevi is a model of the Soviet Empire tyrrrany. Godlessness is considered here to be the main source of all the troubles, and by spreading out the dragons, bears, wolves and symbolic vabies the writer tried to show the ailment that could be healed only by the Christian faith.

In the poetry of Vazha Egriseli we see a series of apocaliptic beasts: devis, dragons, bears, monsters, cyclops, leopards, lynx, tigers, lions, echidna which, together with a spiritual ailment, indicate the national – State tragedies. The poet calls on to identify the power-fed monsters and fight theme earnestly with the Cross, the Christian faith.

The ideal of grail, golden fleece has been analyzed in the work both as theoretical and literary works follouing an example of the works of Zviad Gamsakhurdia, Merab Kostava, Galaktion Tabidze, Vazha Egriseli.